



საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

მარი ქუთათელაძე

განრიდება და მედიაცია სისხლის სამართალში

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია სამართლის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერ-ხელმძღვანელი:

სამართლის დოქტორი მიხეილ მამნიაშვილი

თბილისი

საქართველო

2017

ვადასტურებ, რომ ჩემ მიერ წარდგენილი თემა სამართლის დოქტორ მიხეილ მამნიაშვილის ხელმძღვანელობით შევასრულე დამოუკიდებლად და ნაშრომში გამოყენებული ყველა წყარო სათანადოდაა მითითებული. ჩემთვის ცნობილია საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება და ის შედეგები, რაც შეიძლება მოჰყვეს არასწორი მონაცემების წარდგენას.

მარი ქუთათელაძე

სარჩევი

შესავალი.....	1
1. განრიდების, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმის დანერგვა და განვითარება სისხლის სამართლის პროცესში.....	22
1.1. განრიდებისა და მედიაციის პროგრამის წარმოშობამდე არსებული რეალობა სისხლის სამართლის პროცესში.....	22
1.2. განრიდებისა და მედიაციის პროგრამის დანერგვის საფუძვლები სისხლის სამართლის პროცესში.....	23
1.3. განრიდებისა და მედიაციის პროგრამის დანერგვა სისხლის სამართლის პროცესში.....	26
1.4. განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ცნება და არსი.....	30
1.5. განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მიზნები და ამოცანები.....	34
1.6. განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ძირითადი პრინციპები.....	36
2. სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმები კონტინენტური და ანგლო-საქსური სამართლის სისტემის ქვეყნებში.....	43
2.1. სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმები კონტინენტური სამართლის სისტემის ქვეყნებში	43
2.1.1. სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმები საფრანგეთში.....	43
2.1.2. სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმები გერმანიაში..	54
2.1.3. სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმები ბელგიაში.....	61
2.1.4. სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმები ავსტრიაში სასამართლოს გარეთ დავის მოგვარება - “Aussergerichtlicher Tatausgleich”.....	71
2.1.5. სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმები ნორვეგიაში..	76
2.2. სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმები ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემის ქვეყნებში.....	81
2.2.1. სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმები ინგლისში.....	81
2.2.2. სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმები შოტლანდიაში	98
2.2.3. სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმები აშშ-ში.....	102
2.2. კონტინენტური და ანგლო-საქსური სამართლის სისტემის ქვეყნებში მოქმედი მედიაციის პროგრამის შედარებითი ანალიზი.....	104
3. პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება.....	113
3.1. პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების ზოგადი მიმოხილვა.....	113
3.1.1. დისკრეციის ცნება.....	118
3.1.2. განრიდება, როგორც პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება და სასამართლო პრაქტიკა.....	121

4. არასრულწლოვანთა განრიდება და მედიაცია, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმა	125
4.1. არასრულწლოვანთა განრიდების საკანონმდებლო რეგლამენტაცია.....	128
4.2. განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში მონაწილე პირები და მათი უფლებამოსილებები.....	131
4.3. განრიდების/განრიდებისა და მედიაციის გამოყენების პროცედურები და ხელშეკრულების პირობები.....	144
4.3.1. განრიდების/ განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი.....	149
5. სრულწლოვანთა განრიდება	155
5.1. სრულწლოვანთა განრიდების საპროცესო წესი.....	155
5.1.1. განრიდებული პირის საკანონმდებლო ვალდებულებები.....	157
5.2. განრიდებისა და მედიაციის შედარება, საერთო საწისები, განსხვავებები.....	164
5.3. საერთო კრიმინოგენული მდგომარეობა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიულ ღონისძიებებთან მიმართებაში.....	166
დასკვენი და რეკომენდაციები	174
ბიბლიოგრაფია	183
დანართები	193

ნაშრომში გამოყენებული აბრევიატურა:

აშშ- ამერიკის შეერთებული შტატები
გფრ- გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა
გაერო - გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
სს კოდექსი - სისხლის სამართლის კოდექსი
სსს კოდექსი - სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
პუნ. - პუნქტი
ნაწ. - ნაწილი
მუხ. - მუხლი
ე.წ. - ეგრეთ წოდებული
იხ. - იხილეთ
ე.ი. - ესე იგი
ა.შ. - ასე შემდეგ
სხვ. - სხვა
მაგ. - მაგალითად
შეად. - შეადარეთ
დან.- დანაშაული
თბ. - თბილისი
წ. - წელი
წწ. - წლებში
რედ. - რედაქტორი
ჟ. - ჟურნალი
ინტ.-ინტერნეტ
მის.-მისამართი
მდგ.-მდგომარეობით
P.-Page
С.- страница
М. - Москва
Год - Г

შესავალი

თემის აქტუალობა. შესრულებული სამეცნიერო კვლევა ეძღვნება დღეისათვის მეტად აქტუალურ პრობლემას, „განრიდებისა და მედიაციის პროგრამის, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიების გამოყენებას“ - რომელსაც ლიბერალური სისხლის სამართლის პოლიტიკის ფარგლებში დანაშაულის წაქეზებამდე და ადამიანის უფლებების დარღვევამდე მივყავართ.

მე-20 საუკუნის 70-იან წლებში თითქმის ყველა სახის დანაშაულის მატებას მოჰყვა სახელმწიფოების მხრიდან სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის გამკაცრება. წლების შემდეგ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკამ ამოწურა თავისი მისია და შესაბამისი შედეგიც გამოიღო. ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის წარმატებით გატარების შემდეგ, როგორც წესი, სახელმწიფო გადადის ლიბერალიზაციის ეტაპზე.

მეოცე საუკუნის ბოლოს წარმოიშვა დავის გადაწყვეტის ტრადიციული იურიდიული მიდგომისგან განსხვავებული, ახალი ფორმა. კონფლიქტის გადაწყვეტის ამ ფორმას “დაზარალებულსა და სამართალდამრღვევს შორის მედიაციას” უწოდებენ. განრიდებისა და მედიაციის პროგრამა მსოფლიო მასშტაბით ეტაპობრივად დაფუძნდა და განვითარდა.

განრიდებისა და მედიაციის პროგრამის დაფუძნებამდე სისხლის სამართლის სისტემის ფარგლებში სულ უფრო მეტი ბავშვი ხვდებოდა და მათ მიმართ გამოიყენებოდა საპატიმრო ზომები და სასჯელები; არ არსებობდა ქმედითი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ პატიმრობაში მოთავსებას მხოლოდ უკიდურესი ზომის სახით და, რაც შეიძლება, მოკლე ვადით; ხშირად ხდებოდა დანაშაულის სიმძიმის არაპროპორციულად ხანგრძლივი განაჩენის გამოტანა; არ არსებობდა ისეთი სათემო პროგრამები, რომლებიც სისხლისსამართლებრივი დევნისა და პატიმრობის ალტერნატივას წარმოადგენდნენ; გადაჭარბებულად ხანგრძლივი იყო წინასწარი პატიმრობა და ამ პერიოდის განმავლობაში პატიმართა

მნახველები შეზღუდულად დაიშვებოდნენ; თავისუფლების აღკვეთის ადგილებში იყო მძიმე პირობები; არ არსებობდა არასრულწლოვან კანონდამრღვევთათვის ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციისა და სოციალური რეინტეგრაციის პროგრამები. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირი და ნიდერლანდების მთავრობა საქართველოს მთავრობას ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას უწევს დღემდე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის განხორციელების მიზნით. საყურადღებოა, რომ 2009 წლამდე საქართველოში არ არსებობდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სტრატეგია, რაც უზრუნველყოფდა კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა უფლებების სათანადო დაცვას და უპასუხებდა მათ საჭიროებებს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის ფარგლებში. 2009 წელს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმის უწყებათშორისმა საკოორდინაციო საბჭომ მიიღო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის სტრატეგია, რომელიც 2011 წელს კიდევ ერთხელ განახლდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საქართველოს მთავრობამ გამოხატა მზადყოფნა შეექმნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა, რომელიც შესაბამისობაში იქნებოდა საერთაშორისო სტანდარტებთან, მათ შორის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა შესახებ კონვენციის პრინციპებსა და ნორმებთან, ასევე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტულ წესებთან არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ.

მას შემდეგ საქართველოში დაიწერა განრიდების პროგრამა, მსჯავრდებისა და თავისუფლების აღკვეთის სხვა ალტერნატივები. მთავრობამ პირველი ნაბიჯები გადადგა იმის უზრუნველსაყოფად, რომ მოსამართლეებს, პროკურორებსა და ადვოკატებს სათანადო კვალიფიკაცია ჰქონოდათ ისეთ საქმეებზე სამუშაოდ, რომლებიც მოზარდებს შეეხებოდა.

დღეისათვის სისხლის სამართალში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემაა აღდგენითი მართლმსაჯულება, რამდენადაც ცივილიზებული მსოფლიო თანხმდება, რომ ბრალდებულისათვის თავისუფლების აღკვეთა, განსაკუთრებით, თუ იგი

არასრულწლოვანია, უნდა ჩანაცვლდეს იმ ზომით, რომელიც არც საზოგადოებრივ უსაფრთხოებას დაემუქრება და ბრალდებულის მდგომარეობასაც მოერგება საიმისოდ, რომ მაქსიმალურად ეფექტიანად მოხდეს მისი რესოციალიზაცია.

წინამდებარე ნაშრომი სწორედ იმ მნიშვნელოვან საკანონმდებლო პრობლემებს ეხება, რომლებიც აღდგენითი მართლმსაჯულებისა და უშუალოდ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმების დანერგვამ გამოიწვია ქართულ სისხლის სამართლის პროცესში.

აღდგენითი მართლმსაჯულების საკითხი აქტუალურია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით. თითქოს, ერთი შეხედვით უწყინარი, ბრალდებულთა და დაზარალებულთა საუკეთესო ინტერესზე მორგებული სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა "აღდგენითი მართლმსაჯულება" საკმაოდ ბევრ და რთულ საკანონმდებლო პრობლემას ქმნის, ასევე იკვეთება პრაქტიკაში აღნიშნული პოლიტიკის გამოყენების პრობლემებიც.

თანამედროვე მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ამჟამად რადიკალურ ცვლილებებს განიცდის. კანონმდებლობა ვითარდება ლიბერალიზაციის მიმართულებით. შესაბამისად, კაცობრიობა ეძებს სრულიად ახალ გზებს და უარს ამბობს უკვე დრომოჭმულ, მკაცრ სისხლის სამართლის პოლიტიკაზე¹. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში ინერგება იუვენალური იუსტიციის (არასრულწლოვანთა საქმეებზე) ლიბერალური მოდელები, აღდგენითი სამართალწარმოება (Restorative Justice) - სისხლის სამართლის საქმეებზე წარმოების დასრულება ბრალდებულისა და დაზარალებულის შერიგებით, რომელშიც ჩართულია მედიატორი². მართლმსაჯულების სრული სახით ლიბერალიზაცია მისასალმებელი მოვლენაა თანამედროვე საზოგადოებაში, თუმცა ყოვლად გაუმართლებელია სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციამ დანაშაულის წაქეზების სახე მიიღოს. ნებისმიერი სამართლებრივი ინსტიტუტის დანერგვას თეორიულ და პრაქტიკულ დონეზე დროში გამოცდა ელის. სწორედ პრაქტიკაში ამოქმედებულმა განრიდებისა და მედიაციის პროგრამამ უამრავი ისეთი

¹ მეფარიშვილი გ., ჩხეიძე ი., დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით სისხლის სამართლის პროცესში, სამეცნიერო შრომების კრებული, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2012წ.

² Карнизова Л.М. Созидая будущее: вклад И.Л. Петрухина в развитие и реализации идей восстановительного правосудия // В кн.: И.Л. Петрухин: жизнь в науке. Сборник статей и воспоминаний. М., 2010. С. 79-81

პრობლემა წარმოშვა, რომელიც მეცნიერულ დონეზე შესწავლას და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას საჭიროებს.

განვიხილოთ პრობლემათა შორის ყველაზე აქტუალური. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიების გამოყენებით საქმის დასრულება დამოკიდებულია პროკურორზე, რომელსაც შეუზღუდავი დისკრეციული უფლებამოსილება აქვს მინიჭებული ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიების (განრიდება/მედიაცია) გამოყენების შესახებ და მას კანონი აღნიშნული გადაწყვეტილების დასაბუთებასაც კი არ ავალდებულებს. მსგავსი მიდგომით პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების უკან სუბიექტივიზმის ეჭვი ჩნდება, ირღვევა კონსტიტუციითა და საერთაშორისო ნორმებით გათვალისწინებული პრინციპები, რისთვისაც აუცილებელია საკანონმდებლო დონეზე განისაზღვროს, თუ რა სახის კონტროლი უნდა განხორციელდეს პროკურორის შეუზღუდავ დისკრეციაზე. აღნიშნული საკითხის სამეცნიერო დონეზე შესწავლის აქტუალობას თავად ამ პრობლემით დარღვეული ადამიანის ფუნდამენტური უფლებები განაპირობებს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც სადისერტაციო თემის აქტუალობას განაპირობებს და რომელიც ლიბერალურმა სისხლის სამართლის პოლიტიკამ მოგვიტანა, გახლავთ დაზარალებულის უფლებების სრული უგულვებელყოფა, რომელსაც ისევ უზენაესი კანონითა და საერთაშორისო აქტებით გარანტირებული უფლებების დარღვევამდე მივყავართ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, სისხლის სამართლებრივი დევნის მხოლოდ ერთი სახე, საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა არსებობს, რაც გულისხმობს, რომ დანაშაულის ჩადენის შემდგომ საზოგადოების ინტერესთა დაცვას საკანონმდებლო დონეზე უზრუნველყოფს პროკურორი, ხოლო კერძო პირის (დაზარალებულის) მიმართ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თავად დაზარალებული სამოქალაქო სარჩელის წარდგენის გზით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით დადგენილი წესით. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საჯარო ინტერესი სისხლის სამართლით, ხოლო კერძო ინტერესი

სამოქალაქო სამართლით არის დაცული. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით გარანტირებული უფლების აღდგენისათვის, კერძოდ, მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საკითხის დასაყენებლად, აუცილებელია, არსებობდეს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი (მტკიცებულებითი სტანდარტი), რომლის თანახმად, პრეიუდიციად ითვლება ზიანის მიყენების ფაქტი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, განრიდების ინსტიტუტის გამოყენებისას ან არ იწყება, ან წყდება უკვე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა კონკრეტული პირის მიმართ. ასევე, ცნობილია, რომ დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურება არ წარმოადგენს აუცილებელ პირობას განრიდების ინსტიტუტის გამოყენებისათვის. უდავოა, რომ პროცესში, სადაც დაზარალებული მხარეს აღარ წარმოადგენს, მისი ინტერესი სამოქალაქო სამართალწარმოების გზით ზიანის ანაზღაურებაზე გადის (ასეთის შესაძლებლობის შემთხვევაში), განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენებისას კი დაზარალებულისათვის ზიანის ანაზღაურების საკითხი საკანონმდებლო დონეზე ხდება ბუნდოვანი.

შეუძლებელია სამეცნიერო შესწავლის მიღმა დარჩეს და აქტუალური არ იყოს პრობლემა, რომელიც განრიდებისა და მედიაციის პროგრამის საკანონმდებლო დონეზე რეგულირებას ეხება. აღნიშნული პროგრამა, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიება, საკანონმდებლო აქტში - სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მხოლოდ ორი 168¹-ე და 168²-ე მუხლით განისაზღვრება. ზოგადათ პროგრამის ცნება, მიზნები, ამოცანები, პრინციპები, სამოქმედო პროცედურები, პროგრამის მონაწილე პირები, მათი უფლება- მოვალეობები, პროგრამის შესაძლო გამოყენების სავალდებულო პირობები და დანაშაულთა კატეგორია, რომელზეც ვრცელდება სისხლისსამართლებრივი დევნის აღნიშნული ალტერნატიული ღონისძიება, განისაზღვრება შემდეგი სახის კანონქვემდებარე აქტებით: საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 01 თებერვლის ბრძანება N120-ით, არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ და

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორის 2016 წლის 03 ნოემბრის ბრძანება N384-ს-ით, მისი შემადგენელი დანართებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის ბ) პუნქტის თანახმად: „მხოლოდ საკანონმდებლო აქტით შეიძლება განისაზღვროს ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებისა და დაცვის პირობები და წესი, იურიდიული პასუხისმგებლობისა და იძულების ზომის გამოყენების საკითხები“. აღნიშნული კანონი იმპერატიულად განსაზღვრავს საკითხთა წრეს, რომელიც მხოლოდ საკანონმდებლო დონის აქტით უნდა რეგულირდებოდეს. განრიდებისა და მედიაციის პროგრამის საკანონმდებლო რეგულირება კი აღნიშნულ იმპერატიულ დათქმას არ აკმაყოფილებს, ეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი, მეცნიერულად შეუსწავლელი პრობლემაა, რომელიც თავისი არსით სადისერტაციო თემის თეორიულ აქტუალობას წარმოაჩენს.

გარდა ზემოთ განხილული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო პრობლემებისა დღემდე სამეცნიერო დონეზე პასუხგაუცემელია შემდეგი კითხვები: შეიძლება თუ არა ადამიანის კონსტიტუციური უფლების შეზღუდვის ხარჯზე ვრცელდებოდეს პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება, შესაძლებელია თუ არა სასჯელის მიზნების მიღწევა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენების საფუძველზე და რამდენად სწორად ემსახურება განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენება აღდგენითი მართლმსაჯულების განხორციელების მიზნებს? ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემის აუცილებლობა, ასევე განსაზღვრავს სადისერტაციო თემის კვლევის აქტუალობას, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კუთხით.

სადისერტაციო თემა აქტუალურია სოციალურ, პრაქტიკულ და სამეცნიერო დონეზე. ვინაიდან გამოვლენილი პრობლემები მეცნიერულად თითქმის შეუსწავლელი და დაუმუშავებელია, სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში მოხდება მათი პირველადი კვლევა და მსგავს საკითხებზე მეცნიერთა მიერ შემუშავებული მოსაზრებების, სამეცნიერო კვლევის შედეგების გათვალისწინებით, ახალი ცოდნისა და

რეკომენდაციების ჩამოყალიბება. აღნიშნული უპირველესად განპირობებულია განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ნოვაციურობით საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში, რომელიც საკანონმდებლო დონეზე 2009 წელს დაინერგა და დღემდე მას, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიულ ღონისძიებას საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში, არცერთი სამეცნიერო კვლევა არ მიძღვნიან. აღნიშნული პროგრამა, ისევე როგორც, სრულად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ქართულ საკანონმდებლო სივრცეში დაინერგა ანგლო-საქსური სამართლებრივი სისტემის გავლენით და არ განხორციელებულა მისი მორგება ქართულ სამართლებრივ რეალობაზე. სწორედ აქედან იღებს სათავეს როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკაში ამ პროგრამის გამოყენებისას შექმნილი პრობლემები. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აუცილებელია პრობლემების შესწავლა კვლევის რელევანტური მეთოდების გამოყენებით, მიღებული შედეგების გაანალიზება, ახალი მეცნიერული ცოდნის შექმნა, კვლევის დროს გამოვლენილი პრობლემების ლიკვიდაცია და რეკომენდაციების შემუშავება მათი პრაქტიკაში დანერგვისთვის. სხვა შემთხვევაში ლიბერალური სისხლის სამართლის პოლიტიკა ხელყოფს პროცესის მონაწილეთა ფუნდამენტურ უფლებებს და ამით ვერც თავის მიზნებს გაამართლებს.

თემის დამუშავების ხარისხი. დისერტაციის თეორიული საფუძვლები. სადისერტაციო ნაშრომის თეორიული ბაზა შეადგინა სწავლული სამართალმცოდნეების, ფსიქოლოგების, ფილოსოფოსების სამეცნიერო ნაშრომებმა.

ნულოვანი ტოლერანტობიდან ლიბერალიზაციამდე პერიოდის შესახებ პოლიტიკის, კანონმდებლობისა და პრაქტიკის სინთეზური ანალიზი გაკეთდა საერთაშორისო ორგანიზაციის RPI (ციხის საერთაშორისო რეფორმა) 2011 წლის კვლევის შედეგებზე დაფუძნებით, რომელიც საქართველოში განხორციელდა.

სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიებების საწყისებისა და მათი განვითარების ეტაპების კვლევისას გაანალიზებულ იქნა პროფესორ კრისტა პელიკანის სამეცნიერო ნაშრომი „აღდგენითი მართლმსაჯულება“, მ.

შალიკაშვილის - „კრიმინოლოგია“, გ. ცერცვაძის - „დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა“ და სხვა მეცნიერთა ნაშრომები.

არასრულწლოვანთა მიმართ უკიდურესი აღკვეთის ღონისძიებების საკითხის გამოყენების ანალიზისას შესწავლილ იქნა გაეროს მინიმალური წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ „პეკინის წესები“; გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით „რიადის სახელმძღვანელო პრინციპები“; კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ და აღნიშნული საკითხის უკეთ წარმოჩენისათვის მიძღვნილი სწავლული იურისტების ნ. გვენეტაძის, მ. კვაჭაძის, ე. წიკლაური-ლამიხის, მ. გაბუნიასა და სხვების სამეცნიერო ნაშრომები.

სადისერტაციო ნაშრომში როგორც კონტინენტურ, ასევე ანგლო-საქსური სამართლის სისტემის ქვეყნებში არსებული აღდგენითი მართლმსაჯულების თავისებურებათა მსაგვსება/განსხვავების შესწავლის, გამოვლენისა და შედარების მიზნით გამოყენებულ იქნა მ. ედერ-რაიდერის, რ. ევანსის, კ. კეიდელბერკის, ს.რ. მუდის, ს. ოდოჰერტის, ა. სულივანის, ჰ. შნიდერის, ტ.ვ. აპაროვას, ა.უ. ბოგდანოვსკაიას, ლ.ვ. გოლოვკოს, კ.ა. მიტერმაიერის, ე.ი. ნასირევას, ა.უ. ნაუმოვის, დ.ა. შესტიაკოვის, გ.ი. შნაიდერის და სხვათა ნაშრომებში ასახული თეორიული დებულებები.

დისერტაციაზე მუშაობისას, შესწავლილ იქნა, აგრეთვე, თემასთან დაკავშირებული სპეციალური კვლევები. მიუხედავად მიგნებების თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობისა, აღდგენითი მართლმსაჯულების, კერძოდ: სისხლის სამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმის განრიდებისა და მედიაციის ინსტიტუტთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხები სისხლის სამართლის პროცესში არასაკმარისად, ან საერთოდ არ არის დამუშავებული. შესაბამისად, აუცილებელია შემოქმედებითი მიდგომა აღნიშნული საკითხების შესწავლისადმი სისხლის სამართლის პროცესის თეორიის, კანონშემოქმედებითი და კანონგამოყენებითი პოზიციებიდან მონოგრაფიულ დონეზე.

სადისერტაციო თემის სიახლე. მოცემული ნაშრომი პირველი მცდელობაა, სამეცნიერო დონეზე განხილულიყო აღდგენითი მართლმსაჯულების წინაშე არსებული აქტუალური პრობლემები. წინამდებარე დისერტაცია, ფაქტობრივად, წარმოადგენს პირველ კომპლექსურ მეცნიერულ ანალიზს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული განრიდებისა და მედიცინის პროგრამის შესახებ. ნაშრომი ურთიერთკავშირში განიხილავს სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენებისა და სასჯელის მიზნების მიღწევის აუცილებლობის საკითხს, მასში წარმოჩენილია აღდგენითი მართლმსაჯულებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ნაშრომში შედარებით-სამართლებრივი თვალსაზრისით განხილულია საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლებრივი გამოცდილება და ინფორმაციულ დონეზე წარმოდგენილია პრობლემის ზოგადი სურათი, განხილულია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული კონვენციები და სამართლებრივი აქტები, თითოეულ საკითხთან დაკავშირებით მოყვანილია მაგალითები და არსებული სასამართლო პრაქტიკა.

კვლევის სამეცნიერო სიახლე მდგომარეობს შემდეგში: ნაშრომში წარმოჩენილია სადისერტაციო კვლევასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემები, კანონმდებლობის ნაკლოვანებები, რომელთა საფუძველზეც შემუშავდა კონცეფცია და რეკომენდაციები საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების აუცილებლობის შესახებ.

სადისერტაციო თემაში განხილული პრობლემების შესახებ არ არსებობს ლიტერატურული წყაროები, ვინაიდან წინამდებარე სადისერტაციო თემის ფარგლებში მოხდა აღნიშნული პრობლემების პირველადი კვლევა.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საკითხს, პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების დროს წამოჭრილი სხვადასხვა პრობლემის შესწავლას უკანასკნელ წლებში ყურადღება

დაუთმო პროფესორმა გია მეფარიშვილმა. მეცნიერი თავის ნაშრომში „დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით“ საუბრობს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისას საკანონმდებლო დონეზე ჯერ კიდევ მოუწესრიგებელ პროკურორის შეუზღუდავ დისკრეციაზე, განიხილავს დისკრეციის საკითხს კონტინენტური ევროპის ქვეყნებისა და საერთო სამართლის ოჯახში შემავალი ქვეყნების სისხლის სამართლის პროცესის დამახასიათებელი თავისებურებებით და თვალსაჩინოს ხდის განსხვავებას კანონიერების პრინციპსა და მიზანშეწონილობის (ოპორტუნიტეტის) პრინციპს შორის დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებასთან დაკავშირებით. ავტორი აღნიშნავს, რომ ბოლო პერიოდში სისხლის სამართლის კანონმდებლობა გაუარესების გზას დაადგა და აღნიშნულის თვალსაჩინო მაგალითად, პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის გასაჩივრების საკითხი მოჰყავს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პროფესორი გია მეფარიშვილი თავის სამეცნიერო ნაშრომში არ განიხილავს საკითხს პროკურორის მიერ ერთ-ერთი სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიების, განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების დასაბუთების შესახებ, რომლის საფუძველზეც პროცესის მონაწილეებს შეეძლება კონსტიტუციითა და საერთაშორისო კანონმდებლობით გარანტირებული „სასამართლოსათვის მიმართვის“ ფუნდამენტური უფლების გამოყენება/რეალიზება სასამართლოში პროკურორის გადაწყვეტილების ერთჯერადად გასაჩივრების გზით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება - უარი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ საჩივრდება ზემდგომ პროკურორთან, ან სასამართლოში, მაშინ როდესაც, განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენებისას პროკურორის გადაწყვეტილების თუნდაც ერთჯერად გასაჩივრებაზე კანონსა და კანონქვემდებარე აქტებში არაფერია ნათქვამი. სწორედ ამ კუთხით მოხდება აღნიშნული საკითხის განხილვა წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში და ნათლად იქნება წარმოჩენილი იურიდიული ნონსენსი ადამიანის უფლებების სფეროში.

უფრო რთულად დგას საკითხი და მწირია ლიტერატურული წყაროები იმ პრობლემასთან დაკავშირებით, რომლის საფუძველზეც პროცესის

მონაწილე პირს - დაზარალებულს ყველა დონეზე ერთმევა უფლება მიიღოს დანაშაულებრივი გზით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ირღვევა ადამიანის ფუნდამენტური უფლებები და აღნიშნული საკითხი მეცნიერულ დონეზე არათუ არასრულყოფილად, არამედ საერთოდ არ არის შესწავლილი. მოცემული სადისერტაციო თემის ფარგლებში სწორედ ამ პრობლემის პირველადი კვლევა განხორციელდა.

წინა პრობლემის მსგავსად, მეცნიერულად შეუსწავლელი და დაუმუშავებელია საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ რეგულირდება სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიების საკითხი კანონქვემდებარე აქტებით, მაშინ როდესაც, ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის ბ) პუნქტის თანახმად: „მხოლოდ საკანონმდებლო აქტით შეიძლება განისაზღვროს ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებისა და დაცვის პირობები და წესი, იურიდიული პასუხისმგებლობისა და იძულების ზომის გამოყენების საკითხები“. ბუნებრივია, არც აღნიშნული საკითხის შესახებ არსებობს ლიტერატურული წყაროები, მეცნიერთა მოსაზრებები და წინამდებარე სადისერტაციო თემის ფარგლებში ეს პრობლემაც იქნა გამოკვლეული.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ნაშრომში პასუხი გაეცემა დღემდე არსებულ მნიშვნელოვან შეკითხვებს: შეიძლება თუ არა ადამიანის კონსტიტუციური უფლების შეზღუდვის ხარჯზე ვრცელდებოდეს პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება, შესაძლებელია თუ არა სასჯელის მიზნების მიღწევა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენების საფუძველზე და რამდენად სწორად ემსახურება განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენება აღდგენითი მართლმსაჯულების განხორციელების მიზნებს.

სამეცნიერო კვლევის ობიექტი. სამეცნიერო ნაშრომის კვლევის ობიექტს წარმოადგენს განრიდებისა და მედიაციის პროგრამის, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიების გამოყენების როლი ლიბერალური სისხლისსამართლებრივი პოლიტიკისა და აღდგენითი მართლმსაჯულების განხორციელებაში. კვლევის ობიექტი, ასევე გახლავთ

საჯარო ინტერესით განპირობებული სისხლის სამართლის პოლიტიკა აღდგენითი მართლმსაჯულების განხორციელების პირობებში.

სამეცნიერო კვლევის საგანი. სამეცნიერო ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმის განრიდებისა და მედიაციის პროგრამის არსი და მნიშვნელობა, მისი ადგილი სისხლის სამართლის პროცესში, მათ შორის, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში, აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემები და სადაო საკითხები. ნაშრომში განხილულია სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმების სახეობები, მათ შორის განრიდებისა და მედიაციის პროგრამა. აღნიშნული პროგრამის მოქმედი სახით არსებობის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა მოსაზრებები და არგუმენტები, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება. განხილულია საკითხი, არის თუ არა შესაძლებელი განრიდებისა და მედიაციის პროგრამის, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმის გამოყენებით, სასჯელის მიზნების მიღწევა, არღვევს თუ არა ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება განრიდებისა და მედიაციის გამოყენებისას, რამდენად ლიბერალური და კანონშესაბამისია განრიდებისა და მედიაციის პროგრამის სუბიექტებისათვის პროგრამაში მონაწილეობისათვის განსხვავებული სტანდარტების დაწესება და რამდენად აკმაყოფილებს ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს კანონქვემდებარე აქტებში გაწერილი განრიდების/ განრიდებისა და მედიაციის პროგრამა.

სამეცნიერო კვლევის მიზანი და ამოცანები. ნაშრომის მიზანია საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული პრობლემების გაანალიზების, ასევე ევროპული ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე ხელი შეუწყოს სისხლისსამართლებრივი დევნის ერთ-ერთი ალტერნატიული ფორმის - განრიდებისა და მედიაციის/განრიდების პროგრამის სამართლებრივ სრულყოფას, ასევე, შესაბამისი პრაქტიკული, თეორიული დებულებებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

მთელ მსოფლიოში აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენების ინიციატივის ზრდის ტემპის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ვაღიარებთ, რომ ასეთი ინიციატივა ხშირად ამოდის სამართლიანობის იდეიდან, რაც დანაშაულს განიხილავს, როგორც ხალხისათვის ზიანის მომტან მოვლენას. ვაცნობიერებთ, რომ ასეთი მიდგომა მსხვერპლს შესაძლებლობას აძლევს, აინაზღაუროს ზიანი, თავი იგრძნოს უსაფრთხოდ. აღნიშნული ზეგავლენას ახდენს სამართალდამრღვევებზე, მათ ქცევაზე, ეხმარება მათ, გაითავისონ პასუხისმგებლობა; საზოგადოებას ეხმარება, გაიგოს დანაშაულის მიზეზები, გააუმჯობესოს თავისი კეთილდღეობა და აღკვეთოს დანაშაული; მხედველობაში ვიღებთ, რომ აღდგენითი მართლმსაჯულება იძლევა საშუალებას, განისაზღვროს უფრო მოქნილი ღონისძიებები სისხლის სამართლის თანამედროვე სისტემებში ადაპტაციისათვის; ვაღიარებთ, რომ აღდგენითი მართლმსაჯულება არ აყენებს ექვექვემ მონაწილე ქვეყანათა უფლებებს, ებრძოლონ სამართალდამრღვევებს. სწორედ აღნიშნული მიდგომის ეფექტური გამოყენების მიზანს ემსახურება წინამდებარე სამეცნიერო კვლევა.

დასახელებული მიზნის მისაღწევად საჭირო გახდა შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

1. სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიების - განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენებისას წარმოშობილი ურთიერთობების სამართლებრივი ბუნების, იურიდიული საფუძვლისა და დროში მისი გამოყენების ხასიათის განსაზღვრა;
2. სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიების - განრიდების/განრიდებისა და მედიაციის ცნების წარმოშობის, ამ პროგრამის მსგავსება/განსხვავების კვლევა კონტინენტური და ანგლო-საქსური სამართლის სისტემის ქვეყნებში, მისი ისტორიული განვითარება და როლი თანამედროვე, ლიბერალურ სისხლის სამართლის პოლიტიკაში;
3. განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების თავისებურებების განსაზღვრა აღდგენითი მართლმსაჯულების განხორციელების ქრილში;

4. განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ადგილის განსაზღვრა ლიბერალურ სისხლის სამართლის პოლიტიკაში და საკუთრივ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიებების კლასიფიკაციაში;
 5. განრიდების/განრიდებისა და მედიაციის, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიების ცნების და მისი სამართლებრივი არსის განსაზღვრა;
 6. სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმების გამოყენებასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი და განზოგადება;
 7. სისხლისსამართლებრივი დევნის ერთ-ერთი ალტერნატიული ღონისძიების იურიდიული ნიშნების ანალიზი; მისი სამართლებრივი სტატუსის კვლევა;
 8. განრიდების/განრიდებისა და მედიაციის ინსტიტუტის წყაროების კომპლექსური კვლევა, კანონმდებლობის განვითარების ძირითადი ტენდენციების გამოვლენა განსახილველ სფეროში;
 9. აღდგენითი მართლმსაჯულებისა და სასჯელის მიზნების თანაფარდობის დადგენა;
 10. განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ობიექტური მხარის წარმოჩენა მისი მართლზომიერების კუთხით;
 11. განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების უფლებაწარმომშობი ელემენტების აღწერა და დახასიათება;
 12. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, სამეცნიერო ნაშრომებისა და სასამართლო პრაქტიკის სინთეზური ანალიზი განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის სამართლებრივი კატეგორიის განსაზღვრისათვის;
- ნაშრომი არ ისახავს მიზნად სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიებების შესახებ ყველა პრობლემის აქტუალიზაციასა და გადაწყვეტას, საკითხის მოცულობიდან გამომდინარე.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები. სადისერტაციო თემა აგებულია ზოგად სამეცნიერო მეთოდოლოგიაზე. კვლევისას გამოყენებულია

იურიდიული მეცნიერებისათვის რელევანტური კვლევის მეთოდები, როგორც არის: ისტორიულ-სამართლებრივი, რომელიც ერთდროულად ორი ზოგადი მეთოდის - ისტორიულისა და ლოგიკურის გამოყენებას მოითხოვს, შედარებით-სამართლებრივი, სისტემური მიდგომის მეთოდი, აბსტრაქტულ-ლოგიკური მეთოდი, სტატისტიკური მეთოდი, ფორმალურ-დოგმატური (ფორმალურ-იურიდიული) და იურიდიულ-განმარტებითი მეთოდი.

ისტორიულ-სამართლებრივი მეთოდი სადისერტაციო თემაზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა ძირითად კვლევის მეთოდად. მისი მეშვეობით მოხდა სისხლის სამართლის პოლიტიკის ზოგადი ისტორიული სურათის წარმოჩენა თემაში განხილული საკითხის ირგვლივ. წარსული წლების „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკიდან - აღდგენითი მართლმსაჯულების აქტიურ ამოქმედებამდე, სადისერტაციო თემაში განხილულ იქნა თითქმის ყველა ის სამართლებრივი მოვლენა (საერთაშორისო აქტები, კანონები, სასამართლო გადაწყვეტილებები, პრაქტიკაში გამოყენების შედეგები და მეცნიერთა რეკომენდაციები), რომელთაც განაპირობებს „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკიდან - აქტიურ ლიბერალურ სისხლის სამართლის პოლიტიკაზე გადასვლა. ქრონოლოგიურად იქნა განხილული და შესწავლილი სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიებების დამკვიდრება, სახეცვლილება, განვითარება და ფუნქციონირება, როგორც კონტინენტური სამართლის სისტემის, ასევე საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში. ლოგიკური მეთოდის საშუალებით კვლევის პროცესში გაჩენილი რეალური ვარაუდებიდან, თუ რატომ განახორციელა ერთდროულად ყველა სახელმწიფომ ლიბერალურ სისხლის სამართლის პოლიტიკაზე გადასვლა, მოგვეცა საშუალება რეალური დასკვნა გაგვეკეთებინა, - „ნულოვანმა ტოლერანტობამ“ ვერცერთ ქვეყანაში მიზანი ვერ გაამართლა.

კვლევაში შედარებით-სამართლებრივი მეთოდის გამოყენებამ შესაძლებელი გახადა ქართულ სამართალში არსებული სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმების მოქმედების საერთო საწყისები და მსგავსებები შეგვედარებინა როგორც საერთო სამართლის სისტემის, ასევე კონტინენტური

სამართლის სისტემის ქვეყნებში მოქმედ ამ ინსტიტუტთან. შედარების შედეგად გამოიკვეთა უმთავრესი განმასხვავებელი ნიშნები სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების შესახებ საერთო და კონტინენტური სამართლის სისტემის ქვეყნებში. კანონიერების, თუ მიზანშეწონილობის (ოპორტუნიტეტის) პრინციპი, - სწორედ მათი გამიჯვნა განაპირობებს სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმების სხვადასხვა სახით დამკვიდრებასა და განვითარებას კონტინენტური და საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში. აღნიშნული შედარების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა სადისერტაციო ნაშრომში სწორი, მიზანმიმართული და ლოგიკური დასკვნები გაგვეკეთებინა.

სისტემური მიდგომის მეთოდი სადისერტაციო თემაზე მუშაობისას აქტიურად იქნა გამოყენებული. აღნიშნული მეთოდის საშუალებით, გვექონდა შესაძლებლობა გაგვეანალიზებინა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმების მრავალფეროვნებაც და მათი საერთო საწყისებიც, მოგვეხდინა აღნიშნული ფორმების, როგორც ცალკეული ობიექტების ერთ სისტემად სტრუქტურირება, რამაც მათი ურთიერთკავშირის უკეთ გაანალიზების საშუალება მოგვცა. სისტემურ-სტრუქტურული მიდგომის მეშვეობით შეიქმნა წარმოდგენა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმების სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის შესახებ, გამოიკვეთა კავშირი შესაბამის ნორმებსა და სასამართლოს მიერ გაკეთებულ განმარტებებს შორის.

კვლევაში ფართოდ იქნა გამოყენებული აბსტრაქტულ-ლოგიკური მეთოდი, რომელიც კვლევისადმი ისეთ მიდგომებს მოიცავს, როგორცაა: დედუქცია და ინდუქცია, ანალოგია, ფორმალური ლოგიკა და სხვა; სტატისტიკური მეთოდი, რის საფუძველზეც შესწავლილ იქნა არასრულწლოვანთა და სრულწლოვან პირთა მიერ ჩადენილი დანაშაულის რიცხოზობრივი და ხარისხოზობრივი (დან. კატეგორია) მაჩვენებლები და განხორციელდა შედარებითი ანალიზი ქრონოლოგიურ და ტერიტორიულ ჭრილში;

და ბოლოს, კვლევის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა იურიდიულ-განმარტებითი მეთოდის გამოყენების გარეშე, რომლის საშუალებით თემაზე

მუშაობისას განხორციელდა განრიდების/ განრიდებისა მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პირობების დამტკიცების შესახებ იუსტიციის მინისტრის ბრძანებაში მოცემული ნორმების შინაარსის განსაზღვრა და შედარდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მოცემულ შესაბამის ნორმებთან და ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონში ჩამოყალიბებულ მითითებებთან სისტემური კავშირის დადგენის მიზნით. მოცემული კვლევის მეთოდის გამოყენების საშუალებით გამოიკვეთა მნიშვნელოვანი იურიდიული ნონსენსი საკვლევ საკითხთა მიმართებაში და შესაძლებელი გახდა ზოგადი სახით განსაზღვრულიყო გასაანალიზებელი სამართლებრივი მოვლენების ლოგიკური და ცნებითი მხარეები.

კვლევის შედეგები და ძირითადი დებულებები. ჩატარებულმა კვლევებმა დაადასტურა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ძირითად საერთაშორისო სტანდარტებთან. თუმცა არსებობს რამდენიმე საკითხი, რომელიც საჭიროებს საკანონმდებლო წესით რეგულირებასა და შემდგომ დახვეწას.

ჩვენს მიერ განხორციელებული სამეცნიერო კვლევის შედეგად ნათლად გამოვლინდა, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ პროკურორი არ ადგენს წერილობითი სახის დოკუმენტს, შესაბამისად, არც დასაბუთება ხდება აღნიშნული გადაწყვეტილების, რაც, ჩემი აზრით, აბსოლუტურად გაუმართლებელია, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, პროკურორი ადგენს წერილობით დოკუმენტს- დადგენილებას უკვე დაწყებული გამოძიების ან უკვე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ. შესაბამისად ჩვენ სახეზე გვაქვს ყოველგვარი დასაბუთებისა და წერილობითი დოკუმენტის გარეშე მიღებული გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ, რომელიც ბუნებრივი და ლოგიკურია, რომ არც გასაჩივრებას არ ექვემდებარება სასამართლოს გზით, ხოლო მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით დაზარალებულს ან სხვა დაინტერესებულ პირს არ გააჩნია კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების უფლება.

პირის განრიდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ჰგავს საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტს. განრიდებული იხდის თანხას, ეკისრება საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა, ხდება მისი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება და საქმე მთავრდება მოკლე დროში. ხოლო არასრულწლოვანი განრიდებისა და მედიაციის დროს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ არ იხდის თანხას, ასევე შესაძლოა ზიანი მის მიერ სიმბოლურად იქნას ანაზღაურებული. სრულწლოვან პირს უფლება აქვს ისარგებლოს განრიდების პროგრამაში მონაწილეობით, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ის ადრე განრიდების სუბიექტი. არასრულწლოვანი პირი კი, ვერ ისარგებლებს განრიდებით, თუ იგი ერთხელ უკვე იყო განრიდებული, ასევე არასრულწლოვანი განრიდების სუბიექტი შესაძლოა იყოს იმ შემთხვევაში, თუ მან პირველად ჩაიდინა დანაშაული. კანონი არათანაბარ პირობებში აყენებს განრიდების/განრიდებისა და მედიაციის სუბიექტებს, გაცილებით მკაცრ სტანდარტს აწესებს არასრულწლოვანი დამნაშავეებისათვის, რაც ყოველგვარად გაუმართლებელია, როგორც საკანონმდებლო დონეზე, ასევე მორალურად.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნის მხოლოდ ერთი სახე, საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა არსებობს, რაც გულისხმობს, რომ დანაშაულის ჩადენის შემდგომ საზოგადოების ინტერესთა დაცვას საკანონმდებლო დონეზე უზრუნველყოფს პროკურორი, ხოლო კერძო პირის (დაზარალებულის) მიმართ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თავად დაზარალებული სამოქალაქო სარჩელის წარდგენის გზით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად. მოქმედი კანონმდებლობით საჯარო ინტერესი სისხლის სამართლით, ხოლო კერძო ინტერესი სამოქალაქო სამართლით არის დაცული. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით გარანტირებული უფლების აღდგენისათვის, კერძოდ, მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საკითხის დასაყენებლად აუცილებელია არსებობდეს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი (მტკიცებულებითი სტანდარტი), რომლის თანახმად, პრეიუდიციად ითვლება ზიანის მიყენების ფაქტი. აღნიშნული მიდგომისა და რეგულაციის თანახმად, დგინდება, რომ

საქართველოში მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული განრიდების ინსტიტუტის გამოყენებისას, დაზარალებულს აღარ რჩება შანსი სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის საფუძველზე მოითხოვოს მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მივდივართ ერთადერთ შედეგამდე, დანაშაულებრივი ქმედებით დაზარალებულ პირს ერთმევა უფლება საკანონმდებლო დონეზე გამარტივებულად მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რადგან ბრალდებულთან განრიდების ხელშეკრულების გაფორმებით საერთოდ არ იწყება სისხლისსამართლებრივი დევნა, ხოლო უკვე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა წყდება პროკურორის გადაწყვეტილებით. შესაბამისად, სახეზე ვერ გვექნება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, რომელიც ერთ-ერთი აუცილებელი მტკიცებულებითი სტანდარტი გახლავთ სამოქალაქო სამართალწარმოების გზით გამარტივებული წესით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საკითხში. გამარტივებული სამოქალაქო სამართალწარმოება კი სასარჩელო წარმოების ალტერნატიული პროცედურაა. აღნიშნული წარმოადგენს საკმაოდ დიდ საკანონმდებლო პრობლემას, რომელიც უსპობს დაზარალებულს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას გამარტივებული წესით. ეს პრობლემა აუცილებლად საჭიროებს საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგებას.

გაცილებით დიდი იურიდიული ნონსენსი გამოვლინდა განრიდების/ განრიდებისა და მედიაციის პროგრამის საკანონმდებლო რეგულირებასთან დაკავშირებით. მთლიანად უგულვებელყოფილია ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის ოპერატიული მოთხოვნები, რომლის თანახმად: „მხოლოდ საკანონმდებლო აქტით შეიძლება განისაზღვროს ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებისა და დაცვის პირობები და წესი, იურიდიული პასუხისმგებლობისა და იძულების ზომის გამოყენების საკითხები“. პროგრამის ცნება, მიზნები, ამოცანები, პრინციპები, სამოქმედო პროცედურები, პროგრამის მონაწილე პირები, მათი უფლება-მოვალეობები, პროგრამის შესაძლო გამოყენების სავალდებულო პირობები და დანაშაულთა კატეგორია რომელზეც ვრცელდება

სისხლისსამართლებრივი დევნის აღნიშნული ალტერნატიული ღონისძიება განისაზღვრება შემდეგი სახის კანონქვემდებარე აქტებით: საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 01 თებერვლის ბრძანება N120-ით, არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების/ განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორის 2016 წლის 03 ნოემბრის ბრძანება N384-ს-ით და აღნიშნული ბრძანების შემადგენელი დანართებით.

კვლევის შედეგად ყოველმხრივ საბუთდება პოზიცია, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმა, განრიდების/ განრიდებისა და მედიაციის პროგრამა უდავოდ დიდი მონაპოვარია ლიბერალურ სისხლის სამართლის პოლიტიკაში, რომელიც ჯერ კიდევ გარკვეული საკანონმდებლო პრობლემების წინაშე დგას.

სადისერტაციო ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს ფორმულირებული თეორიული დასკვნების გამოყენების შესაძლებლობაში, სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმების შემდგომ სამეცნიერო კვლევაში. კვლევის შედეგები იძლევა შესაძლებლობას უკეთ იქნას გააზრებული შემდეგი თეორიული დეფინიციები: განრიდების/ განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში მონაწილე პირების უფლებათა თანაფარდობა, აღდგენითი მართლმსაჯულების პირობებში სასჯელის მიზნების მიღწევის პრობლემა, დისკრეციული უფლებამოსილების კონტროლის აუცილებლობა პროცესის მონაწილე პირთა უფლებების დასაცავად, საჯარო და კერძო ინტერესების ბალანსი ლიბერალური სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელების ფარგლებში, რომელთა შედეგადაც შესაძლებელი გახდება სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმის, განრიდების/განრიდებისა და მედიაციის ინსტიტუტის მართებული გაგება.

სადისერტაციო თემაში წარმოდგენილი თეორიული და პრაქტიკული დასკვნები შეიძლება განხილულ იქნას, როგორც საკანონმდებლო ინიციატივა. ცალკეულმა

თეორიულმა დებულებებმა შესაძლოა გავლენა იქონიონ სასამართლო პრაქტიკაზეც. ნაშრომი, ასევე, შესაძლოა გამოყენებულ იქნას შესაბამისი კურსის სწავლებისას.

1. განრიდების, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმის დანერგვა და განვითარება სისხლის სამართლის პროცესში

1.1. განრიდებისა და მედიაციის პროგრამის წარმოშობამდე არსებული რეალობა სისხლის სამართლის პროცესში

მე-20 საუკუნის 70-იან წლებში თითქმის ყველა სახის დანაშაულის მატებას მოჰყვა სახელმწიფოების მხრიდან სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის გამკაცრება. სახელმწიფოთა უმრავლესობა ჩაება “ნულოვანი ტოლერანტობის” ფერხულში და სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის გამკაცრებით დაიწყო ბრძოლა დანაშაულის წინააღმდეგ. სახელმწიფოებმა შეუწყნარებელი ბრძოლა გამოუცხადეს კორუფციას, ორგანიზებულ დანაშაულებს და წვრილმან დანაშაულებსაც. პირველი ნაბიჯი, რომელიც მსოფლიო მასშტაბით გადაიდგა “ნულოვანი ტოლერანტობის” ფარგლებში, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის შემცირება იყო. „ნულოვანი ტოლერანტობა“³ ეს არის ბრძოლა ზოგადად დანაშაულის წინააღმდეგ. სწორედ ამიტომ, როდესაც სახელმწიფო სისხლის სამართლის პოლიტიკის მიმართულებად ნულოვან ტოლერანტობას ირჩევს, სასჯელს უფარდებს არა ინდივიდუალურად ბრალეული ქმედების პარალელურად, არამედ დანაშაულის სახეობის მიხედვით. “ნულოვანი ტოლერანტობა”, როგორც „პოლიციური სტრატეგია“, პირველად ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნიუ იორკში იქნა გამოყენებული 1994 წელს. ნიუ-იორკში „ნულოვანი ტოლერანტობის“ სტრატეგია ძირითადად წვრილმანი დანაშაულების ეფექტიან აღკვეთასა და ქალაქში წესრიგისა და კონტროლის დამყარებაზე იყო ორიენტირებული⁴. ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა აირჩია და გაატარა დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულმა სამეფომაც⁵.

³ ეტიმოლოგიურად სიტყვა უკავშირდება ლათინურ *tolere*-ს, რაც ატანას (თმენას) ნიშნავს. თუმანიშვილი გ. ტოლერანტობა არის გააზრება იმისა, რომ ადამიანი ადამიანია და ის წარმოადგენს კაცობრიობას, 2013 წ. ინ.მის: <http://www.tabula.ge/ge/blog/71134-tolerantoba>;

⁴ Hungerford-Welch P. Criminal litigation and sentencing. London- Sidney, 1998. S. 23

⁵ Головки Л.В. Альтернативы уголовному преследованию в современном праве. СПб.: Юридический центр Пресс, М., 2002; с.127

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დევიდ კამერონმა ქუჩის კრიმინალის წინააღმდეგ საბრძოლველად პოლიციას „ნულოვანი ტოლერანტობის“ ტაქტიკის გამოყენებისაკენ მოუწოდა. მან აღნიშნა, რომ ამერიკის მსგავსად მკაცრი პოლიციური რეჟიმის გატარება სურდა დიდ ბრიტანეთში. დევიდ კამერონმა განაცხადა, რომ დიდი ბრიტანეთი კანონის დარღვევის მიმართ ტოლერანტული ვერ იქნებოდა⁶. „ნულოვანი ტოლერანტობა“ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანამ სისხლის სამართლის პოლიტიკის მიმართულეზად აირჩია. წლების შემდეგ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკამ წვრილმან დანაშაულებთან მიმართებაში ამოწურა თავისი მისია და შესაბამისი შედეგიც გამოიღო. აღარ არსებობდა მისი მთელი მოცულობით გაგრძელების აუცილებლობა და იმ ქვეყნებმა, რომლებიც აქტიურად იყენებდნენ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკას, თავს უფლება მისცეს, შეერბილებინათ დამოკიდებულება გარკვეული ტიპის დანაშაულების მიმართ⁷.

1.2. განრიდებისა და მედიაციის პროგრამის დანერგვის საფუძვლები სისხლის სამართლის პროცესში

ლიბერალიზაცია სისხლის სამართლის პოლიტიკის ახალი მიმართულებაა. ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის წარმატებით გატარების შემდეგ სახელმწიფო გადადის ლიბერალიზაციის ეტაპზე, რომელიც შეეხება ისეთ სფეროებს, როგორცაა პატიმრობის ვადები და სასჯელთა შეკრების წესი, აღკვეთის ღონისძიებების გამოყენება და სხვ⁸. რა არის სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაცია და რამ განაპირობა მისი აუცილებლობა?.

⁶ Jens M. Scherpe and Bevan Marten, *Mediation in England and Wales: Regulation and Practice*, Oxford University Press. 2012. Published Online January 2013.
<http://oxfordindex.oup.com/view/10.1093/acprof:oso/9780199653485.003.0006> (მომიებულია 2017 წლის 30 მაისს)

⁷ Klaus J.Hopt and Felix Steffek, *Mediation: Principles and Regulation in Comparative Perspective*, Oxford University Press. 2012. Published Online January 2013.
<http://www.oxfordscholarship.com/view/10.1093/acprof:oso/9780199653485.001.0001/acprof-9780199653485>,
(მომიებულია 2017 წლის 30 მაისს)

⁸ მეფარიშვილი გ., ჩხეიძე ი., დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით სისხლის სამართლის პროცესში, სამეცნიერო შრომების კრებული, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2012 წ.

ლიბერალიზაცია ნიშნავს რელაქსაციას ხელისუფლების წინანდელი შეზღუდვებისაგან⁹.

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის თომას ჰამერბერგის საქართველოს მიმართ შედგენილ 2011 წლის 05 ივლისის დასკვნაში გაკრიტიკებულ იქნა ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა და რეკომენდაცია მიეცა სახელმწიფოს, შეცვალოს პატიმრობის შეფარდების სისტემურობა და დაუსაბუთებლობა. იგი ურჩევს ხელისუფლებას, გადაიხედოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლები და შემუშავდეს უფრო ჰუმანური და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული პოლიტიკა, რაც უფრო გამოსწორებაზე ორიენტირებულ მართლმსაჯულების პრინციპებს დაეყრდნობა, ნაცვლად დასჯაზე ორიენტირებულისა¹⁰. ნულოვანი ტოლერანტობის შემდგომ აუცილებელი გახდა შედარებით ლმობიერი რეფორმები გატარებულიყო სისხლის სამართლის პოლიტიკაში.

1985 წელს, გაერომ მიიღო „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელებისათვის“. აღნიშნული წესების მე-11 მუხლი მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, არასრულწლოვანთა საქმეები პრივილეგირებულად გადაწყვიტონ ფორმალური სასამართლო პროცესის გარეშე. განარიდონ ისინი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, რათა მცირე მნიშვნელობის დანაშაულის გამო არ მოხდეს მათი სტიგმატიზაცია¹¹. 1989 წელს იქნა მიღებული გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, რომლის წევრი ქვეყნებიც იღებენ ვალდებულებას, რომ ყველა ღონეს გამოიყენებენ, რათა შემოიღონ ისეთი პროცედურები, რომლებიც საშუალებას მისცემს მათ, დანაშაულში ბრალდებული ბავშვის მიმართ საქმეები გადაწყვიტონ პროცესის მწარმოებელი ორგანოებისათვის მიმართვის გარეშე.

⁹ Sullivan, A., & Sheffrin, S. M. Economics: Principles in Action. 2002 New Jersey. P 12

¹⁰ Hammarberg Tomas report on the visite to Georgia 18-20 April 2011 .Georgia: “Human rights must be better protected in the justice system”, 05/07/2011. <https://www.coe.int/en/web/commissioner/-/georgia-human-rights-must-be-better-protected-in-the-justice-system->;

¹¹ The Beijing Rules, Adopted By General Assembly resolution 40/33 of 29 November 1985 <http://www.ohchr.org/Documents/ProfessionalInterest/beijingrules.pdf>;

ბავშვის უფლებათა კონვენციით კი სახელმწიფოებს ევალებათ, ყველა ღონე იხმარონ, რათა არსებობდეს ბავშვის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მისი არაფორმალური გზით გადაჭრის საშუალება და პროცედურული გარანტიები. განრიდების ინსტიტუტის არსი და კონკრეტული პარამეტრები ჩამოყალიბებულია გაეროს წესებსა და სახელმძღვანელო პრინციპებში¹². ესენია:

- პეკინის წესები 1985 წ;
- ტოკიოს წესები 1990 წ;
- ერ-რიადის სახელმძღვანელო პრინციპები 1990 წ;
- გაეროს წესები თავისუფლებაადკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად 1990 წ.

1985 წლის 29 ნოემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციით მიღებული იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელებისთვის (პეკინური წესები), რომელიც ადგენს მართლმსაჯულების თანამედროვე სტანდარტებს¹³.

“კომპეტენტური ორგანო უნდა შეეცადოს, სადაც ეს შესაძლებელია, ფორმალური სასამართლო პროცესისადმი მიმართვის გარეშე არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის საქმის გადაწყვეტას; პოლიცია, პროკურატურა თუ არასრულწლოვანთა საქმეებზე მომუშავე სხვა ორგანოები უნდა სარგებლობდნენ ასეთი საქმეების საკუთარი შეხედულებით, ფორმალური სასამართლო განხილვის გარეშე გადაწყვეტის უფლებამოსილებით – იმ კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც შესაბამის სამართლებრივ სისტემაში დადგენილია ამ მიზნით და, ასევე, წინამდებარე წესებში მოცემული პრინციპების გათვალისწინებით;”¹⁴

პეკინური წესების მიხედვით, შიდასახელმწიფოებრივი სამართლით უნდა იყოს განსაზღვრული განრიდების კრიტერიუმები. კრიტერიუმები მოხსენებულია ბრძანების ამ ნაწილშიც. ესენია:

¹²კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, 20/11/1989, ინტ. მის:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901>;

¹³ The Beijing Rules, Adopted By General Assembly resolution 40/33 of 29 November 1985

<http://www.ohchr.org/Documents/ProfessionalInterest/beijingrules.pdf>;

¹⁴ გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ, პეკინის წესები; მე-11 მუხლი;

- პირი უნდა იყოს არასრულწლოვანი;
- ჩადენილი უნდა ჰქონდეს ნაკლებად მძიმე დანაშაული;
- ეს უნდა იყოს პირველი შემთხვევა.

სხელმწიფო აცხადებს, რომ არასრულწლოვანის განრიდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან უნდა იყოს პრიორიტეტული სათანადო კრიტერიუმების არსებობის შემთხვევაში¹⁵.

დღეს, როდესაც საქართველო დამოუკიდებელია და იგი გაეროს წევრია, მისთვის დიდ მნიშვნელობას იძენს ზემოაღნიშნული სტანდარტები, რამეთუ საქართველო აღიარებს და იზიარებს მათ. ყოველივე ზემოაღნიშნულმა განაპირობა, რომ განხორციელებულიყო სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაცია, განსაკუთრებით არასრულწლოვნებთან მიმართებაში. სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს კი, სწორედ რომ “დაზარალებულსა და სამართალდამრღვევს შორის მედიაცია” წარმოადგენს.

1.3. განრიდებისა და მედიაციის პროგრამის დანერგვა სისხლის სამართლის პროცესში

მეოცე საუკუნის ბოლოს წარმოიშვა დავის გადაწყვეტის ტრადიციული იურიდიული მიდგომისგან განსხვავებული, ახალი ფორმა. მოხდა დავის გადაწყვეტის კონსენსუსზე დამყარებული მოდელების, როგორც ტრადიციული სისხლის სამართალწარმოების შემავსებელი მიდგომის, ან მისი ალტერნატივის პროპაგანდა. ეს მიდგომა მხოლოდ კონკრეტული ქვეყნით, სახელმწიფოთი ან სამართლის რომელიმე სფეროთი კი არ შემოიფარგლა, არამედ გავრცელდა სამართლის ყველა სფეროზე და უმეტეს სამართლებრივ სისტემებში გვხვდება¹⁶. კონფლიქტის გადაწყვეტის ეს ფორმა სხვადასხვა სახელწოდებით დაინერგა: საზოგადოებრივი მართლმსაჯულება, აღდგენითი მართლმსაჯულება,

¹⁵ The Beijing Rules, Adopted By General Assembly resolution 40/33 of 29 November 1985 <http://www.ohchr.org/Documents/ProfessionalInterest/beijingrules.pdf>; (მომიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

¹⁶ European Commission for Efficiency of Justice Commissions for the efficiency of Justice (CEPEJ) Working Group on Mediation (CEPEJ-GT-MED) the Quality of Penal Mediation in Europe by Julien Lhuillier, Lecturer in Law, University of Nancy (France) 2007. მის.: http://www.antoniocasella.eu/restorative/Lhuillier_22aug2007.pdf (მომიებულია 2017 წლის 30 მაისს);

არაფორმალური მართლმსაჯულება. პრაქტიკაში ყველაზე ხშირად მას “დაზარალებულსა და სამართალდამრღვევს შორის მედიაციას”, აღდგენითი მართლმსაჯულების ერთ-ერთ ინსტრუმენტს უწოდებენ¹⁷. განრიდებისა და მედიაციის პროგრამა მსოფლიო მასშტაბით ეტაპობრივად დაფუძნდა და განვითარდა.

საფრანგეთში დაზარალებულსა და სამართალდამრღვევს შორის მედიაცია განვითარდა, როგორც საპროკურორო დისკრეციის ელემენტი, რაც ტრადიციულად ნაკლებად აღიქმება ფრანგული სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ელემენტად¹⁸. იგი წარმოიშვა, როგორც “მესამე გზა” სასამართლოში საქმის წარმართვასა და სამართალწარმოების შეწყვეტას შორის. უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ის მნიშვნელოვნად დაიხვეწა საზოგადოებრივი უსაფრთხოების პროგრამების მიმართ მზარდი ინტერესის ფონზე, რის გამოც დასჯა დანაშაულის პრევენციასთან შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანია¹⁹. ე. წ. “სისხლის სამართლებრივი მედიაციის” კანონის ძალით ინსტიტუციონალიზება საფრანგეთში 1992 წლის 4 იანვარს მოხდა. მასში ცვლილებები შევიდა 2004 წლის 9 მარტს²⁰. ეს არის სისხლის სამართალწარმოების ალტერნატიული ღონისძიება, კომპენსაციის მიღებისა და სისხლისსამართლებრივი დავის გადაწყვეტის ფორმა.

გერმანიაში მედიაციას სისხლის სამართლის საქმეებზე ეწოდება Täter -Opfer Ausgleich” (TOA). TOA აღდგენითი მართლმსაჯულებისა და “დაზარალებულისა და სამართალდამრღვევის მედიაციის” აღმნიშვნელი ნახევრად ოფიციალური გერმანული ტერმინია. თარგმანში “სამართალდამრღვევისა და დაზარალებულის შერიგებას” ნიშნავს. 1990 წელს TOA შემოიღეს არასრულწლოვანთა

¹⁷ Pelikani Christa, The Results of Empirical Research into the Issue of Victim-offender Mediation in Domestic Violence Cases. Institute for the Sociology of Law and Criminology, Vienna. 2009. Internet publication <http://restorativejustice.org/10fulltext/pelikan-christa.-victim-offender-mediation-in-domestic-violence-cases-a-research-report.html>. (მომიებულია 2017 წლის 30 მაისს);

¹⁸ Bonafe-Schmidt, Global Trends in mediation and accreditation-the case of France (2009). P. 429.

¹⁹ European Commission for Efficiency of Justice Commissions for the efficiency of Justice (CEPEJ) Working Group on Mediation (CEPEJ-GT-MED) the Quality of Penal Mediation in Europe by Julien Lhuillier, Lecturer in Law, University of Nancy (France) 2007. მის.:http://www.antoniocasella.eu/restorative/Lhuillier_22aug2007.pdf

²⁰ Bonafe-Schmidt, Global Trends in mediation and accreditation-the case of France (2009). P. 430

მართლმსაჯულების სისტემაში როგორც არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეების განმხილველი სასამართლოს შესახებ კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებული ღონისძიება და 45-ე და 47-ე მუხლით გათვალისწინებული საქმეების განრიდების შესაძლებლობა. ოთხი წლის შემდეგ, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 46ა მუხლში შეტანილი ცვლილებების შედეგად TOA სრულწლოვან პირებზეც გავრცელდა²¹. 1999 წლიდან შესაბამისი დებულება არსებობს გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშიც²².

რაც შეეხება ბელგიას, აქ 1987 წელს დაიწყო პირველი საპილოტე პროექტის განხორციელება არასრულწლოვანი სამართალდამრღვევებისთვის. ბელგიის კანონი ახალგაზრდობის დაცვის შესახებ (2006 წელი) ადგენს, რომ მოკვლევის ეტაპზე პროკურორი ვალდებულია მედიაცია შესთავაზოს ყველა არასრულწლოვანს, ვინც დანაშაული ჩაიდინა, თუ დაზარალებული დადგენილია²³. 1996 წლიდან ბელგიის რამდენიმე ქალაქში მედიაციის პროექტები ხორციელდება პოლიციის დონეზე²⁴.

2000 წელს ბელგიის იუსტიციის მინისტრმა გადაწყვიტა აღდგენითი მართლმსაჯულების პრაქტიკის გამოყენება ციხეებში. შესაბამისად ციხეებში მედიაციის გამოყენება მსჯავრდებულებსა და დაზარალებულებს შორის 2001 წელს დაიწყო²⁵. 2005 წელი ბელგიაში მედიაციის განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო. ბელგიის პარლამენტმა მიიღო ახალი მუხლები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მედიაციის თაობაზე, რითაც კანონმა გააფართოვა

²¹ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი, 13/11/1998, ინტ.მის: https://www.gesetze-im-internet.de/englisch_stgb/englisch_stgb.html (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

²² გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 07/04/1987, ინტ.მის: https://www.gesetze-im-internet.de/englisch_stpo/englisch_stpo.html (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

²³ ბელგიის კანონი „ახალგაზრდობის დაცვის შესახებ“ (მიღებულია 2006 წელს), http://www.protection-of-minors.eu/en/BE_overview.php, (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

²⁴ Bram Van Droogenbroeck: Victim Offender Mediation in Severe Crimes in Belgium. 2010. Internet pub <http://mereps.foresee.hu/en/segedoldalak/news/271/8635c8c55f/214/> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

²⁵ Thomas Trenczek, “Victim-offender- Mediation” in Germany ADR under the shadow of the Criminal Law. Bond Law Review (2001).ინტ. მის:

<http://heinonline.org/HOL/LandingPage?handle=hein.journals/bondlr13&div=19&id=&page=> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

დაზარალებულსა და სამართალდამრღვევს შორის მედიაციის გამოყენების შესაძლებლობა²⁶.

ავსტრიაში მედიაციას დაზარალებულსა და სამართალდამრღვევს შორის უწოდებენ “Aussergerichtlicher Tatausgleich” (ATA), რაც ითარგმნება როგორც “საქმის სასამართლოს გარეშე მოგვარება”²⁷. სამართალდამრღვევის მიერ დაზარალებულისთვის კომპენსაციის გაცემის იდეას ხანგრძლივი ტრადიცია აქვს ავსტრიაში. უკვე 200 წელიწადია, რაც ორი ასპექტი, სამართალდამრღვევის მიერ პასუხისმგებლობის აღება და დაზარალებულის მიერ კომპენსაციის მიღება, წამყვან როლს თამაშობს ავსტრიის სისხლის სამართალში. ეგრეთ წოდებული “აქტიური სინანულის” (Taetige Reue) ინსტიტუტი ავსტრიაში მოქმედებს 1787 წლიდან და დღემდე გამოიყენება იმ სამართალდარღვევებისთვის, რომლებიც კოდექსით არის განსაზღვრული²⁸. ავსტრიის კანონმდებლობა ეფუძნება წარმატებულ საპილოტე პროცესებს, რომელთაც აქვთ კარგი და პრაქტიკული საფუძველი რაც მათ საშუალებას აძლევს იმუშაოს კარგად პრაქტიკაში. “Neustart”-სა (მსხვერპლთა მხარდამჭერი ორგანიზაცია) და პასუხისმგებელ უწყებებს შორის ეფექტური თანამშრომლობა, ასევე შესაბამისი მხარდაჭერა მსხვერპლთათვის ავსტრიაში გახდა განრიდების, დაზარალებულისა და სამართალდამრღვევის მედიაციის უდიდესი წარმატების საფუძველი²⁹.

ნორვეგიაში მედიაციის პროგრამა მოიხსენება, როგორც “დაზარალებულსა და სამართალდამრღვევს შორის მედიაცია”. ნორვეგიის მედიაციის სამსახური ფუნქციონირებს აქტის საფუძველზე, რომელსაც უწოდებენ მედიაციის ეროვნული სამსახურის აქტს, რომელიც მიღებულია ნორვეგიის პარლამენტის მიერ 1991

²⁶ ECHR judgment of 27 February 1980, Deweer v. Belgium, A No. 35, §49: “the “right to a court” [...] is no more absolute in criminal than in civil matters”; P. 55

²⁷ Markus Roth and David Gherdane, Mediation in Austria: The European Pioneer in Mediation Law and Practice, Oxford University Press. 2012. Published Online January 2013. <http://oxfordindex.oup.com/view/10.1093/acprof:oso/9780199653485.003.0004> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

²⁸ European Commission for Efficiency of Justice Commissions for the efficiency of Justice (CEPEJ) Working Group on Mediation (CEPEJ-GT-MED) the Quality of Penal Mediation in Europe by Julien Lhuillier, Lecturer in Law, University of Nancy (France) 2007. მის.: http://www.antonioacasella.eu/restorative/Lhuillier_22aug2007.pdf (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

²⁹ Austria Mediation Act, 6/06/2003, ინტ. მის.: <http://bgarf.ru/science/baltic-center-of-mediation-and-conflictology/publikacii/avstriya.pdf> (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

წელს, რომლის საფუძველზეც 1993 წელს შეიქმნა ეროვნული მედიაციის სამსახური³⁰.

საქართველოში 2010 წლის 15 ნოემბერს ამოქმედდა არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განრიდებისა და მედიაციის პროგრამა³¹. განრიდებისა და მედიაციის პროგრამა საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგდა 2010 წლის 24 სექტემბერს, როდესაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტში აისახა დათქმა არასრულწლოვანთა მიმართ ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულთა ჩადენის შემთხვევაში დევნის საჯარო ინტერესის არარსებობის გამო მათ მიმართ განრიდებისა და მედიაციის გამოყენების შესახებ. 2011 წლის 21 ივნისს კი ძალაში შევიდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168¹-ე, 168²-ე მუხლები, რომლის მიხედვითაც ამოქმედდა სრულწლოვან პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განრიდების ინსტიტუტი³².

1.4. განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ცნება და არსი

“მედიაციის”-ცნება, ზოგადი გაგებით (არა მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებთან მიმართებაში), ჩვეულებრივ გულისხმობს კონფლიქტის გადაწყვეტის პროცესს, რაშიც მიუკერძოებელი მესამე პირი მონაწილეობს, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მხარეთა ნებაყოფლობით შეთანხმებას³³.

³⁰ ნორვეგიის იუსტიციის მინისტრის აქტი მედიაციის სამსახურის შესახებ (მიღებულია 15/03/1991 წელს), <https://www.global-regulation.com/translation/norway/5961973/law-on-national-mediation-treatment-%2528national-mediation-act%2529.html>, (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

³¹ გურიელი ა. განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ეფექტური შეფასება, 17.02.2015წ. ინტ.მის: <https://eparticipationge.wordpress.com/2015/02/17/განრიდებისა-და-მედიაციის/> (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

³² საქართველოს კანონი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (მიღებულია 09/10/2009 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ, დოკუმენტის N1772);

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034>, (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

³³ European Commission for Efficiency of Justice Commissions for the efficiency of Justice (CEPEJ) Working Group on Mediation (CEPEJ-GT-MED) the Quality of Penal Mediation in Europe by Julien Lhuillier, Lecturer in Law, University of Nancy (France) 2007. მის.: http://www.antonioacasella.eu/restorative/Lhuillier_22aug2007.pdf

(მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

მედიაცია სისხლის სამართლის საქმეებზე განმარტებულია, როგორც პროცესი, რომლის ფარგლებში დაზარალებულს და სამართალდამრღვევს შესაძლებლობა ეძლევათ მათი სურვილის შემთხვევაში, აქტიური მონაწილეობა მიიღონ დანაშაულით გამოწვეული საკითხების გადაწყვეტაში მიუკერძოებელი მესამე პირის (მედიატორი) დახმარებით³⁴.

საინტერესოა ის, რომ, მაგალითად საფრანგეთში, “მედიაციის” ცნება (შუამავლობა) სისხლის სამართალწარმოების კონტექსტში გამოიყენება ზრდასრულთა მიმართ სისხლის სამართალწარმოების სისტემაში³⁵, ხოლო “რეპარაციის” ცნება (აღდგენა) აღნიშნავს იმავე პრაქტიკას არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების სისტემაში. გერმანიაში მას “Tater- Opfer Ausgleich”-ს³⁶, ხოლო ავსტრიაში - “Aussergerichtlicher Tatausgleich” უწოდებენ³⁷. ნორვეგიულ მოდელში ვხვდებით ცნებას “Konflikt and Mediation”³⁸. გაერთიანებულ სამეფოში არსებობს მზარდი ტენდენცია, რომ იგი ზოგადად მოვიხსენიოთ, როგორც “Restorative Justice” - აღდგენითი მართლმსაჯულება³⁹. ეს ტერმინოლოგიური განსხვავებები მედიაციის პროგრამების გენეზისის, მიზნებისა და საფუძვლების განსხვავებულობაზე მიანიშნებს.

მედიაცია არასრულწლოვანსა და დაზარალებულს შორის დიალოგის პროცესია, რასაც უძღვება მედიატორი და რისი მიზანიც არასრულწლოვანისა და დაზარალებულის შერიგება და მათ შორის კონფლიქტის გადაწყვეტა⁴⁰. მედიაციის პროცესში აგრეთვე

³⁴ საქართველოს კანონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 2, ნაწ.7;

³⁵ Faget Jacques “Mediation and Domestic Violence” [A New French Journal](http://www.newfrenchjournal.com/) (2004) ინტ.

მისამართი <https://champpenal.revues.org/84> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

³⁶ გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (მიღებულია 07/04/1987, ბუნდესტაგის, გერმანიის პარლამენტის მიერ), https://www.gesetze-im-internet.de/englisch_stpo/englisch_stpo.html, (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

³⁷ Markus Roth and David Gherdane, Mediation in Austria: The European Pioneer in Mediation Law and Practice, Oxford University Press. 2012. Published Online January 2013. <http://oxfordindex.oup.com/view/10.1093/acprof:oso/9780199653485.003.0004> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

³⁸ Norwegian National Mediation Act of Norway, Affairs Ministry of Justice, promulgate 20/06/2014, Chapter III, P 20-22.

³⁹ Jens M. Scherpe and Bevan Marten, Mediation in England and Wales: Regulation and Practice, Oxford University Press. 2012. Published Online January 2013.

<http://oxfordindex.oup.com/view/10.1093/acprof:oso/9780199653485.003.0006> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

⁴⁰ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის ბრძანება N216; განრიდებისა და მედიაციის შესახებ პორკურორებისათვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე; ტერმინთა განმარტება. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1092540> (მოძიებულია 2017 წლის 01 სექტემბერს);

მონაწილეობენ არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენელი, პროკურორი, სოციალური მუშაკი და განსაკუთრებულ შემთხვევაში, სხვა პირები⁴¹; განრიდება არის პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების ფორმა, სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი, რომელსაც იყენებს პროკურორი⁴²; განრიდება დისკრეციულ უფლებამოსილებასთან ერთად გამოიყენება და გულისხმობს პირის განრიდებას სისხლისსამართლებრივი დევნისაგან და მის ჩაბმას ისეთ პროექტში, რომელიც კანონთან კონფლიქტში მყოფ ადამიანს ხელს შეუწყობს, გამოსწორდეს.

„არასრულწლოვნის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 01 თებერვლის №120 ბრძანების თანახმად, განრიდება (Diversion) არის არასრულწლოვნის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების ფორმა, სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი, რომელსაც იყენებს პროკურორი. განრიდების მიზანი არის კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს თავიდან ააცილოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემასთან ურთიერთობა⁴³. ემპირიული კვლევების თანახმად, კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდები, რომელთა მიმართაც გამოყენებული იყო განრიდება, შემდგომში უფრო ნაკლებად ჩადიოდნენ დევიანტურ ქცევას, ვიდრე ის მოზარდები, რომელთა მიმართაც განრიდება არ გამოიყენეს და მათ ურთიერთობა ჰქონდათ

⁴¹ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 01 თებერვლის ბრძანება N120, არასრულწლოვნის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პრობლემების დამტკიცების შესახებ, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3176195>, (მოძიებულია 2017 წლის 01 სექტემბერს);

⁴² საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის ბრძანება N216; განრიდებისა და მედიაციის შესახებ პროკურორებისათვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე; ტერმინთა განმარტება.ნაწილი ა) <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1092540> (მოძიებულია 2017 წლის 01 სექტემბერს);

⁴³ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 01 თებერვლის ბრძანება N120; არასრულწლოვნის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პრობლემების დამტკიცების შესახებ, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3176195>, (მოძიებულია 2017 წლის 01 სექტემბერს);

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემასთან⁴⁴. განრიდების არსი მდგომარეობს ფორმალური სახელმწიფო კონტროლის არაფორმალურ კონტროლზე „გადამისამართებაში“. არაფორმალური კონტროლის მექანიზმებისათვის მოზარდის „გადამისამართება“ ხდება პროკურორისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში.

მედიაციის, როგორც „სტრუქტურირებული მოლაპარაკების პროცესის“⁴⁵ განხორციელების არსი მდგომარეობს პროფესიონალი მედიატორის დახმარებით კონფლიქტში მონაწილე მხარეების შერიგებაში, კონფლიქტის მოგვარებაში, რომელმაც ორივე მხარეს დადებითი შედეგები უნდა მოუტანოს: კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდი დაზარალებულთან ურთიერთობით იძულებული ხდება პასუხისმგებლობა აიღოს თავის მიერ ჩადენილ უკანონო ქმედებაზე, საკუთარ ქმედებას შეხედოს დაზარალებულის თვალთ, ხოლო მის მიერ დაზარალებულისთვის ბოდიშის მოხდა და მისთვის მიყენებული ზარალის (თუნდაც სიმბოლური) ანაზღაურება მიჩნეულია დაზარალებულის მხრიდან სახელმწიფო ორგანოებისა და ქვეყანაში მოქმედი საკანონმდებლო ნორმებისადმი ნდობის დაბრუნების მნიშვნელოვან ასპექტად⁴⁶.

ბოლო წლებში აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენება მეტად პოპულარული გახდა ევროპის ქვეყნებში. ეს განპირობებულია 1999 წლის ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის № R (99)19 რეკომენდაციით, რომლის მიხედვით სახელმწიფოებმა უნდა დანერგონ მედიაცია, როგორც სერვისი სისხლის სამართლის პროცესის ყველა ეტაპზე. მოცემული რეკომენდაციის მე-10 მუხლის მიხედვით: 1) ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს მედიაციის განხორციელებას სისხლის სამართლის საქმეების იმ დანაშაულებზე, რომლისთვისაც ამ ღონისძიების გამოყენებას მიზანშეწონილად ჩათვლის; 2) ყველა წევრმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ ამგვარი მედიაციის მსვლელობისას დაზარალებულსა და სამართალდამრღვევს შორის მიღწეული ნებისმიერი შეთანხმება გათვალისწინებულ იქნეს სისხლის სამართლის

⁴⁴ Heidelberg K. H. FRAGEN UND ANTWORTEN ZUM JUGENDSTRAFRECHT, Laubenthal, : 2006. P.19.

⁴⁵ ცერცვაძე, გ. მედიაცია. დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა. თბილისი. 2010. გვ. 34

⁴⁶ Heidelberg K. H. FRAGEN UND ANTWORTEN ZUM JUGENDSTRAFRECHT, Laubenthal, : 2006 S.221

პროცესში⁴⁷. ევროსაბჭოს იმავე რეკომენდაციის თანახმად, მედიაცია სისხლის სამართალში მიჩნეულია, როგორც პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული დამატებითი ან ალტერნატიული საშუალება ტრადიციულ სისხლის სამართლის წარმოებასთან ერთად⁴⁸.

1.5. განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მიზნები და ამოცანები

განრიდებისა და მედიაციის პროგრამა მიზნად ისახავს ურთიერთგაგების დამყარებას დამნაშავესა და დაზარალებულს შორის, პასუხისმგებლობის შეგრძნებისა და ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობის მინიჭებას. პროგრამის მიზანია გამოასწოროს კონფლიქტითა და დანაშაულით გამოწვეული ზიანი⁴⁹. განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ძირითადი ამოცანაა დაამკვიდროს საზოგადოებაში იმ პირების ღირსების პატივისცემა, რომელთაც დანაშაულის შედეგად ზიანი მიადგათ. ასევე არანაკლებ პრიორიტეტული ამოცანაა დაზარალებულთათვის და დამნაშავეთათვის საკუთარი აზრებისა და გრძნობების ღიად და გულწრფელად გადმოცემის შესაძლებლობის მინიჭება. განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს სამართალდამრღვევს გაიაზროს პასუხისმგებლობა საკუთარი ზიანის მომტანი ქცევის გამო, გააცნობიეროს ამ ქმედების მიზეზები, მისი ზემოქმედება სხვა ადამიანებზე და შეძლებისდაგვარად შეცვალოს ეს ქცევა მომავალში. განრიდებისა და მედიაციის პროგრამა ასევე მიზნად ისახავს თავიდან აგვაცილოს ისეთი პრობლემები, როგორცაა

⁴⁷ ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის N R (99) 19 რეკომენდაცია; 15/09/1999 წ. ინტ.მის:

<https://rm.coe.int/16806f4064> (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

⁴⁸ გვენეტაძე, ნ./კვაჭაძე, მ./წიკლაური-ლამიხი, ე./გაბუნია, მ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება: განრიდება და მედიაცია. თბილისი: 2012 წ. გვ.145

⁴⁹ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის ბრძანება N216; განრიდებისა და მედიაციის შესახებ პორკურორებისათვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1092540> (მოძიებულია 2017 წლის 01 სექტემბერს);

არასრულწლოვნის სტიგმატიზაცია, ბავშვისათვის ბრალის წაყენებითა და სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოებით გამოწვეული უამრავი სხვა პრობლემა (ხელშეშლა ყოველდღიურ აქტივობებში, სწავლაში)⁵⁰.

დაზარალებულსა და სამართალდამრღვევს შორის მედიაციის მიზნები:

- დაზარალებულს აქვს როგორც ემოციური, ისე მორალური რესტიტუციის შესაძლებლობა;
- დაზარალებულის საჭიროებებს და ემოციებს სერიოზულად ეკიდებიან;
- დანაშაულის ჩამდენ პირს შესაძლებლობა ეძლევა მოიფიქროს, თუ როგორ მოახდინოს რესტიტუცია ჩადენილი დანაშაულის გამო;
- დანაშაულის ჩამდენი პირი სასამართლოს მსგავსად თავდაცვით მდგომარეობაში კი არ არის, არამედ შეუძლია აქტიური როლი შეასრულოს მიყენებული ზიანის გამოსწორებაში;
- აღნიშნული პროგრამის გამოყენებით იზოგება სახელმწიფო რესურსი, რაც დაიხარჯებოდა მცირე მნიშვნელობის მქონე დანაშაულის გამოსაძიებლად და პროცესის შემდგომი მსვლელობისთვის⁵¹.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ახალგაზრდული პროექტების მიზანს არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია და კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდთა რეინტეგრაცია წარმოადგენს⁵². ამ მიზნით პროგრამის ფარგლებში უწყება მჭიდროდ თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთანაც. პროგრამის უმთავრესი მიზანია, ხელი შეუწყოს დამნაშავის

⁵⁰ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის ბრძანება N216; განრიდებისა და მედიაციის შესახებ პორკურორებისათვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1092540> (მოძიებულია 2017 წლის 01 სექტემბერს);

⁵¹ Klaus J.Hopt and Felix Steffek, Mediation: Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press. 2012. Published Online January 2013.

<http://www.oxfordscholarship.com/view/10.1093/acprof:oso/9780199653485.001.0001/acprof-9780199653485> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

⁵² სისხლის სამართლის რეფორმის უწყებათაშორისი სააკორდინაციო საბჭო, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგია, 2015წ. მომზადებულია იუსტიციის სამინისტროს მიერ. გვ.2 ინტ.მის:<http://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:kr15T5AkD3MJ:www.justice.gov.ge/Multimedia%252FFiles%252Fnew2015%252FJuvenile%2520Crime%2520Prevention%2520Strategy%25202015%2520GEO.d ocx+%&cd=1&hl=ka&ct=clnk&gl=ge&client=opera> (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

საზოგადოებაში დაბრუნებას⁵³. კერძოდ წარმატებული განრიდების/მედიაციის შედეგად საქმის შეწყვეტა გულისხმობს, რომ სამართალდამრღვევს არ აქვს ნასამართლობა და შესაბამისად, თავს აღწევს მის ნეგატიურ შედეგებს (რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დასაქმების პროცესში გადატვირთული შრომითი ბაზრის პირობებში).

1.6. განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ძირითადი პრინციპები

განრიდებისა და მედიაციის პროგრამა დაფუძნებული არის ექვს ძირითად პრინციპზე:

1. ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების მაქსიმალური ხელშეწყობა;
2. ნებაყოფლობითობა;
3. პროპორციულობა;
4. კონფიდენციალურობა;
5. სტიგმატიზაციის დაუშვებლობა;
6. დამნაშავის ჭეშმარიტი ინტერესის გათვალისწინება⁵⁴.

აღნიშნულ პრინციპებს შორის პირველია **„ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების მაქსიმალური ხელშეწყობა“**. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 01 თებერვლის N120 ბრძანებით მოცემული პრინციპი ასეა განმარტებული: „დანაშაულის ჩამდენი პირის ინტერესისა და მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, მაქსიმალურად ხშირად უნდა მოხდეს სისხლისსამართლებრივი დევნისა და საპატიმრო ღონისძიებების ალტერნატივების გამოყენება. თუ არასრულწლოვანმა პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე, ან მძიმე

⁵³ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 01 თებერვლის ბრძანება N120; არასრულწლოვნის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პრობლემების დამტკიცების შესახებ, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3176195>, (მოძიებულია 2017 წლის 01 სექტემბერს);

⁵⁴ იქვე დანართი 1.

კატეგორიის დანაშაული, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს სისხლის სამართლის სისტემიდან მის განრიდებას.⁵⁵”

შემდეგი პრინციპია „**ნებაყოფლობითობა**” - განრიდებისა და მედიაციის პროცესში მონაწილეობა არის ნებაყოფლობითი გადაწყვეტილება, როდესაც პირი აღიარებს დანაშაულს. დაუშვებელია მხარეებზე ზეგავლენა მათი პროცესში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით. მხარეები უფლებამოსილნი არიან განრიდების/მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე უარი თქვან ნებისმიერ ეტაპზე⁵⁶.

აღნიშნული პრინციპი სრულად შეესაბამება პეკინური წესების 11.3 წესს, რომლის მიხედვითაც „სისხლისსამართლებრივი იუსტიციის სისტემიდან ამოღება, რომელიც გულისხმობს საქმის განსახილველად გადაცემას შესაბამისი საზოგადოებრივი თუ სხვა სამსახურებისათვის, უნდა საჭიროებდეს არასრულწლოვანის ან მისი მშობლებისა თუ მეურვის თანხმობას იმ პირობით, რომ საქმის გადაცემის შესახებ ასეთი გადაწყვეტილება, მოთხოვნის შემთხვევაში, შეიძლება, კომპეტენტური ორგანოს განხილვის საგანი გახდეს.⁵⁷” პირველ რიგში პირს უნდა განემარტოს, თუ რას წარმოადგენს განრიდების პროგრამა და რა სამართლებრივ შედეგებს ითვალისწინებს იგი, ის კარგად უნდა იცოს ინფორმირებული თავისი უფლებების შესახებ. პირმა ძალდაუტანებლად და პირადი გადაწყვეტილებით უნდა აღიაროს დანაშაული. ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპიდან გამომდინარე დაუშვებელია ამგვარი გადაწყვეტილება მიიღოს ვინმე სხვამ, გარდა სამართალდამრღვევისა. ამის შემდეგ იგი აკეთებს არჩევანს, დადოს განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულება ანდა ჩვეულებრივი წესით აგოს პასუხი ჩადენილი დანაშაულისათვის. პეკინური წესების მიხედვით ასეთ გადაწყვეტილების მიღება შეუძლია თავად არასრულწლოვანს ან მის მეურვეს, ან მშობლებს⁵⁸. ქართული

⁵⁵ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 01 თებერვლის ბრძანება N120; არასრულწლოვანის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პრობლემების დამტკიცების შესახებ, მუხლი 3, პუნქტი ა). <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3176195>, (მოძიებულია 2017 წლის 01 სექტემბერს);

⁵⁶ იქვე მუხლი 3, პუნქტი ბ);

⁵⁷ The Beijing Rules, Adopted By General Assembly resolution 40/33 of 29 November 1985 11.3.

<http://www.ohchr.org/Documents/ProfessionalInterest/beijingrules.pdf>; (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

⁵⁸ The Beijing Rules 11.3., Adopted By General Assembly resolution 40/33 of 29 November 1985

<http://www.ohchr.org/Documents/ProfessionalInterest/beijingrules.pdf>; (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

სამართლის მიხედვით კი, თანხმობა უნდა გამოხატოს თავად არასრულწლოვანმა/სრულწლოვანმა სამართალდამრღვევმა⁵⁹. ამრიგად პირი თავად აკეთებს სასარგებლო არჩევანს. აღსანიშნავია, რომ თუ პირი ნებაყოფლობით არ დათანხმდება განრიდების/მედიაციის პროექტში მონაწილეობას და სათანადო ხელშეკრულების პირობებს, იგი შეიძლება, გახდეს იძულებითი შრომის მსხვერპლი (თუ განრიდების ხელშეკრულებით რაიმე სახის შრომა დაევალება მას).

„პროპორციულობა“ – განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია. პირის ქცევის შეზღუდვა და ვალდებულებები უნდა იყოს ჩადენილი ქმედების პროპორციული. პროპორციული ღონისძიების განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს პირის ასაკი და სხვა მახასიათებლები, ასევე ჩადენილი დანაშაულის ბუნება, სიმძიმე, მიყენებული ზიანი და გავლენა საზოგადოებაზე⁶⁰.

პროპორციულობის პრინციპი დამსჯელი სანქციების საპირისპირო ინსტრუმენტია. იგი პეკინური წესების მეხუთე წესშია გადმოცემული⁶¹. “არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის მოქმედებაზე საპასუხო რეაქცია ყოველთვის პროპორციული უნდა იყოს როგორც სამართალდამრღვევის მდგომარეობისა, ისე საქმის გარემოებებისა.” სოციალური მდგომარეობისა და პიროვნული მახასიათებლების გარდა მხედველობაში უნდა მიიღონ პირის გულწრფელი მონანიება, მისი მზადყოფნა, აანაზღაუროს ზიანი და დაიწყოს ჯანსაღი ცხოვრება. პროპორციულობის პრინციპის ზედა ზღვარი ასეა გამოხატული მინისტრის ბრძანებით: „დაუშვებელია იმაზე უფრო მკაცრი ვალდებულების დაკისრების გამოყენება, ვიდრე სასამართლო შეუფარდება არასრულწლოვანს ჩადენილი ქმედებისათვის.“⁶² საპასუხო რეაქცია უნდა იყოს სამართლიანი და არ უნდა შელახოს პირის ძირითადი უფლებები. პროპორციულობის

⁵⁹ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 01 თებერვლის ბრძანება N120; არასრულწლოვანის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პრობლემების დამტკიცების შესახებ, მუხლი 3, პუნქტი ბ). <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3176195>, (მოძიებულია 2017 წლის 01 სექტემბერს);

⁶⁰ იქვე მუხლი 3, პუნქტი გ);

⁶¹ The Beijing Rules 5., Adopted By General Assembly resolution 40/33 of 29 November 1985 <http://www.ohchr.org/Documents/ProfessionalInterest/beijingrules.pdf>; (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

⁶² საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 01 თებერვლის ბრძანება N120; არასრულწლოვანის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პრობლემების დამტკიცების შესახებ, მუხლი 3, პუნქტი გ). <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3176195>, (მოძიებულია 2017 წლის 01 სექტემბერს);

პრინციპის დაცვაზე მეტყველებს ხელშეკრულების მოქმედების მაქსიმალური ვადის განსაზღვრა. კერძოდ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით არ შეიძლება, იგი აღმატებოდეს 1 წელს⁶³. სოციალური კონტროლის ქსელი, რომელიც ამოწმებს, რამდენად იცავს არასრულწლოვანი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, არ უნდა იყოს ძალზე ფართო. არასრულწლოვანთან შეხვედრების სიხშირე ინდივიდუალურად ხელშეკრულებით განისაზღვრება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, "თანაზომიერების პრინციპი პირდაპირ კავშირშია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან. სწორედ თანაზომიერების პრინციპი ადგენს მატერიალურ მასშტაბებს კანონმდებლობისათვის ძირითადი უფლებების შეზღუდვისას. თუ ნორმა ამ პრინციპებს არ შეესაბამება, ის დაუშვებელია თვითნებობის შესაძლებლობას. სახელმწიფოს თვითნებობა ადამიანის თავისუფლების სფეროში კი, ავტომატურად ნიშნავს ადამიანის ღირსების, როგორც კონსტიტუციური წესრიგის უმაღლესი პრინციპის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და სხვა კონსტიტუციური პრინციპების დარღვევას და ადამიანის თავისუფლების ძირითადი უფლების არაკონსტიტუციურ ხელყოფას"⁶⁴. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, "თანაზომიერების პრინციპიდან გამომდინარე, ძირითად უფლებაში ნებისმიერი ჩარევა უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს, და თუ ნორმა არ ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს, არ ექვემდებარება თანაზომიერების ტესტს ხელყოფს ძირითადი უფლების ხელშეუხებლობის არსს."⁶⁵

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, "ძირითადი კონსტიტუციური პრინციპები წარმოადგენს ადამიანის ღირსების დაცვის სამართლებრივ გარანტიას. ადამიანის ღირსება და პიროვნული თავისუფლება კი მის ძირითად უფლებებში მათ ადეკვატურ დაცვასა და სრულ განხორციელებაში გამოიხატება. ამიტომ ამ უფლებებში სახელმწიფოს არათანაზომიერი, გადამეტებული

⁶³ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 2016 წ. 39-ე მუხლი, ნაწ.3, ინტ.მის: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281> (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

⁶⁴ გაბრიჩიძე გ. თანაზომიერების პრინციპი ევროპის გაერთიანების სამართლის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების სფეროში. წიგნში: კორკელია. კ ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე. თბილისი, 2006წ. გვ.51

⁶⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 06 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე N2/1/415;

ჩარევა ხელყოფს ადამიანის ღირსებასაც⁶⁶. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, "სახელმწიფოსთვის ადამიანი არის უმთავრესი მიზანი, პატივისცემის ობიექტი, მთავარი ფასეულობა და არა მიზნის მიღწევის საშუალება და ექსპლუატაციის ობიექტი. ღირსება ასევე არ შეიძლება იქნეს განხილული, როგორც მხოლოდ ერთ-ერთი სუბიექტური კონსტიტუციური უფლების ობიექტი. ღირსება არის ის უფლება და ამავე დროს ის კონსტიტუციური პრინციპი, რომელსაც ეყრდნობა და უკავშირდება ძირითადი უფლებები. პირის სამართლებრივი სტატუსის საფუძველში დევს ღირსების იდეა, ხოლო სამართლებრივი დაცვის პრინციპის, როგორც პიროვნების სოციალურ-სამართლებრივი დაცვის საშუალების, საფუძველი არის პიროვნების ღირსების უზრუნველყოფის პრინციპი. ღირსების ხელყოფა, ფაქტიურად, ყოველთვის უკავშირდება სხვა ძირითადი უფლების ან უფლებების დარღვევას"⁶⁷. საკითხი, თუ რამდენად აკმაყოფილებს განრიდებისა და/ან მედიაციის პროგრამის გამოყენების პირობები თანაზომიერების პრინციპის კრიტერიუმებს, უნდა გაირკვევს განრიდებისა და მედიაციის თითოეული საქმის განხილვა-გაანალიზებით.

„კონფიდენციალურობა“ – განრიდებისა და მედიაციის პროცესში მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია კონფიდენციალურია და დაუშვებელია მისი გამჟღავნება, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდნენ, ან თუ კანონმდებლობით სხვა წესი არ არის განსაზღვრული. კონფიდენციალურობის პრინციპი ზოგადად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისთვის დამახასიათებელი პრინციპია. იგი ასახულია როგორც საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში, ასევე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომლის მიხედვითაც თუკი ჩვეულებრივ სასამართლო სხდომა საჯაროა, არასრულწლოვანი ბრალდებულის დასწრების შემთხვევაში იგი დახურულად ტარდება⁶⁸.

⁶⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე N2/2/389;

⁶⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე N1/3/407;

⁶⁸ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 01 თებერვლის ბრძანება N120; არასრულწლოვნის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პრობლემების დამტკიცების შესახებ, მუხლი 3, პუნქტი დ). <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3176195>, (მოძიებულია 2017 წლის 01 სექტემბერს);

„სტიგმატიზაციის დაუშვებლობა“ – შეფარდებული ღონისძიება არ უნდა იწვევდეს არასრულწლოვანის სტიგმატიზაციას, მის მოწყვეტას ნორმალური სასწავლო პროცესებისაგან და არ უნდა ახდენდეს განსაკუთრებულ ზეგავლენას მისი ცხოვრების ჩვეულ რიტმზე. არასრულწლოვანის სტიგმატიზაციას სისხლის სამართლებრივი დევნის პროცესის ნეგატიური გავლენა იწვევს. ასეთი შეიძლება იყოს სირცხვილი დამნაშავედ ცნობის გამო, ნასამართლობა, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ცხოვრება. ხოლო თავისთავად სტიგმატიზაცია ართულებს არასრულწლოვანის რესოციალიზაციას და ზრდის მის მიერ დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკს. გარდა იმისა, რომ საზოგადოებას ემუქრება ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე, იგი კარგავს წევრს, რომელიც შეიძლება იყოს რეაბილიტირებული დაბრუნებოდა თავის სოციალურ გარემოს. სწორედ სტიგმატიზაციის თავიდან აცილება არის განრიდების პროექტის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი. არასრულწლოვანმა ისე უნდა აგოს პასუხი ჩადენილი სამართალდარღვევისთვის, რომ არ მიიღოს სტრესი, არ მოწყდეს ოჯახს და არ შეფერხდეს ან შეიზღუდოს მისი თავისუფალი განვითარების უფლება⁶⁹.

და ბოლოს, „დამნაშავის ჭეშმარიტი ინტერესის გათვალისწინება“ განრიდებისა და მედიაციის ერთ-ერთ დამოუკიდებელ პრინციპს წარმოადგენს. პირის განრიდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან უნდა იყოს **პრიორიტეტული** სათანადო კრიტერიუმების არსებობის შემთხვევაში. პროკურორის გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს დამნაშავის ინტერესს. აქ უნდა შეფასდეს, თუ რა შესაძლო შედეგი ექნება დამნაშავის ჩართვას პროგრამაში, როგორია განმეორებითი დანაშაულის რისკი და ა. შ⁷⁰.

⁶⁹ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 01 თებერვლის ბრძანება N120; არასრულწლოვანის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პრობლემების დამტკიცების შესახებ, მუხლი 3, პუნქტი ე). <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3176195>, (მოძიებულია 2017 წლის 01 სექტემბერს);

⁷⁰ იქვე მუხლი 3, პუნქტი ვ);

თავად აღდგენითი მართლმსაჯულება ემყარება შემდეგ ძირითად პრინციპებს:

1. საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის გამოსწორება;
2. დაზარალებულისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება;
3. დანაშაულის მსხვერპლის განკურნება;
4. პასუხისმგებლობის აღება;
5. დამნაშავის მიერ ქცევის გამოსწორება;
6. მოქალაქეების უშუალო მონაწილეობა კრიმინალური დავების გადაწყვეტაში⁷¹.
(იხ. დანართი N1).

⁷¹ ციხის საერთაშორისო რეფორმა (PRI), ნულოვანი ტოლერანტობიდან ლიბერალიზაციისაკენ, პოლიტიკის, კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი. თბილისი 2011 წ. გვ. 57.
ინტერნეტ მისამართი: <https://www.penalreform.org/resource/ნულოვანი-ტოლერანტობიდან/> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

2. სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმები კონტინენტური და ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემის ქვეყნებში

2.1. სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმები კონტინენტური სამართლის სისტემის ქვეყნებში

2.1.1. სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმები საფრანგეთში

საფრანგეთში დაზარალებულსა და სამართალდამრღვევს შორის მედიაცია განვითარდა, როგორც საპროკურორო დისკრეციის ელემენტი, რომელიც ტრადიციულად ნაკლებად აღიქმება ფრანგული სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ელემენტად⁷². იგი წარმოიშვა, როგორც “მესამე გზა” სასამართლოში საქმის წარმართვასა და სამართალწარმოების შეწყვეტას შორის. უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ის მნიშვნელოვნად დაიხვეწა საზოგადოებრივი უსაფრთხოების პროგრამების მიმართ მზარდი ინტერესის ფონზე, რისთვისაც დასჯა, დანაშაულის პრევენციასთან შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანია⁷³. საფრანგეთში მედიაციის განხორციელება ორი ფორმით ხდება⁷⁴. ვიდრე ამ ორ მოდელს მიმოვიხილავთ, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ მედიაციას ახორციელებს მედიატორი, შესაბამისად აუცილებელია განისაზღვროს, თუ ვინ შეიძლება იყოს მედიატორი.

საფრანგეთში პოლიციელებს და მართლმსაჯულების სისტემის მოქმედ თანამშრომლებს არ შეუძლიათ იყვნენ მედიატორები დაზარალებულსა და სამართალდამრღვევს შორის⁷⁵. პირველი მიზეზი ის არის, რომ მხარეები არ შეშინდნენ და დამკვიდრდეს განსხვავებული მიდგომა კონფლიქტისადმი. სასამართლო

⁷² Bonafe-Schmidt, Global Trends in mediation and accreditation-the case of France (2009). P. 429.

⁷³ European Commission for Efficiency of Justice Commissions for the efficiency of Justice (CEPEJ) Working Group on Mediation (CEPEJ-GT-MED) the Quality of Penal Mediation in Europe by Julien Lhuillier, Lecturer in Law, University of Nancy (France) 2007. მის.:http://www.antonioacasella.eu/restorative/Lhuillier_22aug2007.pdf

⁷⁴ Bonafe-Schmidt, Global Trends in mediation and accreditation-the case of France (2009). P. 430

⁷⁵ საფრანგეთის იუსტიციის მინისტრის 1996 წლის 10 აპრლის ბრძანება N96-305, სისხლის სამართლის საქმეებზე მედიატორებისთვის დაწესებული მოთხოვნების შესახებ;

ორგანოები უფლებამოსილნი არიან მედიატორის აკრედიტაცია მიანიჭონ ნებისმიერ პირს, ვისაც კომპეტენტურად მიიჩნევენ¹. კომპეტენციის შეფასება სუბიექტური პროცესია, რაც კრიტიკას იწვევს, თუმცა თანდათან აუცილებელი ხდება სერიოზული მომზადების გავლა. ოჯახის მედიატორის გარდა (ოჯახში მედიაციის ეროვნული ფედერაცია – FENAFEM), სადაც მედიატორებისთვის სავალდებულო მომზადების კურსი 560 საათს მოიცავს, მაშინ, როცა მედიატორთა მომზადების ხანგრძლივობა ჩვეულებრივ 50-100 საათია². ოჯახში მედიაციის გარდა, კანონმდებლობა არ არეგულირებს მედიატორთა სასწავლო პროგრამების შინაარსს, რაც განაპირობებს სტუდენტებისთვის წარდგენილი მასალების მრავალფეროვნებას. სწავლების ხანგრძლივობასა და შინაარსში არსებული განსხვავებების გამო მედიაციის სხვადასხვა ორგანოებს შორის სადაოა ის, თუ რას წარმოადგენს კვალიფიციური მედიატორი და როგორ უნდა გაიმიჯნოს მედიატორთა მოქმედების სფეროები³.

მედიატორების აკრედიტაციასთან დაკავშირებით, არსებობს მედიაციის მრავალი ორგანო, რომლებიც ადგენენ აკრედიტებული მედიატორების საკუთარ სიებს. ასეთია – FENAFEM ოჯახში მედიაციის თემაზე, INAVEM – დაზარალებულსა და სამართალდამრღვევს შორის მედიაციისთვის, ENADEM – მეზობლებს შორის მედიაციისთვის და ა. შ. მედიატორები შესაძლოა იყვნენ პროფესიონალები (2/3 შემთხვევაში) ან მოხალისეები (ყოფილი პოლიციელები, შემთხვევების 1/3)⁴.

INAVEM აერთიანებს დაზარალებულთა დახმარების 150 ასოციაციას და მოიცავს 1500 თანამშრომელსა და მოხალისეს. ისინი უძღვებიან დაზარალებულთა მიღების 650 პუნქტს (სასამართლოებში, იურიდიული დახმარების ცენტრებში, პოლიციის განყოფილებებში და ა. შ.). ასოციაციებს აქვთ ეთიკის კოდექსი და დებულება

¹ საფრანგეთის იუსტიციის მინისტრის 1996 წლის 10 აპრლის ბრძანება N96-305, სისხლის სამართლის საქმეებზე მედიატორებისთვის დაწესებული მოთხოვნების შესახებ;

² Faget Jacques “Mediation and Domestic Violence” [A New French Journal](#) (2004) p.24
ინტ. მისამართი <https://champpenal.revues.org/84> (მოდოებულია 2017 წლის 30 მაისს);

³ John M. Haynes, *The Fundamentals of Family Mediation*. The Federation Press, Australia, 1996, P. 229

⁴ Bellucci S. Presentation - INAVEM – Institut national d’aide aux victimes et de médiation,
ინტ.მის:<http://www.bdsp.ehesp.fr/reseau/inavem/> (მოდოებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

დაზარალებულთა დახმარების თაობაზე, რაც განსაზღვრავს დაზარალებულთა დახმარების მისიას, მედიაციას, თანამშრომელთა დაქირავების სტატუსს და სამუშაო ურთიერთობას ასოციაციებსა და INAVEM-ს შორის⁵. მედიაცია დაზარალებულსა და სამართალდამრღვევს შორის გამოიყენება იმ პირების მიმართ, ვისაც უკვე შეუსრულდა 18 წელი (სხვა ქვეყნებში არსებულ ინიციატივათა უმრავლესობა არასრულწლოვნებზეა მიმართული)⁶.

მედიაციის მოდელებთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ამ მოდელების არსებობამ პრაქტიკაში შესაძლოა კონფლიქტი წარმოშვას, განსაკუთრებით არაკომერციულ ორგანიზაციებში. ამ შემთხვევაში, შესაძლოა ერთმანეთს დაუპირისპირდეს ორი ინტერესი: საჭიროება იყოს პროდუქტიული, რაც განამტკიცებს მის ინსტიტუციურ დამოკიდებულებას და იმის სურვილი, რომ დაიცვას მედიაციის ეთიკა და პატივი სცეს მედიატორის პოზიციას⁷.

რაც შეეხება მედიაციას სისხლის სამართლის საქმეებზე, აღსანიშნავია, რომ პირველი მოდელი, რომელსაც სასამართლო მოდელს უწოდებენ, სასამართლო სისტემის ფარგლებში ხორციელდება. ე.წ. “სისხლის სამართლებრივი მედიაციის” კანონის ძალით ინსტიტუციონალიზება საფრანგეთში 1992 წლის 4 იანვარს მოხდა. მასში ცვლილებები შევიდა 2004 წლის 9 მარტს. მედიაცია არის სისხლის სამართალწარმოების ალტერნატიული გზა, კომპენსაციის მიღებისა და სისხლისსამართლებრივი დავის გადაწყვეტის ფორმა⁸. მედიატორები ჩვეულებრივ იურისტები არიან, ვისაც არ აქვს გავლილი განსაკუთრებული და სერიოზული მომზადება მედიაციაში. მედიატორებზე მედიაციის პროგრამის განხორციელების უფლებების დელეგირება ხდება პროკურორის მიერ და ისინი მუშაობენ მათი

⁵ Bellucci S. Presentation - INAVEM – Institut national d’aide aux victimes et de mediation, ინტ.მის:<http://www.bdsp.ehesp.fr/reseau/inavem/> (მომიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

⁶ საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (მიღებულია 1/03/1994 საფრანგეთის რესპუბლიკის პარლამენტის მიერ) <http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=14295> (მომიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

⁷ John M. Haynes, The Fundamentals of Family Mediation. The Federation Press, Australia, 1996, P. 118

⁸ საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 41-ე მუხლი (მიღებულია 1/03/1994 საფრანგეთის რესპუბლიკის პარლამენტის მიერ) <http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=14295> (მომიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

გარკვეული ზედამხედველობის ქვეშ⁹. სისხლის სამართლის სისტემაზე დამოკიდებულების მაღალი ხარისხის მაჩვენებელია ისიც, რომ მხოლოდ პროკურორს შეუძლია მოახდინოს მედიაციის ინიცირება სისხლის სამართლის საქმეებზე და ისიც მხოლოდ მანამ, ვიდრე სასამართლო პროცედურები დაიწყება¹⁰. მედიატორი პროკურორისგან დელეგირებულ უფლებამოსილებას ახორციელებს და შეუძლია, გააფორმოს და მხარეებთან ერთად ხელი მოაწეროს “ოფიციალურ ოქმს”¹¹, რომელსაც იუსტიციის სამინისტროს ფრანგულ მოდელში “რეკვიზიცია” ეწოდება. რეკვიზიციას იგივე ძალა აქვს, რაც სასამართლო გადაწყვეტილებას და აღსრულებას ექვემდებარება¹². უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცედურა ეხება მხოლოდ “მცირე მნიშვნელობის დარღვევებს”. მედიაცია სისხლის სამართლის საქმეებზე არ იწვევს სამართალდამრღვევის ნასამართლობას. მედიაცია ჩვეულებრივ ხდება სასამართლოებში და იუსტიციის ცენტრებში¹³. ხდება მხარეთა – სამართალდამრღვევისა და დაზარალებულის გამოძახება. მედიატორი, გამომძიებლის მსგავსად, ცდილობს, გაარკვიოს, თუ ვინ არის მართალი და მტყუანი. შეთანხმების მიღწევა ჩვეულებრივ ხდება ერთი შეხვედრის შედეგად, ვინაიდან მედიატორი უძღვება პროცესს და თვითონვე სთავაზობს მხარეებს პრობლემის გადაწყვეტის გზებს. მედიატორის მიერ მითითებების გაცემა მიზნად ისახავს კონფლიქტის მოწესრიგებასა და შეთანხმების დადებას, რაც განაპირობებს კიდევ შეთანხმებათა დიდ რაოდენობას. მართებულია, ამ ფორმას ეწოდოს “შერიგება” მედიაციის (შუამავლობის) ნაცვლად¹⁴.

⁹ საფრანგეთის იუსტიციის მინ. 1996 წლის 10 აპრილის ბრძანება #96-305, საფრანგეთის სისხლის სამართლის საქმეებზე მედიატორებისთვის დაწესებული მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ; <http://ns1763.ca/oic/oic199604.html> (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

¹⁰ Faget Jacques “Mediation and Domestic Violence” *A New French Journal* (2004) p.12 ინტ. მისამართი <https://champpenal.revues.org/84> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

¹¹ საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 41-ე მუხლი (მიღებულია 1/03/1994 საფრანგეთის რესპუბლიკის პარლამენტის მიერ) <http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=14295> (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

¹² Jean-Pierre Bonafé-Schmitt, Global Trends in mediation and accreditation-the case of France (2009). ADR Bulletin: Vol. 11 : No. 3 , Article 3. ინტ. მისამართი: <http://epublications.bond.edu.au/adr/vol11/iss3/3> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

¹³ საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 42-ე მუხლი (მიღებულია 1/03/1994 საფრანგეთის რესპუბლიკის პარლამენტის მიერ) <http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=14295> (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

¹⁴ საფრანგეთის იუსტიციის მინ. 1996 წლის 10 აპრილის ბრძანება #96-305, საფრანგეთის სისხლის სამართლის საქმეებზე მედიატორებისთვის დაწესებული მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ; <http://ns1763.ca/oic/oic199604.html> (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

მეორე მოდელი, რომელიც აღდგენითი მართლმსაჯულების რეფორმატორული მოძრაობის ფონზე დაინერგა, ისეთი ორგანიზაციის მიერ ხორციელდება, როგორცაა დაზარალებულთა დახმარებისა და მედიაციის ეროვნული ინსტიტუტი (INAVEM)¹⁵. მედიატორები უმეტესად სოციალური მუშაკები ან ფსიქოლოგები არიან და გავლილი აქვთ სხვადასხვა დონის ტრენინგი მედიაციაში. პროკურორს შეუძლია, შესთავაზოს მხარეებს მედიაცია. თუ მხარეები ირჩევენ მედიაციას (შეთანხმებით), როგორც მათთვის სასურველ ვარიანტს, მედიატორები აწყობენ ერთ ან რამდენიმე შეხვედრას სამი თვის განმავლობაში. მედიატორი, სასამართლო მოდელისგან განსხვავებით, არ არის ვალდებული დაეყრდნოს მტკიცებულებებს. ის ხელმძღვანელობს მხოლოდ საკუთარ სუბიექტურ შეხედულებებით და მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით. მედიატორი, ამ შემთხვევაში, არ არის აქტიური და არ სთავაზობს მხარეებს პრობლემის მოგვარების ხერხებს, არამედ ეხმარება მათ, თვითონ შეთანხმდნენ გადაწყვეტის გზებზე¹⁶.

(იხ. დანართი N2).

საფრანგეთში ტრადიციულად სისხლისსამართლებრივ დევნას იწყებს პროკურორი „მიზანშეწონილობის“ პრინციპზე დაყრდნობითა და საჯარო ინტერესის გათვალისწინებით¹⁷. საფრანგეთის სამართლებრივი ისტორიის თანახმად, ძველად საჯარო ინტერესის არარსებობის შემთხვევაში, საერთოდ არ იწყებოდა სისხლისსამართლებრივი დევნა, ან ჩვეულებრივი წესით სისხლისსამართლებრივი წარმოება მიდიოდა სასამართლო გადაწყვეტილების ეტაპამდე. მოკლედ რომ ვთქვათ, სხვა მესამე გზა აქ არ არსებობდა¹⁸. საფრანგეთმა ახალ სამართლებრივ მიმდინარეობებს ალლო ძალიან სწრაფად აუღო და შესაბამისად აქ სწრაფი ტემპით

¹⁵ Bellucci S. Presentation - INAVEM – Institut national d’aide aux victimes et de mediation, ინტ.მის:<http://www.bdsp.ehesp.fr/reseau/inavem/> (მომიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

¹⁶ საფრანგეთის იუსტიციის მინ. 1996 წლის 10 აპრილის ბრძანება #96-305, საფრანგეთის სისხლის სამართლის საქმეებზე მედიატორებისთვის დაწესებული მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ; <http://ns1763.ca/oic/oic199604.html> (მომიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

¹⁷ საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 32-ე მუხლი (მიღებულია 1/03/1994 საფრანგეთის რესპუბლიკის პარლამენტის მიერ) <http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=14295> (მომიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

¹⁸ Casorla F. La justice Pénale à l’épreuve du concept de <restorative justice> // Revue pénitentiaire et de droit penal. 2000. N1 P.31

დაინერგა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული კონცეფციები. საუბარია პირველ რიგში ფრანგულ მედიაციაზე¹⁹, რაზეც საკმაოდ ვრცლად ვისაუბრეთ ინგლისურ ვარიანტში, ტერმინთა თანხვედრა სულაც არ ნიშნავს სამართლებრივი ინსტიტუტების არსის თანხვედრას, თუმცა კონცეპტუალური განსხვავებები მათ შორის არ ყოფილა. ცნობილი ფრანგი იურისტი ჟ. კარბონიე მედიაციას კონფლიქტში მონაწილე მესამე პირის მიერ დავის გადაწყვეტის არაფორმალურ საშუალებად მიიჩნევს.²⁰ ფრანგულ დოქტრინაში კი მედიაცია ასე განისაზღვრება: ეს არის მესამე პირის მიერ კონფლიქტის გადაწყვეტის გზის მოძიება თავისუფალი მოლაპარაკების განხორციელების პროცესში, რომელიც შესაძლოა გაჩნდეს კონფლიქტის მონაწილეებს შორის.²¹ თუ მედიაციის ფრანგულ მოდელს შევადარებთ ინგლისურს, დავინახავთ, რომ მედიაცია საფრანგეთში დროთა განმავლობაში იძენდა უნივერსალური სამართლებრივი ინსტიტუტის სახეს, რომელიც არ არის მოწყვეტილი ეროვნულ თავისებურებებს.

საფრანგეთში სპეციალიზებული სახით სისხლის სამართლის საქმეებზე მოქმედებს არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოები. მათ სისტემაში შედიან: არასრულწლოვანთა საქმეების მოსამართლეები (*juges des enfants*), არასრულწლოვანთა საქმეების ტრიბუნალები (*tribunaux pour enfants*), არასრულწლოვანთა საქმეების ასიზების სასამართლო (*cours d'assises pour mineurs*), და სააპელაციო სასამართლოების სპეციალური პალატები. მოცემულ სასამართლო ორგანოთა კომპეტენციას მიეკუთვნება სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა იმ პირთა საქმეებზე, რომელთაც არ შესრულებიათ 18 წელი დანაშაულის ჩადენის მომენტში.²² საფრანგეთის სს კოდექსი შეიცავს მითითებას, რომ არასრულწლოვანი, რომელიც აღიარეს დამნაშავედ, არის დაცვის, დახმარების, ზედამხედველობისა და აღზრდის

¹⁹ Vincent J., Guinchard S., Montagnier G., Varinard A. *Institutions judiciaires. Organisation. Juridictions. Gens de justice.* 6^{èd.} Paris. Dalloz, 2001. P.47-51

²⁰ Carbonier J. *Rèflexions sur la médiation // La médiation: un mode alternatif de résolution des conflits.* Zurich, 1992. P.11

²¹ Carbonier J. *Journée sur la médiation et les alternatives aux poursuites // Revue de science criminelle et de droit pénal compare.* 1991. N4. P. 840

²² Largier. J. *La procédure pénale.* Paris, 1999, P.78;

სუბიექტი.²³ საფრანგეთში სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებები გატანილია სს კოდექსის გარეთ.

საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო სამართალი, ტრადიციულად, ხელმძღვანელობს არა „კანონიერების“, არამედ სისხლისსამართლებრივი დევნის „მიზანშეწონილობის“ პრინციპით (opportunité des poursuites). ამას პირდაპირ მოწმობს საფრანგეთის მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის შინაარსი, სადაც ნათქვამია, რომ „რესპუბლიკის პროკურორი იღებს საჩივრებს, დასმენებს და აფასებს, თუ რა გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული მათზე“²⁴. ლიტერატურაში ამ ნორმას განიხილავენ, როგორც პროკურორის მიერ საქმის შემდგომი მსვლელობის პერსპექტივის „თავისუფალი და დამოუკიდებელი შეფასების“ დებულებას.²⁵ საფრანგეთის პროკურორების მიერ მიზანშეწონილობის პრინციპის გამოყენება მნიშვნელოვნად აფართოებს შესაძლო გადაწყვეტილებათა პალიტრას, რომლებიც სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის სტადიაზე მიიღება. საფრანგეთში აღნიშნულთან დაკავშირებით მიიღება ოთხი სახის გადაწყვეტილება: უარი სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრაზე -(classement sans suite); პირობითი უარი სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრაზე - (classement sans suite sous condition); სისხლისსამართლებრივი მედიაცია - (mediation penale); სისხლისსამართლებრივი „ჯარიმა შეთანხმებით“ - (composition penale). მედიაციის შუამდგომლობის ინსტიტუტი საფრანგეთში სისხლის სამართლის უახლესი კონცეფციების საფუძველზე წარმოიშვა, როგორც სისხლისსამართლებრივ დევნაზე პირობითი უარი.²⁶ 1993 წლის 4 იანვარს მედიაციის შუამდგომლობა საფრანგეთის სსს კოდექსის ტექსტში შეიტანეს, მოგვიანებით კანონმა კიდევ უფრო მეტად გააფართოვა პროკურორის უფლება მედიაციის გამოყენების საკითხებში. თუმცა პროკურორის ნებისმიერი წინადადება მკაცრად ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს. იმ შემთხვევაში თუ პირი უარს ამბობს დაზარალებულისათვის ზიანის ანაზღაურებაზე, ან სხვა

²³ საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 122-8-ე მუხლი (მიღებულია 1/03/1994 საფრანგეთის რესპუბლიკის პარლამენტის მიერ) <http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=14295> (მომიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

²⁴ იქვე მუხლი 40.

²⁵ Largier. J. La procedure penale. Paris, 1999, P.68

²⁶ Головки Л.В. Альтернативы уголовному преследованию в современном праве. СПб.: Юридический центр Пресс, 2002. Москва С.145

აუცილებელი პირობის შესრულებაზე, პროკურორი იწყებს, ან აგრძელებს უკვე დაწყებულ სისხლისსამართლებრივ დევნას ბრალდებული პირის მიმართ კანონით დადგენილი წესებით.²⁷ მედიაციის პროცედურის გამოყენების პრაქტიკა საფრანგეთის სხვადასხვა რეგიონებში სხვადასხვაგვარია. რაც შეეხება განრიდების ინსტიტუტს, ასეთს საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესი არ იცნობს. არა მხოლოდ საფრანგეთის, არამედ თითქმის არც ერთი ქვეყნის კანონმდებლობა არ იცნობს განრიდების ინსტიტუტს იმ სახით, რა სახითაც ის ქართულ სისხლის სამართლის პროცესში მოქმედებს. ალბათ სწორედ ამიტომ, განრიდების ინსტიტუტს საქართველოში ჯერ კიდევ თან ახლავს უამრავი საკანონმდებლო პრობლემა, რომელიც რეგულირებას საჭიროებს.

მოდვრება სარჩელთა შესახებ სისხლის სამართლის პროცესში საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო თეორიის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და თავისებური ინსტიტუტია. მოძღვრება საჯარო და სამოქალაქო სარჩელების შესახებ ეფუძნება საკმაოდ ცნობილ კონცეფციას, რომლის თანახმად დანაშაული ერთდროულად აყენებს ზიანს როგორც მთლიანად საზოგადოებას, ასევე კერძო პირს (დაზარალებულს). აღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც საზოგადოებას, ასევე კერძო პირებს მინიჭებული უნდა ჰქონდეთ უფლება, მოითხოვონ მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ამ მიზნით საზოგადოებას ეძლევა ე.წ. „საჯარო სარჩელის“ უფლება, რადგან მოცემულ შემთხვევაში დარღვეულია საჯარო ინტერესი. ცხადია, რომ საზოგადოებას შეუძლია დაიცვას თავისი ინტერესი მხოლოდ გარკვეული წარმომადგენლის მეშვეობით, რომელიც ყოველ კონკრეტულ საქმეზე მისი სახელით მოქმედებს, ეს არის პროკურორი. რაც შეეხება იმავე დანაშაულისაგან დაზარალებულ კერძო პირს, ვინაიდან იგი მოქმედებს არა საჯარო, არამედ კერძო ინტერესებიდან გამომდინარე, მინიჭებული აქვს უფლება, დაიცვას მოცემული ინტერესები სამოქალაქო სარჩელის წარდგენის გზით.²⁸

²⁷ საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 48-ე მუხლი (მიღებულია 1/03/1994 საფრანგეთის რესპუბლიკის პარლამენტის მიერ) <http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=14295> (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

²⁸ Головки Л.В. Альтернативы уголовному преследованию в современном праве. СПб.: Юридический центр Пресс, 2002. М. С.146

ფრანგულ კონცეფციაზე დაყრდნობით განვიხილოთ ქართულ კანონმდებლობაში არსებული კონცეფცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მედიაციასთან მიმართებაში. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად სისხლის სამართლებრივი დევნის მხოლოდ ერთი სახე - საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა არსებობს²⁹, რაც გულისხმობს, რომ, ფრანგული კონცეფციის მსგავსად, საქართველოში დანაშაულის ჩადენის შემდგომ საზოგადოების ინტერესთა დაცვას საკანონმდებლო დონეზე უზრუნველყოფს პროკურორი, ხოლო კერძო პირის (დაზარალებულის) მიმართ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თავად დაზარალებული სამოქალაქო სარჩელის წარდგენის გზით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად: „პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი, ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი“³⁰. ფრანგული კონცეფცია როგორც საჯარო, ასევე კერძო ინტერესების დაკმაყოფილებას სისხლის სამართლის პროცესში მოიაზრებს, ხოლო ქართული კანონმდებლობით საჯარო ინტერესი სისხლის სამართლის, ხოლო კერძო ინტერესი სამოქალაქო სამართლით არის დაცული. ორივე ქვეყნის მიდგომა დანაშაულით შელახული უფლებების აღდგენის საკითხში თითქმის იდენტურია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით გარანტირებული უფლების აღდგენისათვის, კერძოდ, მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საკითხის დასაყენებლად აუცილებელია არსებობდეს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი (მტკიცებულებითი სტანდარტი), რომლის თანახმად, პრეიუდიციად ითვლება ზიანის მიყენების ფაქტი. აღნიშნული მიდგომისა და რეგულაციის თანახმად, ჩნდება კითხვა: საქართველოში მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული განრიდების ინსტიტუტის გამოყენებისას, რჩება თუ არა შანსი დაზარალებულს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად მოითხოვოს მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება?!.. ჩვენთვის

²⁹ საქართველოს კანონი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 166-ე მუხლი (მიღებულია 09/10/2009 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ, დოკუმენტის N1772); <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034>, (მომიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

³⁰ საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 992-ე მუხლი (მიღებულია 14/11/1997 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ, დოკუმენტის N1106); <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>, (მომიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

ცნობილია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, განრიდების ინსტიტუტის გამოყენებისას, ან არ იწყება, ან წყდება უკვე დაწყებული სისხლის სამართლებრივი დევნა კონკრეტული პირის მიმართ³¹. ასევე ცნობილია, რომ დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურება არ წარმოადგენს აუცილებელ პირობას განრიდების ინსტიტუტის გამოყენებისათვის³². პრაქტიკა ცხადყოფს, რომ განრიდებულ პირთა 30%-ს ისე გაუფორმდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განრიდების ხელშეკრულება, რომ მათ დაზარალებულისათვის არავითარი სახის ზიანი არ აუნაზღაურებიათ, ასევე საქმეში არ დევს დაზარალებულთა თანხმობა ზიანის ანაზღაურების გარეშე განრიდების ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით³³. მივდივართ ერთადერთ შედეგამდე, დანაშაულებრივი ქმედებით დაზარალებულ პირს ერთმევა საკანონმდებლო დონეზე გამარტივებულად მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რადგან ბრალდებულთან განრიდების ხელშეკრულების გაფორმებით საერთოდ არ იწყება სისხლისსამართლებრივი დევნა, ხოლო უკვე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა წყდება პროკურორის გადაწყვეტილებით. შესაბამისად, სახეზე ვერ გვექნება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, რომელიც ერთ-ერთი აუცილებელი მტკიცებულებითი სტანდარტი გახლავთ სამოქალაქო სამართალწარმოების გზით გამარტივებული წესით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საკითხში. გამარტივებული სამოქალაქო სამართალწარმოება კი სასარჩელო წარმოების ალტერნატიული პროცედურაა.³⁴

მიმაჩნია, რომ აღნიშნული წარმოადგენს საკმაოდ დიდ საკანონმდებლო პრობლემას, რომელიც უსპობს დაზარალებულს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას გამარტივებული წესით და აღნიშნული პრობლემა აუცილებლად საჭიროებს საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგებას.

³¹ საქართველოს კანონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 38-ე მუხლი, ნაწ.2 (მიღებულია 12/06/2015 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ, დოკუმენტის N3708-III); <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281>, (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

³² იქვე, მუხლი 40.

³³ საქართველოს მთავარი პროკურატურის ანგარიში 2012-2016 წლები (28/11/2016)

ინტ. მისამართი: <http://pog.gov.ge/res/docs/angarishi-2016.pdf> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს)

³⁴ ქურდაძე შ. ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2015წ. გვ. 513

საკანონმდებლო დონეზე განრიდების ინსტიტუტის განმარტებაში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ბრალდებული პირისადმი განრიდების გამოყენების სამართლებრივი შედეგი დაზარალებულის უფლებების მიმართ. კერძოდ: განრიდების განმარტებაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის არ დაწყების/დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის, ნასამართლობის არ არსებობისა და სხვა ბრალდებულისათვის სასიკეთო შედეგების გასწვრივ, აუცილებლად უნდა გაკეთდეს დათქმა, რომ განრიდების ინსტიტუტის გამოყენება არ ათავისუფლებს ბრალდებულს აღნიშნული ქმედებით დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით ანაზღაურებისაგან. აღნიშნული დათქმა, ბუნებრივია, გულისხმობს იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ განრიდების გამოყენებისათვის აუცილებელი და სავალდებულო პირობა არ გახდება დაზარალებულისათვის ზიანის ანაზღაურება. მხოლოდ დაზარალებულის უფლებად დარჩება, მიმართოს სასამართლოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. მსგავსი მიდგომა არსებობს ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების შემთხვევაში, კერძოდ: "საპროცესო შეთანხმების დადებისას პროკურორი ვალდებულია, გააფრთხილოს ბრალდებული საპროცესო შეთანხმების შედეგების შესახებ და განუმარტოს მას, რომ საპროცესო შეთანხმების დადების შემთხვევაში სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი მტკიცებულებების უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევის გარეშე გამოაქვს და საპროცესო შეთანხმების დადება არ ათავისუფლებს ბრალდებულს სამოქალაქო და სხვა სახის პასუხისმგებლობისაგან".³⁵ ამავე კოდექსის 217-ე მუხლში განსაზღვრულია დაზარალებულის უფლებები საპროცესო შეთანხმების დადებისას, კერძოდ: "პროკურორი ვალდებულია საპროცესო შეთანხმების დადებამდე დაზარალებულთან გაიაროს კონსულტაცია და შეატყობინოს მას საპროცესო შეთანხმების დადების შესახებ, რისთვისაც პროკურორი ადგენს ოქმს.

სასამართლოს მიერ საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას დაზარალებულს უფლება აქვს, სასამართლოს წერილობით ან სასამართლო სხდომაზე მოსამართლეს ზეპირად მიაწოდოს ინფორმაცია იმ ზიანის შესახებ, რომელიც მას დანაშაულის შედეგად მიადგა. დაზარალებულს უფლება არა აქვს, გაასაჩივროს საპროცესო

³⁵ საქართველოს კანონი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 210-ე მუხლის პირველი პრიმა პუნქტი (მიღებულია 09/10/2009 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ, დოკუმენტის N1772); <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034>, (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

შეთანხმება. საპროცესო შეთანხმება დაზარალებულს არ ართმევს უფლებას, შეიტანოს სამოქალაქო სარჩელი"³⁶.

მიმაჩნია, რომ მსგავსი მიდგომა უნდა ჩამოყალიბდეს დაზარალებულის უფლებების მიმართ განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენებისას. აღნიშნული დათქმით არ დამძიმდება ბრალდებულ პირთა უფლება, გახდნენ განრიდების სუბიექტები დაზარალებულისათვის ზიანის ანაზღაურების გარეშე და ასევე საკანონმდებლო დონეზე დაცული და გარანტირებული იქნება დაზარალებულის მხრიდან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. თუ აღნიშნული დათქმა არ განისაზღვრება განრიდების შესახებ შესაბამის მუხლებში, სისხლის სამართლის პროცესსა, თუ სხვა საკანონმდებლო აქტებში, მაშინ ჩვენ მივიღებთ აბსოლუტურ ქაოსს, მივიღებთ არა სამართლიანობას, არამედ უსამართლობას, მივიღებთ ბრალდებულ პირთა მიმართ საუკეთესო სამართლებრივ შედეგებს დაზარალებულ პირთა შელახული უფლებების ხარჯზე³⁷.

2.1.2. სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმები გერმანიაში

გერმანიის 1877 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განმტკიცებულია უმთავრესი პრინციპები, რომელებსაც სრულად ემყარება გერმანული სისხლის სამართლის პროცესი. თეორიაში არ არსებობს სისხლის სამართლის პროცესის პრინციპების სისტემის განსაზღვრისადმი ერთიანი მიდგომა. მსჯელობის საგანი ამჯერად ის პრინციპები იქნება, რომლების უშუალოდ განსაზღვრავენ ბრალდების მხარის უფლებას იმოქმედოს დისკრეციის ფარგლებში საკუთარი შეხედულებისამებრ. კანონიერების (ლეგალიზმის- legalitatsprinzip) პრინციპის თანახმად, პროკურატურა ვალდებულია, მიიღოს ზომები სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედებათა

³⁶ საქართველოს კანონი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 217-ე მუხლი (მიღებულია 09/10/2009 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ, დოკუმენტის N1772); <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034>, (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

³⁷ ხაზგასმა ჩემია.

მიმართ, თუ არსებობს საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი³⁸. თუმცა, როგორც გერმანიის საპროცესო ლიტერატურაშია აღიარებული, მრავალრიცხოვანი გამონაკლისი იწვევს ამ პრინციპის დარღვევას და პრაქტიკულად მოქმედებს არა კანონიერების, არამედ მიზანშეწონილობის (opportunitätsprinzip) პრინციპი. გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მრავალ საფუძველს, რომელთა მიხედვითაც პროკურატურას უფლება აქვს უარი თქვას სისხლისსამართლებრივ დევნაზე და შეწყვიტოს საქმე. საქართველოს მსგავსად, გერმანიაში აღნიშნული კატეგორიის საქმეები, რომლებზეც პროკურორს უფლება აქვს შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა, თუნდაც მედიაციის გამოყენების მიზნით, არ არის მხოლოდ ნაკლებად მძიმე კატეგორიის საქმეები³⁹. სისხლის სამართლის პროცესში სხვადასხვა სახის სამომრიგებლო ან საშუამავლო ინსტიტუტების (ინგლისური ან ფრანგული „მედიაციის“ მსგავსი) შემოღების საყოველთაო ევროპული ტენდენციები გერმანიასაც შეეხო. მათი გამოყენების ფორმალური შესაძლებლობები ამჟამად არსებითად გაფართოებულია 1999 წლის 20 დეკემბრის სპეციალური კანონის მიღებასთან დაკავშირებით⁴⁰. აღსანიშნავია, რომ გერმანულ სისხლის სამართლის პროცესში მოკვლევა სრულდება არა საჯარო ბრალდების აღძვრით, ანუ საქმის არა სასამართლოსათვის გადაცემით, არამედ საქმის შეწყვეტით. აღძრულ საქმეთაგან დაახლოებით 60% წყდება პროცესის ამ ეტაპზე, მათი უმეტესობა კი მედიაციით სრულდება⁴¹.

გერმანიაში მედიაციას სისხლის სამართლის საქმეებზე ეწოდება “Täter -Opfer Ausgleich” (TOA)⁴². TOA აღდგენითი მართლმსაჯულებისა და “დაზარალებულისა და სამართალდამრღვევის მედიაციის” აღმნიშვნელი ნახევრად ოფიციალური გერმანული ტერმინია. თარგმანში “სამართალდამრღვევისა და დაზარალებულის

³⁸ გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მუხლი 118-3 (მიღებულია 07/04/1987, ბუნდესტაგის, გერმანიის პარლამენტის მიერ), https://www.gesetze-im-internet.de/englisch_stpo/englisch_stpo.html, (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

³⁹ იქვე, მუხლი 128-2;

⁴⁰ გუცენკო კ. ფ., გოლოვკო ლ.ვ., ფილიმონოვი ბ. ა., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა მერიდიანი. თბილი, 2007 წ. გვ.503

⁴¹ Keidelberg K.H., Fragen und Antworten Zum Jugendstrafrecht Laubenthal, Berlin, 2006;

⁴² Kaspar Johannes, Wiedergutmachung und Mediation im Strafrecht, Rechtliche Grundlagen und Ergebnisse eines Modellprojekts zur anwaltlichen Schlichtung, München, 2004, P.204-205;

შერიგებას” ნიშნავს. ერთი მხრივ, TOA საზოგადოებრივი მოძრაობის მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკული კონცეფციაა, მეორე მხრივ კი სამართლებრივი ცნებაა, რომელიც განმარტებულია გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსში⁴³ და არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეების განმხილველი სასამართლოს შესახებ კანონში⁴⁴ მე-10 მუხლის მე-7 პუნქტში. აღდგენითი მართლმსაჯულებისა და TAO-ს განხილვის დროს საჭიროა ეს ორი ასპექტი მხედველობაში გვქონდეს.

1990 წელს TAO შემოიღეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში, როგორც არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეების განმხილველი სასამართლოს შესახებ კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებული ღონისძიება და 45-ე და 47-ე მუხლით გათვალისწინებული საქმეების განრიდების შესაძლებლობა⁴⁵. პროკურატურას და სასამართლოს არ აქვს უფლება ვინმეს თავს მოახვიოს TAO. ეს შესაძლებლობა განისაზღვრება მხოლოდ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეების განმხილველი სასამართლოს შესახებ კანონის მე-10 მუხლის მე-7 პუნქტით, რაც სერიოზული კრიტიკის საფუძველი იყო და იშვიათად გამოიყენება პრაქტიკაში⁴⁶.

ოთხი წლის შემდეგ TAO სრულწლოვან პირებზე გავრცელდა, შვიდა რა შესაბამისი ცვლილება გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 46-ა მუხლში⁴⁷.

1999 წლიდან შესაბამისი დებულება არსებობს გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშიც. სასამართლო, პროკურორი და პოლიცია შესაბამის შემთხვევებში ვალდებული არიან, აცნობონ ექვმიტანილს TAO -ს

⁴³ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი 46-ა მუხლი, (13/11/1998), ინტ.მის: https://www.gesetze-im-internet.de/englisch_stgb/englisch_stgb.html, (მომიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

⁴⁴ “Youth Courts Law in the version of the promulgation of 11 December 1974 (Federal Law Gazette [BGBl.] Part I p. 3427, most recently amended by Article 1 of the Act of 8 July 2008 (Federal Law Gazette Part I p. 1212)” Translation provided by the Federal Ministry for Justice and Chris Pavis and Neil Mussett and reproduced with kind permission. 10.7. (მომიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

⁴⁵ იქვე, მუხლი 45-ე და 47-ე;

⁴⁶ იქვე, მუხლი 10.7;

⁴⁷ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი 46-ა მუხლი, (13/11/1998), ინტ.მის: https://www.gesetze-im-internet.de/englisch_stgb/englisch_stgb.html, (მომიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

შესაძლებლობის შესახებ უკვე პირველსავე სასამართლო მოსმენაზე.⁴⁸ გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ავალდებულებს პროკურორს და მოსამართლეს, სამართალწარმოების ყველა ეტაპზე მოახდინონ იმის ანალიზი, უნდა იყოს თუ არა გამოყენებული TAO⁴⁹. სისტემური თვალსაზრისით, სისხლის სამართლის კოდექსის 46-ა მუხლში მოცემული TAO-ს სამართლებრივი დეფინიცია აღდგენითი მართლმსაჯულების რეგულირების ცენტრალური საკითხია⁵⁰. სისხლის სამართლის კოდექსის 46-ა მუხლის თანახმად: "თუ სამართალდამრღვევი ცდილობს ბოლომდე შეურიგდეს დაზარალებულს (TAO), ასევე სრულად ან მნიშვნელოვანწილად აუნაზღაურა მას თავისი ქმედებით მიყენებული ზიანი, ან გულწრფელად შეეცადა მოეხდინა რესტიტუცია; ან იმ შემთხვევაში, თუ ქმედებით მიყენებული ზიანის რესტიტუცია მისგან მნიშვნელოვანი პირადი სამსახურის გაწევას ან პირად მსხვერპლს მოითხოვს, სრულად ან მნიშვნელოვანწილად აუნაზღაურა ზიანი დაზარალებულს⁵¹, ასეთ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია, შეამსუბუქოს სასჯელი, ან გასცეს განთავისუფლების ბრძანება, ან სამართალდამრღვევს შეუფარდოს ერთ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა, ან ჯარიმა 360 დღიურ ერთეულზე მეტი ოდენობით"⁵².

სისხლის სამართლის კოდექსის 46-ა მუხლი არ შემოიფარგლება კონკრეტული დანაშაულებით. ეს ზოგადი წესია, რომელიც ვრცელდება ყველა დანაშაულზე, მათ შორის ისეთ მძიმე დანაშაულებზე, როგორც არის ძარცვა, გაუპატიურება. თეორიულად ის შეიძლება გავრცელდეს თვითმკვლელობის ან მკვლელობის მცდელობაზეც კი. სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, მისი გამოყენება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ზიანი მიაღწა ფიზიკურ ან იურიდიულ პირს⁵³.

⁴⁸ გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მუხლი 136.1 (მიღებულია 07/04/1987, ბუნდესტაგის, გერმანიის პარლამენტის მიერ), https://www.gesetze-im-internet.de/englisch_stpo/englisch_stpo.html, (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

⁴⁹ იქვე, მუხლი 155ა;

⁵⁰ Jehle Jörg –Martin, *Criminale Justice in Germany*, Fifth Edition 2009, Published by Federal Ministry of Justice, Berlin, P.26;

⁵¹ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი 46-ა მუხლი, (13/11/1998), ინტ.მის: https://www.gesetze-im-internet.de/englisch_stgb/englisch_stgb.html, (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

⁵² იქვე, 49-ე მუხლი;

⁵³ იქვე, 46-ა მუხლი;

ისეთი საკითხები, როგორც არის დაზარალებულსა და სამართალდამრღვევს შორის მედიაციის პროცესი, მედიატორად მუშაობისათვის საჭირო კვალიფიკაცია, დაწესებულებათა ტიპები, რომელთაც შეუძლიათ ჩაერთონ მედიაციაში და აღდგენითი მართლმსაჯულების სხვა პროცესებში, გერმანიაში ჯერჯერობით არც სისხლის სამართლის კოდექსით და არც სხვა რომელიმე კანონით არ რეგულირდება. შედეგად, პრაქტიკაში გამოსაყენებელი სტანდარტები, ისევე როგორც მედიაციის ფორმები, სხვადასხვაგვარია.⁵⁴

გერმანიაში იურიდიული ფაკულტეტები თავს იკავებენ მედიაციის რეგულარული კურსების შეთავაზებისგან. ამ მიმართულებით არსებული სტანდარტები არ ატარებს სავალდებულო ხასიათს, ვინაიდან ისინი შემუშავებულია კერძო ინიციატივების ფარგლებში და კერძო ორგანიზაციების მიერ. გერმანიის მედიაციის სქემების მხოლოდ მცირე ნაწილი შეესაბამება სრულად სტანდარტებს და გავლილი აქვს შემოწმების პროცედურა ხარისხის სერტიფიკატის მისაღებად⁵⁵. მედიაციის ეროვნულ სტატისტიკაში მედიაციის სქემების მხოლოდ მცირე ნაწილია გაერთიანებული. ამიტომ დაზარალებულისა და სამართალდამრღვევის მედიაციის ერთიანი, მწყობრი სისტემა გერმანიაში არ არსებობს. მისი გამოყენება და შედეგები განსხვავებულია სხვადასხვა ფედერალური მიწის და ზოგჯერ, დასახლების ტერიტორიაზე. ეს გარკვეულწილად გერმანული ფედერალიზმის დამსახურებაა, რომელიც ისტორიულად კონსტიტუციით განისაზღვრება⁵⁶. კონსტიტუციის თანახმად, მედიაციის გამოყენება უფროსი ასაკის სამართალდამრღვევებზე გერმანიის 16 მიწის პრეროგატივაა⁵⁷. ბავშვთა სოციალური კეთილდღეობის

⁵⁴ Tochtermann P., *The German Mediation Act Alternative Dispute Resolution At The Crossroads*, Published to Oxford Scholarship. 2012. P. 43

⁵⁵ Jehle Jörg –Martin, *Criminale Justice in Germany*, Fifth Edition 2009, Published by Federal Ministry of Justice, Berlin, P.25;

⁵⁶ Thomas Trenczek, “Victim-offender- Mediation” in Germany ADR under the shadow of the Criminal Law. *Bond Law Review* (2001). ონტ. მის: <http://heinonline.org/HOL/LandingPage?handle=hein.journals/bondlr13&div=19&id=&page=> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს)

⁵⁷ Basic Law for the Federal Republic of Germany, Deutscher Bundestag, last amended on 23 December 2014, Translators: Professor Christian Tomuschat and Professor David P. Currie, Professor Donald P. Kommers in cooperation with the Language Service of the German Bundestag, ონტ. მის: <https://www.btg-bestellservice.de/pdf/80201000.pdf> (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

პროგრამების განხორციელება და მომსახურების გაწევა ადგილობრივი საზოგადოების საქმეა. შესაბამისად საზოგადოებას შეუძლია თავისი შეხედულების მიხედვით მოინდომოს და დააფინანსოს მედიაცია საკუთარი შეხედულებებისა და პრიორიტეტების მიხედვით. რაც შეეხება შუამავლობას დაზარალებულსა და სამართალდამრღვევს შორის, მედიაციის ეროვნულმა ბიურომ, რომელსაც იუსტიციის სამინისტრო აფინანსებს, მედიაციის ფედერალურ ასოციაციასთან ერთად ჩამოაყალიბა ხარისხის სერტიფიკატი და აკრედიტაციის პროცედურა⁵⁸.

გერმანიაში მედიაციის სწავლება სიღრმისეულია, თეორიაზეა დაფუძნებული და ამ ორგანიზაციებიდან მედიაციის განხორციელებაზე აკრედიტაციის მინიჭება მოითხოვს პრაქტიკაზე ზედამხედველობას. მედიაციის ფედერალურმა ასოციაციამ შეიმუშავა აგრეთვე ეთიკის კოდექსი მედიატორებისთვის⁵⁹. სრული სასწავლო კურსი განკუთვნილია იურიდიული განათლების არმქონე პირთათვის. მწვავე დებატები გაიმართა იმასთან დაკავშირებით, უნდა იყოს თუ არა მედიატორი იურისტი. აღნიშნული სამართლებრივი დახმარების შესახებ კანონის არსებობამ გამოიწვია და რაც იურისტებს ანიჭებს მონოპოლიას ყველა ტიპის სამართლებრივი კონსულტაციის გაწევაზე.⁶⁰ თავდაპირველად იუსტიციის ფედერალურმა სამინისტრომ განცხადება გამოაქვეყნა იმის შესახებ, რომ მედიაციის განხორციელება არ იყო ექსკლუზიურად იურისტების საქმიანობის სფერო და სხვა პროფესიის ადამიანებს თანაბრად შეეძლოთ მედიატორის ფუნქციის შესრულება. შემდეგ ცვლილება შევიდა კანონში სამართლებრივი დახმარების შესახებ და იგი შეიცვალა კანონით იურიდიული მომსახურების შესახებ (2008 წელი)⁶¹, რომელიც უფრო ლიბერალურია და უფლებას აძლევს იურიდიული განათლების არმქონე პირებს, გარკვეულ ვითარებაში, გასცენ იურიდიული კონსულტაცია.

⁵⁸ Jehle Jörg –Martin, *Criminale Justice in Germany*, Fifth Edition 2009, Published by Federal Ministry of Justice, Berlin, P.25;

⁵⁹ Code of Ethics for Elder Mediators, November 2016, this Code is also available in German, French and Mandarin, ინტ.მის: <https://elder-mediation-international.net/wp-content/uploads/2016/11/EMIN-Code-of-Ethics-Eighth-Edition-1.pdf> (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

⁶⁰ Trenczek T., “Victim-offender-Mediation” in Germany ADR under the shadow of the Criminal Law. *Bond Law Review* (2001).p. 145

ინტ.მის.:<http://heinonline.org/HOL/LandingPage?handle=hein.journals/bondlr13&div=19&id=&page=> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

⁶¹ Legal Services Act in Germany, 2008, The Act was adopted by the German Bundestage as Article 1 of the Act of 12 December 2007;

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 46-ე მუხლი ავალდებულებს სასამართლოს, გაითვალისწინოს, განხორციელდა თუ არა დაზარალებულისა და სამართალდამრღვევის მედიაცია რაიმე ფორმით. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო რისკავს საკუთარი გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობით⁶². ჩვეულებრივ საქმეთა გადამისამართება მედიაციის მიმართულებით (დაახლოებით 80%) პროკურორის მიერ ხდება ბრალის წარდგენამდე გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის⁶³ და არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეების განმხილველი სასამართლოს შესახებ კანონის საფუძველზე⁶⁴. ზოგ შემთხვევაში პოლიციასაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა შეუძლია მოახდინოს საქმის გადამისამართებაზე, მაგრამ, წესისამებრ, მათ არ შეუძლიათ საქმის ოფიციალურად გადამისამართება.⁶⁵

რამდენიმე ხნის წინ ჩატარებული კვლევის თანახმად ქვეყნის მასშტაბით მედიაციის პროგრამაში ჩართულია 400-მდე დაწესებულება. მათი უმეტესობა პატარა ორგანიზაციებია, რომლებშიც ერთი (ნახევარ განაკვეთზე დასაქმებული) მედიატორი მუშაობს, რომელსაც წელიწადში 50-მდე საქმე აქვს. მედიაციის ყველაზე დიდი პროგრამაა “Waage” ჰანოვერში. მასში დასაქმებულია 4 მედიატორი, რომლებიც წელიწადში 600 საქმეზე მუშაობენ, რომელიც ეხება 600 ზრდასრულ სამართალდამრღვევს და კიდევ უფრო მეტ დაზარალებულს⁶⁶. კიოლნის მედიაციის

⁶² გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი 46-ა მუხლი, (13/11/1998), ინტ.მის: https://www.gesetze-im-internet.de/englisch_stgb/englisch_stgb.html, (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

⁶³ გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მუხლი 153.ა (მიღებულია 07/04/1987, ბუნდესტაგის, გერმანიის პარლამენტის მიერ), https://www.gesetze-im-internet.de/englisch_stpo/englisch_stpo.html, (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

⁶⁴ “Youth Courts Law in the version of the promulgation of 11 December 1974 (Federal Law Gazette [BGBl.] Part I p. 3427, most recently amended by Article 1 of the Act of 8 July 2008 (Federal Law Gazette Part I p. 1212)” Translation provided by the Federal Ministry for Justice and Chris Pavis and Neil Mussett and reproduced with kind permission. 45. (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

⁶⁵ Roth Markus and Gherdane David, *Mediation in Austria: The European Pioneer in Mediation Law and Practice*, Oxford University Press. 2012. Published Online January 2013. <http://oxfordindex.oup.com/view/10.1093/acprof:oso/9780199653485.003.0004> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

⁶⁶ Jehle Jörg –Martin, *Criminale Justice in Germany*, Fifth Edition 2009, Published by Federal Ministry of Justice, Berlin, P.28;

ეროვნული ბიუროს სტატისტიკური მონაცემების თანახმად, სადაც რეგისტრირებულია მედიაციის პროგრამების უმეტესობა, ამ ფორმით წელიწადში დაახლოებით 25 000 საქმე წყდება⁶⁷.

მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებებისა და გერმანიის მასშტაბით მედიაციის საქმეების რაოდენობის მატების მიუხედავად, გერმანიაში მედიაციის გამოყენება დღესდღეობით ხდება სისხლის სამართლის საქმეთა 5%-ზე ნაკლებ შემთხვევაში. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად პოტენციურად შესაძლებელია მისი გამოყენება სისხლის სამართლის საქმეთა 95%-ის შემთხვევაში. განსხვავება რეალურ გამოყენებასა და მისი გამოყენების პოტენციურ შესაძლებლობას შორის ცხადყოფს განსხვავებას საკანონმდებლო მიზნებსა და სისხლის სამართლის სისტემის წარმომადგენელთა მოლოდინებსა და მათ მიერ მედიაციის სისტემის როლის არასრულფასოვან გაგებას შორის⁶⁸. მედიაციის პროგრამები უფრო წარმატებულია იმ შემთხვევაში, თუ სისხლის სამართალწარმოების მონაწილეები მასში სამართალწარმოების სისტემის ამოქმედებამდე ჩაერთვებიან⁶⁹.

2.1.3. სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმები ბელგიაში

ბელგიაში 1987 წელს დაიწყო პირველი საპილოტე პროექტის განხორციელება არასრულწლოვანი სამართალდამრღვევებისთვის⁷⁰. ბელგიის კანონი ახალგაზრდობის დაცვის შესახებ (2006 წელი) ადგენს, რომ მოკვლევის ეტაპზე პროკურორი ვალდებულია, მედიაცია შესთავაზოს ყველა არასრულწლოვანს,⁷¹ ვინც

⁶⁷ Jehle Jörg –Martin, *Criminale Justice in Germany*, Fifth Edition 2009, Published by Federal Ministry of Justice, Berlin, P.28;

⁶⁸ იქვე, P.29-30;

⁶⁹ Trenczek T., “Victim-offender- Mediation” in Germany, *ADR under the shadow of the Criminal Law*. Bond Law Review (2001)P. 188

ინტ. მის.: <http://heionline.org/HOL/LandingPage?handle=hein.journals/bondlr13&div=19&id=&page=> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

⁷⁰ Bram Van Droogenbroeck: *Victim Offender Mediation in Severe Crimes in Belgium*. 2010. Internet pub <http://mereps.foresee.hu/en/segedoldalak/news/271/8635c8c55f/214/> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

⁷¹ ადდგენითი მართლმსაჯულება გამოიყენება 12\14-18 წლამდე არასრულწლოვნების მიმართ. მედიაციის გამოყენება შეიძლება 12 წლიდან.

დანაშაული ჩაიდინა, თუ დაზარალებული დადგენილია⁷². სასამართლოში საქმის წარმოების დროს არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველ მოსამართლესაც შეუძლია მედიაციის შეთავაზება. მედიატორები დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლები არიან და მათი სპეციალობაა არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მუშაობა⁷³.

1993 წელს დანაშაულისა და ვიქტიმოლოგიის კვლევის ჯგუფმა დაიწყო კვლევის ჩატარება სათაურით "მედიაცია დარღვეული უფლების აღდგენისთვის"⁷⁴. მკვლევარები შთაგონებულნი იყვნენ მძიმე ძალადობრივი დანაშაულის შედეგად დაზარალებულთა გამოკითხვის შედეგებით. მათი პასუხებიდან ირკვეოდა, რომ დაზარალებულებს სურვილი ჰქონდათ, უფრო მჭიდროდ ყოფილიყვნენ ჩაბმულნი კონფლიქტის გადაწყვეტაში. კვლევა იმასაც ისახავდა მიზნად, რომ გაერკვიათ, თუ რამდენად შესაძლებელი იყო მედიაცია და კომუნიკაცია დაზარალებულსა და სამართალდამრღვევს შორის შედარებით მძიმე დანაშაულების შემთხვევაში სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე⁷⁵. ამასთან ფედერალური იუსტიციის მინისტრის ბრძანებით მსგავსი ინიციატივები განხორციელდა თითქმის ყველა ფლამანდიურ ოლქში⁷⁶. 1996 წლიდან ბელგიის რამდენიმე ქალაქში მედიაციის პროექტები ხორციელდება პოლიციის დონეზე⁷⁷. ასეთი პროექტების ყურადღების ცენტრშია ნაკლებად მნიშვნელოვანი დანაშაულების შემთხვევაში მატერიალური კომპენსაციის საკითხი. ძალიან ხშირად მედიატორის შემდეგ საქმე იხურება და მას რაიმე სისხლისსამართლებრივი შედეგები არ

⁷² ბელგიის კანონი „ახალგაზრდობის დაცვის შესახებ“ (მიღებულია 2006 წელს), http://www.protection-of-minors.eu/en/BE_overview.php, (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

⁷³ ბელგიის კანონი "სისხლის სამართლის საქმეებზე მედიაციის შესახებ" 24.1, (მიღებულია 10/02/1994 წელს), <http://www.nall.nl/tijdschrift/nall/2016/02/NALL-D-15-00005>, (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

⁷⁴ Aerston I. Peters T., Mediation and Restorative Justice in Belgium, European Journal on Criminal Policy and Research, 1998. PP 507;

⁷⁵ იქვე, 507-512;

⁷⁶ Biermans N. Restorative justice and the prison system, 2002, Paper from the second conference of the European Forum for Victim-Offender Mediation and Restorative Justice, Oostende, Belgium, 10-12 October, Pp 61-64. <http://www.justicereparatrice.org/www.restorativejustice.org/articlesdb/articles/5520> (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

⁷⁷ Aerston I. Peters T., Mediation and Restorative Justice in Belgium, European Journal on Criminal Policy and Research, 1998. PP 518;

მოსდევს⁷⁸. 2000 წელს ბელგიის იუსტიციის მინისტრმა გადაწყვიტა აღდგენითი მართლმსაჯულების პრაქტიკის გამოყენება ციხეებში⁷⁹.

2000 წლის ნოემბრიდან აღდგენითი მართლმსაჯულების მრჩევლები ბელგიის ყველა ციხეში მუშაობენ⁸⁰. მათი ერთ-ერთი ფუნქციაა, ხელი შეუწყონ დაზარალებულისა და სამართალდამრღვევის კომუნიკაციას. ციხეებში მედიაციის გამოყენება მსჯავრდებულებსა და დაზარალებულებს შორის 2001 წელს დაიწყო⁸¹. მედიაციის შეხვედრები იმართებოდა სასჯელაღსრულების დაწესებულების ფარგლებს გარეთ, რათა დაცული ყოფილიყო აღდგენითი მართლმსაჯულების პრინციპები⁸².

მედიაციის განვითარების თვალსაზრისით 2005 წელი მნიშვნელოვანი იყო ბელგიაში⁸³. ბელგიის პარლამენტმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მედიაციის შესახებ ნოვაციური დამატებები განახორციელა. კანონმა გააფართოვა დაზარალებულსა და სამართალდამრღვევს შორის მედიაციის გამოყენების შესაძლებლობა⁸⁴. თუ დაზარალებული და სამართალდამრღვევი თანახმა არიან, მონაწილეობა მიიღონ მედიაციაში, მისი გამოყენება შეიძლება სამართალწარმოების ყველა ეტაპზე და დანაშაულის ყველა კატეგორიის საქმეზე⁸⁵. ეს კანონი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კონფიდენციალობის, ნეიტრალობისა და თავისუფალი მონაწილეობის პრინციპებს⁸⁶. შესაბამისად, მედიატორები არ არიან დაკავშირებულნი სისხლის სამართლის სისტემასთან. ისინი მუშაობენ

⁷⁸ ბელგიის კანონი "სისხლის სამართლის საქმეებზე მედიაციის შესახებ" 51, (მიღებულია 10/02/1994 წელს), <http://www.nall.nl/tijdschrift/nall/2016/02/NALL-D-15-00005>, (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

⁷⁹ Biermans N. Restorative justice and the prison system, 2002, Paper from the second conference of the European Forum for Victim-Offender Mediation and Restorative Justice, Oostende, Belgium, 10-12 October, Pp 61., <http://www.justicereparatrice.org/www.restorativejustice.org/articlesdb/articles/5520> (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

⁸⁰ იქვე, P.62;

⁸¹ იქვე P. 64;

⁸² იქვე P. 65;

⁸³ Bram Van Droogenbroeck: Victim Offender Mediation in Severe Crimes in Belgium. 2010. Internet pub <http://mereps.foresee.hu/en/segedoldalak/news/271/8635c8c55f/214/> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

⁸⁴ Justice Janine P. Geske (ret.) Director of the Restorative Justice Initiative at Marquette University Law School, Restorative Justice in Belgium, 2014. <https://law.marquette.edu/assets/community/pdf/rji/news-restorative-justice-in-belgium.pdf>, (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

⁸⁵ ბელგიის კანონი "სისხლის სამართლის საქმეებზე მედიაციის შესახებ", 28.3 (მიღებულია 10/02/1994 წელს), <http://www.nall.nl/tijdschrift/nall/2016/02/NALL-D-15-00005>, (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

⁸⁶ იქვე 8.1.2.3;

დამოუკიდებელ არასამთავრობო ორგანიზაციებში და წარმოადგენენ მედიაციისა და აღდგენითი მართლმსაჯულების სპეციალისტებს, რომელთაც ოფიციალურად აღიარებს იუსტიციის სამინისტრო⁸⁷.

პროკურორი მხარეებს სთავაზობს მედიაციის პროგრამაში მონაწილეობას და წარმატებული მედიაციის შემთხვევაში, წყდება სისხლის სამართალწარმოება⁸⁸. მედიაციის პირობა შესაძლოა გულისხმობდეს მონაწილეობას საგანმანათლებლო და სამკურნალო პროგრამებში⁸⁹. ბელგიაში მოქმედი 1994 წლის კანონით განსაზღვრულია, რომ უნდა დაინიშნონ მოსამართლის თანამემწეები ყველა რაიონში, რომლებიც არიან იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო მოხელეები და თანამშრომლობენ პროკურატურასთან⁹⁰. ამ შემთხვევაში მედიაციის შეთავაზება ხდება მხოლოდ ნაკლებად მძიმე დანაშაულის შემთხვევაში, რომლისთვისაც პროკურორი საქმის სასამართლოში განხილვის დროს არ მოითხოვდა 2 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთას⁹¹.

1994 წლიდან ყოველწლიურად ათასობით საქმე წყდება მედიაციის ამ ფორმის გამოყენებით. თუმცა ის ფაქტი, რომ მედიაცია ამ ფორმით სასამართლო სისტემის ფარგლებში ხდება, ეჭვს ბადებს მხარეთა შორის კომუნიკაციის სიღრმისა და ხარისხის თაობაზე⁹².

„მედიაციის სამსახური“ – მის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა “vzw Suggnome”⁹³ და “asbl Mediante”. ორივე მათგანი ბელგიის იუსტიციის სამინისტროს მიერ აღიარებული მედიაციის სამსახურებია.⁹⁴ “vzw Suggnome” მედიაციის ძირითადი ორგანიზაციაა ბელგიის

⁸⁷ ბელგიის კანონი "სისხლის სამართლის საქმეებზე მედიაციის შესახებ", 34.1 (მიღებულია 10/02/1994 წელს), <http://www.nall.nl/tijdschrift/nall/2016/02/NALL-D-15-00005>, (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

⁸⁸ იქვე 31.2;

⁸⁹ იქვე 28.4;

⁹⁰ იქვე 31.1;

⁹¹ იქვე, 31.2;

⁹² Justice Janine P. Geske (ret.) Director of the Restorative Justice Initiative at Marquette University Law School, Restorative Justice in Belgium, 2014. <https://law.marquette.edu/assets/community/pdf/rji/news-restorative-justice-in-belgium.pdf>, (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

⁹³ Suggnome – ძველი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს " სხვადასხვა კუთხიდან თანადროულად დანახულ რეალობას"

⁹⁴ Bram Van Droogenbroeck: Victim Offender Mediation in Severe Crimes in Belgium. 2010.

ფლამანდიურ ნაწილში. მას აქვს თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებები თითქმის ყველა რაიონში მოქმედ ადგილობრივ სისხლისსამართლებრივ დაწესებულებებთან და სხვა ორგანიზაციებთან. მათ აფინანსებს იუსტიციის ფედერალური სამინისტრო და აგრეთვე ფლამანდიის კეთილდღეობის დეპარტამენტი⁹⁵.

8 წლის განმავლობაში "vzw Suggnome"-ში შემოვიდა 630 განაცხადი მედიაციის მოთხოვნით⁹⁶. ორგანიზაციამ ჩაატარა მედიაცია 343 საქმეზე (ერთი დაზარალებულისა და ერთი სამართალდამრღვევის მონაწილეობით) 84 საქმე პირისპირ შეხვედრის შედეგად. მედიაცია ჩატარდა ქონებრივი დანაშაულის 124 საქმეზე, 108 მკვლელობის და 111 სქესობრივი დანაშაულის საქმეზე⁹⁷.

ბელგიაში მიაჩნიათ, რომ რაც უფრო მძიმეა დანაშაულის შედეგი, მით უფრო საჭიროა მედიაცია. ამ ტიპის დანაშაულებზე მედიაციის გამოყენებლობა მათი აზრით გამოიწვევდა დაზარალებულის ხელახალ ვიქტიმიზაციას⁹⁸. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და ქართველ კანონმდებელთა მოსაზრებების თანახმად პროკურორმა საკუთარი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, მიუხედავად მედიაციის გამოყენებისათვის საჭირო პირობების არსებობისა, არ უნდა გამოიყენოს მედიაცია, როდესაც დანაშაულებრივი ქმედების შედეგი საგრძნობლად მძიმეა (საგულისხმოა დაზარალებულის ფსიქო-ემოციური მდგომარეობა). მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ვეთანხმები ქართველ კანონმდებელს და მიმაჩნია, რომ დაზარალებულის ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილების მიზნისათვის არ შეიძლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიღმა დავტოვოთ ბრალდებული, რომლის განზრახ ქმედებამ

Internet publication <http://mereps.foresee.hu/en/segedoldalak/news/271/8635c8c55f/214/> (მომიებულია 2017

წლის 30 მაისს);

⁹⁵ Justice Janine P. Geske (ret.) Director of the Restorative Justice Initiative at Marquette University Law School, Restorative Justice in Belgium, 2014. <https://law.marquette.edu/assets/community/pdf/rji/news-restorative-justice-in-belgium.pdf>, (მომიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

⁹⁶ Burssens D. Penal mediation in Belgium. Insights on the basis of registered data. Paper presented at the ESC Conference, 13th of september 2012, Bilbao (Spain). P. 5.

https://lirias.kuleuven.be/bitstream/123456789/533029/1/2012BiSpaperESC_EN.pdf (მომიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

⁹⁷ იქვე, P. 8.


⁹⁸ Biermans N. Restorative justice and the prison system, 2002, Paper from the second conference of the European Forum for Victim-Offender Mediation and Restorative Justice, Oostende, Belgium, 10-12 October, Pp 61.,

<http://www.justicereparatrice.org/www.restorativejustice.org/articlesdb/articles/5520> (მომიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

დაზარალებულისათვის ასეთი მძიმე შედეგი გამოიწვია. ბრალდებულის მიერ გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში დასაშვებია სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიების გამოყენება მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში⁹⁹.

2006 წელს ბელგიაში მოქმედი ახალგაზრდობის დაცვის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა მედიაციაზე მიმართულ საქმეთა რაოდენობა.¹⁰⁰ საქმეთა უმრავლესობა ეხება ქონებრივ დანაშაულებს, როგორცაა სხვისი ნივთის დაზიანება, განადგურება, ძარცვა, მოპარული ნივთების განკარგვა. ოთხიდან ერთი საქმე პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია, როგორც არის მაგალითად, გაუპატიურება, მუქარა, ძალადობა¹⁰¹.

გრაფიკი#1. მედიაციით დასრულებულ საქმეთა რაოდენობა 2005-2008 წწ.



ფლამანდიურ მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით, რომელსაც აწარმოებს OSBG\ Kuypers Saskia

⁹⁹ ხაზგასმა ჩემია. ქუთათელაძე მ.

¹⁰⁰ Bram Van Droogenbroeck: Victim Offender Mediation in Severe Crimes in Belgium. 2010.


Internet publication <http://mereps.foresee.hu/en/segedoldalak/news/271/8635c8c55f/214/> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

¹⁰¹ Burssens D. Penal mediation in Belgium. Insights on the basis of registered data. Paper presented at the ESC Conference, 13th of september 2012, Bilbao (Spain). P. 11.

https://lirias.kuleuven.be/bitstream/123456789/533029/1/2012BiSpaperESC_EN.pdf (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

მოცემულ პერიოდებში ბელგიაში არასრულწლოვანი დამნაშავეების საშუალო ასაკი 15-16 წელი იყო¹⁰². ათიდან ცხრა შემთხვევაში სამართალდამრღვევი ბიჭი იყო. მედიაცია არც კი დაწყებულა იმ საქმეების 61%-ის შემთხვევაში, სადაც მხარეებს მედიაცია შესთავაზეს¹⁰³.

გრაფიკი #2. მედიაციაზე უარის თქმის მიზეზთა პროცენტული მაჩვენებელი



მედიაციით დაწყებული საქმეებიდან ვერ დასრულდა მხოლოდ 15%. მედიაციის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს როგორც დაზარალებულმა ისე სამართალდამრღვევმა¹⁰⁴. დასრულებული მედიაციიდან ექვსი წარმატებით სრულდება მხარეთა შეთანხმებით¹⁰⁵. რამდენიმე შემთხვევაში შესაძლოა მოხდეს ნაწილობრივი შეთანხმება, სადაც დაზარალებული ინარჩუნებს ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას. ეს იმას ნიშნავს, რომ მხარეებმა საკუთარი კონფლიქტის გადაწყვეტის შესახებ კონსესუსს ვერ მიაღწიეს შვიდიდან მხოლოდ ერთ შემთხვევაში¹⁰⁶.

¹⁰² Burssens D. Penal mediation in Belgium. Insights on the basis of registered data. Paper presented at the ESC Conference, 13th of september 2012, Bilbao (Spain). P. 12.
https://lirias.kuleuven.be/bitstream/123456789/533029/1/2012BiSpaperESC_EN.pdf (მოძიებულია 2017 წლის 23

ოქტომბერს);


¹⁰³ იქვე P.14;

¹⁰⁴ იქვე P.17;

¹⁰⁵ იქვე P.18;

¹⁰⁶ იქვე P.20;

გრაფიკი #3. წარმატებით დასრულებული მედიაციის საქმეთა პროცენტული მაჩვენებელი




საქმეთა უმრავლესობა ბოლომდე აღსრულდება, რაც იმით აიხსნება, რომ მედიატორს აქვს სამართლებრივი ვალდებულება, შემდეგაც მიაღწევოს თვალი საქმეს. იგი ვალდებულია, სამართალწარმოების ორგანოებს აცნობოს მედიაციის შედეგი¹⁰⁷.

¹⁰⁷ Burssens D. Penal mediation in Belgium. Insights on the basis of registered data. Paper presented at the ESC Conference, 13th of september 2012, Bilbao (Spain). P. 25.

https://lirias.kuleuven.be/bitstream/123456789/533029/1/2012BiSpaperESC_EN.pdf (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

გრაფიკი #4 მხარეთა შეხვედრით გამართული მედიაციის საქმეთა პროცენტული მაჩვენებელი

პირდაპირი & არაპირდაპირი მედიაცია



მხოლოდ საქმეთა 30%-ის შემთხვევაში გადაწყვიტეს სამართალდამრღვევმა და დაზარალებულმა შეხვედროდნენ ერთმანეთს¹⁰⁸. უამრავი მიზეზი არსებობს იმისა, თუ რატომ არ სურთ მხარეებს, ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ, ასეთებია: მათი ურთიერთობა, გარკვეული გრძნობები მეორე მხარის მიმართ, როგორც შეიძლება იყოს სირცხვილი, შიში, ენობრივი ბარიერი ან მედიატორის მეთოდოლოგიური მიდგომა¹⁰⁹.

¹⁰⁸ Burssens D. Penal mediation in Belgium. Insights on the basis of registered data. Paper presented at the ESC Conference, 13th of september 2012, Bilbao (Spain). P. 25.
https://lirias.kuleuven.be/bitstream/123456789/533029/1/2012BiSpaperESC_EN.pdf (მოძიებულია 2017 წლის 23

ოქტომბერს);

¹⁰⁹ იქვე P. 26.

ბელგიაში მედიატორი უნდა მუშაობდეს მედიაციის აღიარებულ სამსახურში და როგორც უკვე აღინიშნა, არ უნდა იყოს დაკავშირებული სისხლის სამართლის სისტემასთან¹¹⁰. მედიაციის სამსახურები მრავალდისციპლინური ორგანიზაციებია, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ სასამართლო და პარა-სასამართლო სტრუქტურებთან თანამშრომლობის სამოქმედო გეგმა. როცა მედიაციის სამსახური უარს აცხადებს მედიაციაზე, მან ეს უარი უნდა დაასაბუთოს¹¹¹. მედიაციის სამსახური ვალდებულია, განიხილოს ყველა განაცხადი მედიაციის შესახებ და განსაზღვროს, თუ რამდენად მისაღებია კონკრეტულ საქმეზე მედიაციის წარმოება. ამ გადაწყვეტილების მიღება ხდება სასამართლო მასალებზე დაყრდნობითა და მხარეებთან კონტაქტის საფუძველზე. ავტომატურად უარის თქმა მედიაციაზე არც ერთ საქმეზე არ შეიძლება, თუმცა კანონი აღიარებს, რომ მედიაციის გამოყენებას აქვს საკუთარი მეთოდოლოგიური ფარგლები, რამაც შესაძლოა, განაპირობოს უარი მედიაციის წარმოებაზე¹¹².

არსებობს ეთიკის კომისია, რომელმაც შეიმუშავა ქცევის სტანდარტები, რაც ყველა აღიარებულ მედიაციის სამსახურზე ვრცელდება. კომისიას აქვს დამხმარე, საინფორმაციო და საკონსულტაციო ფუნქცია. მან შეიმუშავა ეთიკის კოდექსი¹¹³. ეთიკასთან დაკავშირებული საკითხის შემთხვევაში მედიაციის სამსახურს შეუძლია, მიმართოს კომისიას რჩევისთვის. მხარეებსაც, რომლებიც მედიატორის მომსახურებით სარგებლობენ, შეუძლიათ მიმართონ კომისიას, თუ მიაჩნიათ, რომ ეთიკური ნორმა დაირღვა მათ საქმეზე¹¹⁴. ეთიკის კომისია თვალყურს ადევნებს აგრეთვე მედიატორების მზადების პროგრამას, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათთვის ეთიკის საკითხების სწავლება. მიუხედავად იმისა, რომ ბელგიაში, ყველა რაიონში არსებობს მედიაციის სამსახური, რომელსაც

¹¹⁰ ბელგიის კანონი "სისხლის სამართლის საქმეებზე მედიაციის შესახებ" 18.3, (მიღებულია 10/02/1994 წელს), <http://www.nall.nl/tijdschrift/nall/2016/02/NALL-D-15-00005>, (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

¹¹¹ Bram Van Droogenbroeck: Victim Offender Mediation in Severe Crimes in Belgium. 2010. Internet publication <http://mereps.foresee.hu/en/segedoldalak/news/271/8635c8c55f/214/> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

¹¹² ბელგიის კანონი "სისხლის სამართლის საქმეებზე მედიაციის შესახებ" 26.2, (მიღებულია 10/02/1994 წელს), <http://www.nall.nl/tijdschrift/nall/2016/02/NALL-D-15-00005>, (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

¹¹³ Schijndel R.A.M. van, Confidentiality and Victim-Offender Mediation, Antwerpen, Apeldoorn, Portland, 2009. P145.

¹¹⁴ იქვე, P146;

მართავს მედიაციის ერთ-ერთი აღიარებული სამსახური¹¹⁵, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი კანონის იმპლემენტაციის უზრუნველსაყოფად¹¹⁶.

2.1.4. სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმები ავსტრიაში.

სასამართლოს გარეთ დავის მოგვარება - “Aussergerichtlicher Tatausgleich”

ავსტრიაში მოქმედი “სასამართლოს გარეთ დავის მოგვარება” ერთ-ერთი წარმატებული მაგალითია აღდგენით მართლმსაჯულებაში¹¹⁷.

ავსტრიაში მედიაციას დაზარალებულსა და სამართალდამრღვევს შორის უწოდებენ “Aussergerichtlicher Tatausgleich” (ATA), რაც ითარგმნება როგორც “საქმის სასამართლოს გარეთ მოგვარება”¹¹⁸. სამართალდამრღვევის მიერ დაზარალებულისათვის კომპენსაციის გადახდის იდეას ხანგრძლივი ტრადიცია აქვს ავსტრიაში. უკვე 200 წელიწადია, ორი ასპექტი-სამართალდამრღვევის მიერ პასუხისმგებლობის აღება და დაზარალებულის მიერ კომპენსაციის მიღება – წამყვან როლს თამაშობს ავსტრიის სისხლის სამართალში¹¹⁹. ეგრეთ წოდებული “აქტიური სინანულის” (Taetige Reue) ინსტიტუტი ავსტრიაში მოქმედებს 1787 წლიდან და დღემდე გამოიყენება იმ სამართალდარღვევებისათვის,

¹¹⁵ ბელგიის კანონი "სისხლის სამართლის საქმეებზე მედიაციის შესახებ" 18.3, (მიღებულია 10/02/1994 წელს), <http://www.nall.nl/tijdschrift/nall/2016/02/NALL-D-15-00005>, (მომიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

¹¹⁶ Klaus J. Hopt and Steffek F., Mediation: Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press. 2012. P. 23 Publisher Online January 2013. <http://www.oxfordscholarship.com/view/10.1093/acprof:oso/9780199653485.001.0001/acprof-9780199653485> (მომიებულია 2017 წლის 30 მაისს);

¹¹⁷ Pelikani Christa, The Results of Empirical Research into the Issue of Victim-offender Mediation in Domestic Violence Cases. Institute for the Sociology of Law and Criminology, Vienna. 2009. Internet publication <http://restorativejustice.org/10fulltext/pelikan-christa.-victim-offender-mediation-in-domestic-violence-cases-a-research-report.html>. (მომიებულია 2017 წლის 30 მაისს);

¹¹⁸ Markus Roth and David Gherdane, Mediation in Austria: The European Pioneer in Mediation Law and Practice, Oxford University Press. 2012. Published Online January 2013. <http://oxfordindex.oup.com/view/10.1093/acprof:oso/9780199653485.003.0004> (მომიებულია 2017 წლის 30 მაისს);

¹¹⁹ Christa Pelikan- On Restorative Justice. Institute for the Sociology of Law and Criminology, Vienna. 2005.: <http://restorativejustice.org/10fulltext/pelikan.htmlhttp://restorativejustice.org/10fulltext/pelikan-christa.-victim-offender-mediation-in-domestic-violence-cases-a-research-report.html>. (მომიებულია 2017 წლის 30 მაისს);

რომელებიც კოდექსით არის განსაზღვრული¹²⁰. თუ სამართალდამრღვევი აშკარად გამოხატავს სინანულს დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ან კომპენსაციის ფორმით, მაშინ მასზე სასჯელი არ უნდა გავრცელდეს. სინანულის ეს აქტი და სამართალდამრღვევის მიერ აღიარება უნდა მოხდეს იმ დრომდე, ვიდრე პოლიცია შეიტყობს სამართალდამრღვევის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტს¹²¹.

გარდა ამ წესისა, რაც სამართალდამრღვევს საშუალებას აძლევს გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან, არსებობს სხვა დებულებების ფართო სპექტრი, რომელიც ავსტრიის კანონმდებლობაში მოქმედებს აღდგენითი მართლმსაჯულების მიდგომის ფარგლებში. ეს დებულებები ჩამოყალიბებულია სისხლის სამართლის კოდექსში (Strafgesetzbuch)¹²², კორპორაციული პასუხისმგებლობის აქტში (Verbandsverantwortlichkeitsgesetz)¹²³, მაგრამ ძირითადად ეს დებულებები ჩამოყალიბებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (Strafprozessordnung - StPO)¹²⁴ და სასამართლოს აქტში არასრულწლოვნების შესახებ (Jugendgerichtsgesetz)¹²⁵. ამ საკითხებს შორის წამყვანი ადგილი უჭირავს განრიდებას; სისხლის სამართლის კანონმდებლობაში გატარებული რეფორმების შედეგად დაზარალებულს აქვს უფლებების ფართო სპექტრი მთელი პროცესის განმავლობაში¹²⁶. აღდგენითი მართლმსაჯულების განმტკიცების მიზნით, ახლა ავსტრიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში კონკრეტულად წერია, რომ უფლებამოსილი პირები (მოსამართლეები და პროკურორები) უნდა მოქმედებდნენ დაზარალებულის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე და უნდა უზრუნველყონ

¹²⁰ Criminale Code (Strafgesetzbuch, StGB), As promulgated on 13 November 1998 (Federal Law Gazette I, p. 945, p. 3322), Translation provided by the Federal Ministry of Justice and reproduced with kind permission, (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

¹²¹ Schijdnel R.A.M. van, Confidentiality and Victim-Offender Mediation, Antwerpen, Apeldoorn, Portland, 2009. P43

¹²² Criminale Code (Strafgesetzbuch, StGB), As promulgated on 13 November 1998, Translation provided by the Federal Ministry of Justice and reproduced with kind permission, (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

¹²³ Verbandsverantwortlichkeitsgesetz, Corporate Criminal Liability Act (Austria), entered into force on 1 January 2006. (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

¹²⁴ Criminal Procedure Code, Austria, Strafprozessordnung – StPO, enacted December 9, 1975.

<http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=9753> (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

¹²⁵ “Youth Courts Law in the version of the promulgation of 11 December 1974 (Federal Law Gazette [BGBl.] Part I p. 3427, most recently amended by Article 1 of the Act of 8 July 2008 (Federal Law Gazette Part I p. 1212)” Translation provided by the [Federal Ministry for Justice](#) and Chris Pavis and Neil Mussett and reproduced with kind permission. (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

¹²⁶ Criminal Procedure Code, Austria, Strafprozessordnung – StPO, enacted December 9, 1975.

<http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=9753> (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის მაქსიმალური ანაზღაურება; თუ სამართლებრივი კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია, მაშინ პროკურორმა უნდა შესთავაზოს განრიდების ღონისძიება ექვმიტანილს წინა სასამართლო სხდომაზე (სანამ ბრალის წაყენება მოხდება¹²⁷)¹²⁸. საქმეების 90%-ში პროკურორი ვალდებულია, აირჩიოს განრიდების მექანიზმი (დაზარალებულის და სამართალდამრღვევის თანხმობა აუცილებელია) და მხოლოდ საქმეების 10%-ში ხდება მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღება განრიდების თაობაზე¹²⁹;

დაზარალებული-სამართალდამრღვევის მედიაციის საქმეების უმეტესობა იგზავნება “Neustart”-ში (პრობაციის და სოციალური მუშაკების ყოფილი ასოციაცია), ეს არის ეროვნული, კერძო, არამომგებიანი ორგანიზაცია, რომელიც ასევე პასუხისმგებელია პრობაციის სამსახურის მართვაზე, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაზე და ავსტრიაში დანაშაულის პრევენციის პროგრამის განხორციელებაზე¹³⁰.

დაზარალებული-სამართალდამრღვევის მედიაცია ხორციელდება პროფესიონალი მედიატორების მიერ, რომელთაც “konfliktregler”-ს უწოდებენ¹³¹. მხოლოდ სპეციალიზებული და ტრენინგგავლილი მედიატორები ახორციელებენ მედიაციას სისხლის სამართლის საქმეებზე. ტრენინგი “მედიაცია სისხლის სამართლის საქმეებზე” ეფუძნება სტანდარტებს, რომელიც შექმნილია “ავსტრიის მედიატორების ფედერალური ასოციაციის მიერ” (Österreichischer Bundesverband für

¹²⁷ Roth Markus and Gherdane David, *Mediation in Austria: The European Pioneer in Mediation Law and Practice*, Oxford University Press. 2012. P. 4 Published Online January 2013.
<http://oxfordindex.oup.com/view/10.1093/acprof:oso/9780199653485.003.0004> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

¹²⁸ Criminal Procedure Code, Austria, Strafprozessordnung – StPO, enacted December 9, 1975.
<http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=9753> (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

¹²⁹ Pelikani Christa, *The Results of Empirical Research into the Issue of Victim-offender Mediation in Domestic Violence Cases*. Institute for the Sociology of Law and Criminology, Vienna. 2009. Internet publication
<http://restorativejustice.org/10fulltext/pelikan-christa.-victim-offender-mediation-in-domestic-violence-cases-a-research-report.html>. (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

¹³⁰ Probation service: Together we come ahead, Official Blog, <https://www.neustart.at/at/de/> (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

¹³¹ Lauwaert K. and Aertsen I. (editors), *Desistance and restorative justice Mechanisms for desisting from crime within restorative justice practices*, European Forum for Restorative Justice v.z.w. 2015. P.46.
<http://www.euforumrj.org/wp-content/uploads/2015/11/Research-report-desistance-and-RJ-total-doc-24-11-final.pdf> (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

Mediator/innen“)¹³² სამოქალაქო საქმეებზე მედიაციის კანონის შესაბამისად¹³³. ტრენინგი გრძელდება სამი წელი, მაგრამ ძირითადად შედგება ადგილზე, სამსახურში პრაქტიკული ტრენინგისგან, დაკვირვების და გამოცდილი მედიატორის გვერდით ყოველდღიური მუშაობით. ამასთანავე, ტარდება თეორიული და პრაქტიკული სემინარები¹³⁴.

ავსტრიული ასოციაცია “Neustart”, რომელიც ახორციელებს VOM მომსახურებას მთელს ავსტრიაში და აქტიურად გამოიყენება მთელს სისხლის სამართალში (პრობაციის სამსახურის მართვა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, შემდგომი მზრუნველობა და დანაშაულის პრევენციის პროგრამა)¹³⁵.

“Verein” არის სრულიად ავტონომიური ორგანიზაცია¹³⁶. მიუხედავად მისი სამართლებრივი სტატუსისა, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მთელი კერძო ორგანიზაცია ხელფასს იღებს იუსტიციის სამინისტროდან. “Verein”-ის სამართლებრივი სტატუსი მოქმედებს ორგანიზაციის ადგილზე სახელმწიფოსთან მიმართებით. მიუხედავად ამისა, ორგანიზაცია ყოველთვის მოქმედებდა, როგორც დამოუკიდებელი ჯგუფი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში¹³⁷ და ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საპილოტე პროგრამების ჩამოყალიბებისას “არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხების

¹³² Lauwaert K. and Aertsen I. (editors), Desistance and restorative justice Mechanisms for desisting from crime within restorative justice practices, European Forum for Restorative Justice v.z.w. 2015. P.46.
<http://www.euforumrj.org/wp-content/uploads/2015/11/Research-report-desistance-and-RJ-total-doc-24-11-final.pdf>

(მოდებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

¹³³ Austrian Mediation Act, Published 6 June 2003, (Law on Mediation in Civil Law Matters),
<http://bgarf.ru/science/baltic-center-of-mediation-and-conflictology/publikacii/avstriya.pdf> (მოდებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

¹³⁴ Roth Markus and Gherdane David, Mediation in Austria: The European Pioneer in Mediation Law and Practice, Oxford University Press. 2012. P. 10 Published Online January 2013.

<http://oxfordindex.oup.com/view/10.1093/acprof:oso/9780199653485.003.0004> (მოდებულია 2017 წლის 30 მაისს);

¹³⁵ Probation service: Together we come ahead, Official Blog, <https://www.neustart.at/at/de/> (მოდებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

¹³⁶ Schijndel R.A.M. van, Confidentiality and Victim-Offender Mediation, Antwerpen, Apeldoorn, Portland, 2009. P.45;

¹³⁷ იქვე P.46;

სასამართლოს გარეშე მოგვარება”-სა და “ზოგადად სისხლის სამართლის საქმეების (სრულწლოვანებისათვის) სასამართლოს გარეშე მოგვარება”-სთან მიმართებაში¹³⁸. მედიაციისკენ მიმართული საქმეების 84% არის აგრესიასთან, თავდასხმასთან, ძალადობასთან, მუქარასთან, ზეწოლასა და ზოგიერთ შემთხვევაში ქურდობასთან დაკავშირებული დანაშაული. დარჩენილი 16% კი არის დანაშაული მიმართული ქონების წინააღმდეგ (ქურდობა, ყაჩაღობა, ვანდალიზმი). მხოლოდ სპეციალიზებული და ტრენინგგავლილი მედიატორები ახორციელებენ მედიაციას სისხლის სამართლის საქმეებზე¹³⁹. კონფლიქტის სახის მიხედვით შეიძლება გამოყენებული იყოს მედიაციის სხვადასხვა მეთოდები. საქმეზე შეიძლება იმუშაოს ერთმა ან ორმა მედიატორმა; მაგალითად მამაკაცი და ქალი მედიატორები, რომლებიც მუშაობენ ოჯახში ძალადობის საქმეებზე¹⁴⁰.

არასრულწლოვნების საქმეების 85% და სრულწლოვანების საქმეების 70% სრულდება მედიატორების მიერ, რომლებიც ანგარიშს საქმის წარმატებით დასრულების თაობაზე წარუდგენენ საზოგადოებრივ პროკურორს და ამით ასრულებენ სისხლისსამართლებრივ პროცედურებს¹⁴¹. ვენის უნივერსიტეტის სისხლის სამართლის ინსტიტუტის მიერ განხორციელებულმა კვლევამ დაადგინა, რომ ძირითადი მიზეზი ასეთი პოზიტიური შედეგისა იყო პროკურორების და მოსამართლეების მიერ წარმატებით არჩევა იმ საქმეებისა, რომლებიც შეესაბამება მედიაციას¹⁴².

¹³⁸ Pelikani Christa, The Results of Empirical Research into the Issue of Victim-offender Mediation in Domestic Violence Cases. Institute for the Sociology of Law and Criminology, Vienna. 2009.

Internet publication: <http://restorativejustice.org/10fulltext/pelikan-christa.-victim-offender-mediation-in-domestic-violence-cases-a-research-report.html>. (მომიებულია 2017 წლის 30 მაისს)

¹³⁹ Probation service: Together we come ahead, Official Blog, <https://www.neustart.at/at/de/> (მომიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

¹⁴⁰ Pelikani Christa, The Results of Empirical Research into the Issue of Victim-offender Mediation in Domestic Violence Cases. Institute for the Sociology of Law and Criminology, Vienna. 2009.

Internet publication: <http://restorativejustice.org/10fulltext/pelikan-christa.-victim-offender-mediation-in-domestic-violence-cases-a-research-report.html>. (მომიებულია 2017 წლის 30 მაისს)

¹⁴¹ Lauwaert K. and Aertsen I. (editors), Desistance and restorative justice Mechanisms for desisting from crime within restorative justice practices, European Forum for Restorative Justice v.z.w. 2015. P.122.

<http://www.euforumrj.org/wp-content/uploads/2015/11/Research-report-desistance-and-RJ-total-doc-24-11-final.pdf> (მომიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

¹⁴² Pelikani Christa, The Results of Empirical Research into the Issue of Victim-offender Mediation in Domestic Violence Cases. Institute for the Sociology of Law and Criminology, Vienna. 2009. Internet publication <http://restorativejustice.org/10fulltext/pelikan-christa.-victim-offender-mediation-in-domestic-violence-cases-a-research-report.html>. (მომიებულია 2017 წლის 30 მაისს);

ავსტრიის კანონმდებლობა ეფუძნება წარმატებულ საპილოტე პროცესს, რომელსაც აქვს კარგი და პრაქტიკული საფუძველი, რაც მათ ეფექტური გამოყენების საშუალებას აძლევს¹⁴³. “Neustart”-სა და პასუხიშვებელ უწყებებს შორის ეფექტიანი თანამშრომლობა, ასევე შესაბამისი მხარდაჭერა დაზარალებულთათვის, განრიდებისა და დაზარალებულ-სამართალდამრღვევს შორის მედიაციის უდიდესი წარმატების საფუძველი გახდა¹⁴⁴.

2.1.5. სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმები ნორვეგიაში

ნორვეგიის მედიაციის სამსახური პრაქტიკულად მოქმედებს ნორვეგიის იუსტიციის მინისტრის მიერ 1991 წელს მედიაციის სამსახურის შესახებ მიღებული აქტის საფუძველზე¹⁴⁵, რომლის გათვალისწინებითაც 1993 წელს ნორვეგიის მედიაციის სამსახური შეიქმნა. მედიაციასთან დაკავშირებული რეგულაციები აღწერს მედიაციის ეროვნული სამსახურის ამოცანებს და მიზანს. პირველი ნაწილი ადგენს: “მედიაციის სამსახურის მოვალეობაა, მოახდინოს მედიაცია იმ დავებისა, სადაც ერთმა ან რამდენიმე ადამიანმა გამოიწვია ზიანი ან სხვა ფორმით ჩაიდინა დანაშაული”¹⁴⁶. მედიაციის ეროვნული სამსახურის მიერ განხორციელებული მედიაცია ალტერნატივად მიიჩნევა სისხლის სამართლის პროცედურებისა და სხვა კონფლიქტების მოგვარების მიზნით, რაშიც მხარეებმა აქტიურად უნდა მიიღონ მონაწილეობა¹⁴⁷.

¹⁴³ Austrian Mediation Act, Published 6 June 2003, (Law on Mediation in Civil Law Matters), <http://bgarf.ru/science/baltic-center-of-mediation-and-conflictology/publikacii/avstriya.pdf> (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

¹⁴⁴ Roth Markus and Gherdane David, Mediation in Austria: The European Pioneer in Mediation Law and Practice, Oxford University Press. 2012. P. 10 Published Online January 2013. <http://oxfordindex.oup.com/view/10.1093/acprof:oso/9780199653485.003.0004> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

¹⁴⁵ ნორვეგიის იუსტიციის მინისტრის აქტი მედიაციის სამსახურის შესახებ (მიღებულია 15/03/1991 წელს), <https://www.global-regulation.com/translation/norway/5961973/law-on-national-mediation-treatment-%2528national-mediation-act%2529.html>, (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

¹⁴⁶ იქვე, ნაწილი პირველი;

¹⁴⁷ იქვე ნაწილი მეორე;

მედიაციისა და შერიგების სამსახური უნდა გამოიყენებოდეს ნებისმიერი ასაკობრივი ჯგუფებისთვის. ნორვეგიაში ეს მიდგომა ძირითადად გამოიყენება ვანდალიზმისა და მაღაზიაში ქურდობისას¹⁴⁸. ნორვეგიაში დაზარალებულისა და სამართალდამრღვევის მედიაცია ფართოდ გამოიყენება საქმეებში, სადაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკის ქვემოთ ბავშვები არიან ჩართულნი და ასევე არასრულწლოვანი დამნაშავეები 15-დან 18 წლამდე. სქემა არის ნებაყოფლობითი და თავისუფალი¹⁴⁹.

ნორვეგიაში ავტონომია ძალიან მაღალია, ვიდრე, მაგალითად საფრანგეთში ან ბელგიაში, სადაც დამოკიდებულების ხარისხი არსებობს ინდივიდუალური მედიატორების თანამდებობასთან მიმართებით (“სისხლის სამართლის მედიაცია¹⁵⁰” პროკურორის ზედამხედველობა).

პროკურორი პოლიციის დონეზე (ნორვეგიის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის დამახასიათებელი ნიშანი) მოქმედებს, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი რგოლი¹⁵¹, მაგრამ ის მარტო არ არის. საქმეების მცირე რაოდენობა-კონფლიქტები ოჯახში და სამეზობლოში ხშირად პირდაპირ მედიაციის სამსახურს გადაეცემა¹⁵². საქმეები, როგორც წესი, 2 კვირის ვადაში განიხილება მას შემდეგ, რაც ის გადაიგზავნება მედიაციის ეროვნულ სამსახურში¹⁵³. ინფორმაცია მედიაციის სამსახურში წარმატებით დასრულებული საქმის თაობაზე მიეწოდება პროკურორს შეთანხმების ასლთან ერთად. სისხლის სამართლის

¹⁴⁸ Peters T., Victim-Offender Mediation in Norway, Louven, Louven Univesrity Press, 2000, P.281

¹⁴⁹ Lynette Parker, The Norwegian System: Restorative Elements, December 2001, ინტ.მის:

<http://www.justicereparatrice.org/www.restorativejustice.org/editions/2001/Dec01/Norway> (მოძიებულია 2017

წლის 23 ოქტომბერს);

¹⁵⁰ ნორვეგიის იუსტიციის მინისტრის აქტი მედიაციის სამსახურის შესახებ, ნაწილი პირველი (მიღებულია 15/03/1991 წელს), <https://www.global-regulation.com/translation/norway/5961973/law-on-national-mediation-treatment-%2528national-mediation-act%2529.html>, (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

¹⁵¹ The Criminal Procedure Act, Norway, Ministry of Justice and the Police, Legislation Department, May 22, 1981, N25; <http://app.uio.no/ub/ujur/oversatte-lover/data/lov-19810522-025-eng.pdf> (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

¹⁵² Norway Criminale Code, Act N28, May 20, 2005, <http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=17417>, (მოძიებულია 2017 წლის 10 სექტემბერს);

¹⁵³ Restorative justice and victim-offender mediation in Norway, Anna Nylund, LL.D., Post doctorate scholar, University of Troms, 2002,

http://www.academia.edu/24358893/Restorative_justice_and_victim-offender_mediation_in_Norway

(მოძიებულია 2017 წლის 30 სექტემბერს);

მართლმსაჯულების უწყებებში, დამატებითი მოქმედებები აღარ არის საჭირო. იმ შემთხვევაში თუ შეთანხმება ვერ მიიღწევა მხარეთა შორის, მაშინ სისხლისსამართლებრივი პროცედურები გრძელდება, ან ხდება მედიაციის მეორე მცდელობის ინიცირება¹⁵⁴.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს განსხვავება საქმის სახეობებს, დანაშაულის ტიპებსა და კლიენტების ასაკს შორის როდესაც ვაძარებთ ნორვეგიის მოდელს სხვა ქვეყნების მოდელებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნორვეგიაში მედიაციის პროგრამა ვრცელდება წვრილმანი სახის დანაშაულებზე, როგორებიც არის ვანდალიზმი და მაღაზიის ქურდობა¹⁵⁵. სხვა ქვეყნებში კი მედიაციის ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ სხვა დანაშაულებზეც ვრცელდება.

ნორვეგიაში მედიაციის ეროვნულ სამსახურს სრულად აფინანსებს მთავრობა და ეს სამსახური ექვემდებარება იუსტიციის სამინისტროს. მედიაციის ეროვნული სამსახური მართავს 22 ოლქს, ჯამში 600 მოქმედი მედიატორით¹⁵⁶.

ნორვეგიის მედიაციის ეროვნულ სამსახურში მედიატორები არიან უბრალო მოქალაქეები. ისინი საქმიანობას ახორციელებენ ნებაყოფლობით - თავისუფალ დროს¹⁵⁷. სპეციალური ცოდნა არ არის საჭირო, მაგრამ, როდესაც დანიშნის საკითხი დგება, მაშინ უკვე გარკვეულ უნარებს ექცევა ყურადღება, მაგალითად: როგორცაა უნარი შეინარჩუნო ნეიტრალურობა, იყო კარგი მსმენელი, წაიყვანო მედიაციის პროცესი. მედიატორები ინიშნებიან კომიტეტის მიერ, რომელიც შედგება მუნიციპალიტეტის, პროკურატურის წარმომადგენლებისა და ასევე მედიაციის ეროვნული სამსახურის ოლქის ხელმძღვანელისაგან¹⁵⁸. მედიატორები ინიშნებიან 4 წლის ვადით. მედიატორი უნდა იყოს მინიმუმ 18 წლის; ისინი

¹⁵⁴ The Criminal Procedure Act, Norway, Ministry of Justice and the Police, Legislation Department, May 22, 1981, N25; 61. <http://app.uio.no/ub/ujur/oversatte-lover/data/lov-19810522-025-eng.pdf> (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

¹⁵⁵ Peters T., Victim-Offender Mediation in Norway, Louven, Louven Univesrity Press, 2000, P.281

¹⁵⁶ ნორვეგიის იუსტიციის მინისტრის აქტი მედიაციის სამსახურის შესახებ, ნაწილი პირველი (მიღებულია 15/03/1991 წელს), <https://www.global-regulation.com/translation/norway/5961973/law-on-national-mediation-treatment-%2528national-mediation-act%2529.html>, (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

¹⁵⁷ იქვე ნაწილი 1;

¹⁵⁸ იქვე;

უნდა იყვნენ სანდო პირები და ჰქონდეთ უფლება, მონაწილეობა მიიღონ მუნიციპალიტეტის არჩევნებში¹⁵⁹.

პირი არ შეიძლება არჩეულ იქნას მედიატორად, თუ მას წარსულში მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა. პირი, რომელმაც პირობითი სასჯელი მოიხადა, შესაძლოა, დაინიშნოს მედიატორად¹⁶⁰. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანხმად არათუ მსგავსი დათქმა არსებობს, არამედ საერთოდ არ არის განსაზღვრული დეტალური სტანდარტები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მედიატორი.

ტრენინგი მედიატორებისათვის გრძელდება 4 დღე. 2/2 დღე შუაში დაახლოებით 2 კვირის შუალედით იმისათვის, რომ ახალ მედიატორებს ჰქონდეთ საშუალება, დააკვირდნენ მედიაციას რეალურ ცხოვრებაში¹⁶¹. ტრენინგი ეხება შემდეგ თემებს:

- I დღე-რა არის მედიაციის ეროვნული სამსახური; რა არის მედიაცია და მედიატორის როლი; გრძნობები და კონფლიქტები, კომუნიკაციის უნარები;
- II დღე – კონფლიქტური სიტუაციის სტრატეგია, როლები კონფლიქტის დროს, რეაქციის პროცესის დროს სხვადასხვა ფაზები;
- III დღე-გამოცდილება პრაქტიკიდან; როლური თამაშები;
- IV დღე- კანონმდებლობა, მედიაციასთან დაკავშირებული აქტები და სხვა კანონები¹⁶²;

გამოცდილ მედიატორთან ერთად მათ ეძლევათ საშუალება გამოცადონ მათი ახალი უნარები პროცესში¹⁶³;

¹⁵⁹ ნორვეგიის იუსტიციის მინისტრის აქტი მედიაციის სამსახურის შესახებ, ნაწილი პირველი (მიღებულია 15/03/1991 წელს), <https://www.global-regulation.com/translation/norway/5961973/law-on-national-mediation-treatment-%2528national-mediation-act%2529.html>, (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

¹⁶⁰ იქვე;

¹⁶¹ Restorative justice and victim-offender mediation in Norway, Anna Nylund, LL.D., Post doctorate scholar, University of Troms, 2002, http://www.academia.edu/24358893/Restorative_justice_and_victim-offender_mediation_in_Norway (მოძიებულია 2017 წლის 30 სექტემბერს);

¹⁶² Mediation Support Network, Trainings and Events, <http://mediationsupportnetwork.net/trainings-and-events/> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

¹⁶³ Restorative justice and victim-offender mediation in Norway, Anna Nylund, LL.D., Post doctorate scholar, University of Troms, 2002, http://www.academia.edu/24358893/Restorative_justice_and_victim-offender_mediation_in_Norway (მოძიებულია 2017 წლის 30 სექტემბერს);

ნორვეგიაში საზოგადოებაზე ორიენტაცია ძალიან აქტუალურია. ამის კარგი მაგალითი კი არის მოქალაქეების მზაობა ნებაცოფლობით იმუშაონ მედიატორებად. ნებაცოფლობითი საქმიანობა მიიჩნევა საზოგადოების ნდობად, მაღალ სამოქალაქო თვითშეგნებად და პასუხისმგებლობად¹⁶⁴. მედიაციის პრაქტიკული გამოყენება საკმაოდ მაღალია ნორვეგიაში, ვიდრე საფრანგეთსა და ბელგიაში.

¹⁶⁴ Lynette Parker, The Norwegian System: Restorative Elements, December 2001, ინტ.მის: <http://www.justicereparatrice.org/www.restorativejustice.org/editions/2001/Dec01/Norway> (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

2.2. სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმები ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემის ქვეყნებში

ახალი სისხლის სამართლის პოლიტიკის ისტორიული განთიადი უკანასკნელ წლებში წარმოიშვა ანგლოსაქსური სამართლებრივი ოჯახის ჩარჩოებში, რაც, სხვათა შორის, არ არის გასაკვირი. ევროპაში სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მიდგომის „მოდის კანონმდებელი“ გახდა დიდი ბრიტანეთი¹⁶⁵. დიდ ბრიტანეთში, მოგეხსენებათ, არ არსებობს ერთიანი სისხლის სამართლის პროცესი, ის შედგება სამი განსხვავებული-ავტონომიური სისხლის სამართლის საპროცესო სისტემისაგან: ინგლისური (ვალეურის ჩათვლით), შოტლანდიური და ჩრდილო-ირლანდიური¹⁶⁶. განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე.

2.2.1. სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმები ინგლისში

იმისათვის, რომ სწორად გავიგოთ ინგლისის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში ახალი ინსტიტუტების არსი (სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმების - განრიდება, მედიაცია), აუცილებელია თავიდანვე გავანალიზოთ ინგლისის ტრადიციული მიდგომა- სისხლისსამართლებრივი პროცესუალური რეაქცია დანაშაულზე.¹⁶⁷ როგორც წესი, მიღებულია, ინგლისი მივაკუთვნოთ ისეთ ქვეყნებს, სადაც მოქმედებს სისხლისსამართლებრივი დევნის მიზანშეწონილობის პრინციპი.¹⁶⁸ განსხვავებით კონტინენტური იურისპრუდენციისაგან ინგლისში არასოდეს არსებობდა ფორმალური ზღვარი სასამართლო პროცესსა და მის წინამორბედ საპროცესო ქმედებებს (სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრა, ბრალის წარდგენა, აღკვეთის ღონისძიება

¹⁶⁵ Наумов А.В. Основные концепции современного уголовного права. М., 1998; с 97;

¹⁶⁶ Головки Л.В. Альтернативы уголовному преследованию в современном праве. СПб.: Юридический центр Пресс, М., 2002;с 189;

¹⁶⁷ Jens M. Scherpe and Bevan Marten, Mediation in England and Wales: Regulation and Practice, Oxford University Press. 2012. P. 2 Published Online January 2013.

<http://oxfordindex.oup.com/view/10.1093/acprof:oso/9780199653485.003.0006> (მოძიებულია 2017წლის 30 მაისს);

¹⁶⁸ Pradel J. Procedure penale compare dans les systems modernes: 1998. P.485

და ა.შ.) შორის, ინგლისის კანონმდებლობა საერთოდ არ იცნობს პროცესუალურ დოკუმენტს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ.¹⁶⁹ აქედან გამომდინარე თავად არსი „სისხლისსამართლებრივი დევნისა“, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ინგლისურ სამართალში პირობითად, რადგან ინგლისური ვარიანტი „სისხლისსამართლებრივი დევნისა“ განსხვავდება კონტინენტურ სამართალში არსებული, მიღებული „სისხლისსამართლებრივი დევნის“ ვარიანტისაგან.¹⁷⁰ ცნობილი ინგლისელი მეცნიერი ა.სმიტი აღნიშნავს, რომ მთავრი ის კი არ არის, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ეტაპზე ვიხელმძღვანელოთ კანონიერებისა თუ მიზანშეწონილობის პრინციპებით, არამედ მთავარია, აღნიშნული მომენტიდანვე შევაფასოთ ის პირობები, თუ რის საფუძველზე ღებულობს საქმეს სასამართლო წარმოებაში¹⁷¹.

ინგლისში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებიდან სასამართლოში საქმის გადაგზავნამდე პერიოდი, როგორც აღვნიშნეთ, ცალკე ბირთვად არ მოიაზრება ამ ქვეყნის სისხლის სამართლის პროცესში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ეტაპი თავისი სპეციფიკით მაინც არსებობს დამოუკიდებლად და მოიცავს პროცესის ისეთ უმნიშვნელოვანეს და ფუნდამენტურ ნაწილს, რომელსაც სისხლისსამართლებრივი დევნის არ დაწყება, ან უკვე დაწყებული დევნის შეწყვეტა ეწოდება, ეს არის ეტაპი ინგლისურ სისხლის სამართლის პროცესში სადაც აქტიურად ირთვება სისხლისსამართლებრივი დევნის „მიზანშეწონილობის“ პრინციპი¹⁷². აღნიშნულ ეტაპზე პოლიცია უფლებამოსილია, აწარმოოს მტკიცებულებათა შეგროვება, რომელსაც თან ახლავს ცალკეულ შემთხვევებში იძულებითი ხასიათის პროცესუალური მოქმედებები. ამასთან საგამომიებო ორგანო (პოლიცია) იყენებს კანონით მინიჭებულ დისკრიმინაციულ უფლებამოსილებას და მიზანშეწონილობის პრინციპის საფუძველზე დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას ბრალის

¹⁶⁹ Лубенский А.И. Предварительное расследование по законодательству капиталистических государств. М. 1977, С.37-38

¹⁷⁰ Cohen C. La fonction des organs de poursuite en Justice repressive // Revue international de droit penal. 1963. N3-4. P. 189

¹⁷¹ Головки Л.В. Альтернативы уголовному преследованию в современном праве. СПб.: Юридический центр Пресс, М., 2002;с 192;

¹⁷² Jens M. Scherpe and Bevan Marten, Mediation in England and Wales: Regulation and Practice, Oxford University Press. 2012. Published Online January 2013.

<http://oxfordindex.oup.com/view/10.1093/acprof:oso/9780199653485.003.0006> (მომიებულია 2017 წლის 30 მაისს);

წარდგენისა და საქმის სასამართლოში გადაგზავნის შესახებ, ან წყვეტს უკვე დაწყებულ სისხლისსამართლებრივ დევნას. სწორედ ეს არის ეტაპი ინგლისურ სისხლის სამართლის პროცესში, სადაც თამამად უნდა ვისაუბროთ „მიზანშეწონილობის“ პრინციპის გამოყენებაზე.¹⁷³ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად სისხლისსამართლებრივ დევნაზე უფლებამოსილ პირს არ მოეთხოვება დაასაბუთოს, თუ რატომ მიიჩნია საჭიროდ შეეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა კონკრეტული პირის მიმართ, ან რატომ არ მისცა საქმეს მსვლელობა და რატომ არ წაუყენა ბრალი მას¹⁷⁴. სისხლისსამართლებრივი დევნის არ დაწყების შესახებ ინგლისში უფლებამოსილი პირი არ ადგენს ოფიციალურ დოკუმენტს¹⁷⁵. ინგლისის ერთ-ერთი ლორდი-Cheukrossom სიამაყით აცხადებდა “ჩვენს ქვეყანაში არასოდეს ყოფილა კანონი, - და იმედი მაქვს, არც არასოდეს იქნება, რომ დანაშაულში ეჭვმიტანილის მიმართ ავტომატურად დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა”.¹⁷⁶ აღნიშნული ისევ და ისევ სისხლის სამართლის პროცესის ანგლოსაქსური კონსტრუქციის სპეციფიკით აიხსნება. სისხლის სამართლებრივი დევნის მიზანშეწონილობის პრინციპი ორი კრიტერიუმით ფასდება: პროცესუალური კრიტერიუმი (ე.წ. განსჯის რეალური პერსპექტივის არსებობა, ანუ პირის მიმართ საკმარის მტკიცებულებათა არსებობა სასამართლოში მისი წარდგენისათვის) და მატერიალური კრიტერიუმი (ე.წ. საჯარო ინტერესის არსებობა, რაც გულისხმობს დანაშაულის ხასიათსა და დამნაშავის პიროვნებას)¹⁷⁷. პროფესორ ევანსს მიაჩნია, რომ „საჯარო ინტერესის“ გათვალისწინების დროს, მთავარია ქმედების/დანაშაულის ხასიათი, ხოლო გაცილებით ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება დამნაშავის პიროვნულ მახასიათებლებს¹⁷⁸.

¹⁷³ Spenser J.R. La célérité de la procédure pénale en Angleterre// Revue international de droit pénal. Vol. 66. 1995. N3-4. P. 414

¹⁷⁴ England and Wales Criminal Law Act 1977, Parliament of United Kingdom, part III, <http://www.legislation.gov.uk/ukpga/1977/45/contents/enacted> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

¹⁷⁵ იქვე;

¹⁷⁶ Hoyano A, Hoyano L, Davis G, Goldies S. A Study of the impact of the revised Code for Crown Prosecutors // The criminal law review. 1997. N8. P.560

¹⁷⁷ Головки Л.В. Альтернативы уголовному преследованию в современном праве. СПб.: Юридический центр Пресс, М., 2002;с 202

¹⁷⁸ Evans R. Challenging a Police caution using judicial review // The criminal law review. 1996. N2. P 491

ინგლისი ასევე იცნობს კერძო ბრალდების ინსტიტუტს, რომლის მიხედვით დაზარალებულს უფლება აქვს დამოუკიდებლად მოითხოვოს სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრა.¹⁷⁹

ინგლისი იცნობს პრაქტიკას, სადაც ბრალდებულის პიროვნების შესწავლის მიზნით საქმე იგზავნება პრობაციის სამსახურში. პრობაციის სამსახურისაგან მიღებული დასკვნის საფუძველზე, კანონმდებლობის თანახმად შესაძლოა შეწყდეს უკვე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა. პრობაციის სამსახურის მიერ განხილული 3 000 (სამიათასი) საქმიდან გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ მიღებულა ორჯერ უფრო ხშირ შემთხვევაში ჩვეულებრივთან შედარებით.¹⁸⁰ საბოლოო ჯამში 1190-იან წლებამდე ინგლისში კონკრეტული ქმედების მიმართ სახელმწიფოს მხრიდან არსებობდა მხოლოდ ორი ვარიანტი რეაქციის გამოვლენის - პირველი ეს გახლავთ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება, რომლის შედეგი საბოლოოდ უნდა გახდეს სასჯელი ჩადენილი ქმედების პროპორციულად, ხოლო მეორე ვარიანტი - ეს არის უარი პირის მიმართ სისხლისსამართლებრივ დევნაზე, ანუ ფაქტიურად უმოქმედობა სახელმწიფოს მხრიდან¹⁸¹. ინგლისურმა სამართალმა მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ აღნიშნული მიდგომა ქმნიდა სასჯელის კონცეფციის კრიზისს და მიუხედავად იმისა, რომ ინგლისური იურისპრუდენცია არ გამოირჩევა დიდი ორიგინალურობით, მათ მაინც მოუხდათ ეგრეთ წოდებული „მესამე გზის“, როგორც ალტერნატივის გამოძებნა. აღნიშნულმა ძიებამ 1990-იან წლებში მიგვიყვანა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიულ მიდგომამდე, როგორც არის გაფრთხილების ინსტიტუტი. 1990-იანი წლებიდან 2000 წლამდე გაფრთხილების ინსტიტუტი სულ უფროდაუფრო ხშირად გამოიყენებოდა არასრულწლოვანთა საქმეებზე,¹⁸² რომელსაც „ბავშვებისა და ახალგაზრდა პირების შესახებ“ 1969-წლის კანონი ედო საფუძვლად (Children and Young Persons Act 1969)¹⁸³. მოყოლებული

¹⁷⁹ Апарова Т.В. Суды и судебный процесс Великобритании. МЮ., 1996 С.97

¹⁸⁰ Evans R. Diverting cases from the courts // The criminal law review. 1995. N6. P. 445

¹⁸¹ Головки Л.В. Альтернативы уголовному преследованию в современном праве. СПб.: Юридический центр Пресс, М., 2002;с 204

¹⁸² Evans R. Comparing young adult and juvenile cautioning in the metropolitan police district // The criminal law review. 1993. N8. P. 572

¹⁸³ Children and Young Persons Act 1969, Parliament of United Kingdom,

<https://www.legislation.gov.uk/ukpga/1969/54/contents>, (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

აღნიშნული დროიდან დიდი გავრცელება ჰპოვა იუვენალური იუსტიციის სისტემამ, დაამკვიდრა მიდგომა, რომ ყველანაირი საშუალება ყოფილიყო გამოყენებული, რათა არასრულწლოვნებს თავიდან აეცილებინათ სასამართლო პროცედურები¹⁸⁴. ინგლისური გაფრთხილების ინსტიტუტი არის დასტური იმისა, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიებების შესახებ არსებობს პრაქტიკა, ხოლო ქვეყანა ჯერ კიდევ თეორიების ძიებაშია, კერძოდ არ არსებობს საკანონმდებლო ბაზა ამ მხრივ, რომელიც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიულ მიდგომებს მოაწესრიგებს¹⁸⁵.

ინგლისში მოქმედი გაფრთხილების ინსტიტუტი სამი ფორმით დაინერგა, რომელთაგან ერთ-ერთი გაფრთხილების ფორმა გახლავთ დღეს მსოფლიოს ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში მოქმედი სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ზომების თანაზომიერი და მათთან შესაბამისი. გაფრთხილების ინსტიტუტის პირველი ფორმა არის „არაფორმალური გაფრთხილება“ (informal warning), მას ფაქტიურად არ გააჩნია იურიდიული მნიშვნელობა, რადგან არ მოიცავს არანაირ პროცესუალურ შედეგს. აღნიშნულ შემთხვევაში პოლიცია აღმოაჩენს ჩადენილ ფაქტს, რომელიც უმნიშვნელო დანაშაულის ნიშნებს შეიცავს და მხოლოდ სიტყვიერად აფრთხილებს არასრულწლოვანს, აღარ ჩაიდინოს შემდგომში დანაშაული. აღნიშნულ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს უბრალო და უსაფუძვლო უარი სისხლისსამართლებრივი დევნის არ დაწყების შესახებ¹⁸⁶. გაფრთხილების ინსტიტუტის მეორე ვარიანტის შემთხვევაში დგება ფორმალური ოქმი გაფრთხილების შესახებ; აღნიშნული მხოლოდ მცირედით განსხვავდება პირველი ვარიანტისაგან, რადგან გაფრთხილების ოქმი პროცესუალურ აქტად არ გვევლინება, აღნიშნულ დოკუმენტს სასამართლოზე დასაყრდენ მტკიცებულებად ვერ გამოვიყენებთ¹⁸⁷. ფორმალური გაფრთხილებების ნაირსახეობა გამოიყენება ძირითადად ლონდონში. გაფრთხილების ინსტიტუტის მესამე ნაირსახეობა

¹⁸⁴ Jens M. Scherpe and Bevan Marten, *Mediation in England and Wales: Regulation and Practice*, Oxford University Press. 2012. Published Online January 2013.
<http://oxfordindex.oup.com/view/10.1093/acprof:oso/9780199653485.003.0006> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

¹⁸⁵ May R. The legal effects of a police caution // *The criminal law review*. 1997. N7. P. 491-493

¹⁸⁶ Шестаков Д.А. Понятие преступности в российской и германской критической криминологии // *Правоведение*. 1997. N3. С. 106

¹⁸⁷ Головки Л.В. Альтернативы уголовному преследованию в современном праве. СПб.: Юридический центр Пресс, М., 2002; с 205;

არის ე.წ. „ოფიციალური გაფრთხილება“ (official caution), რომელიც ეკუთვნის ინგლისის თანამედროვე იურისპრუდენციას. "გაფრთხილების ინსტიტუტის" მესამე ფორმა გახლავთ მთელ ინგლისში ყველაზე გავრცელებული ფორმა, რომელიც საფუძვლად დაედო განრიდებისა და მედიაციის ინსტიტუტს¹⁸⁸. მოცემულ შემთხვევაში პოლიცია, რომელსაც არა აქვს სურვილი დანაშაულებრივი ფაქტი დატოვოს რეაგირების გარეშე და თვლის, რომ უნდა დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა, ოფიციალურად აფრთხილებს არასრულწლოვანს ხელწერილის ჩამორთმევით, რომელსაც ხელს აწერენ მისი მშობლებიც. სპეციალურ ბაზაში შეტანილი გაფრთხილება, ინახება 3 (სამი) წლის განმავლობაში, ან ზოგიერთ შემთხვევაში პირის სრულწლოვანებამდე¹⁸⁹. დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა „ოფიციალური გაფრთხილებით“ შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი ქმედების ჩამდენი პირი აცნობიერებს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, ხასიათსა და საზოგადოებრივ საშიშროებას, ასევე ინანიებს მას და ეს მონანიება შეფასების კუთხით არის გულწრფელი¹⁹⁰. სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმა - „ოფიციალური გაფრთხილება“ 1995 წლისათვის ინგლისსა და უელსში ძალიან აქტიურად გამოიყენებოდა, ერთი წლის მანძილზე დაახლოებით 120 000 (ასოცი ათასი) 18 წელს მიუღწეველი პირის მიმართ იქნა გამოყენებული ეს ინსტიტუტი¹⁹¹.

ინგლისი საბოლოოდ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ჩანაცვლება ალტერნატიული მეთოდით, საუკეთესო საშუალება იყო არასრულწლოვანთა „სტიგმატიზაციის“ თავიდან ასაცილებლად¹⁹² და კრიმინალის ზრდის შესაჩერებლად. იმავდროულად პასუხისმგებლობის ალტერნატიული მეთოდების გამოყენების გზით იზოგებოდა ფინანსური რესურსები და სასამართლოს დატვირთვა.¹⁹³

¹⁸⁸ Jens M. Scherpe and Bevan Marten, *Mediation in England and Wales: Regulation and Practice*, Oxford University Press. 2012. Published Online January 2013.

<http://oxfordindex.oup.com/view/10.1093/acprof:oso/9780199653485.003.0006> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

¹⁸⁹ Hungerford-Welch P. *Criminal litigation and sentencing*. London – Sidney, 1998. P. 25

¹⁹⁰ Evans R. *Comparing gang adult juvenile cautioning in the metropolitan police district*. P. 573

¹⁹¹ O' Doherty S. *Compensation and young offenders* // *The criminal law review*. 1997. N4. P. 283

¹⁹² Шнайдер Г.И. *Криминология*. М., 1994. С. 329

¹⁹³ Evans R. *Evaluating young adult diversion shames in the metropolitan police district* // *The criminal law review*. 1993 N7. P.572

ინგლისში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, თუ პირი კანონით დადგენილ ვადაში კვლავ ჩაიდენს ახალ დანაშაულს, ვერც ფაქტობრივად და ვერც სამართლებრივად სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ვეღარ გაექცევა, რადგან კანონის თანახმად პირის მიმართ აღნიშნული ინსტიტუტი გამოიყენება მხოლოდ ერთხელ¹⁹⁴. თუკი პირმა „ოფიციალური გაფრთხილების“ მიუხედავად მაინც ჩაიდინა დანაშაული, ბრალდება იწყებს სისხლისსამართლებრივ დევნას და საქმეს შემდგომი რეაგირებისათვის გადასცემს სასამართლოს იმ გარემოებაზე აპელირებით, რომ აღნიშნული პირის მიმართ უკვე იყო გამოყენებული კანონით გათვალისწინებული „ოფიციალური გაფრთხილება“. თავის მხრივ სასამართლო აღნიშნულ გარემოებას მხედველობაში იღებს სასჯელის დანიშვნის დროს, ფაქტიურად „ოფიციალურ გაფრთხილებას“ განიხილავს, როგორც პირის ნასამართლობას¹⁹⁵.

გაფრთხილების ინსტიტუტის, ისევე როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის სხვა ალტერნატიული ღონისძიების შეფასებისას, არ შეიძლება, არ დავსვათ მეტად მნიშვნელოვანი შეკითხვა:... ირღვევა თუ არა ფუნდამენტური პრინციპი - უდანაშაულობის პრეზუმფციისა? მივიჩნით პირი დამნაშავედ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გარეშე, შესაძლოა, გარკვეულწილად არღვევდეს ამ პრინციპს, რომლის დაცვა სამართალწარმოების ყველა ეტაპზე უმკაცრესად დაცულია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინგლისში გაფრთხილების ინსტიტუტი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ პირი აღიარებს ჩადენილ დანაშაულს, აცნობიერებს აღნიშნული ქმედებით გამოწვეულ შედეგებს და გულწრფელად ინანიებს მას¹⁹⁶. ანუ სახეზე გვაქვს აღიარებული, დადასტურებული ფაქტი დანაშაულის ჩადენისა და გვყავს დამნაშავე სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე. ბუნებრივია, ასეთი მიდგომით სისხლისსამართლებრივი დევნის/პასუხისმგებლობის ალტერნატიული მექანიზმების გაუქმებაზე საუბარი აბსურდია¹⁹⁷. შესაბამისად დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია საკითხი შევაფასოთ შემდეგნაირად: სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიების გამოყენებისას

¹⁹⁴ England and Wales Criminal Law Act 1977 , Parliament of United Kingdom, part III,

<http://www.legislation.gov.uk/ukpga/1977/45/contents/enacted> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

¹⁹⁵ Головки Л.В. Альтернативы уголовному преследованию в современном праве. СПб.: Юридический центр Пресс, М., 2002;с 206;

¹⁹⁶ Hungerford-Welch P. Criminal litigation and sentencing. London- Sidney, 1998. P25

¹⁹⁷ ხაზგასმა ჩემია;

პირის მიერ დანაშაულის აღიარებამ, ანუ სუბიექტურმა აღიარებამ, არ უნდა შეცვალოს პირის ობიექტურ-სამართლებრივი სტატუსი, სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენებისას უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე პირის სტატუსი რჩება - უდანაშაულო¹⁹⁸. ინგლისურმა დოქტრინამ, მართალია, დაამკვიდრა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმა და ის აქტიურადაც გამოიყენებოდა პრაქტიკაში, თუმცა აღნიშნული ინსტიტუტის პრაქტიკაში მოქმედებას მოჰყვა არასრულწლოვანთა მშობლების მხრიდან გარკვეული სახის საჩივრები. კერძოდ, მშობლების მტკიცებით შესაბამის პირთა მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიების გამოყენებისას ირღვეოდა მათი კანონით გარანტირებული უფლებები, ადვოკატისგან კონსულტაციის მიღების უფლება, არასაკმარისი განმარტება თანამდები შედეგების შესახებ და სხვა. აუცილებელი გახდა საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგებულიყო ეს პრობლემები და მაქსიმალურად დაცული ყოფილიყო არასრულწლოვანთა უფლებები¹⁹⁹. ცნობილია, რომ ინგლისი არ განეკუთვნება კონტინენტური სამართლის სისტემის ქვეყნებს, სადაც ყველა სამართლებრივი პრობლემა საკანონმდებლო დონეზე წესრიგდება, სწორედ ამიტომ სასამართლომ შექმნა პრეცედენტი „ოფიციალური გაფრთხილების შესახებ“, რომლის თანახმად პოლიციის მიერ შეფარდებული „ოფიციალური გაფრთხილება“ პროცედურულ კონტროლს გაივლის მისი სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ დაირღვა კანონი „ოფიციალური გაფრთხილების“ გამოყენებისას, „გაფრთხილება“ ანულირდება, ხოლო ინფორმაცია გაფრთხილებული პირის შესახებ ამოღებულ იქნება შესაბამისი არქივიდან²⁰⁰. სასამართლომ ამგვარი პრეცედენტის დადგენით მეტი გარანტია მისცა თავის მოქალაქეებს დაცული იყოს მათი უფლებები და ინტერესები. მიმაჩნია, რომ აღნიშნული მიდგომა დადებით შეფასებას იმსახურებს და სწორედ მსგავსი უნდა დამკვიდრეს ქართულ სისხლის სამართლის პროცესშიც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენების შესახებ, რათა მაქსიმალურად იყოს დაცული პიროვნება

¹⁹⁸ Головки Л.В. Альтернативы уголовному преследованию в современном праве. СПб.: Юридический центр Пресс, М., 2002;с 206;

¹⁹⁹ იქვე с 208;

²⁰⁰ R.v. Metropolitan police commissioner 1995. The Times. 1995. 24 May

სუბიექტივიზმისა და სხვა სახის უფლებების დარღვევისაგან²⁰¹. სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიების გამოყენება არ უნდა იყოს გაგებული მხოლოდ სისხლისსამართლებრივი დევნისაგან და სასჯელისაგან გათავისუფლებად, აღნიშნული წარმოადგენს სამართალმწარმოებელი პირის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელსაც სათანადო შედეგები მოჰყვება და რომელიც წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების ტოლფას გადაწყვეტილებას²⁰². ინგლისში სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიულ ფორმას - „ოფიციალურ გაფრთხილებას“ საკმაოდ დიდი ნაკლი მოუძებნეს ინგლისელმა იურისტებმა, კერძოდ, „ოფიციალური გაფრთხილების“ გამოყენებისათვის კანონით დაზარალებულისათვის ზიანის ანაზღაურება სავალდებულო არ არის, ზარალის ანაზღაურება არ განიხილება აუცილებელ პირობად, იმისათვის, რომ პოლიციამ უარი თქვას სისხლისსამართლებრივ დევნაზე, თუ ბრალდებული ზარალს აანაზღაურებს თავისი კეთილი ნებით, აღნიშნული რა თქმა უნდა დადებითად იქნება გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების დროს, მის მიმართ „ოფიციალური გაფრთხილების“ გამოყენების ნაწილში²⁰³. ასევე არ არის აუცილებელი პირობა დაზარალებულის თანხმობა, სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიების გამოყენებისას, ფაქტიურად დაზარალებულის როლი და ინტერესები სრულად უგულებელყოფილია ინგლისური სამართლის ამ ნაწილში, რაც ჩემი, როგორც მომავალი მეცნიერის, აზრით არ არის სწორი სვლა სამართლებრივ დონეზე, არ შეიძლება ინტერესთა ცალმხრივი გათვალისწინება, არ შეიძლება უფლებების სამართლებრივ ჭრილში უკეთესობისაკენ ცალმხრივი მიდგომა. ინგლისში დაზარალებულს გააჩნია კანონით მინიჭებული უფლება დამოუკიდებლად მოითხოვოს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება სასამართლოში²⁰⁴, სწორედ ამიტომ მეცნიერთა გარკვეული ნაწილი აღნიშნულ უფლებას სწორედ „ოფიციალური გაფრთხილების“ დროს დაზარალებულის ინტერესების გაუთვალისწინებლობის

²⁰¹ ხაზგასმა ჩემია.

²⁰² ხაზგასმა ჩემია.

²⁰³ Головки Л.В. Альтернативы уголовному преследованию в современном праве. СПб.: Юридический центр Пресс, М., 2002;с 207;

²⁰⁴ England and Wales Criminal Law Act 1977 , Parliament of United Kingdom, part III,

<http://www.legislation.gov.uk/ukpga/1977/45/contents/enacted> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

საპირწონედ წარმოგვიდგენს²⁰⁵, თუმცა ვერ დავეთანხმები მათ ვინაიდან, დაზარალებულის მიერ სასამართლო წესით მოთხოვნილი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების დროს აღდგება დაზარალებულის მორალური უფლება, ხოლო მატერიალური უფლების აღსადგენად დაზარალებულმა სამოქალაქო წესით უნდა მიმართოს სასამართლოს, სადაც მას საკმაოდ დიდი ხარჯის გაღება უხდება, რისი შესაძლებლობაც ბევრს სამწუხაროდ, არ გააჩნია²⁰⁶. საბოლოოდ სიტუაცია რეალურია, როდესაც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიება გამოიყენება კონკრეტული პირის მიმართ, ხოლო არ ხდება დაზარალებულისათვის ზიანის ანაზღაურება, მას უფლება რჩება მიმართოს სასამართლოს და მიყენებული მატერიალური ზიანი ანაზღაუროს სამოქალაქო სამართალწარმოების გზით²⁰⁷. სწორედ დაზარალებულის უფლებების უგულებელყოფის ფაქტებმა ინგლისური სამართალი მიიყვანა იმ ზღვართან, რომ შექმნილიყო სისხლისსამართლებრივი დევნისაგან განთავისუფლების ისეთი ფორმა, სადაც დაზარალებულის უფლებებიც მკაცრად იქნებოდა დაცული, სწორედ ამიტომ ინგლისურ სამართალში დაიბადა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმა, ფენომენი - მედიაციის ინსტიტუტი²⁰⁸. მედიაციის კონცეფცია ინგლისელებისაგან დასახელებულ იქნა გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში, როდესაც მათ მიიღეს ინფორმაცია ადრეული მედიაციის პროექტების შესახებ აშშ-ში, კანადასა და ავსტრალიაში. დასახელებულ ქვეყნებში სისხლისსამართლებრივი მედიაცია ვითარდებოდა კონფლიქტების გადასაწყვეტად, რომელიც აღინიშნებოდა შემდეგი ტერმინით „დავების ალტერნატიული გადაწყვეტა“²⁰⁹ (alternative dispute resolution).²¹⁰

²⁰⁵ Головки Л.В. Альтернативы уголовному преследованию в современном праве. СПб.: Юридический центр Пресс, М., 2002;с 207;

²⁰⁶ ზაზგასმა ჩემია;

²⁰⁷ Wright M. Victims, mediation and criminal justice // The criminal law review. 1995. N3. P. 189

²⁰⁸ Jens M. Scherpe and Bevan Marten, Mediation in England and Wales: Regulation and Practice, Oxford University Press. 2012. Published Online January 2013.

<http://oxfordindex.oup.com/view/10.1093/acprof:oso/9780199653485.003.0006> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

²⁰⁹ Турышева Н.В. Примириительные процедуры и мировое соглашение в гражданском процессе зарубежных стран // Вестн. Моск. ун-та. Сер. 11. Право. 1996. N3. С.74-84

²¹⁰ Насырева Е.И. Посредничество в урегулировании правовых споров: опыт США // Государство и право. 1997. N5. С. 109-114

ამ პერიოდისათვის ნორვეგიელი კრიმინოლოგი ნ.კრისტი აქვეყნებს ბრიტანულ ჟურნალ „კრიმინოლოგიაში“ პროგრამულ სტატიას მედიაციის შესახებ, რომელმაც საკმაოდ დიდი როლი შეასრულა ინგლისში მედიაციის პროგრამის დანერგვაში²¹¹.

ინგლისში მედიაციის მთავარი იდეა მდგომარეობს შემდეგში: სახელმწიფო ცდილობს, სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე ორივე მხარეს შორის გადაჭრას კონფლიქტი სისხლისსამართლებრივი წარმოების გვერდის ავლით. ეს არის საუკეთესო მესამე გზა, არ დარჩეს დანაშაულებრივი ქმედება რეაგირების გარეშე, დაკმაყოფილდეს დაზარალებულის ინტერესი-იქნება ეს მატერიალური თუ მორალური, რომ თავიდან ავიცილოთ სისხლისსამართლებრივი დევნა კანონით გათვალისწინებულ დანაშაულთა მიმართ, განსაკუთრებით არასრულწლოვნებთან მიმართებაში²¹². თუ განვიხილავთ ინგლისური მედიაციის სახესხვაობებს, ცხადი გახდება, რომ კონფლიქტების ასეთი სახით დარეგულირება შესაძლებელია სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე. მედიაციის ინსტიტუტი ინგლისში, რომელიც არ არის გამყარებული სამართლებრივი ნორმებით, არ იძლევა საშუალებას მივაკუთვნოთ ის იურიდიული ინსტიტუტების რიცხვს. ინგლისში მოქმედი მედიაციის ესა თუ ის ვარიანტი მოგვაგონებს კრიმინოლოგიურ ან ვიქტიმოლოგიურ პროგრამას²¹³.

ინგლისში მედიაციის სახეები, რომელიც მოიცავს სისხლის სამართლის იუსტიციის სისტემაში პროცესუალურ შედეგებს, ორი ტიპის არსებობს: სასამართლო მედიაცია და პოლიციური მედიაცია²¹⁴. სასამართლო მედიაცია გამოიყენება ყველა კატეგორიის დანაშაულის მიმართ. ის მჭიდრო კავშირშია ცნობილ ინგლისურ პროცესუალურ თავისებურებებთან. სასამართლო მედიაციის დროს პროცესში ჩართულია პრობაციის სამსახური, რომლის წარმომადგენელი ცდილობს, გამოვიდეს შუამავლად დაზარალებულსა და ბრალდებულს შორის²¹⁵. მედიაციის წარმატებით დასრულებას

²¹¹ Desdevises M. C. L evaluation des experiences de mediation entre delinquants et victimes: l'exemple britannique // Revue de science criminelle et de droit penale compare. 1993. N1. P. 47

²¹² Liebmann M., Community and neighbor mediation / Ed. London – Sidney, 1998. P. 295

²¹³ Launay G. Murray P. Victim / offender groups // Mediation and criminal justice. Victims, offenders and community/ Ed. M. Wright, B. Galaway. London. 1989. P. 113

²¹⁴ Головкин Л.В. Альтернативы уголовному преследованию в современном праве. СПб.: Юридический центр Пресс, М., 2002;с 209;

²¹⁵ Probation in England, official link: <https://www.gov.uk/guide-to-probation> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს)ქ

მოსამართლე ყოველთვის იღებს მხედველობაში სასჯელის დანიშვნის დროს²¹⁶, საბოლოოდ კი მოგებული რჩება პროცესის მონაწილე ორივე მხარე, დაზარალებულიც და ბრალდებულის, აღარაფერს ვამბობთ სასამართლო დროისა და რესურსის დანაზოგზე. აღსანიშნავია ის არსებითი გარემოება, რომ სასამართლო მედიაციის გამოყენების საკითხი პრინციპულად გადაწყვეტილი უნდა იყოს სასამართლოს გამართვამდე, სასამართლომ წინასწარ უნდა იცოდეს არსებობს თუ არა შესაბამისი პირობები სასამართლო მედიაციის გამოყენებისა. სასამართლო მედიაციის მთლიანი ანალიზი ცხადყოფს, რომ ის არ არის ალტერნატივა ტრადიციული სისხლისსამართლებრივი დევნისა²¹⁷.

პოლიციური მედიაცია სულ სხვაგვარად წარმოგვიდგება. მისი პირველი საექსპერიმენტო ტერიტორია იყო დასავლეთ უელსის რეგიონები (ექსტერი, სენდუელე და კუმბრი). თავდაპირველად პოლიციური მედიაცია, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმა, განიხილებოდა მხოლოდ არასრულწლოვნებთან მიმართებაში, ცოტა მოგვიანებით, დაახლოებით 1986 წლიდან ნორტემპტონშირში, ხოლო შემდგომ იპსვიჩსა და საფოკლეში შეიქმნა მედიაციის პირველი პროგრამები, რომლებიც ეხებოდა ყველა პირს 17 წლის ზევით. ცალკეულ ბრიტანულ რეგიონებში პოლიციური მედიაცია პრაქტიკულად გამოიყენება იუვენალური იუსტიციის ფარგლებში²¹⁸. სასამართლო მედიაციის მსგავსად, პოლიციური მედიაციის მთავარი ამოცანა არის ბრალდებულის მიერ დაზარალებულის შესაბამისი კომპენსირება, რათა მაქსიმალურად იყოს დაცული, როგორც ბრალდებულის, ასევე დაზარალებულის უფლებებიც²¹⁹. დაზარალებულის ანაზღაურების ფორმები შეიძლება იყოს მრავალფეროვანი, რაც საერთოდ დამახასიათებელია ნებისმიერი ტიპის მედიაციისათვის²²⁰. მედიაციის წარმატებით

²¹⁶ England and Wales Criminal Law Act 1977, Parliament of United Kingdom, part III,

<http://www.legislation.gov.uk/ukpga/1977/45/contents/enacted> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

²¹⁷ Jens M. Scherpe and Bevan Marten, *Mediation in England and Wales: Regulation and Practice*, Oxford University Press. 2012. Published Online January 2013.

<http://oxfordindex.oup.com/view/10.1093/acprof:oso/9780199653485.003.0006> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

²¹⁸ Головки Л.В. Альтернативы уголовному преследованию в современном праве. СПб.: Юридический центр Пресс, М., 2002;с 210;

²¹⁹ Головки Л.В. Альтернативы уголовному преследованию в современном праве. СПб.: Юридический центр Пресс, М., 2002;с 210;

²²⁰ Васильев Е.А., Ред, *Гражданское и торговое право капиталистических государств / Отв.. М. 1992. С. 438 92*

დასრულებისა და შეთანხმების შემთხვევაში პოლიცია უარს ამბობს სისხლისსამართლებრივ დევნაზე, შემოიფარგლება მხოლოდ (ფორმალური ან ოფიციალური) გაფრთხილების ინსტიტუტით. შესაბამისად გაფრთხილებისა და მედიაციის ინსტიტუტები, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმები მჭიდრო კავშირში არიან ერთმანეთთან, ავსებენ ერთმანეთს და კომპლექსურად გამოიყენება²²¹.

ინგლისში პოლიციის გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივ დევნაზე უარის შესახებ არ ფორმდება ოფიციალური საპროცესო დოკუმენტით²²², თუმცა თუკი მედიაციას მოჰყვა ოფიციალური გაფრთხილება ეს უკვე წარმოადგენს საპროცესო დონეზე მოწესრიგებულ კომპლექსურ ქმედებას, რომელსაც ბუნებრივია მოჰყვება ოფიციალური საპროცესო დოკუმენტი გაფრთხილების შესახებ²²³. მედიაციის სამსახური მთლიანობაში ინგლისელი იურისტებისაგან დადებითად ფასდება. მედიაცია, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმა, ცივილიზებულად და ლამაზად გადაწყვეტს დავებს საშიშ სოციალურ კონფლიქტებთან მიმართებაში, რომლებიც დაკავშირებულია დანაშაულთან და სადაც დაცული/გარანტირებულია პროცესის მონაწილე ყველა მხარის ინტერესი²²⁴. სწორედ ამიტომ მედიაციას, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიულ ფორმას, კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების გზას ინგლისურ დოქტრინაში ბევრი მიმდევარი ჰყავს²²⁵. როგორც პროფესორი მ. რაიტი აღნიშნავს, „მედიაცია შესაძლოა გახდეს ინგლისში სისხლის სამართლის პოლიტიკის გადახედვის საფუძველი, რათა ის იყოს ორიენტირებული მეტად პროცესის მონაწილეთა დარღვეული უფლებების კომპენსირებაზე და არა პიროვნების დასჯაზე“²²⁶.

²²¹ Jens M. Scherpe and Bevan Marten, *Mediation in England and Wales: Regulation and Practice*, Oxford University Press. 2012. Published Online January 2013.

<http://oxfordindex.oup.com/view/10.1093/acprof:oso/9780199653485.003.0006> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

²²² England and Wales Criminal Law Act 1977, Parliament of United Kingdom, part III, <http://www.legislation.gov.uk/ukpga/1977/45/contents/enacted> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

²²³ Головкин Л.В. Альтернативы уголовному преследованию в современном праве. СПб.: Юридический центр Пресс, М., 2002; с 209;

²²⁴ England and Wales Criminal Law Act 1977, Parliament of United Kingdom, part III, <http://www.legislation.gov.uk/ukpga/1977/45/contents/enacted> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

²²⁵ Reeves H. *The victim support perspective // Mediation and criminal justice. Victims, offenders and community/* Ed. M. Wright, B. Galaway. London. 1989. P.44

²²⁶ Наумов А.В. Основные концепции современного уголовного права. М. 1998. С.115-116

ინგლისში სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით სისხლისსამართლებრივ დევნაზე უარი, რომელსაც თან არ სდევს რაიმე პირობები როგორც აღვნიშნეთ დასაშვებია სამ შემთხვევაში: პირველი, როდესაც სისხლისსამართლებრივი დევნა იურიდიულად შეუძლებელია (ქმედებაში არ არსებობს დანაშაულის შემადგენლობა, პირს არ მიუღწევია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკისათვის, გასულია სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა და სხვა)²²⁷; მეორე, როდესაც სისხლისსამართლებრივი დევნა ფაქტობრივად შეუძლებელია (დანაშაული ვერ გაიხსნა ან პოლიციამ ვერ შეძლო მის ჩადენაში დამნაშავე კონკრეტული პირის მამხილებელი საკმარისი მტკიცებულებების შეკრება)²²⁸; მესამე, როდესაც პოლიციამ თუმცა გახსნა დანაშაული და დაადგინა პირი, ვის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა განხორციელდეს, მაგრამ მიზანშეწონილად არ მიიჩნევს მის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემას²²⁹. ბოლო შემთხვევაში პოლიცია უბრალოდ არ გადასცემს საქმეს სასამართლოს ან გვირგვინის საბრალდებო სამსახურს²³⁰. სისხლისსამართლებრივ დევნაზე უარის შესახებ გადაწყვეტილებას, გამოტანილს ზემოთ მოყვანილ ნებისმიერ საფუძველზე, პოლიცია არ აფორმებს რაიმე საპროცესო დოკუმენტით, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ასეთი სახის გადაწყვეტილება თვითნებური შეიძლება იყოს, ის აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს გარკვეულ ფორმალიზებულ კრიტერიუმებს, ასეთი კრიტერიუმები ერთიანია როგორც პოლიციისათვის, ასევე გვირგვინის საბრალდებო სამსახურისათვის, ისინი მოცემულია გვირგვინის ბრალმდებელთა კოდექსში და ზოგიერთ სხვა დოკუმენტში, რომელიც სავალდებულოა პოლიციისათვის²³¹. პოლიციის გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივ დევნაზე უარის თქმის შესახებ არ ექვემდებარება რაიმე სახის საპროცესო კონტროლს სასამართლოს ან გვირგვინის საბრალდებო სამსახურის მხრიდან. ინგლისში პოლიცია ფაქტობრივად უკონტროლოა სისხლისსამართლებრივი

²²⁷ England and Wales Criminal Law Act 1977 , Parliament of United Kingdom, part II, 43.1., <http://www.legislation.gov.uk/ukpga/1977/45/contents/enacted> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

²²⁸ იქვე part II, 43.2.;

²²⁹ part II, 43.3.;

²³⁰ Головки Л.В. Альтернативы уголовному преследованию в современном праве. СПб.: Юридический центр Пресс, М., 2002;с 210;

²³¹ Головки Л.В. Альтернативы уголовному преследованию в современном праве. СПб.: Юридический центр Пресс, М., 2002;с 210;

დევნის მიზანშეწონილობის თუ არამიზანშეწონილების შეფასებისას, მხოლოდ იმ პირობით, რომ დაზარალებულ ან ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ასეთ შემთხვევაში თვითონ განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა პოლიციისაგან დამოუკიდებლად²³². ბუნებრივია, დაზარალებულ ან ნებისმიერ სხვა დაინტერესებულ პირს პოლიციისაგან დამოუკიდებლად სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების უფლება აქვს ინგლისში მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობიდან გამომდინარე, რომელიც ცნობს, როგორც საჯარო ასევე კერძო სახის სისხლისსამართლებრივი დევნის ფორმებს²³³. საქართველოში მოქმედი საპროცესო კოდექსი კი მხოლოდ ერთი სახის სისხლისსამართლებრივი დევნის ფორმას იცნობს (საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა), შესაბამისად ინგლისის მსგავსად საქართველოში მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით ვერც დაზარალებული და ვერც სხვა დაინტერესებული პირი ვერ შეძლებს ბრალდების მხარისაგან დამოუკიდებლად სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებას, მითუმეტეს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით დაზარალებული პროცესის მონაწილე მხარეს აღარ წარმოადგენს. სწორედ ამიტომ ინგლისისაგან განსხვავებით საქართველოში გაცილებით მეტად საპასუხისმგებლოა გადაწყვეტილების მიღება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ²³⁴. ინგლისის მსგავსად საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ პროკურორი არ ადგენს წერილობითი სახის დოკუმენტს, შესაბამისად არც დასაბუთება ხდება აღნიშნული გადაწყვეტილების, რაც ჩემი აზრით აბსოლუტურად გაუმართლებელია, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით პროკურორი ადგენს წერილობით დოკუმენტს, დადგენილებას უკვე დაწყებული გამოძიების ან უკვე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ.

²³² გუცენკო კ. ფ., გოლოვკო ლ. ვ., ფილიმონოვი ბ. ა., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2007. გვ.146

²³³ England and Wales Criminal Law Act 1977, Parliament of United Kingdom, part II, 43.1., <http://www.legislation.gov.uk/ukpga/1977/45/contents/enacted> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

²³⁴ ხაზგასმა ჩემია;

(საქართველოს სსს კოდექსის 105-ე; 106-ე; 107-ე მუხლები)²³⁵. შესაბამისად ინგლისის მსგავსად ჩვენ სახეზე გვაქვს ყოველგვარი დასაბუთებისა და წერილობითი დოკუმენტის გარეშე მიღებული გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ, რომელიც ბუნებრივი და ლოგიკურია, რომ არც გასაჩივრებას არ ექვემდებარება, ხოლო ინგლისისაგან განსხვავებით საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით დაზარალებულს ან სხვა დაინტერესებულ პირს არ გააჩნია კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების უფლება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინგლისის პოლიციის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება არ ფორმდება საპროცესო დოკუმენტის სახით²³⁶, თუმცა აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებაზე გარკვეული სახის კონტროლი ხორციელდება იმ აუცილებელი კრიტერიუმების დაცვით, რომელიც ინგლისის გვირგვინის ბრალმდებელთა კოდექსში არის მოცემული²³⁷. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, მსგავსი სახის ზოგადი კრიტერიუმები, თუ რის საფუძველზე უნდა იქნას მიღებული გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ, მოცემულია შემდეგ ნორმატიულ აქტებში: სსს კოდექსი, 105-ე მუხლი; საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N120, 2016 წლის 01 თებერვლის, ქ. თბილისი, არასრულწლოვნის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე; საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N181, 2010 წლის 8 ოქტომბერი, ქ. თბილისი, სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ. აღნიშნული ნორმატიული აქტების მიხედვით განსაზღვრულია ფაქტობრივ მონაცემთა ჩამონათვალი რა შემთხვევაში აქვს პროკურორს უფლება ისარგებლოს დისკრეციული

²³⁵ საქართველოს კანონი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (მიღებულია 09/10/2009 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ, დოკუმენტის N1772); <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034>, (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

²³⁶ Головки Л.В. Альтернативы уголовному преследованию в современном праве. СПб.: Юридический центр Пресс, М., 2002;с 209;

²³⁷ The Code for Crown Prosecutors (the Code) is issued by the Director of Public Prosecutions (DPP) under section 10 of the Prosecution of Offences Act 1985. This is the seventh edition of the Code and replaces all earlier versions.

https://www.cps.gov.uk/sites/default/files/documents/publications/code_2013_accessible_english.pdf

(მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

უფლებამოსილებით და არ დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა, ან შეწყვიტოს უკვე დაწყებული, თუმცა არც ერთი ნორმა საკანონმდებლო დონეზე არ აწესრიგებს დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების კრიტერიუმებს, კერძოდ, პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არანაირ საკანონმდებლო სტანდარტს და არც შემდგომ კონტროლს ექვემდებარება, ინგლისისაგან განსხვავებით სახეზე გვაქვს შეუზღუდავი, უკონტროლო გადაწყვეტილება, რომელიც არ ფორმდება საპროცესო დოკუმენტის სახით, არ ექვემდებარება არავითარ ზოგად კრიტერიუმებს და რაც ყველაზე უკეთ ქართულ რეალობაში ვლინდება.

ინგლისში სისხლისსამართლებრივი დევნის არ დაწყების ერთ-ერთი სახე მედიაცია²³⁸ გახლავთ. ასეთი ფორმით სისხლის სამართლის საქმეზე წარმოების დამთავრების კონცეფცია მთლიანობაში მომდინარეობს მისწრაფებიდან, რომ საზოგადოებრიობის მეშვეობით შეარიგონ დაზარალებული და სისხლისსამართლებრივ დევნას დაქვემდებარებული პირი იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი გამოასწორებს მიყენებულ ზიანს. ეს იდეა 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში წარმოიშვა, როდესაც ინგლისი სხვა ანგლოსაქსური ქვეყნების (აშშ, კანადა, ავსტრალია) გამოცდილებით დაინტერესდა²³⁹. მიუხედავად იმისა, რომ მედიაციის პრაქტიკაში გამოყენება შედარებით ფართოდ დაიწყო ინგლისის ზოგიერთ რეგიონში, ის დღემდე არ არის მოწესრიგებული საკანონმდებლო დონეზე და მხოლოდ სამართალშემფარდებელთა, იურისტ-თეორეტიკოსთა და საზოგადოების ინიციატივას წარმოადგენს. ამიტომ იქ მედიაციის უამრავი ვარიანტი არსებობს, რაც ადგილობრივ თავისებურებებზე არის დამოკიდებული²⁴⁰.

²³⁸ შუამავლობა-მიახლოებითი რედაქცია,

²³⁹ Головки Л.В. Альтернативы уголовному преследованию в современном праве. СПб.: Юридический центр Пресс, М., 2002;с 209;

²⁴⁰ გუცენკო კ.ფ., გოლოვკო ლ.ვ., ფილიმონოვი ბ. ა., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2007. გვ.149

2.2.2. სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმები შოტლანდიაში
სისხლისსამართლებრივი დევნის თანამედროვე ალტერნატიული ფორმები იმ
ნაწილში, რომელიც ეკუთვნის ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოს და ჩრდილოეთ
ირლანდიას სამართლებრივ მიმართებაში სრულიად ავტონომიურია²⁴¹.

შოტლანდიაში გამოყენებული სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული
ფორმები, როგორც ინგლისში, მჭიდრო კავშირშია სისხლის სამართლის საქმის
აღძვრასთან.²⁴² შოტლანდიაში ისტორიულად მოქმედებს სახელმწიფო
ბრალმდებლის სისტემა, რომელიც ხორციელდება საზოგადოებრივ ინტერესზე
დაყრდნობით. აქ სახელმწიფო ბრალმდებლის ფუნქციას "პროკურატორ-ფისკალის
სამსახური" ასრულებს²⁴³. აღნიშნული სამსახური თავისებურებებით ძალიან წააგავს
საფრანგეთის პროკურატურას. სწორედ პროკურატორ-ფისკალს გამოაქვთ
გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ, როდესაც საქმე ეხება
მცირე მნიშვნელობის დანაშაულებს,²⁴⁴ მას შემდეგ, რაც პოლიცია მოიძიებს შესაბამის
მტკიცებულებებს და გადასცემს ანგარიშს სასამართლოს აღნიშნულის შესახებ.
პროკურატორ-ფისკალს შეუძლია მოითხოვოს დამატებითი გამოძიება პოლიციისაგან,
თუმცა ეს იშვიათად ხდება. ჩვეულებრივ პროკურორ-ფისკალს აკმაყოფილებთ
პოლიციის მიერ მოძიებული მტკიცებულებები საქმის მსვლელობის
გასაგრძელებლად, გამოიყენონ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული
ლონისძიება, თუ დაიწყონ სისხლისსამართლებრივი დევნა.²⁴⁵

რაც შეეხება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების საწყის-
„კანონიერების“ და „მიზანშეწონილობის“ პრინციპებს, უნდა აღინიშნოს, რომ
შოტლანდიაში მიღებული საყოველთაო კონცეფცია „მიზანშეწონილობის“

²⁴¹ Jens M. Scherpe and Bevan Marten, *Mediation in England and Wales: Regulation and Practice*, Oxford University Press. 2012. Published Online January 2013.

<http://oxfordindex.oup.com/view/10.1093/acprof:oso/9780199653485.003.0006> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

²⁴² Moody S. R. Tombs J., *Plea negotiations in Scotland // The criminal law review*. 1983. N5 P. 297

²⁴³ Миттермайер К.Ю., *Уголовное судопроизводство в Англии, Шотландии и Северной Америке*. М. 1864, С.149-163;

²⁴⁴ Gane C., *Scotland // Criminal procedure systems in the European Community / Ed. C. Van Den Wyngert*. London - Brussels-Dublin-Edinburg, 1993. P. 344;

²⁴⁵ Миттермайер К. Ю. *Уголовное судопроизводство в Англии, Шотландии и Северной Америке*. М. 1864. С.154;

პრინციპია²⁴⁶. პროკურორ-ფისკალებს მინიჭებული აქვთ ფართო დისკრეციული უფლებამოსილება, უარი თქვან სისხლისსამართლებრივი დევნაზე. აღნიშნული არ შეიძლება ისე იქნას გაგებული, თითქოს სახელმწიფო დისკრეციულ ძალაუფლებას იყენებს სუბიექტურად, ზედმეტად თავისუფლად.²⁴⁷ დისკრეციული უფლებამოსილების ერთგვარი ფორმალური მაკონტროლებელი ელემენტი არის საზოგადოებრივი/საჯარო ინტერესი, როდესაც პროკურორ-ფისკალები აფასებენ პირის მიერ ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივად საშიშ ხასიათსა და საზოგადოების დამოკიდებულებას მსგავსი ქმედების მიმართ. აღნიშნული მიდგომა „მიზანშეწონილობის“ პრინციპის შეფასების შემთხვევაში ძალიან ახლოს დგას ინგლისურ კონცეფციასთან - „სახალხო ინტერესი“²⁴⁸. აქვე დავამატებთ, რომ შოტლანდიაში სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ უარი²⁴⁹ ოფიციალური იურიდიული დოკუმენტის სახით ფორმდება მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის კატეგორიის საქმეებზე.

მიზანშეწონილობის მოტივით შოტლანდიაშიც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმის გამოყენება გვევლინება, როგორც „უარი“ სისხლისსამართლებრივ დევნაზე, თუმცა უარი სისხლისსამართლებრივ დევნაზე არ ეწინააღმდეგება იმავე ბრალდების გამო ხელმეორე სამართალწარმოებას. პრაქტიკაში ასეთი შემთხვევა ძალიან იშვიათად ხდება, რისთვისაც აუცილებელია პოლიციის მხრიდან საქმისათვის ძალიან მნიშვნელოვანი მტკიცებულებების წარმოდგენა, რათა პროკურორ-ფისკალი დარწმუნდეს სისხლისსამართლებრივი დევნის თავიდან დაწყების მიზანშეწონილობაში, რა თქმა უნდა, საზოგადოებრივი/საჯარო ინტერესის გათვალისწინებით²⁵⁰.

ბოლო ოცი წელი შოტლანდიაში სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმების გავრცელებისათვის საკმაოდ კარგი პერიოდი იყო, თუმცა აქვე

²⁴⁶ Brookes D., McDonough I., The Differences Between Mediation and Restorative Justice/Practice, P.8. November 2006, <http://www.restorativejusticescotland.org.uk/MedvsRJ-P.pdf> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

²⁴⁷ Tombs J. Moody S. R., Alternatives to prosecution: The public interest redefined // The criminal law review. 1993. N5. P. 358

²⁴⁸ Gane C., Scotland // Criminal procedure systems in the European Community / Ed. C. Van Den Wyngert. London - Brussels-Dublin-Edinburg, 1993. P. 344;

²⁴⁹ Criminale Code For Scotland whit Commentary, Prapered By Clive E., Ferguson P., Gane Ch., Smith A., Published under the auspices of the Scottish Law Commission, Edinburgh, December 2003; P.23;

²⁵⁰ Moody S.R. Tombs J., Prosecution in the Public Interest. Edinburgh. 1982. P.60

პარალელურად გაჩნდნენ კრიტიკოსები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ შოტლანდიაში გავრცელებული სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიულ ფორმებში იგრძნობა „ბიუროკრატიული კლიმატი“, კერძოდ, სისხლისსამართლებრივი დევნისაგან პირის განთავისუფლება შოტლანდიაში, არსებული მოდელის თანახმად, არ გვაძლევს სახელმწიფოს მხრიდან დანაშაულზე რეაქციის იდეალურ ფორმას. სწორედ კრიტიკოსთა გამოწვევაზე საპასუხოდ, შოტლანდიაში შეიქმნა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მეთოდი, რომელსაც პროკურორ-ფისკალების მხრიდან „გაფრთხილების“ მეთოდი ეწოდა.²⁵¹ აღნიშნული მეთოდის გამოყენების დროს პროკურორ-ფისკალი წერილობითი ფორმით აფრთხილებს პირს შემდგომი პასუხისმგებლობის შესახებ და განუმარტავს შედეგებს განმეორებით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში. მოცემულ ინსტიტუტს გააჩნია ძალიან მცირედი სახით „სუფთა შოტლანდიური“ სპეციფიკა და ფაქტიურად წარმოადგენს ინგლისური „ფორმალური გაფრთხილების“ ზუსტ ასლს²⁵². ედინბურგსა და გლაზგოში სხვადასხვა დროს მიმდინარეობდა ექსპერიმენტები სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმის გამოყენების დროს, რა ვალდებულება შეიძლებოდა, დაკისრებოდა პირს. სწორედ ამიტომ სახელმწიფო ბრალდების სამსახურსა და ადგილობრივ დეპარტამენტებს შორის, შედგა შეთანხმება, რომლის თანახმად სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმის გამოყენების შემთხვევაში პირი ასრულებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას²⁵³. მიუხედავად ფართო გავრცელებისა და საკმაოდ კარგი პერსპექტივისა, სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმა „მედიაცია“ კონტინენტური სამართლის სისტემის მქონე ქვეყნებში მოქმედი სახით (ბელგია, გერმანია და სხვა) შოტლანდიაში არ განვითარებულა.²⁵⁴

1997 წელს შოტლანდიაში შეიქმნა სპეციალური კომისია, რომლის წინაშე დაისვა საკითხი შექმნილიყო სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმების

²⁵¹ Sheehan A.V., *Criminal procedure in Scotland and France*. Edinburgh, 1975. P. 137

²⁵² Головки Л.В. Альтернативы уголовному преследованию в современном праве. СПб.: Юридический центр Пресс, М., 2002;с 214;

²⁵³ Pradel J., *La cèlèritè de la procedure pènale en droit compare // Revue internationale de droit penal*. Vol. 66. 1995 N3-4. P.329-330

²⁵⁴ Головки Л.В. Альтернативы уголовному преследованию в современном праве. СПб.: Юридический центр Пресс, М., 2002;с 214;

ახალი და უკეთესი ვარიანტები, რომლებიც ცივილიზებულად გადაწყვეტდნენ სისხლის სამართლის ფარგლებში არსებულ კონფლიქტებს. კომისიამ მუშაობის შედეგად მოამზადა ორი სოლიდური მოხსენება. თითოეული მათგანი წარმოადგენდა საკანონმდებლო აქტის მიღების წინაპირობას²⁵⁵.

პირველი მოხსენება 1980 წელს გააკეთა პროფესორმა სტიუარტმა და მისი დასკვნები ძირითადად ეხებოდა სატრანსპორტო დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატივის გამოყენების საკითხებს. კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ სატრანსპორტო დანაშაული, რომელსაც არ მოჰყვებოდა მძიმე შედეგი ყოფილიყო დეკრიმინალიზებული და გამხდარიყო ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რაც უკვე თავისთავად ალტერნატივას წარმოადგენდა. უმრავლესობის მხარდაჭერით იდეა საკანონმდებლო აქტად ჩამოყალიბდა²⁵⁶ და დღეს შოტლანდიაში მოქმედებს კანონი „სატრანსპორტო მოძრაობის წესების დამრღვევების“ შესახებ (Road Traffic Offenders Act 1988)²⁵⁷.

1983 წელს სტიუარტის კომისიამ დაამთავრა მუშაობა მეორე მოხსენებით, რომელიც სისხლისსამართლებრივი დევნის სხვადასხვა სახის ალტერნატივებს შეეხებოდა, ძირითადი აქცენტი გაკეთებული იყო იმ საკითხზე, რომ თავისუფლების აღკვეთა შეცვლილიყო ფიქსირებული ჯარიმით, აღნიშნულზე კომისიის წევრთა შორის აზრთა სხვადასხვაობა იყო, თუმცა საბოლოოდ იდეა რეალიზებულ იქნა²⁵⁸. 1987 წელს ინგლისურმა პარლამენტმა მიიღო კანონი „შოტლანდიის სისხლის სამართლის იუსტიციის შესახებ“ (Criminal Justice [Scotland] Act)²⁵⁹, სწორედ აღნიშნულმა კანონის მიღებამ მისცა საბოლოო ბიძგი შოტლანდიაში სისხლისსამართლებრივი დევნის

²⁵⁵ იქვე;

²⁵⁶ იქვე c 215;

²⁵⁷ შოტლანდიის კანონი „სატრანსპორტო მოძრაობის წესების დამრღვევების შესახებ“ (Road Traffic Offenders Act), (მიღებულია 1988 წელს, გამოქვეყნებულია 1991 წელს), https://www.legislation.gov.uk/ukpga/1991/40/pdfs/ukpga_19910040_en.pdf, (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

²⁵⁸ Головки Л.В. Альтернативы уголовному преследованию в современном праве. СПб.: Юридический центр Пресс, М., 2002;с 215;

²⁵⁹ Criminal Justice [Scotland] Act, 1987, https://www.legislation.gov.uk/ukpga/1987/41/pdfs/ukpga_19870041_en.pdf (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

ალტერნატივად ჩამოყალიბებულიყო „ფიქსირებული ჯარიმის“ ინსტიტუტი,²⁶⁰ რომელიც მძიმე კატეგორიის დანაშაულებსაც კი ეხებოდა.²⁶¹ „ფისკალური ჯარიმის“ ინსტიტუტი პრაქტიკაში ასეთი სახით გამოიყენებოდა: პროკურატორ-ფისკალი პირობით ათავისუფლებდა ბრალდებულს და განუსაზღვრავდა 28 დღის ჯარიმის სახით ხაზინის ანგარიშზე შეტანისათვის. პირობით განთავისუფლებული პირის მიერ განსაზღვრულ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში ახლდებოდა სისხლისსამართლებრივი დევნა. შოტლანდიაში ერთი რამ მკაცრად იყო გათვითცნობიერებული საკანონმდებლო დონეზე, რომ არ შეიძლება სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიების გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ სასჯელის აუცილებლობა ნაკარნახევია „საზოგადო/საჯარო ინტერესით“. „ფისკალური ჯარიმის“ ინსტიტუტი გახლავთ შოტლანდიის ფენომენი, რომლის ანალოგი არ არსებობდა არც ინგლისსა და არც უელსში²⁶².

2.2.3. სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმები აშშ-ში

აშშ-ში ყველა იმ მონაცემების გამოვლენისა და შეკრების შემდეგ, რომელიც საკმარისია დანაშაულის ჩადენაში კონკრეტული პირის მხილებისა და საქმის სასამართლოში გაგზავნისათვის, ხდება ის, რასაც ამერიკელი იურისტები უწოდებენ გადაწყვეტილების მიღებას ბრალდების შესახებ²⁶³. აღნიშნული იწყება იმით, რომ პოლიციელი, რომელიც ასრულებდა ოპერატიულ-სამძებრო (საგამომძიებო), მოქმედებებს, თავის უშუალო უფროსს წარუდგენს ანგარიშს იმის თაობაზე, თუ რა გაკეთდა და დადგინდა აღნიშნული საქმის ირგვლივ. იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი ცნობს ეჭმიტანილის მიერ ხელყოფის ჩადენის ფაქტს საკმარისად დადასტურებულად, ამოწმებს ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციის სისწორეს. პროკურორს შეუძლია, შეცვალოს/დააზუსტოს თავდაპირველი კვალიფიკაცია და ამის მიხედვით მიიღოს გადაწყვეტილება საქმის შემდგომი მსვლელობის შესახებ.

²⁶⁰ Богдановская А.Ю., Закон в английском праве. М. 1987 С.80

²⁶¹ Meechan K., The prosecutor fine // The criminal law review. 1992. N1 P.22

²⁶² Brookes D., McDonough I., The Differences Between Mediation and Restorative Justice/Practice, P.8. November 2006, <http://www.restorativejusticescotland.org.uk/MedvsRJ-P.pdf> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

²⁶³ გუცენკო კ. ფ., გოლოვკო ლ.ვ., ფილიმონოვი ბ. ა., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2007. გვ.148;

გადაწყვეტილება შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს: საქმე გადაეცეს სასამართლოს გამარტივებული წესით განსახილველად; შეიძლება შეწყდეს მტკიცებულებათა არასაკმარისობის გამო, ან გადაწყდეს ე.წ. დარეგულირების მეშვეობით პოლიციის განყოფილების დონეზე²⁶⁴. სწორედ სისხლისსამართლებრივი საქმისწარმოების აღნიშნულ ეტაპზე მოიაზრება მედიაციის ინსტიტუტი, რომელიც აქტიურად გამოიყენება პრაქტიკაში და შედარებით ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეების თითქმის 35%-ს მოიცავს²⁶⁵. გადაწყვეტილების აღნიშნული ვარიანტების არჩევისას ექვმიტანილს, როგორც წესი, ათავისუფლებენ პატიმრობიდან. ამერიკის შეერთებულ შტატებში წინასწარი გამოძიების ამ ეტაპზე შესაძლებელია სხვა გადაწყვეტილების მიღებაც. პოლიცია კონკრეტულ დანაშაულს მიიჩნევს სასამართლოს განხილვის საგნად. აღნიშნულ შემთხვევაში შეგროვებული საბრალდებო მასალები ეგზავნება პროკურორს, რომელმაც პოლიციის დასკვნების დასაბუთებულობის შემოწმების შემდეგ უნდა განაგრძოს სისხლისსამართლებრივი დევნა სასამართლოში. ამ ფილტრში გაივლის თითქმის ყველა სისხლის სამართლის საქმე, მათ შორის ის საქმეებიც, რომლებიც გამარტივებული წესით უნდა განიხილებოდეს და უმეტესი მათგანის მიმართ გამოიყენებოდეს მედიაცია, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ერთ-ერთი საუკეთესო ალტერნატიული ფორმა. ამერიკელი და არამარტო ამერიკელი მეცნიერი და პრაქტიკოსი იურისტები მიიჩნევენ, რომ გაცილებით მეტ ყურადღებას მოითხოვს საშიშ დანაშაულთა საქმეები, რომლებიც სასამართლოში დაწესებულ პროცედურათა სრული დაცვით განიხილება²⁶⁶. ხშირად მსგავსი ტიპის საქმეებზე პროკურორები მიმართავენ შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილ სასამართლოს და მოითხოვენ საქმის წინასწარ განხილვას, ან შესამოწმებლად გააქვთ ისინი მსაჯულთა დიდი ჟიურის სხდომაზე. ამ ეტაპზე ბრალდებათა მნიშვნელოვანი ნაწილი წყდება, ანდა მნიშვნელოვნად მსუბუქდება. პროკურორები ხშირად იხრებიან ისეთი გადაკვალიფიცირებისაკენ, რომლითაც კონკრეტული დანაშაული შეიძლება ჩათვალოს არა საშიშად, არამედ ნაკლებსაშიშად. შესაბამისად აღნიშნული ეტაპიდანაც ხშირია შემთხვევები, როდესაც საქმეთა უმრავლესობა სწორედ მედიაციის ნიშნით დასრულდეს. სარგებელი იმაში

²⁶⁴ გუცენკო კ. ფ., გოლოვკო ლ.ვ., ფილიმონოვი ბ. ა., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2007. გვ.148

²⁶⁵ იქვე გვ.149;

²⁶⁶ იქვე;

მდგომარეობს, რომ მსუბუქი ბრალდების გამო საქმე განიხილება გამარტივებული წესით, სადაც პროკურორს ნაკლები შრომა უწევს, ხოლო ექვმიტანილები/ბრალდებულები გაცილებით მსუბუქი სახის სასჯელს ღებულობენ, მედიაციის შემთხვევაში კი საერთოდ მათ მიმართ წყდება სისხლისსამართლებრივი დევნა, რაც არ იწვევს მათ ნასამართლობას. მედიაცია, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმა, ამერიკელი ხალხისთვისაც მონაპოვარია.²⁶⁷

2.3. კონტინენტური და ანგლო - ამერიკული სამართლის სისტემის ქვეყნებში მოქმედი მედიაციის პროგრამის შედარებითი ანალიზი

“სისხლის სამართლებრივი მედიაციის” კანონის ძალით ინსტიტუციონალიზება პირველად ავსტრიაში განხორციელდა. ავსტრიაში სამართალდამრღვევის მიერ დაზარალებულისათვის კომპენსაციის გადახდის იდეას ხანგრძლივი ტრადიცია აქვს. ეგრეთ წოდებული “აქტიური სინანულის” (Taetige Reue) ინსტიტუტი ავსტრიაში მოქმედებს 1787 წლიდან და დღემდე გამოიყენება იმ სამართალდარღვევებისათვის, რომელიც კოდექსით არის განსაზღვრული²⁶⁸.

ბელგიაში კი 1987 წელს დაიწყო პირველი საპილოტე პროექტის განხორციელება არასრულწლოვანი სამართალდამრღვევებისთვის²⁶⁹. 1996 წლიდან ბელგიის რამდენიმე ქალაქში მედიაციის პროექტები განხორციელდა პოლიციის დონეზე²⁷⁰. გერმანიაში კი “სისხლის სამართლებრივი მედიაციის” კანონის ძალით ინსტიტუციონალიზება ოდნავ მოგვიანებით 1990 წელს განხორციელდა. შეიქმნა “სამართალდამრღვევისა და დაზარალებულის შერიგების” ინსტიტუტი

²⁶⁷ გუცენკო კ. ფ., გოლოვკო ლ.ვ., ფილიმონოვი ბ. ა., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2007. გვ.149

²⁶⁸ Criminale Code (Strafgesetzbuch, StGB), As promulgated on 13 November 1998 (Federal Law Gazette I, p. 945, p. 3322), Translation provided by the Federal Ministry of Justice and reproduced with kind permission, (მობიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

²⁶⁹ Bram Van Droogenbroeck: Victim Offender Mediation in Severe Crimes in Belgium. 2010. Internet pub <http://mereps.foresee.hu/en/segedoldalak/news/271/8635c8c55f/214/> (მობიებულია 2017 წლის 30 მაისს);

²⁷⁰ Aerston I. Peters T., Mediation and Restorative Justice in Belgium, European Journal on Criminal Policy and Research, 1998. PP 518;

(TAO)²⁷¹ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში, როგორც არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეების განმხილველი, ხოლო ოთხი წლის შემდეგ, 1994 წელს, TAO სრულწლოვან პირებზეც გავრცელდა²⁷². საფრანგეთში “სისხლის სამართლებრივი მედიაციის” კანონის ძალით ინსტიტუციონალიზება 1992 წლის 4 იანვარს განხორციელდა²⁷³. ჩვენ მიერ განხილული ქვეყნებიდან მედიაციის ინსტიტუტი ყველაზე გვიან ნორვეგიაში დაინერგა, სადაც 1993 წელს შეიქმნა ეროვნული მედიაციის სამსახური²⁷⁴. განხილული ქვეყნებიდან “მედიაციის” პროგრამის გამოყენება, მასში ჩართვა და მონაწილეობა განსხვავებულად ხორციელდება. საფრანგეთში მხოლოდ პროკურორს შეუძლია, მოახდინოს მედიაციის ინიცირება სისხლის სამართლის საქმეებზე და ისიც მხოლოდ მანამ, ვიდრე სასამართლო პროცედურები დაიწყება.²⁷⁵ გერმანიაში კი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 155ა მუხლი ავალდებულებს პროკურორს და მოსამართლეს, სამართალწარმოების ყველა ეტაპზე მოახდინოს ანალიზი, უნდა იქნას თუ არა გამოყენებული “სამართალდამრღვევისა და დაზარალებულის შერიგების” ინსტიტუტი (TAO)²⁷⁶. გერმანიაში პოლიციასაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა შეუძლია მოახდინოს საქმის გადამისამართებაზე, მაგრამ, ჩვეულებრივ, მათ არ შეუძლიათ საქმის ოფიციალურად გადამისამართება²⁷⁷. ბელგიაში თუ დაზარალებული და სამართალდამრღვევი თანხმდებიან მონაწილეობა მიიღონ მედიაციაში, მისი გამოყენება შეიძლება

²⁷¹ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი 46-ა მუხლი, (13/11/1998), ინტ. მის: https://www.gesetze-im-internet.de/englisch_stgb/englisch_stgb.html, (მომიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

²⁷² იქვე;

²⁷³ საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 41-ე მუხლი (მიღებულია 1/03/1994 საფრანგეთის რესპუბლიკის პარლამენტის მიერ) <http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=14295> (მომიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

²⁷⁴ ნორვეგიის იუსტიციის მინისტრის აქტი მედიაციის სამსახურის შესახებ (მიღებულია 15/03/1991 წელს), <https://www.global-regulation.com/translation/norway/5961973/law-on-national-mediation-treatment-%2528national-mediation-act%2529.html>, (მომიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

²⁷⁵ Jean-Pierre Bonafé-Schmitt, Global Trends in mediation and accreditation-the case of France (2009). ADR Bulletin: Vol. 11 : No. 3 , Article 13. P.3 ინტ. მისამართი: <http://epublications.bond.edu.au/adr/vol11/iss3/3> (მომიებულია 2017 წლის 30 მაისს)

²⁷⁶ გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მუხლი 155ა (მიღებულია 07/04/1987, ბუნდესტაგის, გერმანიის პარლამენტის მიერ), https://www.gesetze-im-internet.de/englisch_stpo/englisch_stpo.html, (მომიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

²⁷⁷ Roth Markus and Gherdane David, Mediation in Austria: The European Pioneer in Mediation Law and Practice, Oxford University Press. 2012. Published Online January 2013. <http://oxfordindex.oup.com/view/10.1093/acprof:oso/9780199653485.003.0004> (მომიებულია 2017 წლის 30 მაისს);

სამართალწარმოების ყველა ეტაპზე²⁷⁸. ბელგიაში სასამართლოში საქმის წარმოების დროს არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველ მოსამართლესაც შეუძლია მედიაციის შეთავაზება²⁷⁹.

ავსტრიაში თუ სამართალდამრღვევი აშკარად გამოხატავს სინანულს დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ან კომპენსაციის ფორმით, მაშინ მასზე სასჯელი არ უნდა გავრცელდეს. სინანულის ეს აქტი და სამართალდამრღვევის მიერ აღიარება უნდა მოხდეს იმ დრომდე, ვიდრე პოლიცია შეიტყობს სამართალდამრღვევის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ²⁸⁰. თუ სამართლებრივი კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია, მაშინ პროკურორმა უნდა შესთავაზოს განრიდების ღონისძიება ექვმიტანილს წინა სასამართლო სხდომაზე (სანამ ბრალის წაყენება მოხდება).²⁸¹

ნორვეგიაში ავტონომია ძალიან მაღალია, ვიდრე, მაგალითად, საფრანგეთში ან ბელგიაში, სადაც არსებობს ინდივიდუალური დამოკიდებულების ხარისხი მედიატორების თანამდებობასთან მიმართებით. პროკურორი პოლიციის დონეზე მოქმედებს, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი რგოლი, მაგრამ ის მარტო არ არის²⁸². საქმეების მცირე რაოდენობა- კონფლიქტები ოჯახში და სამეზობლოში ხშირად პირდაპირ მედიაციის სამსახურს გადაეცემა²⁸³. იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება ვერ მიიღწევა, მაშინ სისხლის სამართლებრივი პროცედურები გრძელდება ან ხდება მედიაციის მეორე მცდელობის ინიცირება²⁸⁴. მედიაციის მეორე მცდელობის ინიცირება ჩვენ მიერ განხილულ სხვა არც ერთ ქვეყანაში არ არის შესაძლებელი. მნიშვნელოვანია, რომ გვახსოვდეს განსხვავება საქმის

²⁷⁸ ბელგიის კანონი "სისხლის სამართლის საქმეებზე მედიაციის შესახებ", 28.3 (მიღებულია 10/02/1994 წელს), <http://www.nall.nl/tijdschrift/nall/2016/02/NALL-D-15-00005>, (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

²⁷⁹ იქვე 24.1;

²⁸⁰ Schijdnel R.A.M. van, Confidentiality and Victim-Offender Mediation, Antwerpen, Apeldoorn, Portland, 2009. P43

²⁸¹ Roth Markus and Gherdane David, Mediation in Austria: The European Pioneer in Mediation Law and Practice, Oxford University Press. 2012. P. 4 Publisher Online January 2013.

<http://oxfordindex.oup.com/view/10.1093/acprof:oso/9780199653485.003.0004> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს)

²⁸² The Criminal Procedure Act, Norway, Ministry of Justice and the Police, Legislation Department, May 22, 1981, N25; <http://app.uio.no/ub/ujur/oversatte-lover/data/lov-19810522-025-eng.pdf> (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

²⁸³ Norway Criminale Code, Act N28, May 20, 2005, <http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=17417>, (მოძიებულია 2017 წლის 10 სექტემბერს);

²⁸⁴ The Criminal Procedure Act, Norway, Ministry of Justice and the Police, Legislation Department, May 22, 1981, N25; 61. <http://app.uio.no/ub/ujur/oversatte-lover/data/lov-19810522-025-eng.pdf> (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

სახეობებს, დანაშაულის ტიპებსა და სამართალდამრღვევთა ასაკს შორის, როდესაც ვადარებთ ნორვეგიის მოდელს სხვა ქვეყნების მოდელებს. ნორვეგიაში საქმეები, რომლებიც რეგულირდება მედიაციით ეხება ვანდალიზმს და მაღაზიაში ქურდობას²⁸⁵, მაშინ როდესაც დანაშაული ჩადენილი ადამიანის წინააღმდეგ (სხეულის მსუბუქი დაზიანება) წარმოადგენს მედიაციის საგანს სხვა ქვეყნებში. ნორვეგიაში მედიაციისა და შერიგების სამსახური შეიძლება გამოყენებული იქნას, როგორც სისხლის სამართლის ასევე ისეთ საქმეებზე, რომელთა განცხადებაც პოლიციაში არ ხდება. სრულიად სხვაგვარად რეგულირდება საკითხი საფრანგეთში, სადაც მედიაციის პროცედურა ეხება მხოლოდ “მცირე მნიშვნელობის დარღვევებს”. გერმანიაში კი მედიაციის გამოყენება არ შემოიფარგლება კონკრეტული დანაშაულებით. ეს ზოგადი წესია, რომელიც ვრცელდება ყველა დანაშაულზე, მათ შორის ისეთ მძიმე დანაშაულებზე, როგორც არის ძარცვა, გაუპატიურება და თეორიულად თვითმკვლელობა, ან მკვლელობის მცდელობაც კი. მოქმედების საკმაოდ ფართო მასშტაბები აქვს “განრიდების” გამოყენებას ბელგიაში, კერძოდ თუ დაზარალებული და სამართალდამრღვევი თანხმდებიან მედიაციაში მონაწილეობაზე, მისი გამოყენება შეიძლება დანაშაულის ყველა კატეგორიის საქმეზე²⁸⁶.

ასევე განსხვავებულია ქვეყნებში სამართალდამრღვევთა ასაკი, რომლებიც “მედიაციის” პროგრამის სუბიექტები არიან. საფრანგეთში მედიაცია დაზარალებულსა და სამართალდამრღვევს შორის გამოიყენება იმ პირების მიმართ, ვისაც უკვე შეუსრულდა 18 წელი²⁸⁷, ხოლო სხვა ქვეყნებში არსებულ ინიციატივათა უმრავლესობა არასრულწლოვნებზეა მიმართული. გერმანიის კონსტიტუციის თანახმად, მედიაციაში მონაწილეობისათვის პრიორიტეტი უფროსი ასაკის პირებს ენიჭებათ²⁸⁸. ავსტრიაში მედიაცია გამოიყენება, როგორც

²⁸⁵ Peters T., *Victim-Offender Mediation in Norway*, Louven, Louven Univesrity Press, 2000, P.281

²⁸⁶ ბელგიის კანონი "სისხლის სამართლის საქმეებზე მედიაციის შესახებ", 28.3 (მიღებულია 10/02/1994 წელს), <http://www.nall.nl/tijdschrift/nall/2016/02/NALL-D-15-00005>, (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

²⁸⁷ საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (მიღებულია 1/03/1994 საფრანგეთის რესპუბლიკის პარლამენტის მიერ) <http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=14295> (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

²⁸⁸ Basic Law for the Federal Republic of Germany, Deutscher Bundestag, last amended on 23 December 2014, Translators: Professor Christian Tomuschat and Professor David P. Currie, Professor Donald P. Kommers in

არასრულწლოვნებისათვის, ასევე სრულწლოვანებისთვისაც, რაც, ჩემი აზრით, საუკეთესო გადაწყვეტილებაა აღნიშნული პროგრამის მიზნების მისაღწევად. ნორვეგიაშიც ნებისმიერი ასაკობრივი ჯგუფებისთვის მოქმედებს მედიაციისა და შერიგების სამსახური. ბელგიაში კანონი ახალგაზრდობის დაცვის შესახებ (2006 წელი) ადგენს, რომ მედიაცია გამოიყენება მხოლოდ არასრულწლოვანთა მიმართ²⁸⁹.

საფრანგეთში მედიაცია სისხლის სამართლის საქმეებზე არ იწვევს სამართალდამრღვევის ნასამართლობას.²⁹⁰ ბელგიაში ძალიან ხშირად მედიატორის შემდეგ საქმე იხურება და მას რაიმე სისხლისსამართლებრივი შედეგები არ მოსდევს²⁹¹. მსგავსი სამართლებრივი შედეგები თან ახლავს დანაშაულებრივ ქმედებას თითქმის ყველა ქვეყანაში, სადაც გამოიყენება “მედიაციის” პროგრამა. მედიაციის პროგრამას მნიშვნელოვანი სუბიექტისთვის- მედიატორისთვის ყველა ქვეყანაში განსხვავებული მოთხოვნები აქვს დაწესებული. საფრანგეთში მედიატორები შესაძლოა იყვნენ როგორც პროფესიონალები, ასევე მოხალისეები (ყოფილი პოლიციელები)²⁹². რაც შეეხება გერმანიას, დაზარალებულისა და სამართალდამრღვევის მედიაციის ერთიანი, მწყობრი სისტემა აქ არ არსებობს. მისი გამოყენება და შედეგები განსხვავებულია სხვადასხვა ფედერალური მიწის და ზოგჯერ დასახლების ტერიტორიაზე. თავდაპირველად იუსტიციის ფედერალურმა სამინისტრომ განცხადება გამოაქვეყნა იმის შესახებ, რომ მედიაციის განხორციელება არ იყო ექსკლუზიურად იურისტების საქმიანობის სფერო, რომ სხვა პროფესიის ადამიანებსაც თანაბრად შეეძლოთ მედიატორის ფუნქციის შესრულება. შემდეგ ცვლილება შევიდა კანონში სამართლებრივი კონსულტაციის შესახებ და იგი შეიცვალა კანონით იურიდიული მომსახურების შესახებ (2008

cooperation with the Language Service of the German Bundestag, ინტ.მის: <https://www.btg-bestellservice.de/pdf/80201000.pdf> (მოდებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს)

²⁸⁹ ბელგიის კანონი „ახალგაზრდობის დაცვის შესახებ“ (მიღებულია 2006 წელს), http://www.protection-of-minors.eu/en/BE_overview.php, (მოდებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

²⁹⁰ Schmidt Bonafe, Global Trends in mediation and accreditation-the case of France (2009). P. 54.

²⁹¹ ბელგიის კანონი "სისხლის სამართლის საქმეებზე მედიაციის შესახებ" 51, (მიღებულია 10/02/1994 წელს), <http://www.nall.nl/tijdschrift/nall/2016/02/NALL-D-15-00005>, (მოდებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

²⁹² საფრანგეთის იუსტიციის მინისტრის 1996 წლის 10 აპრლის ბრძანება N96-305, სისხლის სამართლის საქმეებზე მედიატორებისთვის დაწესებული მოთხოვნების შესახებ;

წელი)²⁹³, რომელიც უფრო ლიბერალურია და უფლებას აძლევს იურიდიული განათლების არმქონე პირებს, გარკვეულ ვითარებაში გასცეს იურიდიული კონსულტაცია. ბელგიაში სიტუაცია სულ სხვაგვარია, მედიატორები დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლები არიან და მათი სპეციალობაა არასრულწლოვნებთან მუშაობა. მედიატორები არ არიან დაკავშირებულნი სისხლის სამართლის სისტემასთან, ისინი მუშაობენ დამოუკიდებელ არასამთავრობო ორგანიზაციებში და წარმოადგენენ მედიაციისა და აღდგენითი მართლმსაჯულების სპეციალისტებს, რომელთაც ოფიციალურად აღიარებს იუსტიციის სამინისტრო²⁹⁴. ბელგიაში მედიატორი უნდა მუშაობდეს მედიაციის აღიარებულ სამსახურში და როგორც უკვე აღინიშნა, არ უნდა იყოს დაკავშირებული სისხლის სამართლის სისტემასთან.²⁹⁵ ავსტრიაში დაზარალებული-სამართალდამრღვევის მედიაცია ხორციელდება პროფესიონალი მედიატორების მიერ, რომელთაც “konflikregler” უწოდებენ²⁹⁶.

მხოლოდ სპეციალიზებული და ტრენინგგავლილი მედიატორები ახორციელებენ მედიაციას სისხლის სამართლის საქმეებზე. ნორვეგიის მედიაციის ეროვნულ სამსახურში მედიატორები არიან უბრალო მოქალაქეები. ისინი არ არიან პროფესიონალები, რომლებიც საქმიანობას ახორციელებენ ნებაყოფლობით თავისუფალ დროს²⁹⁷. სპეციალური ცოდნა არ არის საჭირო, მაგრამ როდესაც უკვე დანიშვნის საკითხი დგება მაშინ უკვე გარკვეულ უნარებს ექცევა ყურადღება,

²⁹³ Legal Services Act in Germany, 2008, The Act was adopted by the German Bundestage as Article 1 of the Act of 12 December 2007;

²⁹⁴ ბელგიის კანონი "სისხლის სამართლის საქმეებზე მედიაციის შესახებ", 34.1 (მიღებულია 10/02/1994 წელს), <http://www.nall.nl/tijdschrift/nall/2016/02/NALL-D-15-00005>, (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

²⁹⁵ Nadia Alexander, Harmonization and Diversity in the Private International Law of Mediation: The Rhythms of Regulatory Reform, Oxford University Press. 2012. P 12. Published Online January 2013. <http://oxfordindex.oup.com/view/10.1093/acprof:oso/9780199653485.003.0002> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს)

²⁹⁶ Lauwaert K. and Aertsen I. (editors), Desistance and restorative justice Mechanisms for desisting from crime within restorative justice practices, European Forum for Restorative Justice v.z.w. 2015. P.46. <http://www.euforumrj.org/wp-content/uploads/2015/11/Research-report-desistance-and-RJ-total-doc-24-11-final.pdf> (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

²⁹⁷ ნორვეგიის იუსტიციის მინისტრის აქტი მედიაციის სამსახურის შესახებ, ნაწილი პირველი (მიღებულია 15/03/1991 წელს), <https://www.global-regulation.com/translation/norway/5961973/law-on-national-mediation-treatment-%2528national-mediation-act%2529.html>, (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

მაგალითად: როგორცაა უნარი შეინარჩუნო ნეიტრალურობა, იყო კარგი მსმენელი, წაიყვანო პროცესი²⁹⁸.

კონტინენტური სამართლის სისტემის ქვეყნებისაგან განსხვავებით ანგლოსაქსური სამართლის სისტემის ქვეყნებში (ინგლისი, შოტლანდია, აშშ) მოქმედებს არა კანონიერების, არამედ მიზანშეწონილობის პრინციპი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ეტაპზე²⁹⁹. ინგლისის კანონმდებლობა საერთოდ არ იცნობს პროცესუალურ დოკუმენტს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ³⁰⁰, შესაბამისად ინგლისში არ მიიღება წერილობითი სახით დასაბუთებული გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის არ დაწყების, უკვე დაწყებული დევნის შეწყვეტის, ან სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიების გამოყენების შესახებ. თითქმის იდენტური წესი არსებობს ქართული კანონმდებლობის თანხმად, მაშინ, როდესაც უფლებამოსილი პირი, პროკურორი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებას სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიების (განრიდება/მედიაცია) გამოყენების შესახებ და აღნიშნული გადაწყვეტილება არ მოითხოვს არც წერილობით ფორმას და, მით უმეტეს, არც დასაბუთებას. საქართველოს კანონმდებლობისაგან განსხვავებით ინგლისში მოქმედებს "ოფიციალური გაფრთხილების ინსტიტუტი", რომელიც უფლებამოსილი პირის მიერ გამოიყენება წერილობით და გააჩნია შესაბამისი დასაბუთება, უფრო მეტიც, აღნიშნული აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს სასამართლოში, რითაც შესაძლებელია სასამართლო კონტროლის განხორციელება ბრალდების მხარის შეუზღუდავ დისკრეციაზე³⁰¹. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა, სამწუხაროდ, მსგავს დათქმას არ იცნობს, რითაც ბრალდებულსაც და დაზარალებულსაც პირდაპირი წესით წართმეული აქვთ კონსტიტუციით გარანტირებული ფუნდამენტური უფლება "მიმართონ სასამართლოს საკუთარ უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად"³⁰². განრიდებისა და მედიაციის

²⁹⁸ იქვე;

²⁹⁹ Pradel J. Procedure penale compare dans les systems modernes: 1998. P.485

³⁰⁰ Лубенский А.И. Предварительное расследование по законодательству капиталистических государств. М. 1977, С.37-38

³⁰¹ R.v. Metropolitan police commissioner 1995. The Times. 1995. 24 May

³⁰² საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 42, ნაწილი პირველი

შესახებ პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესაძლოა, შეიცავდეს სუბიექტივიზმის ნიშნებს და ლახავდეს ან ბრალდებულის, ან დაზარალებულის ინტერესებს, სწორედ ამიტომ კანონის თანახმად აუცილებლად უნდა იყოს გარანტირებული სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიების გამოყენების საკითხთან დაკავშირებით პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ერთჯერადად სასამართლოში გასაჩივრების უფლება, როგორც ბრალდებულისათვის, ასევე დაზარალებულისათვის. ჩვენ მიერ განხილული თითქმის ყველა ქვეყნის კანონმდებლობა განსაზღვრავს აღნიშნულ უფლებას და ამით გარანტირებულს ხდის ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას (საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს). მართალია, ინგლისში სასამართლო წესით გასაჩივრებას ექვემდებარება სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიების ერთ-ერთი ინსტიტუტი "ოფიციალური გაფრთხილება", მაგრამ, საერთო ჯამში, ისევე როგორც საქართველოში, ბრალდების მხარე ფაქტიურად უკონტროლოა სისხლისსამართლებრივი დევნის მიზანშეწონილობის თუ არამიზანშეწონილობის შეფასებისას მხოლოდ იმ პირობით, რომ დაზარალებულ ან ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ასეთ შემთხვევაში თვითონ განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა პოლიციისაგან დამოუკიდებლად. აღნიშნული შესაძლოა, ინგლისის სისხლის სამართლის მოქმედი კანონმდებლობის ფენომენად ჩაითვალოს, როდესაც დაზარალებულის უფლებები იმდენად მაღალი დონის დაცვას ექვემდებარება, რომ მას დამოუკიდებლად შეუძლია განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა. მსგავსი ტიპის დათქმას საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს, სისხლის სამართლის მოქმედი კოდექსის თანახმად არათუ დამოუკიდებელი სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოება, არამედ დაზარალებულს ინფორმაციასაც კი არ აწვდიან სისხლისსამართლებრივი დევნის (განრიდების) გამოყენების შესახებ. შესაბამისად, ჩვენ ვერ გავეჯიბრებით ინგლისს, ჩვენ ვერ მივიღებთ ხისტად იქ დამკვიდრებულ სამართლებრივ წესებს, ინგლისი ბრალდების მხარის გაუკონტროლებელ დისკრეციას დაზარალებულის უფლებების მაქსიმალური დაცვით ავსებს, რასაც, სამწუხაროდ, ქართულ სამართლებრივ სივრცეში ვერ შეხვდებით. იგივე მიდგომა არსებობს როგორც შოტლანდიაში, ასევე ამერიკის

შეერთებულ შტატებში, რის საფუძველზეც აღარ გავმეორდები აღნიშნულ ქვეყნებში მოქმედი კანონმდებლობის განხილვით.

საბოლოოდ ქვეყნებს სადაც “მედიაცია” გამოიყენება, ერთი დევიზი აერთიანებთ - "რაც უფრო მძიმეა დანაშაულის შედეგი, მით უფრო საჭიროა მედიაცია". შედარებითი სქემის შედეგად უკეთ დავინახავთ განსხვავებასა და საერთო საწყისებს განხილულ ქვეყნებს შორის. (იხ. დანართი N3).

3. პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება

3.1. პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების ზოგადი მიმოხილვა

"სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით, რა დროსაც ხელმძღვანელობს საჯარო ინტერესებით." აღნიშნული ნორმა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ნაწილია, რომელიც სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციაზეა ორიენტირებული³⁰³.

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით პროკურორს გააჩნია შეუზღუდავი დისკრეცია სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საკითხის გადაწყვეტისას.

პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება ნიშნავს იმას, რომ პროკურორი უფლებამოსილია, გააკეთოს არჩევანი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებასა და სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტას შორის. პროკურორს კანონი არჩევანის გაკეთების უფლებას ანიჭებს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მოპოვებული მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხით მიუთითებენ პირის ბრალეულობაზე. პროკურორი გადაწყვეტილებას იღებს საჯარო ინტერესიდან³⁰⁴ და სახელმწიფოს სისხლის სამართლის პოლიტიკიდან გამომდინარე. აღსანიშნავია, რომ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე მისი უარი სასამართლოში არ საჩივრდება ნაკლებად მძიმე, ან მძიმე კატეგორიის დანაშაულის შემთხვევაში³⁰⁵.

მართლმსაჯულების სისტემაში, პროკურატურისათვის დაკისრებული ფუნქციებიდან გამომდინარე, აუცილებელია, პროკურორისათვის გარკვეული ზომით დისკრეციის მინიჭება. თუ ეს უფლება სწორად იქნება გამოყენებული, იგი ხელს შეუწყობს სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებას. მით უმეტეს, რომ ქართული

³⁰³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მე-16 და 166-ე მუხლები;

³⁰⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მე-16 მუხლი;

³⁰⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168-ე მუხლი;

კანონმდებლობით სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, დამნაშავის რესოციალიზაცია და არა ადამიანის ფიზიკური ტანჯვა და მისი ღირსების დამცირება³⁰⁶.

პროკურორისათვის დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭების არჩევანი განვითარებულ ქვეყნებს უკვე გაკეთებული აქვთ და, როგორც ექსპერტები ამტკიცებენ, შედეგიც წარმატებულია.

1987 წლის 17 სექტემბერს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა ევროსაბჭოს შემადგენლობით გაერთიანებულ სახელმწიფოებს მიმართა შესაბამისი რეკომენდაციით, რომელიც ითვალისწინებდა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში "დისკრეციული სასამართლო დევნის" რაც შეიძლება ფართო დანერგვას, თუ ამ სახელმწიფოებში არსებული ისტორიული გარემოებები ან კონსტიტუცია ამის საშუალებას იძლევა³⁰⁷. აღნიშნული რეკომენდაციის მიხედვით, დისკრეციულ წარმოებაზე გარკვეული პირობებით უარის თქმის ან მისი შეწყვეტის საკითხის დაყენებისას, საჭიროა ბრალდებულის თანხმობა. აღნიშნული თანხმობის არარსებობის შემთხვევაში დევნის მწარმოებელი ორგანო ვალდებულია, გააგრძელოს ბრალდებულის დევნა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ იგი ბრალდების წაყენებაზე სხვა მიზეზით იტყვის უარს³⁰⁸. ბევრმა ქვეყანამ ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის ეს რეკომენდაცია წარმატებით შეასრულა (მაგ.: საფრანგეთმა, იტალიამ, გერმანიამ და ა.შ.). ასე რომ, თანამედროვე ევროპული სამართლისთვის დისკრეცია ნამდვილად არაა უცნობი მოვლენა.³⁰⁹ ანგლოსაქსური და კონტინენტური სამართლის ქვეყნებში პროკურატურის სისტემები ერთმანეთისაგან განსხვავდება იმის მიხედვით, თუ როგორ ხორციელდება პროკურატურის უმთავრესი ფუნქცია და სისხლის სამართლებრივი

³⁰⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 39, ნაწ.1;

³⁰⁷ მეფარიშვილი გ., ჩხეიძე ი., დისკრეციის პრინციპთა დაკავშირებით სისხლის სამართლის პროცესში, სამეცნიერო შრომების კრებული, თბ. ელ.რესურსი <http://www.nplg.gov.ge/gSDL/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10--.%2E-4---4---0-11--11-en-10---10-help-50--00-3-1-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8>

[10&a=d&c=ekonomik&cl=CL2.13&d=HASHfdfa9fd570df09c458b7b5.2.5](http://www.nplg.gov.ge/gSDL/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10--.%2E-4---4---0-11--11-en-10---10-help-50--00-3-1-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8) (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

³⁰⁸ იქვე;

³⁰⁹ Головки Л.В. Альтернативы уголовному преследованию в современном праве. Санкт-Петербург, 2002, С. 16-17;

დევნა - მიზანშეწონილობის თუ კანონიერების პრინციპით, ანუ პროკურორი სისხლის სამართლის დევნის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მტკიცებულებების გარდა ითვალისწინებს თუ არა სხვა ფაქტორებსაც³¹⁰. ანგლოსაქსური სამართლის ქვეყნებში - (ინგლისი და უელსი, ირლანდია, აშშ), სადაც "მიზანშეწონილობის პრინციპს" უჭერენ მხარს, დევნის განხორციელების მხრივ პროკურორებს სრული თავისუფლება ეძლევათ. მათ უფლება აქვთ, საზოგადოებრივი ინტერესის ფაქტორის გათვალისწინებით გადაწყვიტონ, საჭიროა თუ არა დევნის დაწყება კონკრეტული საქმის მასალების საფუძველზე, ე.ი. ამ გადაწყვეტილების მიღება პროკურორის დისკრეციულ შეხედულებაზეა დამოკიდებული. კონტინენტური სამართლის ქვეყნებში კი, სადაც "კანონიერების პრინციპს" მისდევენ, სრულიად იგნორირებულია საზოგადოებრივი ინტერესის ფაქტორი და პროკურორი ვალდებულია, დაიწყოს სისხლის სამართლებრივი დევნა, თუ არსებული მტკიცებულებები საკმარის საფუძველს იძლევა პირის ბრალდებისათვის. ამ შემთხვევაში ბრალდების მხარე საქმეს სასამართლოს გადასცემს. ბრიტანეთში, სადაც დისკრეცია ფაქტიურად ტოტალურ ხასიათს ატარებს, დანაშაულთა უმეტესობაზე იწყება სისხლის სამართლის დევნა, ხოლო იქ, სადაც კანონიერების პრინციპს აღიარებენ, სულ უფრო ნაკლები სისხლის სამართლის საქმე შედის სასამართლოში³¹¹. ექსპერტების გათვლით, დღესდღეობით ევროპის ქვეყნების პრაქტიკის გათვალისწინებით, გამოსაძიებელი საქმეების სიმრავლის, ადამიანური თუ მატერიალური რესურსების დაზოგვის, პროცესის მონაწილეთა ემოციური მდგომარეობის შემსუბუქებისა და ამავე დროს, სასჯელის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, ყველა დანაშაულის ფაქტზე დევნის დაწყება კატეგორიულად სავალდებულო აღარ არის, უპირატესობა ენიჭება განრიდების სხვადასხვა ფორმებს, იზრდება პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების არეალი, რაც მეტ-ნაკლები მასშტაბით კანონმდებლობებშიც აისახება. შედარებით ფართოა ეს უფლებამოსილებები ნიდერლანდებსა და საფრან-

³¹⁰ მეფარიშვილი გ., ჩხეიძე ი., დისკრეციის პრინციპთა დაკავშირებით სისხლის სამართლის პროცესში, სამეცნიერო შრომების კრებული, თბ. ელ.რესურსი <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik-00-1--0-10-0-0-0---0prompt-10--.%2E-4---4---0-11--11-en-10---10-help-50--00-3-1-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8>

(მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

³¹¹ Evans R. Comparing young adult and juvenile cautioning in the metropolitan police district // The criminal law review. 1993. N8. P. 572

გეთში, ხოლო ნაკლებია გერმანიასა და იტალიაში. გერმანიაში, კანონის თანახმად, პროკურორს უფლება აქვს არ დაიწყოს სისხლის სამართლის დევნა იმ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულს, რომლის მიმართ არ არსებობს საზოგადოებრივი ინტერესი, ამასთან თუ ერთი და იმავე დამნაშავის მიერ ჩადენილი დანაშაული ნაკლებად მნიშვნელოვანია და მისთვის დაწესებული სასჯელი უმნიშვნელოა³¹². ამ შემთხვევებში საქმე უპირობოდ წყდება. სხვა შემთხვევებში ხდება პირობითი სასჯელის დაწესება, ზარალის ანაზღაურება, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ან მედიაციის დანიშვნა. თუმცა ასეთ შემთხვევებში მოსამართლის თანხმობა აუცილებელია. გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე, პროკურორი ვალდებულია რეაგირების გარეშე არ დატოვოს ყოველი ეჭვი დანაშაულის შესახებ და ამ მიზნით იგი ვალდებულია ჩაატაროს გამოძიება.³¹³ გადაწყვეტილების მიღებისას, განახორციელოს თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნა, პროკურორი თავისუფალია, მაგრამ ვალდებულია, საკუთარი პოზიცია წერილობით დაასაბუთოს. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონიერების პრინციპი გერმანულ სისხლის სამართლის პროცესში არ მოქმედებს შეუზღუდავად, საქართველოს კანონმდებლობისაგან განსხვავებით. გერმანელი იურისტები საკმაოდ კრიტიკულები არიან დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით. მათი აზრით, მხოლოდ კანონმა უნდა გაითვალისწინოს კონკრეტული საფუძველი, როდესაც პროკურორი გარკვეული მოსაზრებით უარს ამბობს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაზე.

დისკრეციული უფლებამოსილება საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით შეზღუდულია და იგი არ გამოიყენება მძიმე დანაშაულის ჩამდენი იმ პირის მიმართ, რომლისადმიც ადრე გამოყენებული იყო დისკრეციული უფლებამოსილება და ა.შ.³¹⁴

³¹² გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 153; (მიღებულია 07/04/1987, ბუნდესტაგის, გერმანიის პარლამენტის მიერ), https://www.gesetze-im-internet.de/englisch_stpo/englisch_stpo.html, (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

³¹³ იქვე 152-ე მუხლი, ნაწ. 2;

³¹⁴ საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის 48-ე მუხლი;

ფრანგული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს დაზარალებულის უფლებას³¹⁵, სასამართლოში (საგამოძიებო პალატა) გაასაჩივროს პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე (აღძვრაზე) უარის თქმის ან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ.

თითქმის ანალოგიურადაა გადაწყვეტილი საპროკურორო დისკრეციის საკითხი ესპანეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში³¹⁶ და სხვა ევროპული ქვეყნების საპროცესო კანონმდებლობაში.³¹⁷

ქართული თანამედროვე სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით განსაზღვრული წესები, თუ რის საფუძველზე უნდა გამოიყენოს პროკურორმა დისკრეციული უფლებამოსილება სისხლისსამართლებრივი დევნისას ზუსტად შეესაბამება ამერიკის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში მოქმედ წესებს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი განსაზღვრავს საფუძველებს, თუ რა შემთხვევებში შეუძლია პროკურორს გამოიყენოს კანონით მინიჭებული დისკრეცია, არ დაიწყოს/შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა. განრიდებისა და მედიაციის გამოყენებაზე სრულად ვრცელდება პროკურორის დისკრეცია და მხოლოდ მას აქვს უფლება ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილება, გამოიყენებს თუ არა აღნიშნულ პროგრამას კონკრეტული პირის მიმართ. პროკურორის გადაწყვეტილება განრიდებისა და მედიაციის გამოყენება/არ გამოყენებაზე არც კანონით და არც სასამართლო წესით არ ექვემდებარება კონტროლს, რაც უდავოდ საკანონმდებლო ნოვაციის არაობიექტურ და არაეფექტურ განხორციელებაზე მიუთითებს. ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ეს მიდგომები მეტად დამაფიქრებელია. (ხაზგასმა ჩემი-მ.ქუთათელაძე).

³¹⁵ Уголовно процессуальный кодекс Франции / Перевод Л.В. Головки. М., 2000.; Головки Л.В. Альтернативы уголовному преследованию в современном праве. Санкт-Петербург, 2002, С. 20;

³¹⁶ ესპანეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 100

³¹⁷ Horstmann Markus, Ueber Zwaeckmaessigkeitsprinzip, Praezisieren und Kontrolle im Strafprozessrecht.: Berlin, 2002. P. 58

განრიდება-ეს არის დისკრეციული უფლებამოსილება, რომელიც გააჩნია პროკურორს. ანუ, პროკურორს არ გააჩნია ვალდებულება დაასაბუთოს, რატომ გამოიყენა, ან არ გამოიყენა ესა თუ ის ღონისძიება, კონკრეტულ შემთხვევაში - განრიდება. ლოგიკურია, თუ პროკურორს არ ევალება, დაასაბუთოს აღნიშნული გადაწყვეტილება, ვერც მისი გასაჩივრების შესაძლებლობა იარსებებს. პროკურორი კანონის თანახმად ვალდებულია, ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულის და სხვა ფაქტორების არსებობის შემთხვევაში განიხილოს ალტერნატივა - განრიდების პროგრამის გამოყენების, მაგრამ გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება არ გააჩნია³¹⁸.

ვინაიდან არ არსებობს პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, ამ მხრივ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მნიშვნელოვნად აუარესებს დაზარალებულის უფლებრივ მდგომარეობას, რადგან ის მოკლებულია შესაძლებლობას სასამართლო კონტროლის მეშვეობით შეძლოს საკუთარი უფლებებისა და თავისუფლების დაცვა. გარდა ამისა, სასამართლოსათვის მიმართვის არდაშვება პროცესის მონაწილეების მიერ აშკარა წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციასთან, საერთაშორისო სამართლის პრინციპებთან, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკასთან.

3.1.1. დისკრეციის ცნება

სიტყვა დისკრეცია ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს თანამდებობის პირის ან სახელმწიფო ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებას საკუთარი შეხედულებისამებრ³¹⁹.

დისკრეციული უფლებამოსილების ცნებას ასევე განსაზღვრავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც დისკრეციულობა არის უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას, საჯარო და კერძო

³¹⁸ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 38-ე;

³¹⁹ მეფარიშვილი გ., სამართლის პუბლიცისტიკა, გამომცემლობა "უნივერსალი", თბილისი 2014. გვ.18 | 18

ინტერესების დაცვის საფუძველზე, კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ერთ-ერთი ყველაზე უფრო მისაღები გადაწყვეტილება.

იმისთვის, რომ პირს ჰქონდეს დისკრეციული უფლებამოსილება, საჭიროა სრულდებოდეს რამდენიმე პირობა: ა) კანონის საფუძველზე უნდა ჰქონდეს მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება; ბ) უნდა მოქმედებდეს, როგორც საჯარო ისე კერძო ინტერესების დაცვის მიზნით.³²⁰ დისკრეციული უფლებამოსილება გამოიყენება, როცა სამართლის ნორმისა და ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისობის დადგენის (სუბსუმციის) დროს პირს აქვს შესაძლებლობა, აირჩიოს რამდენიმე გადაწყვეტილებიდან ერთ-ერთი. დისკრეციული უფლებამოსილების სამართლებრივი საფუძველია კანონი. იმისთვის, რომ გავიგოთ კონკრეტულ შემთხვევაში, შეიძლება თუ არა დისკრეციულ უფლებამოსილებაზე მსჯელობა, ყურადღება უნდა მივაქციოთ შემდეგ სიტყვებს: „უფლება აქვს“, „უფლებამოსილია“. დისკრეციულობის პრინციპის გამოყენებისას საამისოდ უფლებამოსილმა პირმა უნდა გამოიყენოს სხვა პრინციპებიც, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანაზომიერების პრინციპი.³²¹

საქართველოს სისხლის სამართლის პროცესისათვის დისკრეცია აბსოლუტურად ახალი ინსტიტუტია, მის მსგავს ინსტიტუტს სისხლის სამართლის პროცესი არ იცნობს. დისკრეციის უფლებით პროკურორი წყვეტს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას ან უკვე დაწყებული დევნის შეჩერებას/შეწყვეტას. დისკრეცია პროკურორის უფლებაა და არა ვალდებულება. აღნიშნული უფლებით პროკურორი სარგებლობს ნებაყოფლობით და საჯარო ინტერესის გამოყენებით. ეს უფლება გამოიყენება, თუ კონკრეტული ბრალდებულის დასჯის მიმართ არ არსებობს საჯარო ინტერესი. კანონი არ ზღუდავს დისკრეციის უფლების გამოყენებას ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის დანაშაულებთან მიმართებაში.³²² თითოეული პროკურორის ვალდებულებაა სწორად და სამართლიანად წარმოაჩინოს ის სამართლებრივი

³²⁰ ტურავა პ., წიკვაძე ნ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, თბილისი, 2010, გვ.64;

³²¹ სულამანიძე რ., დისკრეციული უფლებამოსილება, სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი. თბილისი 2015, გვ. 3;

³²² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, საქართველოს ამერიკის იურისტთა ასოციაცია, ავტორთა კოლექტივი, რედ. გიორგაძე გ. გამომც. მერიდიანი, თბილისი 2015. გვ.128;

დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოება, რომელსაც ის მოიპოვებს საქმის მსვლელობისას. სისხლის სამართლის საპროცესო სამართალში ნორმა დისკრეციის შესახებ ახალია, თუმცა თვითონ გადაწყვეტილების მიღების პროცესი - დაიწყოს თუ არა პროკურორმა სისხლისსამართლებრივი დევნა კონკრეტული პირისადმი, რასაც თან ახლავს უამრავი ნორმატიული აქტისა და კანონის გათვალისწინება, ვფიქრობ, აღნიშნული საკმაოდ ნაცნობია ამ უფლების მფლობელთათვის. როდესაც კანონის თანახმად გაუქმებულია პირის მიმართ კერძო სისხლისსამართლებრივი დევნა, აუცილებელია ამ ეტაპზე დისკრეციის უფლების არსებობა.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის N181 ბრძანება აყალიბებს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპებსა და რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინებითაც პროკურორმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების თაობაზე დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში. დისკრეციული უფლებამოსილება მრავალმხრივი ინტერპრეტაციისა და ფართო ლავირების საშუალებას იძლევა. არასწორად მიღებულმა გადაწყვეტილებამ შესაძლოა, ზიანი მიაყენოს როგორც კონკრეტული პირის უფლებებსა და ინტერესებს, ასევე მთელ საზოგადოებას. ამ ბრძანებაში მოცემული რეკომენდაციები მიზნად ისახავს პროკურორის ფართო დისკრეციული უფლებამოსილების მოქცევას ზოგადი პრინციპებისა და სტანდარტების ჩარჩოებში, რაც გადაწყვეტილების მიღების პროცესს უფრო სტრუქტურულს, თანმიმდევრულსა და გამჭვირვალეს გახდის, განამტკიცებს კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპს, ამასთან ხელს შეუწყობს დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების შემღებისდაგვარად ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას. ამავდროულად პროკურორის გადაწყვეტილების თავისუფლება არ უნდა შეიზღუდოს იმგვარად, რომ საფრთხე შეექმნას სისხლისსამართლებრივი სისტემის მოქნილობასა და ეფექტურობას, ყოველი კონკრეტული საქმისადმი ინდივიდუალურ მიდგომასა და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას. სწორედ ამიტომ აღნიშნული ბრძანება ჩამოყალიბებულია ზოგადი სარეკომენდაციო პრინციპების სახით. პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების არსებითი ნაწილია იმის გარკვევა, თუ რამდენად ემსახურება

დევნის დაწყება საჯარო ინტერესს. პროკურორმა დევნა არ უნდა დაიწყოს მაშინ, როცა დევნის საწინააღმდეგო საჯარო ინტერესი აშკარად გადაწონის პირის დასჯის ინტერესს. საჯარო ინტერესის განსაზღვრისას საჭიროა გარკვეული კრიტერიუმების გათვალისწინება, ესენია - სახელმწიფოს სამართლებრივი პრიორიტეტები, დანაშაულის ბუნება და სიმძიმე, სისხლისსამართლებრივი დევნის პრევენციული გავლენა, პირის ბრალეულობის ხარისხი, პირის კრიმინალური წარსული, გამოძიებასთან თანამშრომლობის სურვილი, პიროვნული მახასიათებლები, მოსალოდნელი სასჯელი მსჯავრდების შემთხვევაში ან სხვა შედეგი³²³. თუმცა ზევით ჩამოთვლილი მახასიათებლების გათვალისწინება არ იძლევა საჯარო ინტერესის ზუსტად განსაზღვრის გარანტიას, მაგრამ ზოგიერთი მათგანის გამოყენება, ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალური ფაქტორების გათვალისწინებით, არსებითია სწორი გადაწყვეტილების მისაღებად. აქვე გასათვალისწინებელია პროკურორების, როგორც იურისტების მიდგომა ზემდგომის მიერ მიღებული რეკომენდაციებისადმი.³²⁴

3.1.2. განრიდება, როგორც პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება და სასამართლო პრაქტიკა

სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიებების, კერძოდ განრიდებისა და მედიაციის შესახებ საქართველოში სასამართლო პრაქტიკის არსებობით ვერ დავიტრაბახებთ, ვინაიდან აღნიშნული ინსტიტუტის ამოქმედების შემთხვევაში ძირითადად სისხლისსამართლებრივი დევნა წყდება გამოძიების ეტაპზე, ხოლო პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება განრიდებისა და მედიაციის გამოყენების შესახებ სასამართლო წესით არ საჩივრდება. თუმცა, სულ ახლახან, 2017 წლის 26 აპრილს პირველი ინსტანციის სასამართლომ, ხოლო 2017 წლის 04 მაისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიამ გვაჩუქა მარგალიტი სასამართლო განჩინების სახით, სადაც ორივე ინსტანციამ იმსჯელა

³²³ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N181, სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ, 3 ნაწ. 08.10.2010;

³²⁴ შალიკაშვილი, მ. კრიმინოლოგია. მეორე გამოცემა. თბ. 2011. გვ. 12-13.

საკითხზე, თუ სად გადის ზღვარი პროკურორისათვის მინიჭებულ დისკრეციულ უფლებამოსილებაში, რომელიც სისხლისსამართლებრივი დევნის, კერძოდ განრიდებისა და მედიაციის გამოყენების საფუძველია. თბილისის სააპელაციო სასამართლოში ბრალდების მხარის მიერ გასაჩივრდა წინა სასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის შესახებ განჩინება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საქმე №1გ/622-17, 2017 წლის 04 მაისის გადაწყვეტილებიდან ირკვევა, რომ პირის მიმართ გამოტანილი იქნა დადგენილება ბრალდების შესახებ და იმავე დღეს წარედგინა ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით, ხოლო აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო. ბრალდებულმა მოითხოვა მის მიმართ განრიდების გამოყენება. პროკურორის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება განრიდების გამოყენების შესახებ, რაზეც იმავე დღეს შედგა განრიდების შეთავაზების ოქმი. ოქმის თანახმად, პროკურორის მიერ მიღებული იქნა განრიდების პირობების გამოყენების გადაწყვეტილება. განრიდების პირობების თანახმად, ბრალდებულს უნდა გადაეხადა 1000 (ათასი) ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, განისაზღვრა პირობის შესრულების ვადაც. მასვე განემარტა, რომ თუ იგი არ შეასრულებდა განრიდების პირობებს, პროკურორს უფლება ჰქონდა მის მიმართ განეხლებინა სისხლისსამართლებრივი დევნა, ხოლო განრიდება განხორციელებულად ჩაითვლებოდა იმ მომენტიდან, როცა განრიდების სუბიექტი შეასრულებდა შეთავაზებულ პირობას. აღნიშნულ პირობებს დაეთანხმა ბრალდებული და ხსენებული ოქმი დადასტურებული იქნა პროკურორის, ბრალდებულისა და მისი ადვოკატის ხელმოწერით. ბრალდებულმა შეასრულა განრიდების პირობა. თუმცა პროკურორმა ორ დღეში გამოიტანა დადგენილება განრიდების წარმოების პროცესის შეწყვეტის შესახებ და დაადგინა, რომ არ შეწყდეს ბრალდებულის მიმართ არსებული სისხლისსამართლებრივი დევნა იმ მოტივით, რომ ბრალდების მხარემ მიიჩნია, რომ სახეზეა სისხლისსამართლებრივი დევნის საჯარო ინტერესი და ამიტომ მის მიმართ არ უნდა გამოყენებულიყო განრიდება. პროკურორის მიერ შედგენილი იქნა ოქმი განრიდებაზე უარის თქმის შესახებ, რის შემდეგაც საქმე წარიმართა სასამართლოში. ხსენებულ დადგენილებაში და განრიდებაზე უარის თქმის შესახებ ოქმში მითითებულია, რომ პროკურორმა იხელმძღვანელა ბრალდებულის პიროვნებით, მის

მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმით და დანაშაულის ხასიათით, რის გამოც ბრალდების მხარემ მიიჩნია, რომ განრიდება ვერ უზრუნველყოფდა ბრალდებულის რეაბილიტაციას და შესაბამისად, არსებობდა სისხლისსამართლებრივი დევნის საჯარო ინტერესი. საქმის სასამართლოში წარმართვის შემდგომ პროკურორმა სასამართლოში მტკიცებულების სახით წარადგინა განრიდების ოქმი და დადგენილება განრიდების პროცესის შეწყვეტის შესახებ. სწორედ მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის გარკვევისას შეძლო როგორც პირველმა, ასევე სააპელაციო სასამართლომ ემსჯელა და პოზიცია დაეფიქსირებინა მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ბრალდებულს უფლება არ ქონდა პროკურორის ეს გადაწყვეტილება გაესაჩივრებინა სასამართლოში.

მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე განჩინებაში პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168²-ე მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება ნაწილობრივ შეზღუდულია (დანაშაულის კატეგორია და განრიდების პირობები). ასევე ცხადია, რომ აღნიშნული ნორმის სუბიექტი შეიძლება იყოს, როგორც ბრალდებული, ასევე ის პირი, რომლის მიმართაც არ დაწყებულა სისხლისსამართლებრივი დევნა. ნორმის განმარტებისთვის ზევით მითითებულ პირებს ეწოდებათ განრიდების სუბიექტი, ე.ი პირი, ვის მიმართაც პროკურორი კანონით დადგენილი წესით იყენებს განრიდებას, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიულ მექანიზმს. სასამართლომ მიიჩნია, რომ 168²-ე მუხლით განსაზღვრული განრიდების შეთავაზება მიიჩნევა, როგორც პროკურორის მხრიდან უკვე მიღებული გადაწყვეტილება იმისა, რომ პირზე გავრცელებული იქნას სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი. მოცემული ნორმით ცალსახად დგინდება, რომ პროკურორის უფლებამოსილება პირის (განრიდების სუბიექტის) მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ან განახლების თაობაზე, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ პირი არ შეასრულებს განრიდების პირობებს, ანუ თუ არ განხორციელდება განრიდება. მოცემული ნორმის შესაბამისად, პირის მიერ განრიდების პირობების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობისას პროკურორი განაახლებს უკვე შეწყვეტილ სისხლისსამართლებრივ დევნას, რაც იმას

გულისხმობს, რომ პირობების შესრულების ვადებში პირის მიმართ უკვე შეწყვეტილი უნდა იყოს სისხლისსამართლებრივი დევნა. საქმის მასალებით და მხარეთა განმარტებებით სასამართლომ უტყუარად დადგენილად მიიჩნია, რომ ე.წ.-მ სრულად შეასრულა განრიდების პირობა 2017 წლის 24 მარტს. სასამართლოს აზრით განრიდების პირობები შესრულდა და განრიდება განხორციელდა იმავე დღეს, რის შემდეგაც პროკურორი ვალდებული იყო შეეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა ბრალდებულის მიმართ.

სასამართლომ არ გაიზიარა პროკურორის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ პირის განრიდების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის დადგენილების მიღებით. სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული პოზიცია წინააღმდეგობაში მოდის განრიდების, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმის მიზნებთან და ამოცანებთან.

სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ უცვლელად დატოვა ძალაში ეს გადაწყვეტილება.

4. არასრულწლოვანთა განრიდება და მედიაცია, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმა

საქართველოში „ვარდების რევოლუციას“ რადიკალური რეფორმები მოჰყვა. სახელმწიფომ 2004-2005 წლებში მიზნად დაისახა მთელი რიგი რეფორმების განხორციელება. დამნაშავეობასთან ბრძოლა სახელმწიფომ ერთ-ერთ პრიორიტეტად გამოაცხადა. საქართველოს სისხლის სამართლის ლიბერალური მოდელი თანდათან შეიცვალა და მისი ადგილი “ნულოვანი ტოლერანტობის” პოლიტიკამ დაიკავა. ხელისუფლებამ შეუწყნარებელი ბრძოლა გამოუცხადა კორუფციას, ორგანიზებულ დანაშაულებს და წვრილმან დანაშაულებსაც.

“ნულოვანი ტოლერანტობა”, როგორც „პოლიციური სტრატეგია“, პირველად ამერიკის შეერთებული შტატებში, ნიუ იორკში იქნა გამოყენებული 1994 წელს.³²⁵ ნიუ-იორკში „ნულოვანი ტოლერანტობის“ სტრატეგია ძირითადად წვრილმანი დანაშაულების ეფექტურ აღკვეთასა და ქალაქში წესრიგისა და კონტროლის დამყარებაზე იყო ორიენტირებული. მისი ქართული მოდელი კი არამხოლოდ წვრილმანი, არამედ ორგანიზებული და სამოხელეო დანაშაულების მიმართაც მკაცრი მიდგომით გამოირჩეოდა. ზემოაღნიშნულისათვის საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2005 წელს დამტკიცდა სამუშაო ჯგუფისა და ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისიის მხარდაჭერით შემუშავებული სტრატეგია.

სტრატეგიის დამტკიცებიდან სამი წლის შემდეგ დღის წესრიგში დადგა სტრატეგიის გადახედვისა და ცვლილების საკითხი, რადგან “ნულოვანი ტოლერანტობის” პოლიტიკას მკაცრი კრიტიკა მოჰყვა არასრულწლოვანთა მიმართ გატარებული ცვლილებების გამო. 2007 წლის 23 მაისის კანონით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკმა 12 წლამდე დაიწია 108-ე, 109-ე, 117-ე, 137-ე 178-ე (გარდა პირველი ნაწილისა), 179-ე და 238¹-ე მუხლებით გათვალისწინებული

³²⁵ Hungerford-Welch P. Criminal litigation and sentencing. London- Sidney, 1998. P.22

მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებების ჩადენისათვის. აღნიშნული ცვლილება დასაბუთდა არასრულწლოვანთა მხრიდან ძალადობრივი დანაშაულის მომეტებით. სტატისტიკური მონაცემების თანახმად დიდი შემფოთება გამოიწვია 2004-2005 წლებთან შედარებით არასრულწლოვანთა მიერ განზრახ მკვლელობის ჩადენის მნიშვნელოვანმა ზრდამ, კერძოდ, თუ 2004-2005 წლებში ადგილი ჰქონდა განზრახ მკვლელობების 5 შემთხვევას, 2006 წელს მათი რიცხვი გახდა 21, 2007 წელს – 40 და 2008 წელს – 31, ანუ 3 წლის განმავლობაში 2004-2005 წლებთან შედარებით განზრახ მკვლელობების შემთხვევებმა 2006 წელს 400%-ით, 2007 წელს 800%-ით და 2008 წელს 600%-ით იმატა.”³²⁶ თუ არასრულწლოვან მსჯავრდებულთა სტატისტიკას დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ რეალური შედეგი არასრულწლოვან პირთა მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკას არ მოუცია. 2007 წელს 40 არასრულწლოვანი იქნა მსჯავრდებული განზრახ მკვლელობისთვის; 2008 წელს – 31 არასრულწლოვანი, 2009 წელს – 28 არასრულწლოვანი, 2010 წელს – 40 არასრულწლოვანი, 2011 წლის პირველ ორ კვარტალში კი 17 არასრულწლოვანი. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისთვის 2007 წელს მსჯავრდებული იქნა - 9 არასრულწლოვანი, 2008 წელს – 17 არასრულწლოვანი, 2009 წელს – 11 არასრულწლოვანი, 2010 წელს – 10 არასრულწლოვანი, 2011 წლის პირველ ორ კვარტალში კი – 5 არასრულწლოვანი. ხულიგნობისთვის მსჯავრდებულ იქნა 2007 წელს - 43 არასრულწლოვანი, 2008 წელს – 63 არასრულწლოვანი, 2009 წელს – 49 არასრულწლოვანი, 2010 წელს – 37 არასრულწლოვანი, 2011 წლის პირველ ორ კვარტალში კი -19 არასრულწლოვანი. არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქმედებები არ შემცირებულა მაინცდამაინც იმ კატეგორიის დანაშაულებში, რომელთან ბრძოლის მიზნითაც დაიწია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკმა და გამკაცრდა პოლიტიკა – საუბარია ძალადობრივ დანაშაულებზე³²⁷.

ასევე, “ნულოვანი ტოლერანტობის” პოლიტიკამ წვრილმან დანაშაულებთან მიმართებაში ამოწურა თავისი მისია და შესაბამისი შედეგიც გამოიღო. აღარ არსებობდა მისი მთელი მოცულობით გაგრძელების აუცილებლობა და ქვეყანას

³²⁶ შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2011, გვ. 213

³²⁷ 2003-2013 წლების სისხლის სამართლის საქმეთა სტატისტიკა http://geostat.ge/?action=page&p_id=601&lang=geo (მომიებულია 2017 წლის 30 მაისს);

შეეძლო, შეერბილებინა დამოკიდებულება გარკვეული ტიპის დანაშაულების მიმართ. მართლაც, რეგისტრირებულ დანაშაულთა რიცხვმა ბოლო ათწლეულის განმავლობაში პიკს 2006 წელს მიაღწია, როდესაც საქართველოში დაფიქსირდა 62 284 დანაშაული, რის შემდეგაც დანაშაულის რიცხვმა სტაბილური კლება განიცადა და 2010 წელს დარეგისტრირდა სულ 34 739 დანაშაული, ხოლო 2011 წლის პირველ სამ კვარტალში 24 455 დანაშაული.³²⁸ ამასთან მოსახლეობაში გაჩნდა დანაშაულისაგან დაცულობისა და ეფექტური მართლმსაჯულების განცდა.

2011 წელს საქართველოში ჩატარდა დანაშაულისა და უსაფრთხოების კვლევა. აღნიშნული კვლევის საფუძველზე განისაზღვრა ვიქტიმიზაციის დონე საქართველოში, მოსახლეობის დამოკიდებულება დანაშაულის, სასჯელისა და მართლმსაჯულების სისტემისადმი, მოსახლეობაში დაცულობისა და უსაფრთხოების განცდის ხარისხი და სხვ. გამოკვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ქვეყნის მოსახლეობის 98% თავს უსაფრთხოდ გრძნობს, ხოლო 87% კმაყოფილია სამართალდამცავი ორგანოების მუშაობით და ნდობას უცხადებს მას.³²⁹

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საქართველოს მთავრობამ 2009 წლისათვის მიზანშეწონილად ჩათვალა სამოქმედო გეგმის განახლება და ისეთი ძლიერი ორგანოს შექმნა, რომელიც კოორდინაციას გაუწევდა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმას, განახორციელებდა პროცესის მონიტორინგსა და უზრუნველყოფდა პროცესის მონაწილე ყველა მხარის ჩართულობას. აღნიშნული ინიციატივა გაჟღერდა საქართველოს პრეზიდენტის მიერ. მან განაცხადა, რომ აუცილებელია ახლებური ხედვა და მიდგომები, პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ადამიანის უფლებათა დაცვას და ამ მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯი სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაცია უნდა ყოფილიყო. თავის გამოსვლაში პრეზიდენტმა თხოვნით მიმართა ევროკავშირს,

³²⁸ 2003-2013 წლების სისხლის სამართლის საქმეთა სტატისტიკა http://geostat.ge/?action=page&p_id=601&lang=geo (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

³²⁹ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური ინტერნეტ გვერდი, სტატია, არასრულწლოვანთა განრიდება 2012წ. <http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/279> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

აქტიურად ჩართულიყო აღნიშნული რეფორმის განხორციელებაში. შესაბამისად, 2009 წელს შეიქმნა უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო. 2009 წლის 27 ივლისს მიღებულ იქნა სისხლის სამართლის რეფორმის ახალი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც სისხლის სამართლის ლიბერალიზაციაზე იყო ორიენტირებული³³⁰.

4.1. არასრულწლოვანთა განრიდების საკანონმდებლო რეგლამენტაცია

„ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნით, სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ იმ ბავშვებთან უშუალო დამოკიდებულების მქონე კანონების, პროცედურების, ორგანოებისა და დაწესებულებების ჩამოყალიბებას, რომლებმაც, როგორც ითვლება, დაარღვიეს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედებათ მისი დარღვევა ან აღიარებული არიან მის დამრღვევებად“. აღნიშნული მოთხოვნა ვრცელდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მთელ სისტემაზე, მართლმსაჯულების სისტემასთან არასრულწლოვანთა პირველი კონტაქტიდან სისტემასთან ყველანაირი კავშირის დასრულებამდე.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა აერთიანებს კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მიმართებაში გამოყენებად კანონმდებლობას, ნორმებს, სტანდარტებს, სახელმძღვანელო პრინციპებს, პოლიტიკას, პროცედურებს, მექანიზმებს, დებულებებს და შესაბამის ინსტიტუტებსა და ორგანოებს. ეს ნიშნავს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა არ შეიცავს არც პირველად (ანუ საყოველთაო), და არც მეორეული (ანუ მიზნობრივი) პრევენციის პროგრამებს ბავშვების მიერ დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენის შემცირებისათვის. სანაცვლოდ იგი ითვალისწინებს მესამეულ პრევენციას, ანუ ინტერვენციას პროცესის განმავლობაში (დაპატიმრების მომენტიდან), რაც მიზნად ისახავს განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილებას. რა თქმა უნდა, ბავშვების მიერ დანაშაულის ჩადენის შემცირების სახელმწიფო პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს როგორც პირველად,

³³⁰ სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, 27.07.2009, <http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/237> (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

ასევე მეორეულ პრევენციას, მაგრამ ეს ასპექტები სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების შემადგენელ ნაწილად მოიაზრება და არა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემისა.³³¹

ვიწრო გაგებით კანონმდებლობის რეფორმა გულისხმობს მხოლოდ არსებული კანონის შეცვლას ან ახალი კანონის შექმნას. თუმცა პრაქტიკაში “კანონმდებლობის რეფორმა” ამაზე გაცილებით მრავალმხრივი პროცესია და სცდება სამართლებრივი ჩარჩოს უბრალოდ გადასინჯვას და მასში შესწორებების შეტანას.

მსოფლიოში ყველა სახელმწიფოს აქვს სისხლის სამართლის საკუთარი სისტემა, თუმცა კანონები ფორმით განსხვავდება ერთმანეთისაგან. კონტინენტური სამართლის სისტემის მქონე ქვეყნებს, ჩვეულებრივ, აქვთ სისხლის სამართლის კოდექსი ან/და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. საერთო სამართლის ქვეყნებში არსებობს მთელი რიგი ცალკეული სტატუტების (აქტების ან კანონების) გამოყენების ტენდენცია. ორივე სისტემაში აღნიშნული კოდექსების და სტატუტების საფუძველზე შექმნილია დიდი რაოდენობით კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროს სხვადასხვა ასპექტთან დაკავშირებულ წესებსაც შეიცავს. სისხლის სამართლის დებულებებში ცვლილებების შეტანისას და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობის შემოღებისას, თუ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების არსებულ კანონებში შესწორებების შეტანისას რეფორმატორებმა უნდა გადაწყვიტონ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების დამოუკიდებელი კოდექსი/სტატუტი დაინერგება, თუ არსებული კოდექსები და სტატუტები შესწორდება, მაგალითად, ახალი თავის ან ნაწილის დამატების გზით.

სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის ფარგლებში დღემდე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მრავალი რეფორმა განხორციელდა. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო უკვე რამდენიმე წელია, აქტიურად მუშაობს

³³¹ Головки Л.В. Альтернативы уголовному преследованию в современном праве. Санкт-Петербург, 2002. С. 178;

მთელ რიგ პროგრამებზე, რომლებიც კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების რეაბილიტაციაზეა ორიენტირებული. აღნიშნული პროგრამები ხორციელდება როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის სტადიაზე, ასევე დევნის შეწყვეტის ან დასრულების შემდეგ. აქედან უმნიშვნელოვანესია არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განრიდების მექანიზმი. 2010 წლის 15 ნოემბერს ამოქმედდა არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განრიდებისა და მედიაციის პროგრამა. პროგრამა თავდაპირველად საპილოტე იყო და მხოლოდ 4 ქალაქში, თბილისში, რუსთავეში, ქუთაისსა და ბათუმში მოქმედებდა, მოგვიანებით იგი ამოქმედდა გორსა და სამტრედიისაში, ხოლო 2012 წლის 3 თებერვლიდან იგი საქართველოს 15 ქალაქში გავრცელდა და კასპში, მცხეთაში, ქობულეთში, ვანში, ხონში, წყალტუბოში, ტყიბულში, ბაღდათსა და გარდაბანში მცხოვრებ იმ არასრულწლოვნებსაც მიეცათ შანსი განრიდებოდნენ დანაშაულებრივი ქმედებით გამოწვეულ არასასურველ შედეგებს, რომლებმაც პირველად ჩაიდინეს ნაკლებად მძიმე დანაშაული. ხოლო 2012 წელს პროექტი ეტაპობრივად საქართველოს ყველა ქალაქში გავრცელდა.

განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მთავარი პრინციპები და პროცედურული საკითხები მოწესრიგებული არის "არასრულწლოვანთა განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს იუსტიციის მინისტრის N120 ბრძანებით.

განრიდებისა და მედიაციის პროგრამა საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგდა 2010 წლის 24 სექტემბერს, როდესაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტში გაკეთდა დათქმა არასრულწლოვანთა მიმართ ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულთა ჩადენის შემთხვევაში დევნის საჯარო ინტერესის არარსებობის გამო მათ მიმართ განრიდებისა და მედიაციის გამოყენების შესახებ³³².

³³² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, საქართველოს ამერიკის იურისტთა ასოციაცია, ავტორთა კოლექტივი, რედ. გიორგაძე გ. გამომც. მერიდიანი, თბილისი 2015. გვ. 334

2011 წლის 21 ივნისს კი ძალაში შევიდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168¹-ე, 168²-ე მუხლები, რომლის მიხედვითაც ამოქმედდა სრულწლოვან პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განრიდების ინსტიტუტი.

2016 წლის 01 იანვრიდან საქართველოში დამოუკიდებელი სახით ამოქმედდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი.

4.2. განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში მონაწილე პირები და მათი უფლებამოსილებები

განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში მონაწილეობენ არასრულწლოვანი, მისი კანონიერი წარმომადგენელი/საპროცესო წარმომადგენელი, პროკურორი, ადვოკატი, დაზარალებული, მედიატორი და სოციალური მუშაკი. მათი უფლებამოსილებები განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორის 2016 წლის 03 ნოემბრის ბრძანება N384-ს საფუძველზე. განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში საჭიროების შემთხვევაში ასევე შესაძლოა, ჩართული იყოს პედაგოგი, ფსიქოლოგი, ექიმი, ფსიქიატრი და სხვა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროცესში მონაწილეობა უნდა მიიღონ მხოლოდ იმ პირებმა (გარდა არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენლისა), რომელთაც გავლილი აქვთ სპეციალური მომზადება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში.³³³ განრიდებისა და მედიაციის პროგრამით პროკურორს შესაძლებლობა ეძლევა განარიდოს არასრულწლოვანი სისხლის სამართლის სისტემასა და ნასამართლობას, ამით, ხელი შეუწყოს რეციდივის თავიდან აცილებას, არასრულწლოვანის გამოსწორებასა და მის კანონმორჩილ პიროვნებად ჩამოყალიბებას.

³³³ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი კოდექსის მე-3 მუხლის მე-6 ნაწილი

განრიდება დისკრეციულ უფლებამოსილებასთან ერთად გამოიყენება და გულისხმობს არასრულწლოვნის განრიდებას სისხლისსამართლებრივი დევნისაგან და მის ჩაბმას ისეთ პროექტში, რომელიც კანონთან კონფლიქტში მყოფ ახალგაზრდას ხელს შეუწყობს, გამოსწორდეს.

თუ საქმეზე დაწყებულია გამოძიება, არსებობს დასაბუთებული ვარაუდი (სისხლის სამართლებრივი დევნისათვის საჭირო მტკიცებულებითი სტანდარტი), რომ არასრულწლოვანმა ჩაიდინა დანაშაული, პროკურორი უფლებამოსილია დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე არ დაიწყოს/შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა და გამოიყენოს განრიდებასა და მედიაციის პროგრამა.³³⁴

განრიდებას შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე პროკურორი ხვდება არასრულწლოვანს, მის კანონიერ წარმომადგენელს (დამცველს) და ესაუბრება მათ ჩადენილი დანაშაულის შესახებ. არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენელი არის არასრულწლოვნის ახლო ნათესავი, მხარდამჭერი, მეურვე, მზრუნველი, რომელიც მისი ინტერესების დასაცავად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობს და სარგებლობს არასრულწლოვნის უფლებებით, გარდა იმ უფლებებისა, რომლებითაც, თვით ამ უფლებების ბუნებიდან გამომდინარე, შეიძლება მხოლოდ არასრულწლოვანმა ისარგებლოს.³³⁵ თუ არასრულწლოვანს არ ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი, განრიდებასა და მედიაციის პროცესში ერთვება პროკურორის, გამომძიებლის მიერ დანიშნული მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანამშრომელი ან სხვა სანდო პირი, რომელიც ახორციელებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებას არასრულწლოვნის სახელით და მისი

³³⁴ საქართველოს იუსტიციის მინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორის 2016 წლის 03 ნოემბრის ბრძანება N384-ს. დანართი 3;

³³⁵ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მე-3 მუხლი, მე-11 ნაწილი

საუკეთესო ინტერესების დასაცავად. საპროცესო წარმომადგენელი სარგებლობს იმავე უფლებებით, რომლებითაც კანონიერი წარმომადგენელი.³³⁶

პროკურორი არასრულწლოვანს მისთვის გასაგებ ენაზე დეტალურად აცნობს განრიდებისა და მედიაციის პროგრამას, განრიდების სავარაუდო პირობებსა და შესაძლო შედეგებს. პროკურორი ასევე ხვდება დაზარალებულს, განუმარტავს მას არასრულწლოვანის განრიდების საფუძველსა და მიზეზებს, ისმენს მის მოსაზრებასა და მოთხოვნებს. პროკურორი დაზარალებულთან კომუნიკაციას განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდება, რათა თავიდან აიცილოს მისი გაღიზიანება და უკმაყოფილება. პროკურორი ცდილობს, აუხსნას დაზარალებულს, თუ რატომ არის მისთვის სასარგებლო განრიდების პროცესში მონაწილეობა, რა დადებითი მხარეები ექნება მისთვის მედიაციაში ჩართვას. თუ დაზარალებული უარს აცხადებს მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე, მაშინ პროკურორი ეკითხება მას, სურს თუ არა დაფიქრდეს მედიაციაში მონაწილეობაზე და გადაწყვეტილება მიიღოს მოგვიანებით (დაზარალებულის თანხმობის შემთხვევაში პროცესში ერთვება მედიატორი). მედიატორი არის მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი მესამე მხარე, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც არასრულწლოვანსა და დაზარალებულს შორის შუამავლის როლს ასრულებს, წარმართავს და კოორდინაციას უწევს მედიაციის პროცესს³³⁷.

დაზარალებულის უარი განრიდებაზე ან მედიაციაში მონაწილეობაზე არ აბრკოლებს განრიდების პროცესს.³³⁸ არასრულწლოვანს, მის კანონიერ წარმომადგენელს, არასრულწლოვანის ადვოკატს, უფლება აქვს პროკურორს მიმართოს შუამდგომლობით განრიდების გამოყენების თაობაზე. განრიდების გამოყენება შესაძლებელია სისხლის სამართლის საქმის მსვლელობის ნებისმიერ სტადიაზე

³³⁶ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, მესამე გამოცემა, ავტ. კოლექტივი, რედაქტორები: გახოკიძე ჯ., მამნიაშვილი მ., გაბისონია ი., გამომც. იურისტების სამყარო, თბილისი 2015. გვ. 174

³³⁷ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მე-3 მუხლი, მე-12 ნაწილი;

³³⁸ იქვე, მე-3 მუხლი, მე-10 ნაწილი

წინასასამართლო სხდომამდე. წინასამართლო სხდომის შემდგომ განრიდების გამოყენება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ერთობლივი შუამდგომლობით მიმართავენ სასამართლოს საქმის პროკურორისათვის დაბრუნების თაობაზე განრიდების გამოყენების მიზნით. პროკურორი განრიდების შესახებ წინასწარ გადაწყვეტილებას აცნობებს არასრულწლოვანს და მის კანონიერ წარმომადგენელს. იმ შემთხვევაში, როდესაც პროკურორი მიიჩნევს, რომ არასრულწლოვანის მიმართ გამოყენებულ იქნას განრიდება, იგი უკავშირდება საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - პრობაციის ეროვნულ სააგენტოს, რომელიც უზრუნველყოფს სოციალური მუშაკისათვის კონკრეტული საქმის გადაცემას. იმ შემთხვევაში თუ არასრულწლოვანი, მისი კანონიერი წარმომადგენელი არ ეთანხმება პროკურორის მოთხოვნებს და შეუძლებელი ხდება განრიდების ხელშეკრულების სხვა პირობებზე შეთანხმება, პროკურორი წყვეტს განრიდების პროგრამაში ჩართვის პროცესს და იღებს გადაწყვეტილებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მისცეს მსვლელობა სისხლის სამართლის საქმეს.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის №216 ბრძანება განრიდებასა და მედიაში მონაწილე არასრულწლოვანისათვის არ ითხოვს, რომ აუცილებლად ჰყავდეს ადვოკატი. აღნიშნული ბრძანების მიხედვით, „თუ არასრულწლოვანს არ ჰყავს დამცველი, მას (მის კანონიერ წარმომადგენელს) განემარტება დამცველის ყოლის უფლების შესახებ“. თუ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 321-ე მუხლი პირდაპირ მიუთითებს არასრულწლოვანი ბრალდებულის სავალდებულო დაცვის თაობაზე,³³⁹ განრიდება-მედიაციის პროგრამაში მონაწილე არასრულწლოვანისათვის ასეთი ვალდებულება აღარ არსებობს. არასრულწლოვანი ბრალდებულის სავალდებულო დაცვა განპირობებულია იმით, რომ მას სრულწლოვანი ბრალდებულისგან განსხვავებით, ცხოვრებისეული გამოუცდელობის გამო, არ შეუძლია საკუთარი თავის, პოზიციის დაცვა. განრიდება-მედიაციის დროს არცერთ მხარეს არ სჭირდება საკუთარი

³³⁹ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, მესამე გამოცემა, ავტ. კოლექტივი, რედაქტორები: გახოკიძე ჯ., მამნიაშვილი მ., გაბისონია ი., გამომც. იურისტების სამყარო, თბილისი 2015. გვ. 372

პოზიციის დაცვა, მედიატორი იცავს ორივე მხარის ინტერესს საპირისპირო მხარესთან ურთიერთობის დროს. აღსანიშნავია ასევე, რომ მეტად უარყოფითად არის შეფასებული იურიდიულ ლიტერატურაში მედიაციის პროცესში ადვოკატის მონაწილეობა ერთერთი მხარის დამცველად. დამცველს არ გააჩნია მედიაციის შესახებ საკმარისი ცოდნა და არ სჯერა (ვერ წარმოუდგენია) არასამართლებრივი მექანიზმების გარეშე კონფლიქტის მოგვარება.³⁴⁰ გარდა ამისა, ადვოკატები მათი პროფესიიდან გამომდინარე, როგორც კანონის დამცველები, კანონზე არიან ორიენტირებულნი და მათთვის კანონის ჩარჩოების დატოვება, რისკზე წასვლა და კონფლიქტის რეგულირების სხვადასხვა ვარიანტის მოძებნა მეტად რთულია.³⁴¹ ადვოკატის მონაწილეობის დროს ხშირია შემთხვევები, როდესაც ადვოკატის მიერ მედიატორი საპირისპირო მხარის „წარმომადგენლად“, მისი პოზიციის დამაფიქსირებლად, უფლებების დამცველად აღიქმება (მაგ. დაზარალებულის ადვოკატი ფიქრობს, რომ მედიატორი ბრალდებულის მხარეს არის და ციხიდან მის დახსნას ან სასჯელის ზომის შემცირებას ცდილობს).³⁴² ასეთ შემთხვევაში ადვოკატი ეცდება კლიენტს თავზე მოახვიოს საკუთარი პოზიცია, თუნდაც ჰონორარის გამართლების მიზნით, რაც გაართულებს მხარეებს შორის შეთანხმების მიღწევის პროცესს.³⁴³

პროცესში მედიატორი ერთვება იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებული თანახმაა მონაწილეობა მიიღოს მედიაციაში. მედიაციის შემთხვევაში, პროკურორი მონაწილეობას იღებს დასკვნით შეხვედრაში. ის საჭიროების შემთხვევაში განმარტავს ხელშეკრულების იმ ნაწილს, რომელიც არასრულწლოვნის ვალდებულებებს ეხება. პროკურორი პროცესის სხვა მონაწილეებთან ერთად ხელს აწერს ხელშეკრულებას და შემდეგ იღებს დადგენილებას სისხლისსამართლებრივი დევნის არ დაწყების ან შეწყვეტის შესახებ.

³⁴⁰ Kaspar, J. Wiedergutmachung und Mediation im Strafrecht. Münster 2004. S. 283.

³⁴¹ Haft, F., Gräfin von Schlieffen, K. (Hrsg.) Handbuch Mediation. 2. Auflage. München 2009. S. 466 .

³⁴² Kaspar, J. Wiedergutmachung und Mediation im Strafrecht. Münster 2004. S. 286.

³⁴³ ცერცვაძე გ. მედიაცია. დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა. თბილისი 2010, გვ 333.

განრიდებისა და მედიაციის პროგრამა არასრულწლოვნის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების მექანიზმია. ამ პროგრამაში სოციალური მუშაკის მონაწილეობა მიზნად ისახავს არასრულწლოვნის ინდივიდუალური საჭიროებების, მისი უნარებისა და სოციალური გარემოს შესწავლას, რაც საფუძვლად უდევს განრიდების ან/და განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულებების პირობების შემუშავებას. სოციალური მუშაკის საქმიანობა მიზნად ისახავს არასრულწლოვნის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგს. სოციალური მუშაკი ეხმარება არასრულწლოვანს სოციალურ ინტეგრაციაში, რამაც მნიშვნელოვნად უნდა შეუწყოს ხელი განმეორებითი დანაშაულის პრევენციას.³⁴⁴

სოციალური მუშაკი არის არასაკატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) სისტემის თანამშრომელი, რომელსაც მიღებული აქვს უმაღლესი განათლება სოციალურ ან სხვა სფეროში და ამავდროულად გავლილი აქვს გრძელვადიანი ტრენინგი სოციალური მიმართულებით³⁴⁵.

განრიდების პროცესში ერთვება სააგენტოს სოციალური მუშაკი მას შემდეგ, რაც პროკურორი დადგენილებით იღებს გადაწყვეტილებას არასრულწლოვნის განრიდების შესახებ და არსებობს არასრულწლოვნის, მისი კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობა განრიდებაში მონაწილეობის თაობაზე³⁴⁶.

განრიდების თაობაზე წერილობით მომართვას პროკურორისგან იღებს შესაბამისი პრობაციის ბიუროს უფროსი. საქმე წარმოებაში გადაეცემა იმ სოციალურ მუშაკს,

³⁴⁴ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორის 2016 წლის 03 ნოემბრის ბრძანება N384-ს, დანართი პირველი;

³⁴⁵ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება N29, განრიდების ან/და განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულების მომზადება-შესრულების პროცესში სოციალური მუშაკის როლისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე, 22.02.2011, მუხლი 3;

³⁴⁶ იქვე, მუხლი 4, ნაწილი 1;

რომელსაც მოცემული დროისთვის გააჩნია ყველაზე ნაკლები აქტიური (მიმდინარე) შემთხვევა³⁴⁷.

იმ შემთხვევაში, თუ სოციალური მუშაკი იცნობს არასრულწლოვანს ან მისი ოჯახის წევრს და აქედან გამომდინარე, არ შეუძლია შეინარჩუნოს ობიექტურობა კონკრეტული შემთხვევის ფარგლებში, მაშინ ამ ფაქტს იგი აცნობებს პრობაციის ბიუროს უფროსს და არასრულწლოვნის საქმე გადაეცემა სხვა სოციალურ მუშაკს³⁴⁸.

პრობაციის ბიუროს უფროსი წერილობით/ტელეფონით აცნობებს პროკურორს, თუ რომელ სოციალურ მუშაკს დაევალა მოცემულ შემთხვევაზე მუშაობა და მიეწოდება შემთხვევაზე მომუშავე სოციალური მუშაკის საკონტაქტო მონაცემები³⁴⁹.

სოციალური მუშაკი პროკურორის მომართვისა და საქმის მისთვის წარმოებაში გადაცემის შემდეგ ხვდება შესაბამის პროკურორს, ხოლო პროკურორთან შეხვედრიდან 3 დღის ვადაში აწყობს არასრულწლოვანსა და მის მშობლებთან შეხვედრას, რათა განუმარტოს მათი სამომავლო თანამშრომლობის ეტაპები და მისი, როგორც სოციალური მუშაკის, როლი და მოვალეობები განრიდების სისტემაში³⁵⁰.

თუ არასრულწლოვანი და მისი კანონიერი წარმომადგენელი გამოთქვამენ თანხმობას სოციალურ მუშაკთან თანამშრომლობაზე, მაშინ სოციალური მუშაკი იწყებს არასრულწლოვნის პირველად ბიოფსიქოსოციალურ შეფასებას; ხოლო თუ არასრულწლოვანი ან/და მისი კანონიერი წარმომადგენელი აცხადებენ უარს სოციალურ მუშაკთან თანამშრომლობაზე, მაშინ სოციალური მუშაკი განუმარტავს

³⁴⁷ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება N29, განრიდების ან/და განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულების მომზადება-შესრულების პროცესში სოციალური მუშაკის როლისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე, 22.02.2011, მუხლი 4, ნაწილი 2;

³⁴⁸ იქვე, მუხლი 4, ნაწილი 3;

³⁴⁹ იქვე, მუხლი 4, ნაწილი 4;

³⁵⁰ იქვე, მუხლი 4, ნაწილი 5;

მათ, რომ უარის შესახებ ეცნობება შესაბამის პროკურორს, რომელიც მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას³⁵¹.

სოციალური მუშაკი არასრულწლოვნის პირველადი ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასების დასკვნასა და ხელშეკრულების სარეკომენდაციო პირობებს პროკურორთან შეხვედრიდან 5 დღის ვადაში აწვდის პროკურორს. ეს პერიოდი მოიცავს არასრულწლოვანთან და მის ოჯახთან 2 ან 3 შეხვედრას. კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევისას 5-დღიანი ვადა პროკურორის გადაწყვეტილებით გრძელდება ორ კვირამდე³⁵².

პირველადი ბიოფსიქოსოციალური შეფასების ფარგლებში სოციალური მუშაკი არასრულწლოვნის საჭიროებების, რისკებისა და უნარების, არასრულწლოვნის ჯანმრთელობის, ფსიქოლოგიური განვითარების, განათლებისა და სოციალური მდგომარეობის შესახებ მოკლე ინფორმაციას იღებს. სოციალური მუშაკი ინფორმაციის წყაროზე დაყრდნობით და საკუთარი დაკვირვებების შედეგად ავსებს პირველადი შეფასების ფორმას³⁵³.

პირველადი ბიოფსიქოსოციალური შეფასების საფუძველზე მომზადებული მოკლე დასკვნა და ხელშეკრულების სარეკომენდაციო პირობების ჩამონათვალი პროკურორისთვის წარდგენიდან 5 დღის ვადაში ერთობლივად განიხილება სოციალური მუშაკისა და პროკურორის მიერ. ხელშეკრულების სარეკომენდაციო პირობები უნდა შეესაბამებოდეს არასრულწლოვნის უნარებს და საჭიროებებს. პირველადი შეფასების და რეკომენდაციების განხილვის შემდეგ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით, პროკურორის მიერ მიიღება გადაწყვეტილება

³⁵¹ იქვე, მუხლი 4, ნაწილი 6;

³⁵² საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება N29, განრიდების ან/და განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულების მომზადება-შესრულების პროცესში სოციალური მუშაკის როლისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე, 22.02.2011, მუხლი 4, ნაწილი 7;

³⁵³ იქვე, მუხლი 4, ნაწილი 8;

დასრულდეს, თუ არა შეფასება ამ ეტაპზე, თუ ჩატარდეს არასრულწლოვანის სრული ბიოფსიქოსოციალური შეფასება³⁵⁴.

სრული ბიოფსიქოსოციალური შეფასება ხორციელდება არასრულწლოვანთან, მისი ოჯახის წევრებსა და მასთან დაკავშირებულ სოციალური გარემოს სხვა წარმომადგენლებთან ინტერვიუების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში სოციალური მუშაკი შეფასების პროცესში არასრულწლოვანთან და მის ოჯახთან შეთანხმებით რთავს სხვადასხვა პროფესიონალს (პედაგოგი, ფსიქოლოგი, ექიმი, ფსიქიატრი და სხვა). სოციალურ მუშაკებს გააჩნიათ ჩამონათვალი და საკონტაქტო ინფორმაცია იმ პროფესიონალებისა, ვინც შეიძლება ჩაერთოს არასრულწლოვნის შეფასების პროცესში³⁵⁵.

სრული ბიოფსიქოსოციალური შეფასების პროცესში ამ მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული პირების ჩართვის შემთხვევაში, სოციალური მუშაკი იღებს წერილობით ინფორმაციას მათგან, რასაც თან ურთავს შეფასებას.

სრული ბიოფსიქოსოციალური შეფასების შედეგად მიღებულ რეკომენდაციებში სოციალურმა მუშაკმა შეიძლება გაითვალისწინოს არასრულწლოვნის ოჯახის წევრების ჩართვაც, რათა მოხდეს არასრულწლოვნის მიერ პირობების შესრულება, მის მიერ დროის სწორად გამოყენება ან რთული ქცევის მართვა. სრული ბიოფსიქოსოციალური შეფასების დასრულების შემდეგ, პროკურორი და სოციალური მუშაკი ერთობლივად განიხილავენ ბიოფსიქოსოციალური შეფასების დასკვნასა და რეკომენდებულ ღონისძიებებს³⁵⁶.

პროკურორი სოციალური მუშაკის რეკომენდაციების გათვალისწინებით და მასთან კონსულტაციების შედეგად ადგენს ხელშეკრულების პირობებს და მოქმედების ვადას.

³⁵⁴ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება N29, განრიდების ან/და განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულების მომზადება-შესრულების პროცესში სოციალური მუშაკის როლისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე, 22.02.2011, მუხლი 4, ნაწილი 9;

³⁵⁵ იქვე, მუხლი 4, ნაწილი 13;

³⁵⁶ იქვე, მუხლი 4, ნაწილი 17;

სოციალურმა მუშაკმა ხელშეკრულების პირობებში არ უნდა შეიტანოს ისეთი ღონისძიებები, რაც აღემატება არასრულწლოვნის უნარებს და აგრეთვე არ უნდა იყოს ეს ღონისძიებები დაკავშირებული სხვა პირების პასუხისმგებლობასთან³⁵⁷.

განრიდების ხელშეკრულების მომზადების ეტაპზე, თუ დაზარალებული თანახმაა მედიაციაში მონაწილეობაზე, რაც გულისხმობს არასრულწლოვანსა და დაზარალებულს შორის დიალოგის პროცესს, ან არ აქვს მის მიმართ მკვეთრად ნეგატიური პოზიცია, შესაძლებელია, მომზადდეს განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულება³⁵⁸.

განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულებაში დამატებით მონაწილეობს დაზარალებული და მედიატორი. მედიატორი არასრულწლოვანსა და დაზარალებულს შორის ასრულებს შუამავლის როლს, რომლის მიზანია მათი შერიგება. მედიატორის შერჩევას უზრუნველყოფს სოციალური მუშაკი, რომელიც, სპეციალური პროცედურის გათვალისწინებით, მხარეებს შესაძლებლობას აძლევს თავად აირჩიონ მათთვის ყველაზე მისაღები მედიატორი. მედიატორის არჩევისას სოციალური მუშაკი მხარეებს განუმარტავს, რომ მედიატორსა და მხარეებს შორის არ უნდა არსებობდეს ნათესაური, მეგობრული და/ან პროფესიული კავშირი, რაც დაარღვევს მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის პრინციპს³⁵⁹.

ვიქტიმოლოგია არის მეცნიერება, რომელიც დაზარალებულის (ან დანაშაულის მსხვერპლის) პიროვნებას, მისი მსხვერპლად გახდომის უარყოფით შედეგებს და პრევენციას შეისწავლის³⁶⁰. ვიქტიმოლოგია კრიმინოლოგიის სფეროს მიეკუთვნება და გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩაეყარა საფუძველი. დანაშაულის მსხვერპლი

³⁵⁷ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება N29, განრიდების ან/და განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულების მომზადება-შესრულების პროცესში სოციალური მუშაკის როლისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე, 22.02.2011, მუხლი 4, ნაწილი 20;

³⁵⁸ იქვე, მუხლი 4, ნაწილი 22;

³⁵⁹ იქვე, მუხლი 4, ნაწილი 23;

³⁶⁰ ჯვარციშვილი ა., დანაშაულის მსხვერპლის ფსიქოლოგია, 28.02.2016,

<http://intermedia.ge/სტატია/71751-დანაშაულის-მსხვერპლის-ფსიქოლოგია/89/> (მოძიებულია 2017 წლ 141 30 მაისს);

დანაშაულის ჩადენის და მისი კონტროლის შესაძლებლობის მნიშვნელოვანი ელემენტია. დამნაშავეს და დანაშაულის მსხვერპლს ერთმანეთთან ურთიერთობა აქვთ, როგორც სუბიექტს და ობიექტს. ვიქტიმირების არსი ისაა, რომ დამნაშავე ცდილობს, მსხვერპლი თავისი დანაშაულის ობიექტად აქციოს. დანაშაულის ჩადენის შემდეგ, დამნაშავეა ის, ვინც მსხვერპლს ზარალი, ზიანი მიაყენა, ხოლო მსხვერპლია ის ვინც ზარალი, ზიანი განიცადა³⁶¹. დანაშაულის მსხვერპლის ცნების რამდენიმე ვარიანტი არსებობს. ციპფის მიხედვით, დანაშაულის მსხვერპლად უნდა ჩაითვალოს ყველა ის პირი, ვინც დანაშაულისაგან ზიანი, ზარალი განიცადა, მიუხედავად იმისა, ეკუთვნოდა თუ არა მას სამართლებრივი სიკეთე, არის თუ არა უფლებამოსილი, საჩივრით მიმართოს შესაბამის უწყებას და არის თუ არა იგი დაზარალებული სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების მიხედვით. პაშის თანახმად, მსხვერპლი არის ისეთი პირი, რომელიც სხვა პირის ინტერესის შემსრულებელია, მორჩილია: კრიმინოლოგიური თვალთახედვით მსხვერპლი არის პირი, რომლის კანონით დაცული სამართლებრივი სიკეთე დაირღვა.³⁶² მსხვერპლი შეიძლება იყოს ადამიანი, ორგანიზაცია, საზოგადოება და სახელმწიფო, რომელთაც ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებით საფრთხე შეექმნა, დაზიანდა, დაზარალდა ან განადგურდა. დაზარალებულები შეიძლება ასევე იყვნენ დანაშაულის შედეგად დაღუპული პირის ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები. ამერიკელი კრიმინოლოგის შეიფერის აზრით, არ არსებობს დანაშაული მსხვერპლის გარეშე. დანაშაულებრივი ქმედებით ვიღაცა ან უნდა საფრთხეში ჩავარდეს, ან დაზარალდეს, ან დაზიანდეს, ან განადგურდეს.³⁶³ დანაშაულის მსხვერპლმა დანაშაულის ჩადენის დროს ან მოგვიანებით შეიძლება განიცადოს ეკონომიკური ზარალი, სოციალური, მორალური, ფიზიკური და ფსიქიკური ზიანი, რაც სახელმწიფო კონტროლის ორგანოების (სასამართლო, პოლიცია, პროკურატურა, სასჯელაღსრულების სისტემა) მხრიდან მთლიანად იგნორირებულია, ვინაიდან ძალიან ხშირად მმართველობის ორგანოები

³⁶¹ ჯვარიშვილი ა., დანაშაულის მსხვერპლის ფსიქოლოგია, 28.02.2016, <http://intermedia.ge/სტატია/71751-დანაშაულის-მსხვერპლის-ფსიქოლოგია/89/> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

³⁶² Paasch, E. Jugendkriminalität – ganzheitliche Ursachenanalyse und staatliche Reaktionsmöglichkeiten. In: Kriminalistik 2001. S. 4-5.

³⁶³ Schafer, S. Victimology: The Victim and his Criminal. Reston/Virginia 1977. S. 95

ცდილობენ დანაშაულის რესოციალიზაციას და ავიწყდებათ, რომ დანაშაულის მსხვერპლიც მოითხოვს საზოგადოებაში „დაბრუნებას“³⁶⁴.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, დაზარალებული არის სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის შედეგად.

გერმანელმა მეცნიერებმა ადამიანის ვიქტიმირება სამ ეტაპად დაყვეს: პირველადი (ძირითადი) ვიქტიმირება, მეორეული (არაძირითადი) ვიქტიმირება და მესამეული ვიქტიმირება. ადამიანის პირველადი და მეორეული ვიქტიმირება დამოკიდებულია სხვა ადამიანისგან მასზე განხორციელებული ქმედებით (მოქმედებით: სხეულის დაზიანების მიყენება და უმოქმედობით: დაზარალებულის გაკიცხვა), ხოლო ადამიანის მესამეული ვიქტიმირება არის მისი ვიქტიმირებიდან გამოწვეული ფსიქოლოგიური შედეგი.³⁶⁵

პიროვნების პირველად ვიქტიმირებად ითვლება დანაშაულის ჩადენით მსხვერპლის მიმართ წარმოშობილი ფსიქიკური, ფიზიკური და მატერიალური შედეგი. მატერიალური ზარალი ძირითადად ქურდობის მსხვერპლს ექმნება. დაზარალებულის მიმართ ყველაზე მძიმე ზიანი დგება ძალადობრივი დანაშაულის შემთხვევაში (გაუპატიურება, მძევლად აყვანა, ყაჩაღობა). ძალადობრივი დანაშაულის მსხვერპლი განიცდის ფსიქოლოგიურ, სოციალურ და მორალურ ზიანს. ძალადობის ხშირმა ფაქტებმა, შეიძლება პიროვნებაში გამოიწვიოს იძულებითი ფანტაზიები, უძილობა და ქცევის შეცვლა. დანაშაულის მსხვერპლს შეიძლება ჰქონდეს შემდეგი სახის სხვადასხვა ფსიქიკური სიმპტომები: დეპრესია, უძილობა, შიში, თავის ტკივილები, მოუსვენრობა, ცუდი (უსიამოვნო) სიზმრების ნახვა. ხშირია ასევე გართულებული სოციალური ურთიერთობები. დანაშაულის მსხვერპლი კარგავს

³⁶⁴ ჯვარციხელი ა., დანაშაულის მსხვერპლის ფსიქოლოგია, 28.02.2016, <http://intermedia.ge/სტატია/71751-დანაშაულის-მსხვერპლის-ფსიქოლოგია/89/> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

³⁶⁵ იქვე;

ნდობას სხვა ადამიანების მიმართ, უჭირს მეგობრებთან, ნათესავებთან ურთიერთობა. ჩადენილი დანაშაულით გამოწვეული უარყოფითი შედეგები ინდივიდუალურია თითოეული დანაშაულის მსხვერპლისთვის და ის სამეგობრო წრესთან ურთიერთობის დამაბვიდან თვითმკვლელობამდე შეიძლება მერყეობდეს. ასევე ხშირია მსხვერპლის მხრიდან გაბრაზებისა და საზოგადოებისადმი ნდობის დაკარგვის შემთხვევები.

პიროვნების მეორეული ანუ არაძირითადი ვიქტიმირება ხდება მასთან ურთიერთობაში მყოფი პიროვნებების მიერ გაკეთებული განცხადებებით (ექიმები, პოლიციის წარმომადგენლები, ადვოკატები) ან მორალური სახის პრეტენზიების გამოთქმით მსხვერპლის საქციელთან დაკავშირებით. მაგ. „შენ რომ იქ არ ყოფილიყავი?!“; „ასეთ დროს იქ რა გინდოდა?!“; „ეს რატომ წამოგცდა?!“; „რატომ სხვა ადგილას არ შეინახე?!“ და ა.შ.³⁶⁶

თითქოს, მსხვერპლის გამომწვევი, პროვოკაციული საქციელი რომ არა, მისი დაცვის ქვეშ მყოფი (დამნაშავე) დანაშაულს არ ჩაიდენდა. კრიმინოლოგ შნაიდერის აზრით, მსხვერპლი, რომელიც შეეწინააღმდეგა დამნაშავეს, უფრო აღიარებულია სოციუმის მიერ (ოჯახის წევრები, სამსახური, სამეზობლო), ვიდრე ის მსხვერპლი, რომელმაც წინააღმდეგობა არ გაუწია დამნაშავეს.³⁶⁷

პიროვნების მესამეულ ვიქტიმირებას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც დანაშაულის მსხვერპლს, პირველადი და მეორეული ვიქტიმირებიდან გამომდინარე, აღარ სჯერა, რომ დაცულია დანაშაულისაგან, როგორც სახელმწიფო სტრუქტურების, ასევე ახლო სოციალური გარემოს მხრიდან, თავს მიიჩნევს გარშემო მყოფთა მსხვერპლად და არა აქვს წინააღმდეგობის გაწევის უნარი.³⁶⁸ ამგვარი ადამიანები მიეკუთვნებიან დანაშაულის მსხვერპლის ისეთ კატეგორიას, რომელთა (რე)ვიქტიმიზაცია კვლავ

³⁶⁶ Kiefl, W./Lamnek, S. Soziologie des Opfers. Theorie, Methode und Empirie der Viktimologie. München 1986. S. 239.

³⁶⁷ Schneider, H.J. (Hrsg.) Das Verbrechenopfer in der Strafrechtspflege. Berlin 1982. S. 26.

³⁶⁸ Kiefl, W./Lamnek, S. Soziologie des Opfers. Theorie, Methode und Empirie der Viktimologie. München 1986 S.143 272.

მოსალოდნელია ახლო მომავალში (იხ. „ნასწავლი“ დაუხმარებლობის თეორია). გერმანიაში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ დანაშაულის მსხვერპლი ხშირად მარტო რჩება მსხვერპლად გახდომით წარმოშობილ პრობლემასთან და არც სახელმწიფო და არც სოციუმი არ ცდილობს ხელი შეუწყოს მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.³⁶⁹

განრიდების/განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულების არასრულწლოვნისათვის და მისი კანონიერი წარმომადგენლისათვის გაცნობისა და ხელმოწერის შემდეგ, სოციალური მუშაკი ეხმარება არასრულწლოვანს, რომ თითოეული აქტივობა გაიწეროს დროისა და ჩართული პირების მიხედვით. ამ პროცესში ჩართულნი არიან არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენელი და ოჯახის სხვა წევრები³⁷⁰.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების დეტალურ გეგმას სოციალური მუშაკი გადასცემს არასრულწლოვანს, განუმარტავს მას ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგის პროცესს და მათი ყოველთვიური შეხვედრების მნიშვნელობას. საჭიროების შემთხვევაში სოციალური მუშაკი ეხმარება არასრულწლოვანს შესაბამის პროგრამებში ჩართვაში³⁷¹.

4.3. განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროცედურები და ხელშეკრულების პირობები

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების, აგრეთვე ყველაზე მსუბუქი საშუალებისა და ალტერნატიული ზომის პრიორიტეტულობის პრინციპიდან გამომდინარე, არასრულწლოვნის მიმართ, რომლის შესახებაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა,

³⁶⁹ Wetzels, P. u.a. Kriminalität im Leben alter Menschen. Stuttgart 1995 S. 273.

³⁷⁰ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება N29, განრიდების ან/და განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულების მომზადება-შესრულების პროცესში სოციალური მუშაკის როლისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე, 22.02.2011, მუხლი 4, ნაწილი 24;

³⁷¹ იქვე, მუხლი 4, ნაწილი 25;

პირველ რიგში, განიხილება განრიდების შესაძლებლობა. პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას განრიდების შესახებ, თუ არასრულწლოვნის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად და მისი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისთვის აუცილებელი არ არის სისხლისსამართლებრივი დევნა და თუ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, რომლებიც სისხლისსამართლებრივი დევნით შეილახება, აღემატება იმ სხვა საზოგადოებრივ ინტერესებს, რომლებიც არასრულწლოვნის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შედეგად იქნებოდა დაცული. ამ ინტერესების შეფასებისა და მათ შორის ბალანსის დადგენისას, პროკურორი ასევე ითვალისწინებს სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებს.

განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე პროკურორი ხვდება არასრულწლოვანს, მის კანონიერ წარმომადგენელს და ადვოკატს და ესაუბრება ჩადენილი დანაშაულის შესახებ. პროკურორი განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამას, მისი გამოყენების წესს, შესაძლო ხანგრძლივობას, შესაძლო პირობებსა და განრიდების ღონისძიების შეუსრულებლობის შედეგებს არასრულწლოვანს მისთვის გასაგები ფორმით გააცნობს.³⁷²

პროკურორი ასევე ხვდება დაზარალებულს, რომელსაც აწვდის ინფორმაციას განრიდებისა და მედიაციის პროცესის შესაძლო დაწყების შესახებ და განუმარტავს მას გადაწყვეტილების მიღების საფუძველსა და მიზეზებს. პროკურორი დაზარალებულთან კომუნიკაციას განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეკიდოს, რათა თავიდან აიცილოს მისი მეორეული ვიქტიმიზაცია. ამასთან, პროკურორი დაზარალებულს ატყობინებს პროცესში მედიატორის ჩართვის აუცილებლობის შესახებ და აცნობს მას მედიატორის პროცესში მონაწილეობის მიზანსა და არსს.

დაზარალებულის უარი განრიდების პროცესის დაწყებაზე ან/და მედიაციაში მონაწილეობაზე არ აბრკოლებს განრიდების პროცესს. დაზარალებულს უფლება აქვს

³⁷² საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N120, თბილისი, 2016. დანართი 3

შეიცვალოს აზრი და ნებისმიერ დროს ჩაერთოს მედიაციის პროცესში. განრიდების შესახებ წინასწარ გადაწყვეტილებას პროკურორი იღებს არასრულწლოვანთან და დაზარალებულთან შეხვედრების შემდეგ.

არასრულწლოვნის განრიდების შესახებ წინასწარი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში პროკურორს გამოაქვს დადგენილება არასრულწლოვნის მიმართ განრიდების პროცესის დაწყების შესახებ. არასრულწლოვნისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის შემთხვევაში, პროკურორი დადგენილების გამოტანიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მიზნით მიმართავს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს „პრობაციის ეროვნულ სააგენტოს“, რომელიც მოცემულ საქმეს 2 სამუშაო დღის ვადაში გადასცემს სოციალურ მუშაკს. არასრულწლოვნის/კანონიერი წარმომადგენლის უარის შემთხვევაში პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად³⁷³.

საქმეში დაზარალებულის არსებობის შემთხვევაში პროკურორი არასრულწლოვნის მიმართ განრიდების პროცესის დაწყების შესახებ დადგენილების გამოტანიდან 3 სამუშაო დღის ვადაში მიმართავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს „დანაშაულის პრევენციის ცენტრს“ (შემდგომში „დანაშაულის პრევენციის ცენტრი“), რომელიც მოცემულ საქმეს 2 სამუშაო დღის ვადაში გადასცემს მედიატორს.

სოციალური მუშაკი ატარებს არასრულწლოვნის ინდივიდუალურ შეფასებას. ამ შეფასებას, შეფასების ანგარიშს, რეკომენდაციას განრიდების ღონისძიების შესახებ და ხელშეკრულების სხვა სარეკომენდაციო პირობებს სოციალური მუშაკი პროკურორს საქმის მისთვის გადაცემიდან 10 სამუშაო დღის ვადაში წარუდგენს. თუ შეფასება 10

³⁷³ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება N29, განრიდების ან/და განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულების მომზადება-შესრულების პროცესში სოციალური მუშაკის როლისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე 146 22.02.2011, მუხლი 4, ნაწილი 2;

სამუშაო დღეში გონივრული მიზეზის გამო ვერ სრულდება, ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს ამ მიზეზის აღმოფხვრამდე, რის შესახებაც, წერილობითი დასაბუთებით დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პროკურორს³⁷⁴.

სოციალური მუშაკის პარალელურად 10 სამუშაო დღის განმავლობაში მედიატორი უკავშირდება დაზარალებულს, უხსნის მას განრიდებისა და მედიაციის პროგრამის არსს, პრინციპებს, მიზნებს, მისი მონაწილეობის შედეგებს და აწვდის ყველა საჭირო ინფორმაციას, რათა დაზარალებულმა მედიაციაში მონაწილეობაზე ინფორმირებული თანხმობა ან უარი განაცხადოს.

განრიდების შემთხვევაში პროკურორი არასრულწლოვანთან განრიდების ხელშეკრულებას აფორმებს ანგარიშის მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. თუ ხელშეკრულება 10 სამუშაო დღეში გონივრული მიზეზის გამო ვერ ფორმდება, ეს ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს ამ მიზეზის აღმოფხვრამდე. განრიდებისა და მედიაციის შემთხვევაში, განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულებას არასრულწლოვანთან აფორმებს მედიატორი. მისი გაფორმების ვადა და პროცედურა განისაზღვრება „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ დირექტორის ბრძანებით.

ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იყოს:

ა) ხელშეკრულების მოქმედების ვადა;

ბ) ხელშეკრულების შედგენის დრო და ადგილი;

გ) პროგრამაში მონაწილე პირთა მონაცემები;

დ) ხელშეკრულების პირობების შესრულების ადგილი (მუნიციპალიტეტი);

ე) მითითება იმის თაობაზე, რომ არასრულწლოვანი აღიარებს დანაშაულს;

ვ) განრიდების ღონისძიების სახე და სხვა პირობები;

ზ) ვალდებულების შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგები და ხელშეკრულების შეწყვეტისა და შეჩერების საფუძვლები.

³⁷⁴ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება N29, განრიდების ან/და განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულების მომზადება-შესრულების პროცესში სოციალური მუშაკის როლისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე 22.02.2011, მუხლი 4, ნაწილი 7;

ხელშეკრულების პირობების განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს სოციალური მუშაკის ანგარიში, არასრულწლოვნის ინტერესები, ჰობი, მისწრაფებები და ა. შ., როგორც არასრულწლოვნის გამოსწორებისა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მიზნის მიღწევისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე გარემოებები.³⁷⁵

თუ ხელშეკრულების პირობებზე შეთანხმება შეუძლებელია, პროკურორი წყვეტს პროცესს და იღებს გადაწყვეტილებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ხელშეკრულების მხარეების მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისთანავე, პროკურორს გამოაქვს დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის არ დაწყების ან შეწყვეტის შესახებ. ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს 12 თვემდე ვადით. ხელშეკრულებით განსაზღვრული პერიოდულობით, მაგრამ არანაკლებ თვეში ერთხელ, სოციალური მუშაკი პროკურორს წერილობით აწვდის ინფორმაციას ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის შესახებ. საჭიროებისას, მათ შორის, ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, პროკურორი სოციალურ მუშაკთან ერთად ხვდება არასრულწლოვანს და მის კანონიერ წარმომადგენელს. თუ ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში არასრულწლოვანი კეთილსინდისიერად ასრულებს პირობებს, ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ პროკურორი დაუყოვნებლივ იღებს გადაწყვეტილებას სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ მედიატორის კლასიკური როლი გათვალისწინებული არ არის დღევანდელ პრაქტიკაში. მედიატორის და სოციალური მუშაკის საქმიანობა ხშირ შემთხვევაში მსგავსია. როგორც მედიატორი ასევე სოციალური მუშაკი ხვდება არასრულწლოვანს, მის კანონიერ წარმომადგენელს და ოჯახის სხვა წევრებს. თუ მედიატორი ცდილობს კონფლიქტის მხარეების შერიგებას, სოციალური მუშაკი ბიოფსიქოსოციალური შეფასებით ცდილობს, შეადგინოს

³⁷⁵ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 03 ნოემბრის ბრძანება N120, თბილისი, დანართი;

მოზარდის მოთხოვნების და ჭეშმარიტი ინტერესის შესაბამისი ვალდებულებები, ანუ სოციალური მუშაკი იკვლევს და აანალიზებს არასრულწლოვნის რისკ-ფაქტორებს. თითქმის იგივეს აკეთებს მედიატორიც. განხილული საქმეების ანალიზი ცხადყოფს, რომ მედიატორიც აფასებს და აანალიზებს მოზარდს, მის სოციალურ გარემოს, რომ ის დაზარალებულს შეარიგოს. ამავე დროს, არსებობს განსხვავებები სოციალური მუშაკისა და მედიატორის საქმიანობებში: მონიტორინგი არასრულწლოვნის ქცევაზე (სოციალური მუშაკი), კონფერენციის მომზადება (მედიატორი). თუმცა, ორივე ინსტიტუტი ერთსა და იმავე საქმეს ემსახურება. ის გარემოება, რომ არასრულწლოვანს და დაზარალებულს მედიატორი და სოციალური მუშაკი ცალ-ცალკე ხვდებიან, გარკვეულ პრობლემას წარმოადგენს. არასრულწლოვნისათვის ასეთი შეხვედრები შესაძლებელია უარყოფითი შედეგის მომტანი იყოს და გამოიწვიოს: საკუთარ თავში ჩაკეცვა, სოციალური გარემოს მხრიდან სტიგმატიზაცია და ა.შ. დაზარალებულისთვის ასეთი შეხვედრები და მის მიმართ ჩადენილ დანაშაულზე ხშირი საუბარი შესაძლებელია იყოს პოსტტრავმული ტკივილის მომტანი. გარდა ამისა, მედიატორი ცდილობს, მოაგვაროს სოციალური მუშაკის მიერ შეფასებული კონფლიქტი არასრულწლოვანსა და დაზარალებულს შორის. უმჯობესი იქნებოდა, თუ მედიატორი თვითონ შეაფასებდა არასრულწლოვნის პიროვნებას, მის მოთხოვნილებებს, შესაძლებლობებს და ისე შეხვდებოდა დაზარალებულს. მაშინ მას გაუადვილდებოდა დაზარალებულისთვის დამნაშავის პიროვნების გაცნობა და კონფლიქტის მხარეების შერიგება. ვფიქრობთ, უმჯობესი იქნება, თუ სოციალური მუშაკის ნაცვლად მოზარდის ბიოფსიქოსოციალურ შეფასებას და ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს მედიატორი.

4.3.1. განრიდების /განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი

განრიდების ან/და განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგს ახორციელებს სოციალური მუშაკი³⁷⁶. მონიტორინგი ტარდება

³⁷⁶ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება N29, განრიდების ან/და განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულების მომზადება-შესრულების პროცესში სოციალური მუშაკის როლისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე 49 22.02.2011, მუხლი 5, ნაწილი 1;

ყოველთვიურად ხელშეკრულების დასრულებამდე. საჭიროების შემთხვევაში სოციალური მუშაკი არასრულწლოვნის მიერ განხორციელებული საქმიანობის მონიტორინგს ახდენს უფრო ინტენსიურად. არასრულწლოვნის სურვილის შემთხვევაში, შესაძლოა, მონიტორინგს დაესწროს მისი კანონიერი წარმომადგენელი. მონიტორინგის განსახორციელებლად სოციალური მუშაკი ხვდება არასრულწლოვანს მინიმუმ თვეში ერთხელ, რათა ორივემ ერთად შეაფასოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების მიმდინარეობა.³⁷⁷ ამ პროცესში ხდება არასრულწლოვნის მიერ მიღწეული შედეგების განხილვა, შესაბამის პროგრამებში მონაწილეობის ეფექტურობის განსაზღვრა და ამ პროცესში არასრულწლოვნისათვის სხვა პირთა მიერ აღმოჩენილი დახმარების ფარგლები. ხელშეკრულების რომელიმე პირობის არასრულწლოვნის მიერ შეუსრულებლობის შემთხვევაში, სოციალური მუშაკი და არასრულწლოვანი განიხილავენ ხელისშემშლელ ფაქტორებს და მათ ხასიათს. თუ არასრულწლოვანი არ ასრულებს ხელშეკრულების პირობებს ყოველგვარი სარწმუნო დასაბუთების გარეშე, მაშინ სოციალური მუშაკი ამ ფაქტს აცნობებს შესაბამის პრობაციის ბიუროს უფროსს და პროკურორს, რომელიც იღებს კანონმდებლობით განსაზღვრულ გადაწყვეტილებას აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით. ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით, სოციალური მუშაკი თვეში ერთხელ წარუდგენს პროკურორს შესაბამის ანგარიშს³⁷⁸. ანგარიში უნდა მოიცავდეს არასრულწლოვნის მიერ ხელშეკრულების თითოეული პუნქტის მიხედვით ხელშეკრულების პირობების შესრულების მონაცემებს; ხელშეკრულების რომელიმე პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში შესაბამის მიზეზებს და მათ განმარტებას. არასრულწლოვნის მიერ ხელშეკრულების რომელიმე პირობის შეუსრულებლობა შესაძლოა განპირობებული იყოს ობიექტური მიზეზებით – გარკვეული პროგრამის დახურვა ან სავალდებულო აქტივობის შესრულების ობიექტური ბარიერები.

³⁷⁷ შალიკაშვილი,მ. არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები. თბ., 2013. გვ. 69

³⁷⁸ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება N29, განრიდების ან/და განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულების მომზადება- შესრულების პროცესში სოციალური მუშაკის როლისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე, 22.02.2011, მუხლი 5, ნაწილი 6;

ამ შემთხვევაში სოციალურმა მუშაკმა და პროკურორმა შეიძლება მოახდინონ ხელშეკრულების პირობების შესწორება და კონკრეტული სავალდებულო პირობის/პირობების ჩანაცვლება ახალი ადეკვატური პირობით/პირობებით. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების შეტანა ხდება ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა თანხმობით. ხელშეკრულების მოქმედების დასრულებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში სოციალური მუშაკი წარუდგენს საბოლოო ანგარიშს პროკურორს, რომელშიც საერთო პროგრესის გარდა უნდა იყოს მითითებული, რამდენად აღმოიფხვრა არასრულწლოვნის მიერ ხელმეორე დანაშაულის ჩადენის რისკი. საბოლოო შეფასებას წინ უძღვის სოციალური მუშაკის შეხვედრა არასრულწლოვანთან და ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში მიღწეული შედეგების განხილვა. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არასრულწლოვნის მიერ 18 წლის ასაკის მიღწევა არ წარმოადგენს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის საფუძველს.³⁷⁹

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განრიდების და მედიაციის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროკურორის უფლებამოსილება მეტად ზოგადია და ყველა ხელშეკრულებაში ერთი და იგივე ტექსტით არის გამოხატული. ხელშეკრულებაში არ არის გაწერილი კონკრეტული არასრულწლოვნის მიმართ ინდივიდუალური მიდგომა პროკურორის მხრიდან, რაც მეტად დასანანიია. გარდა ამისა, მედიატორების ჩანაწერებიდან ირკვევა შემდეგი: „განსაკუთრებით აღსანიშნავი არის პროკურორის პასიური როლი, კონფერენციის პერიოდში არ ერევიან და ინიციატივას არ იჩენენ იქამდე, ვიდრე მიეცემათ თავიანთი მოსაზრების გამოთქმის საშუალება, რასაც კონფერენციის დასრულების შემდეგ აღნიშნავენ არასრულწლოვანთა მშობლებიც, რომლებსაც მაინც აქვთ პროკურორების შიში... ხშირ შემთხვევაში პროკურორის მხრიდან არის მოთხოვნა მაქსიმალურად სწრაფად მოხდეს არასრულწლოვნის შეფასება და კონფერენციის ჩატარება, რაც უარყოფითად აისახება კონფერენციის ხარისხზე... ბოლო კონფერენციების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ პროკურორები მაინც თავიანთი ძალაუფლების გამოყენებას ცდილობენ“.

³⁷⁹ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება N29, განრიდების ან/და განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულების მომზადება-შესრულების პროცესში სოციალური მუშაკის როლისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე, 22.02.2011, მუხლი 5, ნაწილი 11;

სოციოლოგიური მონაცემებით პროკურორები საკანონმდებლო ნორმებს და ზემდგომი პროკურორების მითითებებს უფრო ითვალისწინებენ, ვიდრე არასრულწლოვნის ჭეშმარიტ ინტერესებს. აღნიშნული მეტად სამწუხაროა და დაგვაფიქრებს განრიდების და მედიაციის პროცესში პროკურორის მონაწილეობის აუცილებლობაზე. განრიდების და მედიაციის პროცესში პროკურორის მონაწილეობის ერთადერთ დადებით ფაქტორად შესაძლებელია ჩაითვალოს ის, რომ ხშირად დაზარალებული განრიდების და მედიაციის პროცესში ჩართვას მხოლოდ პროკურორის „თხოვნის“ შემდეგ თანხმდება. თუმცა, ასეთ შემთხვევაში უნდა მოხდეს არა განრიდება და მედიაცია, არამედ განრიდება მედიაციის გარეშე. მხოლოდ განრიდების დროს ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ ნაკლებად ხდება არასრულწლოვნის აღზრდა და კონფლიქტის მოგვარება.³⁸⁰ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კანონმდებელმა დადებითი ცვლილებები შეიტანა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, კერძოდ განრიდების, განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების კუთხით. კერძოდ: 2014 წლის ნოემბრამდე დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვნის განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართვა შესაძლებელი იყო იმ შემთხვევაში თუ მის მიერ ჩადენილი დანაშაული წარმოადგენდა ნაკლებად მძიმე დანაშაულს. 2014 წლის 11 ნოემბრიდან პროგრამა გავრცელდა მძიმე კატეგორიის დანაშაულებზეც. აღნიშნული ცვლილებებით შეიცვალა და დაიხვეწა 2010 წლიდან პროგრამის პრაქტიკაში გამოყენებისას გამოვლენილი ხარვეზები და სხვადასხვა პროცედურული საკითხებიც. მათ შორის, დაწესდა პროგრამაში მომუშავე პროფესიონალთათვის სამუშაო ვადები. ასევე, თუ წინათ მედიაციის შესახებ დაზარალებულს ინფორმაციას პროკურორი აწვდიდა და მხოლოდ დაზარალებულის მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე თანხმობის შემთხვევაში ერთვებოდა მედიატორი, დღეისათვის იგი პროცესში პროკურორის მიერ განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე ერთვება, რაც ზრდის მედიაციით დასრულებული საქმეების რაოდენობას. შესაბამისად, ამცირებს დანაშაულებრივი ქმედების შედეგად დაზარალებულსა და განრიდებულს შორის

³⁸⁰ მორის შალიკაშვილი, არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, 152 კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები. თბილისი, 2013. გვ. 66;

წარმოშობილი კონფლიქტების რაოდენობას და ზრდის კმაყოფილ დაზარალებულთა რიცხვს. 2016 წლის 1-ლ იანვარს ამოქმედდა საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, რომლის მიხედვითაც ბევრ სხვა ნოვაციასთან ერთად კიდევ უფრო დაიხვეწა და გაუმჯობესდა განრიდების მექანიზმი. კოდექსის მიხედვით, განრიდება გახდა პრიორიტეტული და კრიტერიუმების არსებობის შემთხვევაში, პროკურორი ვალდებულია, პირველ რიგში განიხილოს განრიდების შესაძლებლობა და მხოლოდ შემდეგ დაიწყოს ფიქრი სისხლისსამართლებრივ დევნაზე. განრიდება გავრცელდა 14-18 წლის არასრულწლოვნების გარდა 18-დან 21 წლამდე პირებზეც. განრიდების უფლებამოსილება აგრეთვე მიენიჭა სასამართლოსაც. კერძოდ, 2016 წლის 1-ლი იანვრიდან მოსამართლე უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობით ან/და საკუთარი ინიციატივით საქმე დაუბრუნოს პროკურორს განრიდების მიზნით. მნიშვნელოვანი ცვლილება აგრეთვე არის ის, რომ მედიატორის როლი კიდევ უფრო გაიზარდა. კოდექსის მიხედვით პროკურორისა და სოციალური მუშაკის დასწრება მედიაციის კონფერენციაზე სავალდებულო აღარაა.

2016 წლის პირველ ნახევარშიც დაიწყო განრიდებისა და მედიაციის პროგრამის რეგიონული მონიტორინგი, რის ფარგლებშიც შემოწმდა იმერეთის რეგიონი. 2016 წლის აპრილში სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული 17 მედიატორისათვის ჩატარდა სასერთიფიკაციო 49 საათიანი სასწავლო კურსი - „შესავალი მედიაციაში“. 2016 წლის მაისში გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული 17 მედიატორისათვის ჩატარდა სასერთიფიკაციო 70 საათიანი სასწავლო კურსი - „მედიაცია სისხლის სამართალში“. სასწავლო კურსი დაფუძნებული იყო 2015 წელს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“, სსიპ „იუსტიციის სასწავლო ცენტრის“, გაეროს ბავშვთა ფონდის და ევროკავშირის პროექტის - „სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ ურთიერთანამშრომლობით შექმნილ მოდულზე „მედიაცია სისხლის სამართალში“. 2016 წლის ივლისში გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული 16 მედიატორისათვის ჩატარდა სასერთიფიკაციო 28 საათიანი სასწავლო კურსი

„სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში“. სასწავლო კურსი დაფუძნებული იყო 2015 წელს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“, სსიპ „იუსტიციის სასწავლო ცენტრის“, გაეროს ბავშვთა ფონდისა და ევროკავშირის პროექტის „სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ ურთიერთანამშრომლობით შექმნილ მოდულზე „მედიაცია სისხლის სამართალში“.

2016 წლის 6 თვის განმავლობაში განრიდებულ იქნა 320 პირი, აქედან 210 არასრულწლოვანი (14-დან 18 წლამდე) და 110 სრულწლოვანი (18-დან 21 წლამდე). აქედან 128 პირის მიმართ გამოყენებულ იქნა მედიაცია და შედგა 105 მედიაციის საერთო შეხვედრა. 2010 წლიდან 2016 წლის 30 ივნისის ჩათვლით საერთო ჯამში განრიდებულ იქნა 1359- 21 წელს მიუღწეველი პირი.

381

³⁸¹ განრიდების, განრიდებისა და მედიაციის პროგრამის 2016 წლის 6 თვის პროკურატურის ანგარიში http://ganrideba.ge/res/files/52/Diversion%20Report_2016_January-June.pdf (მოძიებულია 2017 წლის 30 მასს);

5. სრულწლოვანთა განრიდება

5.1. სრულწლოვანთა განრიდების საპროცესო წესი

სრულწლოვანთა განრიდება - პასუხისმგებლობის ალტერნატიული ფორმაა, რომელიც ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ გამოიყენება, თუკი კანონთან კონფლიქტში მყოფი პირი მზადაა სრულად ან ნაწილობრივ დაფაროს მისი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანი ან უსასყიდლოდ შეასრულოს საზოგადოებისათვის სასარგებლო სამუშაო. საქართველოში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168¹-ე, 168²-ე მუხლების თანახმად ამოქმედდა სრულწლოვან პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განრიდების ინსტიტუტი. აღნიშნული მუხლების სუბიექტი – განრიდების სუბიექტი – ერთი შეხედვით, ნებისმიერი პირი უნდა იყოს, მაგრამ აქ მოიაზრებიან მხოლოდ სრულწლოვანი პირები, ვინაიდან არასრულწლოვან პირთა განრიდება რეგულირდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსითა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

განრიდება არ შეეხება იმ სრულწლოვან პირებს, რომლებსაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაკისრებული აქვთ შემდეგი დანაშაულებისთვის: ადამიანით ვაჭრობა, არასრულწლოვნით ვაჭრობა, ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობა, მძევლად ხელში ჩაგდება, წამება, წამების მუქარა, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა, ასევე, სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებით განსაზღვრული სხვა დანაშაულები.³⁸² განრიდება არ გამოიყენება იმ ბრალდებულის მიმართ, რომელსაც აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვს პატიმრობა. სრულწლოვან პირს უფლება აქვს ისარგებლოს განრიდების პროგრამაში მონაწილეობით, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ის ადრე განრიდების სუბიექტი. სრულწლოვან პირთა მიმართ განრიდების გამოყენება თავდაპირველად მხოლოდ წინასასამართლო სხდომამდე იყო შესაძლებელი, ხოლო 2011 წლის 25 ნოემბერს სისხლის სამართლის საპროცესო

³⁸² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 168¹- მუხლი

კოდექსის 168²-ე მუხლში შესული ცვლილების თანახმად კანონმდებელმა შანსი მისცა ბრალდებულს, რომ მათ მიმართ განრიდება გამოყენებულ იქნას წინასასამართლო სხდომის გამართვის შემდეგაც, თუ მხარეები განრიდება გამოყენების მიზნით სასამართლოს მიმართავენ შუამდგომლობით საქმის პროკურორისათვის დაბრუნების თაობაზე. ამ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია საქმე დაუბრუნოს პროკურორს, რომელიც ბრალდებულს შესთავაზებს განრიდებას.

განრიდებული პირი ვალდებულია, შეასრულოს ჩამოთვლილიდან ერთი ან რამდენიმე პირობა:

- უკანონოდ მოპოვებული ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემა ან ამ ქონების ღირებულების ანაზღაურება;
- დანაშაულის იარაღის ან/და სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ობიექტების სახელმწიფოსთვის გადაცემა;
- მისი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება;
- სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ფულადი თანხის გადახდა, რომლის მინიმალური ოდენობაა 500 ლარი;
- საზოგადოებისთვის სასარგებლო უსასყიდლო სამუშაოს შესრულება 40 საათიდან 400 საათამდე³⁸³;

ამრიგად, განრიდებას დროს განრიდებული იხდის ფულად თანხას, ეკისრება საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა, მისი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება და საქმე მთავრდება მოკლე დროში.

³⁸³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 168¹- მუხლი

სრულწლოვან დამნაშავეებთან გარიგება არ ფორმდება ხელშეკრულების სახით, არამედ პროკურორი განრიდების სუბიექტს სთავაზობს გარიგებას წერილობითი ფორმით. სრულწლოვანი დამნაშავე, არასრულწლოვანი დამნაშავისაგან განსხვავებით განრიდების დროს ნებას არ გამოხატავს დოკუმენტზე ხელმოწერით, არამედ ნებას გამოხატავს გარიგების პირობების შესრულებით. იმ შემთხვევაში თუკი პირი გარიგებაში მითითებულ პირობებს შეასრულებს ნებაყოფლობით, პროკურორი მიიღებს გადაწყვეტილებას გამოძიების შეწყვეტის თაობაზე, თუკი ვერ შეასრულებს გარიგების პირობებს, ეს იმას ნიშნავს, რომ არ არის თანახმა განრიდებაზე და ასეთ შემთხვევებში პროკურორი გააგრძელებს შეწყვეტილ სისხლის სამართლებრივ დევნას³⁸⁴. განრიდების სუბიექტთან ხდება წერილობითი ფორმით გარიგება, სადაც მოცემულია განრიდების პირობები, მათი შესრულების დრო, ადგილი და საშუალება. ასევე განრიდების სუბიექტს წერილობით განემარტება, რომ განრიდების პირობების შესრულება არის ნებაყოფლობითი და იგი სარგებლობს ბრალდებულის ყველა უფლებით. პირის განრიდება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ჰგავს საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტს. განრიდებული იხდის ფულად თანხას, ეკისრება საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა, მისი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება და საქმე მთავრდება მოკლე დროში. ხოლო არასრულწლოვანი განრიდებისა და მედიაციის დროს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ არ იხდის თანხას, ასევე შესაძლოა ზიანი მის მიერ სიმბოლურად იქნას ანაზღაურებული.

5.1.1. განრიდებული პირის საკანონმდებლო ვალდებულებები

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმის თანახმად, განრიდებული პირი ვალდებულია, შეასრულოს ჩამოთვლილთაგან ერთი ან რამდენიმე პირობა:

³⁸⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 168²- მუხლი

- უკანონოდ მოპოვებული ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემა ან ამ ქონების ღირებულების ანაზღაურება;
- დანაშაულის იარაღის ან/და სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ობიექტების სახელმწიფოსთვის გადაცემა;
- მისი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება;
- სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ფულადი თანხის გადახდა, რომლის მინიმალური ოდენობაა 500 ლარი;
- საზოგადოებისთვის სასარგებლო უსასყიდლო სამუშაოს შესრულება 40 საათიდან 400 საათამდე³⁸⁵;

სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად ირკვევა, თუ რა წარმოადგენს უკანონოდ მოპოვებულ ქონებას, რომელიც სახელმწიფოს უსასყიდლოდ უნდა გადაეცეს. კერძოდ:

1. ქონების ჩამორთმევა ნიშნავს დანაშაულის საგნის ან/და იარაღის, დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ან/და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას.
2. დანაშაულის საგნის ან/და იარაღის ან დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ჩამორთმევა ნიშნავს ბრალდებულისთვის, მსჯავრდებულისთვის მის საკუთრებაში ან კანონიერ მფლობელობაში არსებული, განზრახი დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული ან ამისათვის რაიმე სახით გამიზნული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას. დანაშაულის საგნის ან/და იარაღის ან დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ჩამორთმევა ხდება სასამართლოს მიერ, ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა განზრახი დანაშაულისათვის იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა დანაშაულის საგანი ან/და იარაღი, ან დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთი და მათი ჩამორთმევა საჭიროა სახელმწიფო და საზოგადოებრივი აუცილებლობიდან ან

³⁸⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 168²- მუხლი

ცალკეულ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე ანდა ახალი დანაშაულის თავიდან ასაცილებლად.

3. დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევა ნიშნავს მსჯავრდებულისთვის დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების (ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, ასევე იურიდიული დოკუმენტები, რომლებიც იძლევა უფლებას ქონებაზე), აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული ნებისმიერი ფორმის შემოსავლების ან მათი ღირებულების ეკვივალენტური ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას. დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევა სასამართლოს მიერ ინიშნება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა განზრახი დანაშაულისათვის, იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდება, რომ ეს ქონება დანაშაულებრივი გზითაა მოპოვებული“.

სწორედ ამგვარი სახით მიღებული ქონება უსასყიდლოდ უნდა გადასცეს სრულწლოვანმა პირმა სახელმწიფოს, იმისათვის, რომ მასთან შედგეს მოლაპარაკება განრიდების გამოყენების შესახებ.

გარდა უკანონოდ მოპოვებული ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემისა, განრიდების სუბიექტმა სახელმწიფოს უსასყიდლოდ დანაშაულის იარაღი ან/და სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ობიექტებიც უნდა გადასცეს.

გერმანიაში ჩატარებულმა ვიქტიმოლოგიურმა გამოკითხვებმა დაადასტურა, რომ უმრავლეს შემთხვევაში, დაზარალებულის სურვილი სულაც არ არის დამნაშავის დასჯა, არამედ მისი სურვილია დანაშაულამდე არსებული მდგომარეობის დაბრუნება.³⁸⁶ იმის მიუხედავად, რომ სწორედ დაზარალებული მიმართავს სამართალდამცავ სტრუქტურებს ჩადენილი დანაშაულის შესახებ, მისთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს სისხლის სამართლის საპროცესო პროცედურებს. ხშირ

³⁸⁶ Kuhn, A., u.a. „Tat-Sachen“ als Konflikt. Schriftenreihe der DBH. Bonn 1989. S. 41

შემთხვევაში, დაზარალებულის სურვილს, აღდგენილი იქნეს მისი მდგომარეობა, სისხლის სამართლის საპროცესო ნორმები არ ითვალისწინებს. გასათვალისწინებელია ასევე, რომ ზოგჯერ დაზარალებული სამართალდამცავ სტრუქტურებს მიმართავს დაზღვევის თანხის ასაღებად, ან მესამე პირის რჩევით. ჩადენილი დანაშაულიდან გამომდინარე, განსხვავებულია დამნაშავის მიმართ დაზარალებულის დამოკიდებულება, ძალადობრივი დანაშაულის მსხვერპლის სურვილია დამნაშავის დასჯა და პრევენცია, რათა დამნაშავემ აღარ ჩაიდინოს დანაშაული.³⁸⁷ მატერიალური ხასიათის დანაშაულის მსხვერპლის სურვილი კი, პირველ რიგში, მიყენებული ზარალის ანაზღაურებაა და თუ ეს მოხდება დამნაშავის მიერ, რომელსაც შეგნებული აქვს თავის უკანონო ქმედების სიმძიმე, ეს შეიძლება ჩაითვალოს დაზარალებულისთვის უმნიშვნელოვანეს ასპექტად.

დაზარალებულის მიმართ მედიაციის განხორციელების აუცილებლობაზე მიუთითებს ასევე 2001 წლის 15 მარტის №2001/220/HA ევროკავშირის ჩარჩო-გადაწყვეტილება სისხლის სამართალწარმოებაში დაზარალებულის სტატუსის შესახებ. ეს გადაწყვეტილება დიდ მნიშვნელობას ანიჭებს წევრ სახელმწიფოებში დაზარალებულსა და დამნაშავეს შორის მიღწეულ შეთანხმებას და დაზარალებულისათვის ზიანის ანაზღაურებას.³⁸⁸

დანაშაულის მსხვერპლის რესოციალიზაცია გულისხმობს, რაც შეიძლება სწრაფად მსხვერპლის მატერიალური და ფსიქო-სოციალური მდგომარეობის იმ სახით აღდგენას, როგორც იყო დანაშაულის ჩადენამდე.³⁸⁹ დაზარალებულთა დიდი უმრავლესობის მოთხოვნაა ზიანის სრულად ანაზღაურება. ზიანი, როგორც აღინიშნა, შეიძლება იყოს ეკონომიკური (ქურდობის დროს), ფიზიკური (ჯანმრთელობის დაზიანების დროს), ან ფსიქოლოგიური (სქესობრივი და ძალადობრივი დანაშაულის დროს) ხასიათის. დანაშაულის მსხვერპლისთვის მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო ორგანოები რეაგირებას მოახდენენ ჩადენილ დანაშაულზე, რის გამოც მათ

³⁸⁷ Schwind, H.-D. Kriminologie. Eine praxisorientierte Einführung mit Beispielen. 18. Auflage. Heidelberg 2008; S. 426.

³⁸⁸ გვენეტაძე, ნ./კვაჭაძე, მ./წიკლაური-ლამიხი, ე./გაბუნია, მ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება: განრიდება და მედიაცია. თბილისი 2012. გვ. 151.

³⁸⁹ Jesionek, U. Das Verbrechenopfer als Prozesspartei. In: 33. Ottensteiner Fortbildungsseminar aus Strafrecht und Kriminologie 21. bis 25. Februar 2005. Schriftenreihe des Bundesministeriums für Justiz 118. Wien/Graz 2005. S.41 160

(დაზარალებულებს) მადლიერების და კმაყოფილების გრძნობა უჩნდებათ, იმის მიუხედავად მოხდება თუ არა მოგვიანებით დამნაშავეს დასჯა.³⁹⁰ დაზარალებულისათვის მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, რომ დამნაშავე მიხვდება, რომ მისი საქციელი საზოგადოებრივად დასაგმობია და ის შეცდომა იყო. ძალადობრივი დანაშაულის მსხვერპლს განსაკუთრებით ესაჭიროება სახელმწიფო სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან იმის აღიარება, რომ მის მიმართ ჩადენილი იყო უკანონობა. სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან დანაშაულის აღიარება ხელს შეუწყობს მსხვერპლს მიყენებული ტკივილის გადატანაში. დანაშაულის შედეგად დაზარალებულთა უმრავლესობას დაკარგული აქვს ნდობა, როგორც სახელმწიფო ორგანოებისადმი, ასევე სოციუმისადმი (მათ ვერ დაიცვეს იგი დამნაშავესაგან).³⁹¹ ამიტომ თითოეული დაზარალებულის მოთხოვნილებაა დაკარგული ნდობის სწრაფი აღდგენა. ყაჩაღობის, ძარცვის, სხეულის დაზიანების, მკვლელობის (არაპირდაპირ) მსხვერპლს ხშირად უჩნდება სიძულვილის გრძნობა. ამიტომ, მათ სჭირდებათ დახმარება, რომ დაძლიონ სიძულვილი და დაუბრუნდნენ ნორმალურ, პოზიტიურ ცხოვრებისეულ ურთიერთობებს.³⁹² დანაშაულის მსხვერპლის მოთხოვნა არის არა მხოლოდ მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურება, არამედ დაზარალებულის მორალურ-სამართლებრივი რეაბილიტაცია. მატერიალური ანაზღაურება, ანუ მოპარული ნივთის დაბრუნება, ან მისი საფასურის ფულადი თანხით გადახდა საკმარისია ეკონომიკური დანაშაულის (მაგ. ქურდობა, თაღლითობა) მხოლოდ ისეთი მსხვერპლისთვის, რომელსაც სხეულის დაზიანება არ მიუღია. განსაკუთრებით ძალადობრივი დანაშაულის (ყაჩაღობა, სხეულის მძიმე დაზიანება, თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა, გაუპატიურება) მსხვერპლისათვის არის მნიშვნელოვანი, რომ რეაბილიტაციისათვის მან მიიღოს, როგორც მატერიალური ანაზღაურება, ასევე დანაშაულის შედეგად მიყენებული (თუ პოსტტრავმული) ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტრავმის განკურნებისათვის საჭირო ფულადი თანხა, ვინაიდან დანაშაულის მსხვერპლთა დიდ ნაწილს ასეთი სახის თერაპია ესაჭიროება.³⁹³

³⁹⁰ Kilchling, M. Opferschutz und der Strafanspruch des Staates – Ein Widerspruch? In: NStZ (Neue Zeitschrift für Strafrecht) 2002. S. 60.

³⁹¹ Begleitung des Verbrechensopfers durch den Strafprozess, Viktimologie und Opferrechte, Schriftenreihe der Weisser Ring Forschungsgesellschaft. Band 2. Innsbruck/ Wien 2006. S. 111

³⁹² Eder-Rieder, M. A. Der Opferschutz, Schutz und Hilfe für Opfer einer Straftat in Österreich. Wien 1998. S.8 161

³⁹³ Eder-Rieder, M. A. Der Opferschutz, Schutz und Hilfe für Opfer einer Straftat in Österreich. Wien 1998. S.31

მთელს მსოფლიოში ბოლო 20 წლის განმავლობაში ჩატარებულმა ვიქტიმოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა, რომ დაზარალებულის რესოციალიზაციას გააჩნია სამი პრევენციული ღონისძიება:³⁹⁴ ა) დანაშაულის შედეგად მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურება. აღნიშნული ითვალისწინებს უშუალოდ დანაშაულის შედეგად წარმოშობილი ზარალის ანაზღაურებას; ბ) რევიქტიმიზაციის თავიდან აცილება. ვიქტიმოლოგიურმა კვლევებმა დაადგინა, რომ დაზარალებული შეიძლება მოკლე პერიოდში ისევ გახდეს დანაშაულის მსხვერპლი. ამიტომ აუცილებელია, ისეთი ღონისძიებების განხორციელება, რომელიც ხელს შეუშლის დაზარალებულის რევიქტიმიზაციას; გ) ვიქტიმიზაციის შედეგად მოქმედი სახელმწიფო ნორმების ნდობის მიმართ რწმენის ისევ ამაღლება. ეს საკითხი მნიშვნელოვანია ისეთი დაზარალებულისათვის, რომელიც უკმაყოფილო ან ფრუსტრირებულია სამართალდამცავი თუ საგამომიებო ორგანოების მუშაობით. სწორედ იმისათვის, რომ დაზარალებული არ გახდეს დამნაშავე და აღუდგეს მოქმედი სამართლის ნორმებისადმი რწმენა, საჭიროა, დაზარალებულისათვის სისხლის სამართლის საპროცესო უფლებების მიცემა და დაცვა. ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საჭიროა, დაზარალებულმა სისხლის სამართლის პროცესში პროცესის აღიარებული მონაწილის მდგომარეობა დაიკავოს, ხოლო კრიმინალური იუსტიციის სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს,³⁹⁵ წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია დაზარალებულმა უარი თქვას სისხლის სამართლის საქმეში „მონაწილეობაზე“ (მაგ.: დაზარალებული განაცხადებს, რომ არ ახსოვს არაფერი), რაც გაართულებს ასეთი ინფორმაციის მქონე ადამიანის გარეშე ნებისმიერ სისხლის სამართლის საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას. დაზარალებული, რომელიც არსებულ მდგომარეობაში მიტოვებულად გრძნობს თავს, სიძულვილს გამოხატავს დამნაშავეს, საზოგადოების და „სამართლიანი სახელმწიფოს“ მიმართ. დამნაშავეს მიმართ გამოხატულმა სიძულვილმა დაზარალებული შეიძლება შურისძიების სურვილამდე მიიყვანოს და დამნაშავეს მიმართ დანაშაული ჩაადენინოს. ვინაიდან დაზარალებულს აქვს სიძულვილი

³⁹⁴ Kilchling, M. Opfer werden – Opfer bleiben? Würzburg 2008. www.hss.de/downloads/080306_RM_Kilchling.pdf (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს).

³⁹⁵ Kilchling, M. Opferschutz und der Strafanspruch des Staates – Ein Widerspruch? In: NSz (Neue Zeitschrift für Strafrecht) 2002. S. 61;

საზოგადოების მიმართ, მან შეიძლება უარი თქვას მოქალაქეობრივ ვალდებულებებზე (არ განაცხადოს დანაშაულის შესახებ პოლიციაში, უარი თქვას დახმარებაზე). დაზარალებულს, რომელიც ექვემდებარება აყენებს საკუთარი სახელმწიფო ორგანოების სამართლიანობას, შეიძლება ჩამოუყალიბდეს უნდობლობა სახელმწიფო სტრუქტურების მიმართ და უარი თქვას როგორც სახელმწიფო ვალდებულებებზე (არჩევნებში მონაწილეობა, სამხედრო სამსახურის გავლა), ასევე სოციალურ ურთიერთობებზე, რითაც დაზარალებული კარგავს საკუთარი თავისადმი რწმენას. რაც გააძლიერებს მისი რევიქტიმიზაციის ალბათობას (იხ. პიროვნების ვიქტიმირების ეტაპები, „ნასწავლი“ დაუხმარებლობის თეორია). დაზარალებულის რესოციალიზაცია მსგავსია ინდივიდუალური (სპეციალური)³⁹⁶ პრევენციისა, რომლის მიზანია დაზარალებულისადმი და მისი პრობლემისადმი ინდივიდუალური მიდგომა და გადაწყვეტა, რათა თავიდან იქნას აცილებული მისი რევიქტიმიზაცია. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე განრიდების სუბიექტმა დანაშაულებრივი ქმედებით მიყენებული ზიანი უნდა აუნაზღაუროს დაზარალებულს.

სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ განრიდების სუბიექტის მიერ ფულადი თანხის გადახდა აღნიშნულ ინსტიტუტს თითქმის აიგივებს საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტთან. განრიდების პროგრამის გამოყენების არსი მდგომარეობს ბრალდებულისათვის შანსის მიცემაში, განერიდოს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და მაქსიმალურად აღგენილ იქნას დაზარალებულის უფლებები. რაც შეეხება პირის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ თანხის გადახდას, მიმაჩნია, რომ განრიდების, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ინსტიტუტის ძირითადი შედეგების არსს გადააქცევს ისევ საპროცესო შეთანხმების შედეგებად, რაც არ მიმაჩნია მართებულად. აღნიშნულ ორ ინსტიტუტს შორის რჩება განსხვავება, მხოლოდ სასჯელისა და ნასამართლობის ნაწილში.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლი საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას განმარტავს, როგორც მსჯავრდებულის უსასყიდლო შრომას, რომლის სახეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო განსაზღვრავს.

³⁹⁶ Schneider, H.J. Die gegenwärtige Situation des Verbrechensofners, Fortschritte und Probleme der Viktimologie- Forschung. In: ÖJZ (Österreichische Juristen-Zeitung) 1999. S. 129

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ინიშნება ორმოციდან რვაას საათამდე ვადით. თუ მხარეთა შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება, იგი შეიძლება უფრო მეტი ვადითაც დაინიშნოს. ყოველდღიურად ასეთი შრომის ხანგრძლივობა რვა საათს არ უნდა აღემატებოდეს.

ამგვარი სახის სამუშაოს უსასყიდლოდ შესრულება ევალება სრულწლოვან პირს, რომელიც განრიდების პროგრამის სუბიექტი ხდება.

კანონი არ განმარტავს ზემოთხამოთვლილი ყველა პირობა სავალდებულოდ უნდა იყოს თუ არა შესრულებული, რომ პირი გახდეს განრიდების პროგრამის სუბიექტი, რაც კიდევ ერთი ხარვეზია საკანონმდებლო დონეზე³⁹⁷.

5.2. განრიდებისა და მედიაციის შედარება, საერთო საწყისები, განსხვავებები

განრიდების პროცედურა არსებითად განსხვავდება არასრულწლოვანის განრიდებისა და მედიაციის პროცესისაგან.

უპირველესად უნდა აღვნიშნოთ, რომ არასრულწლოვანი პირის მიმართ მოქმედებს არამხოლოდ განრიდების, არამედ მედიაციის პროგრამაც, სრულწლოვან პირთა მიმართ, მხოლოდ განრიდების პროგრამის გამოყენება ხდება.³⁹⁸ თუმცა არსობრივად არ ხდება განრიდების ინსტიტუტის მიერ დაზარალებულის ინტერესის უგულებელყოფა. პირიქით, ზიანის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება, როგორც განრიდების ერთ-ერთი შესაძლო პირობა, პირდაპირაა გაწერილი კანონით. ამასთან, განრიდების შესახებ

³⁹⁷ ხაზგასმა ჩემია;

³⁹⁸ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, მესამე გამოცემა, ავტ. კოლექტივი, რედაქტორები: ჯ. გახოკიძე, მ. მამნიაშვილი, ი. გაბისონია, გამომც. იურისტების სამყარო, თბილისი 164 2015. გვ. 375

გადაწყვეტილების მიღებამდე პირი კონსულტაციას გადის დაზარალებულთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში)³⁹⁹. არასრულწლოვანი პირი ვერ ისარგებლებს განრიდებით, თუ იგი ერთხელ უკვე იყო განრიდებული, ასევე არასრულწლოვანი განრიდების სუბიექტი შესაძლოა იყოს იმ შემთხვევაში, თუ მან პირველად ჩაიდინა დანაშაული, სრულწლოვან ბრალდებულთან შემთხვევაში კი ამგვარი დათქმა არ არსებობს. პირის განრიდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ჰგავს საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტს. განრიდებული იხდის ფულად თანხას, ეკისრება საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა, მისი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება და საქმე მთავრდება მოკლე დროში. ხოლო არასრულწლოვანი განრიდებისა და მედიაციის დროს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ არ იხდის თანხას, ასევე შესაძლოა ზიანი მის მიერ სიმბოლურად იქნას ანაზღაურებული.

მიმაჩნია, რომ საკანონმდებლო დონეზე უნდა მოწესრიგდეს შემდეგი საკითხები: სრულწლოვან ბრალდებულებს არასრულწლოვან ბრალდებულთან მსგავსად, მხოლოდ პირველად ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში უნდა მიეცეთ შანსი განერიდონ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასა და თანამდევ შედეგებს. უპირველეს ყოვლისა, დაუშვებელია სრულწლოვან ბრალდებულს ჰქონდეს მეტი უპირატესობა სასჯელის ალტერნატიული ღონისძიების გამოყენებისა, ვიდრე არასრულწლოვან ბრალდებულს. მოცემული სტანდარტი მინიმუმ ერთი და იგივე უნდა იყოს, როგორც არასრულწლოვან, ასევე სრულწლოვან ბრალდებულთათვის. განრიდება და მედიაცია არის პროგრამა, რომლის მიზანია ერთი შანსი მისცეს ბრალდებულს განერიდოს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, სასჯელს, ნასამართლობას. ერთი შანსი კი ერთმნიშვნელოვნად პირველად ჩადენილ დანაშაულს ითვალისწინებს. ვინაიდან კანონმდებელი მიდის დათმობაზე სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის ფარგლებში და იყენებს სასჯელის ალტერნატიულ ღონისძიებას, მას არ შეიძლება დანაშაულის წაქეზების/პროვოცირების სახე მიეცეს. განრიდების გამოყენების შემთხვევაში

³⁹⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 168²- მუხლი, ნაწ.3;

პროკურორი არ იწყებს/ან წყვეტს უკვე დაწყებულ სისხლისსამართლებრივ დევნას. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 08 ოქტომბრის N181 ბრძანების თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორმა უნდა გაითვალისწინოს პირის დანაშაულებრივი წარსული. თუ იგი ნასამართლევა, ან არსებობს საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ მან წარსულში ჩაიდინა დანაშაული.⁴⁰⁰ განმეორებით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში კი მოცემული საფუძვლები უდავოდ სახეზე გვაქვს.

მიმაჩნია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მოცემული ორადორი მუხლი 168¹ და 168² არ გვაძლევს არავითარ სტანდარტს, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება სრულწლოვან პირთა მიმართ განრიდება. საკანონმდებლო დონეზე არ არსებობს დათქმა სრულწლოვანი ბრალდებული განრიდების პროგრამით სარგებლობს თუ არა განმეორებით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში, ასევე კანონში არ არის გაწერილი დანაშაულთა ერთობლიობის შემთხვევაში შეიძლება თუ არა სრულწლოვანი ბრალდებული გახდეს განრიდების პროგრამის სუბიექტი.

5.3. საერთო კრიმინოგენული მდგომარეობა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიულ ღონისძიებებთან მიმართებაში

2016 წლის 9 თვეში საქართველოს პროკურატურამ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 12 348 პირის მიმართ (სრულწლოვნები და არასრულწლოვნები). სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება შემდეგ დანაშაულებზე: საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლი (ქურდობა) - 19.6%, 273-ე მუხლი (ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება) - 11.9%, 260-ე მუხლი (ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა) - 10.7%, 125-ე მუხლი (ცემა) - 6.6%, 1261 მუხლი (ოჯახში ძალადობა) - 4.4%. 2016 წლის მსგავსად,

⁴⁰⁰ ალტერნატიული სასჯელები, ნ.ტორიაშვილი, სტატია, თბილისი 2013. ინტ. მისამართი: <http://myadvokat.ge/upload/2013/08/ალტერნატიული-სასჯელები.pdf> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს) 166

2014-2015 წლებშიც სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდებოდა საქართველოს სსკ-ის 177-ე, 273-ე და 260-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე. კერძოდ, 2014 წელს ბრალდებულთა 51.4%-ს და 2015 წელს ბრალდებულთა 38.5%-ს, სწორედ ზემოაღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში ედებოდათ ბრალი.

განრიდებისა და მედიაციის პროგრამა 2016 წელს (ისევე, როგორც წინა წლებში) ძირითადად გამოყენებულ იქნა ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის - (საქართველოს სსკ-ის 276-ე (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა), 120-ე (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება), 125-ე (ცემა), 177-ე (ქურდობა) და 362-ე (ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის) ჩამდენი სრულწლოვანი პირების მიმართ.⁴⁰¹

2016 წლის 9 თვეში აღკვეთის ღონისძიება შეეფარდა 8086 პირს, რომელთაგან 28%-ის მიმართ გამოყენებულ იქნა პატიმრობა, 61%-ის მიმართ გირაო (მათ შორის საპატიმრო გირაო), ხოლო 11%-ის მიმართ უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიება. 2016 წლის 9 თვეში, 2015 წელთან შედარებით, პატიმრობის გამოყენების მაჩვენებელი შემცირებულია 2%-ით. პატიმრობის მაჩვენებლის შემცირების პარალელურად, ბოლო წლებში, შემცირებულია საპატიმრო გირაოს გამოყენების მაჩვენებელიც. 2009-2011 წლებში საპატიმრო გირაოს დაბალი მაჩვენებელი განპირობებულია აღნიშნულ წლებში პატიმრობის მაღალი მაჩვენებლით. 2013-2016 წლებში პატიმრობის შემცირების პარალელურად საპატიმრო გირაოს მაჩვენებლის შემცირება მიუთითებს სხვა უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების გააქტიურებაზე⁴⁰². აღკვეთის ღონისძიებებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შემცირებულია არა მხოლოდ სასამართლოს მიერ პატიმრობისა და საპატიმრო გირაოს შეფარდების მაჩვენებელი, არამედ შემცირებულია პროკურორთა მიერ პატიმრობისა და საპატიმრო გირაოს შეფარდების მოთხოვნით დაყენებული შუამდგომლობების რაოდენობაც.

⁴⁰¹ საქართველოს მთავარი პროკურატურის 2016 წლის ანგარიში, 28.11.2016 გვ. 12
ინტ.მისამართი <http://pog.gov.ge/res/docs/angarishi-2016.pdf> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს)

⁴⁰² საქართველოს მთავარი პროკურატურის ანგარიში 2012-2016 წლები (28/11/2016).
<http://pog.gov.ge/res/docs/angarishi-2016.pdf> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

პატიმრობის მოთხოვნის მაჩვენებლის შემცირების პარალელურად უნდა აღინიშნოს, რომ მკაცრია პროკურატურის მიდგომა ძალადობრივი დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ ისეთ შემთხვევებში, როდესაც სახეზეა მძიმე შედეგი, დანაშაულთა ერთობლიობის დროს და ყველა იმ შემთხვევაში, როცა პირის თავისუფლებაში ყოფნა საფრთხეს უქმნის გამოძიების ინტერესებს, პროცესის მონაწილეთა და საზოგადოების უსაფრთხოებას. ყველა ძალადობრივ დანაშაულზე პროკურატურის მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით მოთხოვნილია პატიმრობის გამოყენება, რომლის დაკმაყოფილების მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია. პროკურორების მიერ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მოთხოვნით დაყენებული შუამდგომლობების დიდი ნაწილი (40%) სრულად კმაყოფილდება (თითქმის ანალოგიური ვითარება იყო 2015 წელსაც).

2016 წელს გასამართლებული 12 119 პირიდან, 62.4%-ზე განაჩენი გამოტანილ იქნა საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, ხოლო 37.6%-ის მიმართ საქმე არსებითად იქნა განხილული. საპროცესო შეთანხმების მაჩვენებლის კლება განპირობებულია სასამართლოს მიმართ ნდობის ამაღლებით. ბრალდებულებს აქვთ გამართლების ან/და სასამართლოს მიერ საპროცესო შეთანხმებით შეთავაზებულ სასჯელზე უფრო მსუბუქი სასჯელის შეფარდების მოლოდინი. 2016 წლის 9 თვის განმავლობაში არსებითი განხილვის საფუძველზე გამოტანილი განაჩენებიდან, 3.7%-ის მიმართ (167 პირი) სასამართლომ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი, ხოლო, 1.8%-ის მიმართ (82 პირი) - ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი⁴⁰³. გამამართლებელი განაჩენი გამოტანილ იქნა სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებზე. მათი გამოტანის მიზეზი მეტწილად გახდა უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობის არარსებობა (რიგ შემთხვევებში სასამართლო არ იზიარებს ირიბ ჩვენებებს, რიგ შემთხვევებში სასამართლო მიუთითებს ჩვენებებს შორის წინააღმდეგობაზე და საპროცესო დარღვევებზე, რიგ შემთხვევებში არ ითვალისწინებს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა ჩვენებებს, თუ ისინი არ დასტურდება სხვა მტკიცებულებებით). შემცირებულია საპროცესო შეთანხმების დადებისას სასჯელის

⁴⁰³ საქართველოს მთავარი პროკურატურის 2016 წლის ანგარიში, 28.11.2016 გვ. 12
ინტ.მისამართი <http://pog.gov.ge/res/docs/angarishi-2016.pdf> (მოდებულია 2017 წლის 30 მაისს);

სახით ჯარიმის გამოყენების მაჩვენებელი⁴⁰⁴. კერძოდ, 2014 წელს საპროცესო შეთანხმების დადებისას ჯარიმა გამოყენებულ იქნა ბრალდებულთა 47%-ის მიმართ, 2015 წელს - 44.6%-ის მიმართ, ხოლო 2016 წლის 9 თვეში - 38.7%-ის მიმართ. ზემოაღნიშნულ მონაცემებს ამყარებს ისიც, რომ უკანასკნელ წლებში ჯარიმის სახით ბიუჯეტში გადახდილი თანხების ოდენობა მნიშვნელოვნად არის შემცირებული⁴⁰⁵.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება საქართველოს პროკურატურისთვის კვლავ რჩება ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში პროკურატურის მიერ გადადგმული ნაბიჯები დადებითად აისახა ამ სფეროში მიღწეულ შედეგებზე. კერძოდ, მნიშვნელოვნადაა გაზრდილი არასრულწლოვანთა მიმართ დევნის ალტერნატიული მექანიზმების (განრიდება-მედიაციის) გამოყენების მაჩვენებელი, მინიმუმამდეა დაყვანილი განრიდების მექანიზმის გამოყენებამდე არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემთხვევები, უზრუნველყოფილია არასრულწლოვანთა მიმართ გადაწყვეტილების მიღების დროულობა, შემცირებულია არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის, საპატიმრო გირაოსა და სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მაჩვენებელი. 2010 წლიდან (განრიდების პროგრამის ამოქმედებიდან) დღემდე სულ განრიდებულია 1365 არასრულწლოვანი, საიდანაც ყველაზე მეტი - 326 არასრულწლოვანი განრიდებული იქნა 2016 წელს.⁴⁰⁶ 2016 წელი არის პირველი წელი, როდესაც განრიდებული არასრულწლოვნების რაოდენობა ბევრად აჭარბებს დევნადაწყებული არასრულწლოვნების რაოდენობას, მაშინ როდესაც, წინა წლებში დევნის დაწყების მაჩვენებელი აჭარბებდა განრიდების მაჩვენებელს. განრიდების მაჩვენებლის ზრდა არ არის განპირობებული არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის მომატებით.

⁴⁰⁴ საქართველოს მთავარი პროკურატურის 2016 წლის ანგარიში, 28.11.2016 გვ. 12 ინტ.მისამართი <http://pog.gov.ge/res/docs/angarishi-2016.pdf> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

⁴⁰⁵ საქართველოს მთავარი პროკურატურის ანგარიში 2012-2016 წლები (28/11/2016). <http://pog.gov.ge/res/docs/angarishi-2016.pdf> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

⁴⁰⁶ საქართველოს მთავარი პროკურატურის 2016 წლის ანგარიში, 28.11.2016 გვ.14 ინტ.მისამართი <http://pog.gov.ge/res/docs/angarishi-2016.pdf> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

აღნიშნულს მოწმობს დევნადაწყვებული და განრიდებული არასრულწლოვანი პირების რაოდენობის ერთმანეთთან შედარება. განრიდებული არასრულწლოვნების რაოდენობის ზრდა განაპირობა არასრულწლოვანთა მიმართ დევნის დაწყების შემცირებამ.

როგორც მოგეხსენებათ, 2016 წლის 1 იანვრიდან, სასამართლო უფლებამოსილია არასრულწლოვნის განრიდების მიზნით საქმე დაუბრუნოს პროკურორს. 2016 წლის 9 თვეში განრიდებული 326 არასრულწლოვნიდან, სასამართლოს გადაწყვეტილებით განრიდა 32 მათგანი. პროკურორების მიერ საკუთარი ინიციატივით განრიდების მაღალი მაჩვენებელი და სასამართლოს მიერ განრიდების მიზნით საქმის უკან დაბრუნების დაბალი მაჩვენებელი მიუთითებს იმაზე, რომ პროკურორები დროულად და სწორად იყენებენ განრიდების მექანიზმს და სისხლისსამართლებრივ დევნას იწყებენ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში. განრიდების პროგრამის ფარგლებში წარმატებით მიმდინარეობს არასრულწლოვანთა რეაბილიტაცია, ვინაიდან, თითქმის არ ფიქსირდება განრიდების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევები (2016 წლის 9 თვეში 326 განრიდებულიდან მხოლოდ სამმა მათგანმა დაარღვია განრიდების ხელშეკრულების პირობა). განრიდების გამოყენება, უმეტესწილად, ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვნების მიმართ ხდება. თუმცა, არის მძიმე კატეგორიის დანაშაულზე განრიდების შემთხვევებიც. 2013 წელს განრიდებული არასრულწლოვნების 28%-ს ჰქონდა ჩადენილი მძიმე კატეგორიის დანაშაული, 2014-2015 წლებში ეს მაჩვენებელი გაიზარდა 3-4%-ით, ხოლო 2016 წლის 9 თვეში, წინა წელთან შედარებით - 9%-ით. განრიდება, ძირითადად, გამოყენებული იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე (ქურდობა) მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვნების მიმართ⁴⁰⁷. კერძოდ, 2016 წლის 9 თვეში განრიდებული 326 არასრულწლოვნიდან, 226 (69%) მათგანს ჩადენილი ჰქონდა ქურდობა.

⁴⁰⁷ საქართველოს მთავარი პროკურატურის ანგარიში 2012-2016 წლები (28/11/2016). <http://pog.gov.ge/res/docs/angarishi-2016.pdf> (მომიებულია 2017 წლის 30 მაისს);

განრიდების მიზნების მიღწევისთვის მნიშვნელოვანია პროკურორის მიერ შემჭიდროებულ ვადაში არასრულწლოვნის განრიდების გადაწყვეტილების მიღება, რათა იგი აარიდოს დევნის დაწყებასა და სასამართლო პროცედურებს. 2016 წლის 9 თვეში განრიდებული 326 არასრულწლოვნიდან 75%-ის განრიდება განხორციელდა დანაშაულის ჩადენიდან 2 თვის ვადაში. ასევე, 2016 წელს მნიშვნელოვნად არის შემცირებული განრიდებამდე არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი. თუ 2014 წელს განრიდებულ არასრულწლოვანთა 38% განრიდა დევნის დაწყების შემდგომ, 2015 წელს ეს მაჩვენებელი შემცირდა 25%-მდე, ხოლო 2016 წლის 9 თვეში 17%-მდე.⁴⁰⁸

საქართველოს პროკურატურისთვის ასევე მნიშვნელოვანია დაზარალებული, რომელსაც ზიანი მიადგა არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის შედეგად. იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის ცენტრის მედიატორების დახმარებით, ბოლო 2 წელიწადში საგრძნობლად არის გაზრდილი მედიაციის მაჩვენებელი. თუ 2014 წელს მედიაციის მაჩვენებელი იყო 18%, 2015 წელს ეს მაჩვენებელი იყო 48%, ხოლო 2016 წლის 9 თვეში - 45%. განრიდების პროგრამაში მედიაციის მაჩვენებლის ზრდა პირდაპირ კავშირშია დაზარალებულის კმაყოფილებასთან, რაც საქართველოს პროკურატურის ერთ-ერთი პრიორიტეტია⁴⁰⁹.

გატარებული ღონისძიებებისა და ეფექტური სისხლის სამართლის პოლიტიკის შედეგად, დადებითი ტენდენციები შეინიშნება სხვა მიმართულებებითაც. კერძოდ, მნიშვნელოვნადაა შემცირებული არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების მაჩვენებელი. 2009 წელს პატიმრობა გამოყენებულ იქნა დანაშაულის ჩამდენ არასრულწლოვანთა 42.6%-ის მიმართ, 2010 წელს - 39.7%-ის მიმართ, 2011 წელს - 24.6%-ის მიმართ, 2012 წელს - 21.6%-ის მიმართ, 2013 წელს - 11.1%-ის მიმართ, 2014 წელს - 12.5%-ის მიმართ, 2015 წელს

⁴⁰⁸ საქართველოს მთავარი პროკურატურის 2016 წლის ანგარიში, 28.11.2016. გვ. 15

ინტ.მისამართი <http://pog.gov.ge/res/docs/angarishi-2016.pdf> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს)

⁴⁰⁹ განრიდების, განრიდებისა და მედიაციის პროგრამის 2016 წლის 6 თვის პროკურატურის ანგარიში. http://ganrideba.ge/res/files/52/Diversion%20Report_2016_January-June.pdf (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

- 9.4%-ის მიმართ, ხოლო, 2016 წელს - 4%-ის მიმართ. აღნიშნული მაჩვენებელი უკანასკნელი წლების განმავლობაში უპრეცედენტოდ დაბალია.

პროკურატურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე, მსჯავრდებულ და განრიდებულ პირებს, 2014 წელს ჯარიმის სახით სულ დაეკისრათ 340 500 ლარი, 2015 წელს - 992572 ლარი, ხოლო 2016 წლის 9 თვეში - 515500 ლარი. უნდა აღინიშნოს, რომ არსებული მდგომარეობა განსხვავდება წინა წლების პრაქტიკისგან, როდესაც ჯარიმის სახით დაკისრებული თანხების ოდენობა ათეულობით მილიონს აღწევდა და ატარებდა სადამსჯელო ხასიათს. დღევანდელი მონაცემებით, ჯარიმის გამოყენება ხდება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობისა და ჩადენილი ქმედების მხედველობაში მიღებით.

2014 წელს განმავლობაში განრიდებულ იქნა 203 არასრულწლოვანი. აქედან 8 არასრულწლოვანმა ჩაიდინა განმეორებითი დანაშაული. 203 განრიდებიდან 36 არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებულ იქნა მედიაცია და შედგა 28 მედიაციის საერთო შეხვედრა (მათ შორის 6 იყო ჯგუფური მედიაცია, ხოლო დანარჩენი ინდივიდუალური.) აღსანიშნავია, რომ იყო შემთხვევები, როდესაც არსებობდა დაზარალებული, თუმცა მათ უარი განაცხადეს მედიაციაში მონაწილეობის მიღებაზე. 2010 წლიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით განრიდებულ იქნა 742 არასრულწლოვანი.⁴¹⁰

2015 წლის განმავლობაში განრიდებულ იქნა 296 არასრულწლოვანი. აქედან 143 არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებულ იქნა მედიაცია და შედგა 114 მედიაციის საერთო შეხვედრა. 2010 წლიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით საერთო ჯამში განრიდებულ იქნა 1038 არასრულწლოვანი.⁴¹¹

⁴¹⁰ 2014 წელს განრიდების პროგრამებთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები, ინტ.მისამართი:<http://ganrideba.ge/res/files/52/Diversion%20Report%202014.pdf> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

⁴¹¹ 2015 წელს განრიდების პროგრამებთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები, ინტ.მისამართი:http://ganrideba.ge/res/files/52/Diversion%20Report_2015.pdf (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

2016 წლის განმავლობაში სულ განრიდებულ იქნა 784 პირი, აქედან 462 არასრულწლოვანი (14-დან 18 წლამდე) და 322 სრულწლოვანი (18-დან 21 წლამდე). აქედან 287 პირის მიმართ გამოყენებულ იქნა მედიაცია და შედგა 222 მედიაციის საერთო შეხვედრა. 2010 წლიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით საერთო ჯამში განრიდებულ იქნა 1823 21 წელს მიულწეველი პირი. ⁴¹²

⁴¹² 2016 წელს განრიდების პროგრამებთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები, ინტ.მისამართი: <http://ganrideba.ge/?action=page&pid=52&lang=geo> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს)

დასკვნები და რეკომენდაციები

ჩატარებულმა კვლევებმა დაადასტურა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ძირითად საერთაშორისო სტანდარტებთან. თუმცა, არსებობს რამდენიმე საკითხი, რომელიც საჭიროებს საკანონმდებლო წესით რეგულირებასა და შემდგომ დახვეწას. ჩვენს მიერ განხორციელებული სამეცნიერო კვლევის შედეგად ნათლად გამოვლინდა, რომ დღესდღეობით, თანამედროვე მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა რადიკალურ ცვლილებებს განიცდის და ვითარდება ლიბერალიზაციის მიმართულებით. შესაბამისად, კაცობრიობა ეძებს სრულიად ახალ გზებს და უარს ამბობს უკვე დრომოჭმულ, მკაცრ სისხლის სამართლის პოლიტიკაზე. სისხლის სამართლის პროცესში "ნულოვანი ტოლერანტობა" "აღდგენითმა მართლმსაჯულებამ" ჩაანაცვლა. კაცობრიობა მივიდა დასკვნამდე, რომ სასჯელის მიზნები, სისხლისსამართლებრივი დევნის გარეშე, სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიების გამოყენებითაც მიიღწევა შედარებით ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულებთან მიმართებაში. პრიორიტეტი გახდა დაზარალებულის უფლებების მაქსიმალური აღდგენა. თუმცა, აქვე არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ შეუძლებელია სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიების გამოყენება იმ შემთხვევაში, როდესაც სასჯელის გარდაუვალობა ნაკარნახევა „საზოგადო/საჯარო ინტერესით“.

ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში მიაჩნიათ, რომ რაც უფრო მძიმეა დანაშაულის შედეგი, მით უფრო აქტუალურია სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიების, მედიაციის გამოყენების საკითხი, რათა არ მოხდეს დაზარალებულის ხელმეორედ ვიქტიმიზაცია. აღნიშნული მიდგომა ეტაპობრივად საქართველოში მოქმედ სისხლის სამართლის პროცესსაც დაეტყო, როდესაც განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენება, კანონის თანახმად, დაიშვა მძიმე კატეგორიის დანაშაულებთან მიმართებაშიც.

მიმაჩნია, რომ დაზარალებულის ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილების მიზნით არ შეიძლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიღმა დავტოვოთ ბრალდებული, რომლის მიერ დანაშაულის განზრახ ჩადენამ დაზარალებულისათვის ასეთი მძიმე შედეგი გამოიწვია. მისაღები და დასაფასებელია კანონმდებლობის ლიბერალიზაცია, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დანაშაულის განზრახ ჩადენის მიმართ კანონის უმთავრესი მიზანი მაინც სასჯელის შეფარდებას უნდა წარმოადგენდეს. მძიმე კატეგორიის დანაშაულთა რიცხვი საკმაოდ დიდია სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, შესაბამისად თუკი მხოლოდ პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებას დავეყრდნობით და კანონში ხისტად მივუთითებთ, რომ ყველა სახის მძიმე კატეგორიის დანაშაულზე ვრცელდება განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მოქმედება, ჩვენ მივალთ ერთადერთ შედეგამდე, საზოგადოებაში გაჩნდება დაუსჯელობის სინდრომი და ლიბერალური სახელმწიფოს ნაცვლად მივიღებთ კრიმინალური საზოგადოების სახელმწიფოს.

სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიების გამოყენება არ უნდა იქნას მიჩნეული მხოლოდ სისხლისსამართლებრივი დევნისაგან და სასჯელისაგან გათავისუფლებად, აღნიშნული წარმოადგენს სამართალმწარმოებელი პირის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, რასაც სათანადო შედეგები მოჰყვება და რომელიც წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების ტოლფას გადაწყვეტილებას.

საქართველოში მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, ვერც დაზარალებული და ვერც სხვა დაინტერესებული პირი ვერ შეძლებს ბრალდების მხარისაგან დამოუკიდებლად სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებას, მით უმეტეს, რომ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, დაზარალებული პროცესის მონაწილე მხარეს აღარ წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, საქართველოში გაცილებით მეტად საპასუხისმგებლოა გადაწყვეტილების მიღება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ¹⁷⁵

პროკურორი არ ადგენს წერილობითი სახის დოკუმენტს, შესაბამისად არც აღნიშნული გადაწყვეტილების დასაბუთება ხდება, რაც, ჩემი აზრით, აბსოლუტურად გაუმართლებელია, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, პროკურორი ადგენს წერილობით დოკუმენტს, დადგენილებას უკვე დაწყებული გამოძიების ან უკვე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ. შესაბამისად ჩვენ სახეზე გვაქვს ყოველგვარი დასაბუთებისა და წერილობითი დოკუმენტის გარეშე მიღებული გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ, რომელიც ბუნებრივი და ლოგიკურია, რომ არც გასაჩივრებას არ ექვემდებარება, ხოლო მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით დაზარალებულს ან სხვა დაინტერესებულ პირს არ გააჩნია კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების უფლება.

პირის განრიდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ჰგავს საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტს. განრიდებული იხდის თანხას, ეკისრება საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა, ხდება მისი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება და საქმე მთავრდება მოკლე დროში. ხოლო არასრულწლოვანი განრიდებისა და მედიაციის დროს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ არ იხდის თანხას, ასევე შესაძლოა ზიანი მის მიერ სიმბოლურად იქნას ანაზღაურებული.

სრულწლოვან პირს უფლება აქვს ისარგებლოს განრიდების პროგრამაში მონაწილეობით, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ის ადრე განრიდების სუბიექტი. არასრულწლოვანი პირი, ვერ ისარგებლებს განრიდებით, თუ იგი ერთხელ უკვე იყო განრიდებული, ასევე არასრულწლოვანი განრიდების სუბიექტი შესაძლოა იყოს იმ შემთხვევაში, თუ მან პირველად ჩაიდინა დანაშაული.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად სისხლის სამართლებრივი დევნის მხოლოდ ერთი სახე, საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა არსებობს, რაც გულისხმობს, რომ დანაშაულის ჩადენის შემდგომ საზოგადოების ინტერესთა დაცვას საკანონმდებლო დონეზე უზრუნველყოფს

პროკურორი, ხოლო კერძო პირის (დაზარალებულის) მიმართ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თავად დაზარალებული სამოქალაქო სარჩელის წარდგენის გზით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად საჯარო ინტერესი სისხლის სამართლით, ხოლო კერძო ინტერესი სამოქალაქო სამართლით არის დაცული. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით გარანტირებული უფლების აღდგენისათვის, კერძოდ, მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საკითხის დასაყენებლად აუცილებელია არსებობდეს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი (მტკიცებულებითი სტანდარტი), რომლის თანახმად, პრეიუდიციად ითვლება ზიანის მიყენების ფაქტი. აღნიშნული მიდგომისა და რეგულაციის თანახმად, ჩნდება კითხვა: საქართველოში მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული განრიდების ინსტიტუტის გამოყენებისას, რჩება თუ არა შანსი დაზარალებულს, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, მოითხოვოს მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება?!.. ჩვენთვის ცნობილია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, განრიდების ინსტიტუტის გამოყენებისას, ან არ იწყება, ან წყდება უკვე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა კონკრეტული პირის მიმართ. ასევე ცნობილია, რომ დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურება არ წარმოადგენს აუცილებელ პირობას განრიდების ინსტიტუტის გამოყენებისათვის. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ განრიდებულ პირთა 30%-ს ისე გაუფორმდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განრიდების ხელშეკრულება, რომ მათ დაზარალებულისათვის არავითარი სახის ზიანი არ აუნაზღაურებიათ, ასევე საქმეში არ დევს დაზარალებულთა თანხმობა ზიანის ანაზღაურების გარეშე განრიდების ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით. მივდივართ ერთადერთ შედეგამდე, დანაშაულებრივი ქმედებით დაზარალებულ პირს ერთმევა უფლება საკანონმდებლო დონეზე გამარტივებულად მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რადგან ბრალდებულთან განრიდების ხელშეკრულების გაფორმებით საერთოდ არ იწყება სისხლისსამართლებრივი დევნა, ხოლო უკვე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა წყდება პროკურორის გადაწყვეტილებით. შესაბამისად, სახეზე ვერ გვექნება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი,

რომელიც ერთ-ერთი აუცილებელი მტკიცებულებითი სტანდარტი გახლავთ სამოქალაქო სამართალწარმოების გზით გამარტივებული წესით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საკითხში. გამარტივებული სამოქალაქო სამართალწარმოება კი სასარჩელო წარმოების ალტერნატიული პროცედურაა.

მიმაჩნია, რომ აღნიშნული წარმოადგენს საკმაოდ დიდ საკანონმდებლო პრობლემას, რომელიც უსპობს დაზარალებულს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას გამარტივებული წესით და აღნიშნული პრობლემა აუცილებლად საჭიროებს საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგებას.

სამეცნიერო კვლევის შედეგად შესაძლებელია შემდეგ სახის რეკომენდაციის ჩამოყალიბება: საკანონმდებლო დონეზე განრიდების ინსტიტუტის განმარტებაში აუცილებლად უნდა მიეთითოს ბრალდებული პირის მიმართ განრიდების გამოყენების სამართლებრივი შედეგი დაზარალებულის უფლებების მიმართ. კერძოდ: განრიდების განმარტებაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის არ დაწყების/დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის, ნასამართლეობის არ არსებობისა და ბრალდებულისათვის სასიკეთო სხვა შედეგების გასწვრივ, აუცილებლად უნდა გაკეთდეს დათქმა, რომ განრიდების ინსტიტუტის გამოყენება, არ ათავისუფლებს ბრალდებულს აღნიშნული ქმედებით დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით ანაზღაურებისაგან. აღნიშნული დათქმა, ბუნებრივია, თავის თავში გულისხმობს იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ განრიდების გამოყენებისათვის აუცილებელი და სავალდებულო პირობა არ გახდება დაზარალებულისათვის ზიანის ანაზღაურება. მხოლოდ დაზარალებულის უფლებად დარჩება, მიმართოს სასამართლოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. მსგავსი მიდგომა არსებობს ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების შემთხვევაში, კერძოდ: "საპროცესო შეთანხმების დადებისას პროკურორი ვალდებულია გააფრთხილოს ბრალდებული საპროცესო შეთანხმების შედეგების შესახებ და განუმარტოს მას, რომ საპროცესო შეთანხმების დადების შემთხვევაში სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი მტკიცებულებების უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევის გარეშე გამოაქვს და საპროცესო შეთანხმების დადება არ

ათავისუფლებს ბრალდებულს სამოქალაქო და სხვა სახის პასუხისმგებლობისაგან". ამავ კოდექსის 217-ე მუხლში განსაზღვრულია დაზარალებულის უფლებები საპროცესო შეთანხმების დადებისას, კერძოდ: "პროკურორი ვალდებულია, საპროცესო შეთანხმების დადებამდე დაზარალებულთან გაიაროს კონსულტაცია და შეატყობინოს მას საპროცესო შეთანხმების დადება, რის შესახებაც პროკურორი ადგენს ოქმს. სასამართლოს მიერ საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას დაზარალებულს უფლება აქვს, სასამართლოს წერილობით ან სასამართლო სხდომაზე მოსამართლეს ზეპირად მიაწოდოს ინფორმაცია იმ ზიანის შესახებ, რომელიც მას დანაშაულის შედეგად მიადგა. დაზარალებულს უფლება არა აქვს, გაასაჩივროს საპროცესო შეთანხმება. საპროცესო შეთანხმება დაზარალებულს არ ართმევს უფლებას, შეიტანოს სამოქალაქო სარჩელი". მიმაჩნია, რომ მსგავსი მიდგომა უნდა ჩამოყალიბდეს დაზარალებულის უფლებების მიმართ განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენებისას. აღნიშნული დათქმით არ დამძიმდება ბრალდებულ პირთა უფლება, გახდნენ განრიდების სუბიექტები დაზარალებულისათვის ზიანის ანაზღაურების გარეშე და ასევე საკანონმდებლო დონეზე დაცული და გარანტირებული იქნება დაზარალებულის მხრიდან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. თუ აღნიშნული დათქმა არ გაიწერება განრიდების შესახებ შესაბამის მუხლებში, სისხლის სამართლის პროცესში, თუ სხვა საკანონმდებლო აქტები, მაშინ ჩვენ მივიღებთ აბსოლუტურ ქაოსს, მივიღებთ არა სამართლიანობას, არამედ უსამართლობას, მივიღებთ ბრალდებულ პირთა მიმართ საუკეთესო სამართლებრივ შედეგებს დაზარალებულ პირთა შელახული უფლებების ხარჯზე.

მიმაჩნია, რომ ზოგადად პროკურორის დისკრეციის შემოღება და დაკანონება აღნიშნული სახით თანამედროვე ქართულ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში მოხდა ნაჩქარევად, რასაც მოჰყვა ხარვეზები კანონის პრაქტიკულ გამოყენებაში. პროკურორისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას მსგავსი ფართო (ფაქტობრივად შეუზღუდავი) დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭება აშკარად საქმისადმი პროკურორის სუბიექტური დამოკიდებულების საფრთხეს ბადებს. შედარებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში პროკურორისათვის შეუზღუდავი დისკრეციის

მინიჭება იმდენად ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ ამერიკელი იურისტები მას გარდაუვალ აუცილებლობად მიიჩნევენ, ამერიკელი ექსპერტები მაინც საუბრობენ პროკურორის შეუზღუდავი უფლებამოსილების უკან მდგარ საფრთხეებზე.

უმჯობესია, დისკრეციის გამოყენების საფუძვლები განსაზღვროს კანონმა, რომელიც ზუსტად დაადგენს დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების საფუძვლებს და ამით მნიშვნელოვნად შეზღუდავს, ან, თითქმის, გამორიცხავს სუბიექტურ მიდგომას. მართალია, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მსგავს დათქმას: „მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს, რომ განიხილოს განრიდების საკითხი და თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ შესაძლებელია განრიდების საკითხის განხილვა, მიუხედავად იმისა, რომ თავის დროზე პროკურორმა ეს შესაძლებლობა არ გამოიყენა, თავისი დისკრეციული უფლებიდან გამომდინარე, შეუძლია დაუბრუნოს პროკურორს საქმე, რომ ხელახლა განიხილოს ეს საკითხი“, თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ აღნიშნული ნორმით საკმარისი კონტროლი ხორციელდება პროკურორის დისკრეციასა და მის მიერ განრიდება/მედიაციის გამოყენებაზე. რაც შეეხება კონტროლს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაზე, ვფიქრობ, პროკურორის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ობიექტური და კანონიერი განხორციელებისათვის საჭიროა სასამართლო კონტროლი. საკანონმდებლო დონეზე უნდა მოწესრიგდეს საკითხი და მხარეს უნდა მიეცეს უფლება სასამართლოში გაასაჩივროს პროკურორის მიერ მიღებული დისკრეციული გადაწყვეტილება განრიდების/მედიაციის გამოყენება/არ გამოყენების თაობაზე.

ნაშრომში გაანალიზებული სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ აუცილებელია პროკურორის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე განრიდების საფუძვლით სისხლისსამართლებრივი დევნის არ დაწყების, ან დაწყებული დევნის შეწყვეტის შემთხვევაში პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდებოდეს წერილობითი აქტით ისევე, როგორც კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლით დევნის შეწყვეტის შემთხვევა. წერილობით გაფორმებული გადაწყვეტილება შესაძლებლობას მისცემს პროცესის მონაწილეებს (მათ შორის დაზარალებულსაც), სასამართლო კონტროლი განახორციელოს პროკურორის გადაწყვეტილებაზე

აღნიშნული აქტის სასამართლოში ერთჯერადად გასაჩივრების გზით. აღნიშნული მიდგომით გარანტირებული იქნება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ფუნდამენტური უფლება, რომლის თანახმად: "ყველას აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად".

ასევე საკანონმდებლო დონეზე უნდა მოწესრიგდეს შემდეგი საკითხები: სრულწლოვან ბრალდებულებს არასრულწლოვან ბრალდებულთა მსგავსად, მხოლოდ პირველად ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში უნდა მიეცეთ შანსი განერიდონ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასა და თანამდევ შედეგებს. უწინარეს ყოვლისა, დაუშვებელია სრულწლოვან ბრალდებულს ჰქონდეს მეტი უპირატესობა სასჯელის ალტერნატიული ღონისძიების გამოყენებისას, ვიდრე არასრულწლოვან ბრალდებულს. მოცემული სტანდარტი კანონიერებისა და სასამართლოს წინაშე ყველას თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე თანაბარი უნდა იყოს როგორც არასრულწლოვან, ასევე სრულწლოვან ბრალდებულთათვის. განრიდება და მედიაცია არის პროგრამა, რომლის მიზანია ერთი შანსი მისცეს ბრალდებულს განერიდოს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, სასჯელს, ნასამართლობას. ერთი შანსი კი ერთმნიშვნელოვნად პირველად ჩადენილ დანაშაულს ითვალისწინებს. ვინაიდან კანონმდებელი მიდის დათმობაზე სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის ფარგლებში და იყენებს სასჯელის ალტერნატიულ ღონისძიებას, მას არ შეიძლება დანაშაულის წაქეზების/პროვოცირების სახე მიეცეს. განრიდების გამოყენების შემთხვევაში, პროკურორი არ იწყებს/ან წყვეტს უკვე დაწყებულ სისხლისსამართლებრივ დევნას. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 08 ოქტომბრის N181-ე ბრძანების თანახმად: სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორმა უნდა გაითვალისწინოს პირის დანაშაულებრივი წარსული, არის თუ არა ის ნასამართლევია, არსებობს თუ არა საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ მან წარსულში ჩაიდინა დანაშაული. განმეორებით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში კი მოცემული საფუძვლები უდავოდ სახეზე გვაქვს.

დაბოლოს, მეცნიერთათვის თავსატეხ პრობლემად რჩება ქართულ სამართლებრივ სივრცეში უკვე მოქმედი კოდექსი, რომელსაც არ გააჩნია „ზოგადი ნაწილი“. აკმაყოფილებს თუ არა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი „კოდექსისათვის“ დადგენილ სტანდარტებს, აღნიშნულზე მეცნიერთა აზრი ორად იყოფა. თუმცა, 2016 წლის 01 იანვარს ამოქმედებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი იმდენად დადებით მოვლენად უნდა შევაფასოთ ქართულ სამართლებრივ სივრცეში, რომ მის სტანდარტულ ხარვეზებზე საუბარი ალბათ ზედმეტი იქნება.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიღებამდე საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე არასდროს ჰქონია ამ მიმართულებით საამაყო. ის სიახლე, რაც შექმნა საქართველომ, მსოფლიოსთვის საინტერესოა და, რაც მთავარია, მაგალითია რეგიონისთვის.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ მაგალითი მისცა რეგიონს ამ კოდექსის შექმნით, რომელიც არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესზეა მორგებული და ამკვიდრებს კონფლიქტთან მყოფ არასრულწლოვნებთან მიდგომის მაღალ სტანდარტს; ისეთ სტანდარტს, როგორც აქვთ მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებს.

ბიბლიოგრაფია

სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები

1. გაბრიჩიძე გ. „თანაზომიერების პრინციპი ევროპის გაერთიანების სამართლის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების სფეროში“ წიგნში: კორკელია. კ. „ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე“. თბილისი, 2006 წ.;
2. გვენეტაძე, ნ./კვაჭაძე, მ./წიკლაური-ლამიხი, ე./გაბუნია, მ. „არასრულწლოვანთამართლმსაჯულება: განრიდებადამედიაცია“. თბილისი, 2012წ.;
3. გუცენკო. ჯ.გ. , გოლოვკო.ლ.ვ, ფილიმონოვი.ბ.ა. „დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი“. თბილისი, მერიდიანი, 2007წ.;
4. მეფარიშვილიგ. „სამართლის პუბლიცისტიკა“, თბილისი, უნივერსალი, 2014წ.;
5. „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი“. ავტორთა კოლექტივი, რედ. გიორგი გიორგაძე. 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, საქართველოს ამერიკის იურისტთა ასოციაცია, თბილისი, მერიდიანი, 2015წ.;
6. „საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, მესამე გამოცემა“. ავტ. კოლექტივი, რედაქტორები: ჯ. გახოკიძე, მ. მამნიაშვილი, ი.გაბისონია, თბილისი, იურისტების სამყარო, 2015წ.;
7. სულამანიძე „დისკრეციული უფლებამოსილება“. თბილისი, სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი, 2015წ.;
8. ტურავაპ.,წვეპლაძენ. „ზოგადიადმინისტრაციულისამართალი“, თბილისი, 2010წ.;
9. ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ. „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი“, მეორე გამოცემა. თბილისი, მერიდიანი, 2015წ. გვ. 513
10. შალიკაშვილი მ. „კრიმინოლოგია“, მეორე გამოცემა. თბილისი, 2011წ.;
11. შალიკაშვილი მ. „არასრულწლოვანთაგანრიდებადამედიაციისსისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიურიდაფსიქოლოგიურიასპექტები“. თბილისი, 2013 წ.;
12. ცერცვაძე გ. „მედიაცია. დავისგადაწყვეტისალტერნატიულიფორმა“.თბილისი, 2010 წ.;
13. Aerstson I. Peters T., Mediation and Restorative Justice in Belgium, European Journal on Criminal Policy and Research, 1998.
14. Cohen C. La fonction des organes de poursuite en Justice répressive // Revue international de droit penal. 1963. N3-4;
15. Casorla F. La justice Pénale à l'èpreuve du concept de <restorative justice> // Revue pénitentiaire et de droit penal. 2000. N1;
16. Carbonier J. Réflexions sur la médiation // La médiation: un mode alternatif de résolution des conflits. Zurich, 1992;
17. Community and neighbor mediation / Ed. M. Liebmann. London – Sidney, 1998;
18. Criminale Code For Scotland whit Commentary, Prapered By Clive E., Ferguson P., Gane Ch., Smith A., Published under the auspices of the Scottish Law Commission, Edinburgh, December 2003;
19. Desdevises M. C. L'évaluation des expériences de médiation entre délinquants et victimes: I 'exemple britannique // Revue de science criminelle et de droit penale compare. 1993. N1;
20. Diverting cases from the courts // The criminal law review. 1995. N6;
21. Eder-Rieder, M. A. Der Opferschutz, Schutz und Hilfe für Opfer einer Straftat in Österreich. Wien 1998;

22. Evans R. Challenging a Police caution using judicial review // *The criminal law review*. 1996. N2;
23. Evans R. Comparing young adult and juvenile cautioning in the metropolitan police district // *The criminal law review*. 1993. N8;
24. Evans R. Comparing young adult juvenile cautioning in the metropolitan police district.
25. Evans R. Evaluating young adult diversion shames in the metropolitan police district // *The criminal law review*. 1993 N7;
26. Gane C. Scotland // *Criminal procedure systems in the European Community* / Ed. C. Van Den Wyngert. London-Brussels-Dublin-Edinburg, 1993;
27. Haft, F., Gräfin von Schlieffen, K. (Hrsg.) *Handbuch Mediation*. 2. Auflage. München 2009;
28. Hoyano A, Hoyano L, Davis G, Goldies S. A Study of the impact of the revised Code for Crown Prosecutors // *The criminal law review*. 1997. N8;
29. Hungerford-Welch P. *Criminal litigation and sentencing*. London- Sidney, 1998;
30. Jesionek, U. Das Verbrechenopfer als Prozesspartei. In: 33. Ottensteiner Fortbildungsseminar aus Strafrecht und Kriminologie 21. bis 25. Februar 2005;
31. Journée sur la médiation et les alternatives aux poursuites // *Revue de science criminelle et de droit pénal compare*. 1991. N4;
32. Kaspar, J. *Wiedergutmachung und Mediation im Strafrecht*. Münster 2004;
33. Kaspar Johannes, *Wiedergutmachung und Mediation im Strafrecht, Rechtliche Grundlagen und Ergebnisse eines Modellprojekts zur anwaltlichen Schlichtung*, München, 2004, P.204-205;
34. Keidelberg K.H., *Fragen und Antworten Zum Jugendstrafrecht* Laubenthal, Berlin, 2006;
35. Kiefl, W./Lamnek, S. *Soziologie des Opfers. Theorie, Methode und Empirie der Viktimologie*. München 1986;
36. Kilchling, M. Opferschutz und der Strafanspruch des Staates – Ein Widerspruch? In: *NStZ (Neue Zeitschrift für Strafrecht)* 2002; eidelberg, *Fragen und Antworten Zum Jugendstrafrecht* Laubenthal
37. Kuhn, A., u.a. „Tat-Sachen“ als Konflikt. *Schriftenreihe der DBH*. Bonn 1989;
38. Largier. J. *La procedure penale*. Paris, 1999;
39. Launay G. Murray P. *Victim / offender groups // Mediation and criminal justice. Victims, offenders and community/* Ed. M. Wright, B. Galaway. London. 1989;
40. May R. The legal effects of a police caution // *The criminal law review*. 1997. N7;
41. Meechan K. The prosecutor fine // *The criminal law review*. 1992. N1;
42. Moody S. R. Tombs J. Plea negotiations in Scotland // *The criminal law review*. 1983. N5;
43. Moody S.R. Tombs J. *Prosecution in the Public Interest*. Edinburgh., 1982;
44. O' Doherty S. Compensation and young offenders // *The criminal law review*. 1997. N4;
45. Paasch, E. *Jugendkriminalität – ganzheitliche Ursachenanalyse und staatliche Reaktionsmöglichkeiten*. In: *Kriminalistik* 2001;
46. Peter Tochtermann, *The German Mediation Act Alternative Dispute Resolution At The Crossroads*, Published to Oxford Scholarship. 2012;
47. Peters T., *Victim-Offender Mediation in Norway*, Louven, Louven Univesrity Press, 2000;
48. Pradel J. *Procedure penale compare dans les systems modernes*: 1998;
49. Pradel J. La cèlèritè de la procedure pènale en droit compare // *Revue internationale de droit penal*. Vol. 66. 1995 N3-4;
50. R.v. Métropolitain police commissioner 1995. *The Times*. 1995. 24 May;
51. Reeves H. The victim support perspective // *Mediation and criminal justice. Victims, offenders and community/* Ed. M. Wright, B. Galaway. London. 1989;
52. Spenser J.R. La cèlèrité de la procédure pénale en Angleterre// *Revue international de droit pénal*. Vol. 66. 1995. N3-4;
53. Sheehan A.V. *Criminal procedure in Scotland and France*. Edinburgh, 1975;
54. Schneider, H.J. *Kriminologie*. Berlin/NewYork 1987;
55. Schafer, S. *Victimology: The Victim and his Criminal*. Reston/Virginia 1977;

56. Schijndel R.A.M. van, Confidentiality and Victim-Offender Mediation, Antwerpen, Apeldoorn, Portland, 2009;
57. Schmidt Bonafe, Global Trends in mediation and accreditation-the case of France, 2009;
58. Schneider, H.J. (Hrsg.) Das Verbrechenopfer in der Strafrechtspflege. Berlin 1982;
59. Schneider, H.J. Kriminologie für das 21. Jahrhundert. Münster 2001;
60. Schwind, H.-D. Kriminologie. Eine praxisorientierte Einführung mit Beispielen. 18. Auflage. Heidelberg 2008;
61. Schneider, H.J. Die gegenwärtige Situation des Verbrechenopfers, Fortschritte und Probleme der Viktimologie-Forschung. In: ÖJZ (Österreichische Juristen-Zeitung) 1999;
62. Schriftenreihe des Bundesministeriums für Justiz 118. Wien/Graz 2005;
63. Sullivan, A., & Sheffrin, S. M. Economics: Principles in Action. 2002 New Jersey;
64. Tampe, E. Verbrechenopfer. Schutz, Beratung, Unterstützung. Weimar u.a. 1992;
65. Tombs J. Moody S. R. Alternatives to prosecution: The public interest redefined // The criminal law review. 1993. N5;
66. Vincent J., Guinchard S., Montagnier G., Varinard A. Institutions judiciaires. Organisation. Jurisdictions. Gens de justice. 6^{èd.} Paris. Dalloz, 2001;
67. Wetzels, P. U.A. Kriminalität im Leben alter Menschen. Stuttgart 1995;
68. Wright M. Victims, mediation and criminal justice // The criminal law review. 1995. N3;
69. Ring Forschungsgesellschaft. Band 2. Innsbruck/ Wien 2006;
70. Wetzels, P.U.A. Begleitung des Verbrechenopfers durch den Strafprozess, Viktimologie und Opferrechte, Schriftenreihe der, Victims, mediation and criminal justice // The criminal law review. 1995. N3;
71. Апарова Т.В. Суды и судебный процесс Великобритании. М., 1996;
72. Богдановская А.Ю. Закон в английском праве. М., 1987;
73. Головкин Л.В. Альтернативы уголовному преследованию в современном праве. СПб.: Юридический центр Пресс, М., 2002;
74. Гражданское и торговое право капиталистических государств / Отв. Ред. Е.А. Васильева. М. 1992;
75. Карнизова Л.М. Созидая будущее: вклад И.Л. Петрухина в развитие и реализации идей восстановительного правосудия // В кн.: И.Л. Петрухин: жизнь в науке. Сборник статей и воспоминаний. М., 2010;
76. Лубенский А.И. Предварительное расследование по законодательству капиталистических государств. М., 1977;
77. Миттермайер К.Ю. Уголовное судопроизводство в Англии, Шотландии и Северной Америке. М., 1864;
78. Насырева Е.И. Посредничество в урегулировании правовых споров: опыт США // Государство и право. 1997. N5;
79. Наумов А.В. Основные концепции современного уголовного права. М., 1998;
80. Турышева Н.В. Примирительные процедуры и мировое соглашение в гражданском процессе зарубежных стран // Вестн. Моск. ун-та. Сер. 11. Право. 1996. N3;
81. Уголовно-процессуальный кодекс Франции / Перевод Л.В. Головкин. М., 2000. Г;
82. Шестаков Д.А. Понятие преступности в российской и германской критической криминологии // Правоведение. 1997. N3;
83. Шнайдер Г.Й. Криминология. М, 1994;

სამეცნიერო სტატიები

84. გურიელი ა. განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ეფექტური შეფასება, 17.02.2015წ. ინტ.მის:<https://eparticipationge.wordpress.com/2015/02/17/განრიდებისა-და-მედიაციის/> (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);
85. თუმანიშვილი გ. ტოლერანტობა არის გააზრება იმისა, რომ ადამიანი ადამიანია და ის წარმოადგენს კაცობრიობას, 2013 წ.ინ.მის:<http://www.tabula.ge/ge/blog/71134-tolerantoba> (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);
86. სისხლის სამართლის რეფორმის უწყებათაშორისი სააკორდინაციო საბჭო, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგია, 2015წ.მომზადებულია იუსტიციის სამინისტროს მიერ. გვ.2
ინტ.მის:<http://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:kr15T5AkD3MJ:www.justice.gov.ge/Multimedia%252FFiles%252Fnew2015%252FJuvenile%2520Crime%2520Prevention%2520Strategy%25202015%2520GEO.docx+&cd=1&hl=ka&ct=clnk&gl=ge&client=opera> (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);
87. Biermans N. Restorative justice and the prison system, 2002, Paper from the second conference of the European Forum for Victim-Offender Mediation and Restorative Justice, Oostende, Belgium, 10-12 October.
<http://www.justicereparatrice.org/www.restorativejustice.org/articlesdb/articles/5520> (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);
88. Bellucci S. Presentation - INAVEM – Institut national d’aide aux victimes et de mediation, ინტ.მის:<http://www.bdsp.ehesp.fr/reseau/inavem/> (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);
89. Bram Van Droogenbroeck: Victim Offender Mediation in Severe Crimes in Belgium. 2010. Internet pub <http://mereps.foresee.hu/en/segedoldalak/news/271/8635c8c55f/214/> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);
90. Brookes D., McDonough I., The Differences Between Mediation and Restorative Justice/Practice, November 2006, <http://www.restorativejusticescotland.org.uk/MedvsRJ-P.pdf> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);
91. Burssens D. Penal mediation in Belgium. Insights on the basis of registered data. Paper presented at the ESC Conference, 13th of september 2012, Bilbao (Spain).
https://lirias.kuleuven.be/bitstream/123456789/533029/1/2012BiSpaperESC_EN.pdf (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);
92. Christa Pelikan- On Restorative Justice. Institute for the Sociology of Law and Criminology, Vienna. 2005.:
<http://restorativejustice.org/10fulltext/pelikan.htmlhttp://restorativejustice.org/10fulltext/pelikan-christa.-victim-offender-mediation-in-domestic-violence-cases-a-research-report.html>.
(მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);
93. Pelikani Christa, The Results of Empirical Research into the Issue of Victim-offender Mediation in Domestic Violence Cases. Institute for the Sociology of Law and Criminology, Vienna. 2009. Internet publication <http://restorativejustice.org/10fulltext/pelikan-christa.-victim-offender-mediation-in-domestic-violence-cases-a-research-report.html>.
(მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს)
94. European Commission for Efficiency of Justice Commissions for the efficiency of Justice (CEPEJ) Working Group on Mediation (CEPEJ-GT-MED) the Quality of Penal Mediation in Europe by Julien Lhuillier, Lecturer in Law, University of Nancy (France) 2007. მის.:
http://www.antonioacasella.eu/restorative/Lhuillier_22aug2007.pdf (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს) ;

95. Faget Jacques “Mediation and Domestic Violence” [A New French Journal](https://champpenal.revues.org/84) (2004) ინტ. მის: <https://champpenal.revues.org/84> (მომიებულია 2017 წლის 30 მაისს);
96. Justice Janine P. Geske (ret.) Director of the Restorative Justice Initiative at Marquette University Law School, Restorative Justice in Belgium, 2014. <https://law.marquette.edu/assets/community/pdf/rji/news-restorative-justice-in-belgium.pdf>, (მომიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);
97. Jens M. Scherpe and Bevan Marten, Mediation in England and Wales: Regulation and Practice, Oxford University Press. 2012. Published Online January 2013. <http://oxfordindex.oup.com/view/10.1093/acprof:oso/9780199653485.003.0006> (მომიებულია 2017 წლის 30 მაისს);
98. Jean-Pierre Bonafé-Schmitt, Global Trends in mediation and accreditation-the case of France (2009). *ADR Bulletin*: Vol. 11 : No. 3 , Article 3. ინტ. მისამართი: <http://epublications.bond.edu.au/adr/vol11/iss3/3> (მომიებულია 2017 წლის 30 მაისს);
99. Hammarberg Tomas report on the visite to Georgia 18-20 April 2011 .Georgia: “Human rights must be better protected in the justice system”, 05/07/2011. <https://www.coe.int/en/web/commissioner/-/georgia-human-rights-must-be-better-protected-in-the-justice-system->. (მომიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);
100. Kilchling, M. Opfer werden – Opfer bleiben? Würzburg 2008. www.hss.de/downloads/080306_RM_Kilchling.pdf (მომიებულია 2017 წლის 30 მაისს);
101. Klaus J. Hopt and Felix Steffek, Mediation: Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press. 2012. Published Online January 2013. <http://www.oxfordscholarship.com/view/10.1093/acprof:oso/9780199653485.001.0001/acprof-9780199653485> (მომიებულია 2017 წლის 30 მაისს);
102. Klaus J. Hopt and Felix Steffek, Mediation: Comparison of Laws, Regulatory Models, Fundamental Issues, Oxford University Press. 2012. Published Online January 2013. <http://oxfordindex.oup.com/view/10.1093/acprof:oso/9780199653485.003.0001> (მომიებულია 2017 წლის 30 მაისს);
103. Lauwaert K. and Aertsen I. (editors), Desistance and restorative justice Mechanisms for desisting from crime within restorative justice practices, European Forum for Restorative Justice v.z.w. 2015. P.46. <http://www.euforumrj.org/wp-content/uploads/2015/11/Research-report-desistance-and-RJ-total-doc-24-11-final.pdf> (მომიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);
104. Lynette Parker, The Norwegian System: Restorative Elements, December 2001, ინტ. მის: <http://www.justicereparatrice.org/www.restorativejustice.org/editions/2001/Dec01/Norway> (მომიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);
105. Markus Roth and David Gherdane, Mediation in Austria: The European Pioneer in Mediation Law and Practice, Oxford University Press. 2012. Published Online January 2013. <http://oxfordindex.oup.com/view/10.1093/acprof:oso/9780199653485.003.0004> (მომიებულია 2017 წლის 30 მაისს);
106. Nadja Alexander, Harmonization and Diversity in the Private International Law of Mediation: The Rhythms of Regulatory Reform, Oxford University Press. 2012. P 12. Published Online January 2013. <http://oxfordindex.oup.com/view/10.1093/acprof:oso/9780199653485.003.0002> (მომიებულია 2017 წლის 30 მაისს);
107. Restorative justice and victim-offender mediation in Norway, Anna Nylund, LL.D., Post doctorate scholar, University of Troms, 2002, http://www.academia.edu/24358893/Restorative_justice_and_victim-offender_mediation_in_Norway (მომიებულია 2017 წლის 30 სექტემბერს);
108. Sullivan Dennis and Tiffit Larry, Handbook of Restorative Justice, A Global Perspective, First published 2006, by Routledge, Abingdon, Oxon, Milton Park;

109. Thomas Trenczek, "Victim-offender- Mediation" in Germany ADR under the shadow of the Criminal Law. Bond Law Review (2001). ინტ. მისამართი:
<http://heinonline.org/HOL/LandingPage?handle=hein.journals/bondlr13&div=19&id=&page>
= (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს).

სახელისუფლებლო და საერთაშორისო დოკუმენტები

110. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე N2/2/389;
111. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე N1/3/407;
112. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 06 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე N2/1/415;
113. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 04 მაისის განჩინება საქმეზე N1გ/622-17;

საკანონმდებლო აქტები

114. საქართველოს კონსტიტუცია (მიღებულია 24/08/1995 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ, დოკუმენტის N786),
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346>, (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);
115. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (რომი, მიღებულია 1950 წლის 04 ნოემბერს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ), <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370>, (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);
116. გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ, პეკინის წესები (მიღებულია 1985 წლის 29 ნოემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ), http://www.moc.gov.ge/images/files/pdf/text_14182885782.pdf, (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);
117. გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით (რიადის სახელმძღვანელო პრინციპები) (მიღებულია 1990 წლის 14 ნოემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ), <http://edu.gba.ge/wp-content/uploads/2016/02/JI-MASALA.pdf>, (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);
118. კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ (მიღებულია 1989 წლის 20 ნოემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ),
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901>, (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);
119. საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (მიღებულია 26/06/1997 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ, დოკუმენტის N786),
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702>, (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

120. საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (მიღებულია 14/11/1997 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ, დოკუმენტის N1106); <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>, (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);
121. საქართველოს კანონი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (მიღებულია 22/07/1999 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ, დოკუმენტის N2287); <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426>, (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);
122. საქართველოს კანონი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (მიღებულია 09/10/2009 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ, დოკუმენტის N1772); <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034>, (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);
123. საქართველოს კანონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი (მიღებულია 12/06/2015 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ, დოკუმენტის N3708-III); <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281>, (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);
124. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი, 13/11/1998, ინტ. მის: https://www.gesetze-im-internet.de/englisch_stgb/englisch_stgb.html (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);
125. გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (მიღებულია 07/04/1987, ბუნდესტაგის, გერმანიის პარლამენტის მიერ), https://www.gesetze-im-internet.de/englisch_stpo/englisch_stpo.html, (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);
126. საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსი (მიღებულია 01/03/1994 საფრანგეთის რესპუბლიკის პარლამენტის მიერ) <http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=14297> (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);
127. საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (მიღებულია 1/03/1994 საფრანგეთის რესპუბლიკის პარლამენტის მიერ) <http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=14295> (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);
128. ესპანეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (მიღებულია 23/11/1995), <http://www.legislationline.org/documents/section/criminal-codes>, ((მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);
129. ბელგიის კანონი „ახალგაზრდობის დაცვის შესახებ“ (მიღებულია 2006 წელს), http://www.protection-of-minors.eu/en/BE_overview.php, (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);
130. ბელგიის კანონი "სისხლის სამართლის საქმეებზე მედიაციის შესახებ", (მიღებულია 10/02/1994 წელს), <http://www.nall.nl/tijdschrift/nall/2016/02/NALL-D-15-00005>, (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);
131. შოტლანდიის კანონი „სატრანსპორტო მოძრაობის წესების დამრღვევების შესახებ“ (Road Traffic Offenders Act), (მიღებულია 1988 წელს, გამოქვეყნებულია 1991 წელს), https://www.legislation.gov.uk/ukpga/1991/40/pdfs/ukpga_19910040_en.pdf, (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

132. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 01 თებერვლის ბრძანება N120; არასრულწლოვნის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პრობლემების დამტკიცების შესახებ, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3176195>, (მომიებულია 2017 წლის 01 სექტემბერს);
133. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 08 ოქტომბრის ბრძანება N181, სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1040547>, (მომიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);
134. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება N29, განრიდების ან/და განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულების მომზადება-შესრულების პროცესში სოციალური მუშაკის როლისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე, 22.02.2011; http://www.probation.gov.ge/admin/editor/uploads/files/ganrideba_axali.pdf (მომიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);
135. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორის 2016 წლის 03 ნოემბრის ბრძანება N384, დოკუმენტის N16, <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2292225>, (მომიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);
136. ნორვეგიის იუსტიციის მინისტრის აქტი მედიაციის სამსახურის შესახებ (მიღებულია 15/03/1991 წელს), <https://www.global-regulation.com/translation/norway/5961973/law-on-national-mediation-treatment-%2528national-mediation-act%2529.html>, (მომიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);
137. საფრანგეთის იუსტიციის მინ. 1996 წლის 10 აპრილის ბრძანება #96-305, საფრანგეთის სისხლის სამართლის საქმეებზე მედიატორებისთვის დაწესებული მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ; <http://ns1763.ca/oic/oic199604.html> (მომიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);
138. Austrian Mediation Act, Published 6 June 2003, (Law on Mediation in Civil Law Matters), <http://bgarf.ru/science/baltic-center-of-mediation-and-conflictology/publikacii/avstriya.pdf> (მომიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);
139. Basic Law for the Federal Republic of Germany, Deutscher Bundestag, last amended on 23 December 2014, Translators: Professor Christian Tomuschat and Professor David P. Currie, Professor Donald P. Kommers in cooperation with the Language Service of the German Bundestag, ინტ.მის: <https://www.btg-bestellservice.de/pdf/80201000.pdf> (მომიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);
140. Code of Ethics for Elder Mediators, November 2016, this Code is also available in German, French and Mandarin, ინტ.მის: <https://elder-mediation-international.net/wp-content/uploads/2016/11/EMIN-Code-of-Ethics-Eigth-Edition-1.pdf> (მომიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);
141. Criminal Justice [Scotland] Act, 1987, https://www.legislation.gov.uk/ukpga/1987/41/pdfs/ukpga_19870041_en.pdf (მომიებულია 2017 წლის 30 მაისს);
142. Criminale Code (Strafgesetzbuch, StGB), As promulgated on 13 November 1998 (Federal Law Gazette I, p. 945, p. 3322), Translation provided by the Federal Ministry of Justice and reproduced with kind permission;

143. Criminal Procedure Code, Austria, Strafprozessordnung – StPO, enacted December 9, 1975. <http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=9753> (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);
144. England and Wales Criminal Law Act 1977, Parliament of United Kingdom, <http://www.legislation.gov.uk/ukpga/1977/45/contents/enacted> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);
145. The Code for Crown Prosecutors (the Code) is issued by the Director of Public Prosecutions (DPP) under section 10 of the Prosecution of Offences Act 1985. This is the seventh edition of the Code and replaces all earlier versions. https://www.cps.gov.uk/sites/default/files/documents/publications/code_2013_accessible_english.pdf (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);
146. Legal Services Act in Germany, 2008, The Act was adopted by the German Bundestage as Article 1 of the Act of 12 December 2007;
147. Norway Criminale Code, Act N28, May 20, 2005, <http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=17417>, (მოძიებულია 2017 წლის 10 სექტემბერს);
148. The Criminal Procedure Act, Norway, Ministry of Justice and the Police, Legislation Department, May 22, 1981, N25; <http://app.uio.no/ub/ujur/oversatte-lover/data/lov-19810522-025-eng.pdf> (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);
149. Children and Young Persons Act 1969, Parliament of United Kingdom, <https://www.legislation.gov.uk/ukpga/1969/54/contents>, (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);
150. Norwegian National Mediation Act, Affairs Ministry of Justice, promulgate 20/06/2014, (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);
151. “Youth Courts Law in the version of the promulgation of 11 December 1974 (Federal Law Gazette [BGBl.] Part I p. 3427, most recently amended by Article 1 of the Act of 8 July 2008 (Federal Law Gazette Part I p. 1212)” Translation provided by the [Federal Ministry for Justice](#) and Chris Pavis and Neil Mussett and reproduced with kind permission. (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);
152. Verbandsverantwortlichkeitsgesetz, Corporate Criminal Liability Act (Austria), entered into force on 1 January 2006. <https://globalcompliancenews.com/white-collar-crime/corporate-liability-in-austria/> (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

ინტერნეტ წყაროები

153. ჯვარეიშვილი ა., დანაშაულის მსხვერპლის ფსიქოლოგია, 28.02.2016, <http://intermedia.ge/სტატია/71751-დანაშაულის-მსხვერპლის-ფსიქოლოგია/89/> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);
154. ციხისაერთაშორისორეფორმა (PRI), ნულოვანი ტოლერანტობიდან ლიბერალიზაციისაკენ, პოლიტიკის, კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი. თბილისი 2011წ., <https://www.penalreform.org/resource/ნულოვანი-ტოლერანტობიდან>, (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);
155. საქართველოს მთავარი პროკურატურის ანგარიში 2012-2016 წლები (28/11/2016). <http://pog.gov.ge/res/docs/angarishi-2016.pdf> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);
156. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური ინტერნეტ გვერდი, სტატია, არასრულწლოვანთა განრიდება 2012წ. <http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/279> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

157. განრიდების, განრიდებისადამედიაციისპროგრამის 2016 წლის 6 თვის პროკურატურის ანგარიში. [http://ganrideba.ge/res/files/52/Diversion%20Report 2016 January-June.pdf](http://ganrideba.ge/res/files/52/Diversion%20Report%202016%20January-June.pdf) (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);
158. საქართველოს მთავარი პროკურატურის 2016 წლის ანგარიში, 28.11.2016 <http://pog.gov.ge/res/docs/angarishi-2016.pdf> , (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);
159. 2003-2013 წლების სისხლის სამართლის საქმეთა სტატისტიკა. http://geostat.ge/?action=page&p_id=601&lang=geo (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);
160. სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, 27.07.2009, <http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/237> (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);
161. 2014 წელს განრიდების პროგრამებთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები. <http://ganrideba.ge/res/files/52/Diversion%20Report%202014.pdf>, (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);
162. 2015 წელს განრიდების პროგრამებთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები. [http://ganrideba.ge/res/files/52/Diversion%20Report 2015.pdf](http://ganrideba.ge/res/files/52/Diversion%20Report%202015.pdf), (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);
163. 2016 წელს განრიდების პროგრამებთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები, <http://ganrideba.ge/?action=page&pid=52&lang=geo> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);
164. Mediation Support Network, Trainings and Events, <http://mediationsupportnetwork.net/trainings-and-events/> (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);
165. Probation service: Together we come ahead, Official Blog, <https://www.neustart.at/at/de/> (მოძიებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს);

დანართები

დანართი N1

ტრადიციული (სადამსჯელო) მართლმსაჯულებისა და აღდგენითი მართლმსაჯულების მეტად საინტერესო შედარება:	
ტრადიციული მართლმსაჯულება	აღდგენითი მართლმსაჯულება
დანაშაული განისაზღვრება, როგორც სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონების დარღვევა	დანაშაული განისაზღვრება, როგორც ერთი პირის მიერ მეორე პირის უფლების შელახვა
აქცენტი კეთდება ბრალდებულისათვის ბრალეულობის დადგენაზე	აქცენტი კეთდება პრობლემის მოგვარებაზე
შეჯიბრებითი სასამართლო პროცესი	დიალოგი და მოლაპარაკება
სასჯელის შეფარდება და დასჯა	მიყენებული ზიანის ანაზღაურება, მხარეების შერიგება
სახელმწიფოს რეგირების სიმკაცრე დამოკიდებულია სამართალდამრღვევის წარსულზე	რეაგირება დამოკიდებულია საზიანო შედეგზე და არა მის წარსულზე
ერთი სოციალურად საზიანო ფაქტორის შენაცვლება მეორეთი	ყურადღების გამახვილება სოციალური ზიანის გამოსწორებაზე
დაზარალებულის უგულებელყოფა	დაზარალებულის უფლებების დაცვა

დანართი N2

სასამართლო და აღდგენითი მოდელების შედარება	
სასამართლო მოდელი	აღდგენითი მოდელი
ადგილი: სასამართლოს შენობა ან იუსტიციის სახლები “maison de justice”	ადგილი: არაკომერციული ორგანიზაციები, მუნიციპალური და ადგილობრივი მმართველობის ორგანოები
მედიატორები: მედიაციის კუთხით სპეციალური მომზადების არმქონე იურისტები	მედიატორები: მედიაციის კუთხით სპეციალურად მომზადებული სოცმუშაკები ან ფსიქოლოგები
პროცესი: მოკლე დრო, ერთი შეხვედრა, დირექტიული ხასიათი, შეთანხმებათა მაღალი პროცენტული მაჩვენებელი	პროცესი: შეიძლება იყოს ხანგრძლივი პროცესი, არა დირექტიული ხასიათი აქვს, შეთანხმებათა დაბალი % მაჩვენებელი

დანართი N3

შედარებითი სქემა				
ქვეყანა	მედიაციის განსაზღვრება	კლიენტის ასაკი	პროფესიონალი მედიატორები თუ მოხალისეები	მედიაციის სამსახურის დაფინანსება
საფრანგეთი	"მედიაცია"	სრულწლოვანები 18 წლის და ზემოთ	აღდგენითი მოდელი პროფესიონალი მედიატორი 2/3 და მოხალისე 1/3; მართლმსაჯულების მოდელი- ადვოკატები	სამართლებრივი უწყებების მიერ
გერმანია	სამართალდამრღვევისა და დაზარალებულის შერიგება"	სრულწლოვანები და არასრულწლოვანები	ძირითადად პროფესიონალები, მედიატორები და ადვოკატები	ფედერალური იუსტიციის სამინისტროს მიერ და VOM-ის ფედერაციული ასოციაციის მიერ
ბელგია	"მედიაცია"	სრულწლოვანები და არასრულწლოვანები	ძირითადად პროფესიონალები და ადვოკატები	იუსტიციის სამინისტროს მიერ; ფლამანდიური მთავრობის კეთილდღეობის დეპარტამენტის მიერ
ავსტრია	"სასამართლოს გარე დავის მოგვარება"	სრულწლოვანები და არასრულწლოვანები	პროფესიონალი მედიატორები	იუსტიციის სამინისტრო
ნორვეგია	"მედიაცია"	სრულწლოვანები და არასრულწლოვანები 15 წლის ზემოთ	მოხალისეები	მთავრობა